

წიგნი ეძღვნება ქართული ონკოლოგიური სკოლის ერთ-ერთი
ფუძემდებლის, ბატონ კონსტანტინე მაღიჩის ნათელ ხსოვნას

დიდება მას ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე,
ამინ!

თბილისი
2009

პროფესორ ანდრო ღვამიჩავას სახელობის
ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი

პროფესორ კონსტანტინე ვეფხვაძის სახელობის
საქართველოს ონკოლოგთა სამეცნიერო
საზოგადოება

კონსულტაციები

კაბინეტი

ის იყო შემწე განხორციელებული და უკალოთა

რედაქტორი რ. ბაბუა
პროფ. ა. ლვამიჩაევას სახელობის
ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის
გენერალური დირექტორი, მედიცინის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი

რეცენზენტები:

ც. ხარაიშვილი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
რ. თოდუა

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი

გამომცემლობის

რედაქტორი

მხატვარი

დამკაბადონებელი

მარგო ინასარიძე

გიორგი წერეთელი

ელენე ვარამაშვილი

ISBN 978-9941-0-1420-8

კოტე მადიჩის სახელი ათასობით და ათიათასობით ადამიანისთვის ასოცირდებოდა იმედთან, სასოებასთან, სასწაულთან, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, სიცოცხლესთან არის დაკავშირებული. ის იყო ბევრად მეტი, ვიდრე ჩვეულებრივი ექიმი, – იმიტომ რომ გაცილებით ვერაგ მტერთან ჰქონდა ყოველდღიური ომი, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი, ვიდრე ჩვეულებრივ ექიმს. ეს ომი ხშირად სასწაულმოქმედი დასტაქრის გამარჯვებით მთავრდებოდა, მაგრამ, იყო, რა თქმა უნდა, ტკივილიც, უმწეობის განცდაც, ცრემლიც... მისთვის ყველაზე მთავარი პაციენტის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, პაციენტის გადარჩენა ან მისი სიცოცხლის მაქსიმალურად გახანგრძლივება იყო, – ყველა ყველა და მან, ვინ იცის, რამდენი ფატალური შემთხვევის მომსწრემ, იცოდა სიცოცხლის ფასი, იცოდა ამქვეყნად გატარებული ყოველი წუთის ფასი...

მართლაც რომ სანთელივით ინვოდა, მოყვასზე ზრუნვა აღმოჩნდა მისი ხვედრი და ეს არ იყო უბრალოდ მოვალეობის მოხდა, – ეს იყო მუდმივი ფიქრი, მუდმივი ძიება ეფექტური გზებისა; იცოდა: ყველა ადამიანი ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებდა და მხოლოდ ონკოლოგიური ლიტერატურისა და სხვათა გამოცდილების ზედმინევნით ცოდნა-გათვალისწინება ყოველთვის არ იყო წარმატების გარანტი.

ექიბედა სიცოცხლის გადარჩენის გზებს და ადვილი წარმოსადგენია, როგორი ბედნიერი იყო, როცა ამას ახერხებდა.

მარადისობაში გადასული დიდი დასტაქრის სულის საოხად უამრავი მადლიერი ადამიანი ალავლენს გულმხურვალე ლოცვას, – რა უნდა იყოს ამაზე დიდი საზღაური არაადამიანური ამქვეყნიური ზრუნვის, შრომისა და რუდუნების, სიყვარულის, მისი ამქვეყნიური ცხოვრების წესისთვის.

გამომცემლობის რედაქტორი
მარგო ინასარიძე

ПРЕДИСЛОВИЕ

6

საქართველოს საზოგადოება

Имя Константина Мадича у многих сотен людей ассоциируется с надеждой, чаяниями, чудом... К. Мадич – нечто большее, нежели обычный врач, поскольку он каждодневно боролся против коварного врага, и борьба эта была не на жизнь, а на смерть. Зачастую борьба заканчивалась победой чудодейственного доктора, но, вместе с тем, была и боль, было чувство беспомощности, порою и слезы... Ведь главным для него была забота о пациенте, его спасение либо максимальное продление жизни, поскольку он, свидетель не одного фатального случая, хорошо знал цену жизни, каждой ее минуты.

Он горел, словно свеча, и забота о ближнем стала его уделом, именно уделом, но не обязанностью. Он был в постоянных думах, поисках новых путей, ибо знал, что каждый пациент нуждается в индивидуальном подходе, что даже самое скрупулезное знание специальной литературы и учет опыта коллег не всегда являются гарантом успеха. Он искал пути спасения и можно представить как он бывал счастлив, добившись этого.

За упокой его души, перешедшей в вечность, возносят молитвы тысячи благодарных людей, и разве это не самая высокая плата за его посюстороннее нечеловеческое радение и любовь к ближнему, что составляло образ его земной жизни.

М. Инасаридзе
редактор издания

PREFACE

Thousands and tens of thousands of people associated the name of Kote Madich with hope, miracle, connected with the preservation of life. He was more than an ordinary doctor, for he had to conduct war against a most treacherous enemy, life and death war; he had to fight more for the life of his patient than an ordinary doctor. This war was often won by the doctor who worked wonders, but there also used to be pain, a feeling of helplessness, tears... The main thing for him was to take care of his patient's health, to save the patient or to prolong his patient's life, to make it as long as possible, - who but he, the witness of so many fatal cases, knew better the value of life, of every minute of life, spent in this world...

He can be said to burn like a candle. Taking care of a human life turned out to be his destiny, and it was not simply doing his duty, - it was his constant thought, a constant search for effective ways of treatment; he knew that each person needed individual approach and the knowledge of literature on oncology and taking into consideration other doctors' experience did not always guarantee success.

He sought ways of saving life, and it can be easily imagined how happy he felt when he managed to do it.

Many grateful people pray for the soul of the great surgeon who has joined eternity; what can be a greater compensation for that immense and hard work, for the love and care he had taken of his patients, for his way of life.

Margo Inasaridze

Publishing editor

კონსტანტინე მაღიჩი – 80



ასაკის მშენი ნაამაგარი

დღეს საქართველოს ონკოლოგიის პატრიარქს და მის ერთ-ერთ ფუძემდებელს, პროფესორ კონსტანტინე მადიჩს დაბადებიდან 80 წელიწადი შეუსრულდა. მან სამედიცინო, პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის ხანგრძლივი და ნაყოფიერი გზა განვლო. მეცნიერის, მკურნალისა და პედაგოგის ღვაწლი მისი შრომებითა და პრაქტიკული საქმიანობით განისაზღვრება და ფასდება. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ბატონ კონსტანტინე მადიჩის გამოკვლევებსა და მეცნიერულ იდეებს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

კონსტანტინე მადიჩი თბილისში დაიბადა. მამა – კონსტანტინე მადიჩი ინჟინერი იყო, დედა – ქეთევან ცინცაძე კი ერთ-ერთი პირველი ქართველი ქალი, რომელმაც უმაღლესი განათლება ლინინგრადის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში, არქიტექტურის ფაკულტეტზე მიიღო.

სკოლის დამთავრების შემდეგ კონსტანტინე მადიჩი შევიდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც 1946 წელს დაამთავრა.

იგი 9 წლის განმავლობაში იყო თბილისის „დინამოს“ ოსტატ კალათურთელთა გუნდის წევრი. 1947 წელს მისი მონაწილეობით, გუნდი საკავშირო საზოგადოება „დინამოს“ ჩემპიონი გახდა. სხვადასხვა დროს გუნდთან ერთად მოპოვებული აქვს საქართველოს ჩემპიონის, სხვადასხვა რესპუბლიკური და საკავშირო შეჯიბრებების პრიზიორის ტიტული.

1947 წლიდან კონსტანტინე მადიჩმა მუშაობა დაიწყო ონკოლოგიურ დისპანსერში, ექვსი წლის შემდეგ ჩაირიცხა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრაზე ასპირანტად, პროფესორ კონსტანტინე ვეფხვაძის ხელმძღვანელობით. 1959 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც მიეძღვნა კანის სიმსივნეების კლინიკურ-მორფოლოგიური თვისებების

შესწავლას საქართველოში. დისერტაციის ოპონენტები იყვნენ გამოჩენილი მეცნიერები ლენინგრადის ონკოლოგიის ინსტიტუტიდან პათომორფოლოგი, აკად. მ. გლაზუნოვი და პროფ. ა. შანინი, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს ნაშრომს.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ კ. მაღიჩი კათედრაზე დარჩა და გაიარა ხანგრძლივი გზა უფროსი ლაბორანტიდან კათედრის გამგის თანამდებობამდე.

1964 წლიდან დღემდე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ონკოლოგიის კათედრას უძღვება. პარალელურად, შვიდ წელიწადს მუშაობდა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში დეკანად, დეკანის მოადგილედ და ასპირანტურა-ორდინატურის განყოფილების ხელმძღვანელად. იგი წლების გამავლობაში ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის მამოლოგიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა საზოგადოებრივ საწყისებზე, ამჟამად კი ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში მამოლოგიის განყოფილების კონსულტანტია.

ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის გრძელ გზაზე ბატონმა კოტემ სახელი გაითქვა, როგორც მეცნიერმა, პედაგოგმა და მკურნალმა. იგი მიეკუთვნება მეცნიერთა იმ პლეადას, რომელიც ქართული ონკოლოგიის სათავეებთან იდგა და შორს გაიტანა მისი სახელი. იგი 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელთა უმრავლესობაც სარძევე ჯირკვლის, კანის, საჭმლის მომწელებელი ტრაქტის და სასუნთქი გზების კიბოს დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და ეპიდემიოლოგიის საკითხებს ეძღვნება.

ბატონი კოტე კიბოს სანიანალმდეგო უკლებლივ ყველა საერთაშორისო კონგრესის, არაერთი საკავშირო თუ საერთაშორისო ყრილობის მონაწილეა. მისი ნაშრომები გამოქვეყნებულია ინგლისის, იტალიის, რუმინეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, ამერიკის შეერთებული შტატების, არგენტინის, იაპონიის, რუსეთის, უკრაინის, ყაზახეთის, ბელორუსიის, მოლდავეთის სამეცნიერო ჟურნალებში. იგი გამოგონების და რამდენიმე რაციონალიზატორული წინადადების ავტორია. მან შეიმუშავა სარძევე ჯირკვლის კიბოს ოპერაციული მკურნალობის ახალი მოდიფიკაცია, ფართოდ დაინერგა კომბინირებული და კომპლექსური მკურნალობის მის მიერ შემუშავებული მეთოდები. კ. მაღიჩმა ცალკე დარგად ჩამოაყალიბა სარძევე ჯირკვლის ონკოლოგია-ონკომამოლოგია.

კოტე მაღიჩის საერთაშორისო აღიარების დასტური იყო 80-იან

წლებში ონკოცენტრის მამოლოგიის განყოფილების მონაწილეობა საერთაშორისო პროგრამებში, რომლებიც მიძღვნილი იყო სარძევე ჯირკვლის ადრეული და ადგილობრივად გავრცელებული კიბოს კომპლექსური დიაგნოსტიკისა და მკურნალობისადმი. 1986-1990 წლებში ასრულებდა სამეცნიერო თემებს საკავშირო დაკვეთით, რომლებიც ეხებოდა სარძევე ჯირკვლის კიბოს კომბინირებულ მკურნალობას, მონაწილეობდა ეკონომიკური ურთიერთდახმარების ქვეყნების ერთობლივ პროექტებში.

ბატონი კოტე არაერთხელ აურჩევიათ და ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში იყო საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ავთვისებიანი სიმსივნეების კლინიკისა და მკურნალობის საპრობლემო კომისიის წევრი.

პროფესორი კონსტანტინე მაღიჩი შეუდარებელი ლექტორი და პედაგოგია. ამ მხრივ შეუფასებელია მისი საქმიანობა. მრავალი ათეული წელია იგი ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა. მისი ხელმძღვანელობით ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრაზე კვალიფიკაცია გაიარა ათასობით მსმენელმა. ბატონი კოტეს ზეგავლენით, მრავალმა მათგანმა ონკოლოგად გააგრძელა მუშაობა და დღეს ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში მოღვაწეობს. ბევრმა მათგანმა მოიპოვა სამეცნიერო ხარისხი, გახდნენ დოცენტები და პროფესორები. მათი უმრავლესობა ბატონი კოტეს მონაფედ თვის თავს.

მისი ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია რამდენიმე საკანდიდატო დისერტაცია. იგი სხვადასხვა დროს მრავალი მონოგრაფიის, საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაციის ოპონენტი ყოფილა.

ბატონი კოტეს მიერ მომზადებულია მრავალი სასწავლო პროგრამა და მეთოდური სახელმძღვანელო ექიმ-ონკოლოგთა და საერთო ქსელის ექიმთა მოსამზადებლად, მათ შორის „ავთვისებიანი სიმსივნეების ქიმიო-ჰორმონოთერაპია“, რომელიც დამტკიცებული იყო სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების მთავარი სამმართველოს მიერ. ცალკე მომზადდა მეთოდური სახელმძღვანელოები სიტუაციური ამოცანებით ონკოდისპანსერის ექიმებისა და განყოფილების გამგეების ტესტური შეფასებისათვის თემატური ციკლით: „ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები“.

კოტე მაღიჩის ინიციატივით, 1973 წელს თბილისის ექიმთა დახ-

ელოვნების ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრასთან შეიქმნა ციტოლოგიური ლაბორატორია, შედგა სასწავლო პროგრამა და დღემდე ამ პროგრამით ამზადებენ ექიმებსა და ლაბორანტებს ციტოლოგიაში.

ბატონი კოტე იყო საკავშირო სასწავლო პროგრამების ექსპერტი ონკოლოგიაში და ორი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი. მის მიერაა შედგენილი, აგრეთვე, სასწავლო პროგრამები ონკოლოგიაში სტუდენტებისა და რეზიდენტებისათვის. იგი არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ავთვისებიანი სიმსივნეების შემსწავლელი საკოორდინაციო საბჭოს წევრი, ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს და მრავალი სამეცნიერო საბჭოს წევრი, წლების განმავლობაში იყო კ. ვეფხვაძის სახელობის საქართველოს ონკოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარე (ამჟამად თავმჯდომარის მოადგილეა), IV სამკურნალო სამმართველოს კონსულტანტი.

განუზომელია ის ამაგი, რაც ბატონმა კოტემ პრაქტიკულ ონკოლოგიას დასდო. ხელმადლიანი დასტაქრის ანგარიშზეა ათეულ ათასობით გადარჩენილი სიცოცხლე და დაბრუნებული ღიმილი. მისმა მარჯვენამ მრავალ ქალს შეუნარჩუნა და გაუხანგრძლივა სიცოცხლე, უამრავ ოჯახს აჩუქა ბედნიერება.

ღვანლმოსილი ადამიანი კოტე მადიჩი წლების განმავლობაში იყო თბილისის მთავარი ონკოლოგი და აქტიურად მონაწილეობდა დარგის მეთოდური და საორგანიზაციო საკითხების მონესრიგებაში. ასევე მჭიდროდ თანამშრომლობდა ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის, ცხინვალის, თელავის დისპანსერებთან, კონსულტაციებს უტარებდა მათ. მონაწილეობდა ონკოლოგიის ინსტიტუტის მიერ გამართულ გამსვლელ სესიებში საქართველოს სხვადასხვა რაიონში, ლექციებს უკითხავდა ექიმებს და ატარებდა მოსახლეობის პროფილაქტიკურ გასინჯვებს. და როცა მრავალწლიანი პაუზის შემდეგ ონკოლოგთა ახალგაზრდა თაობის მიერ აღდგა პერიფერიული ქსელის ექიმთა ტრენინგები და მოსახლეობის პროფილაქტიკური შემომნება, ბატონი კოტე თავისი შემართებით ტოლს არ უდებს ახალგაზრდებს – თითქმის ფეხით აქვს შემოვლილი მთელი საქართველო.

ბატონი კოტე წლების განმავლობაში ფართო საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა: კითხულობდა ლექციებს ონკოლოგიის პროგრესის სახალხო უნივერსიტეტში, ჯანმრთელობის უნივერსიტეტში. აქტიურად გამოდიოდა რადიოთი და ტელევიზიით, აქვეყნებდა პოპულარულ სტატიებს ყურნალ-გაზეთებში. გამოცემული აქვს პოპულარული ბროშურები: „სარძევე ჯირკვლის თვითგასინჯვა“,

„სარძევე ჯირკვლის კიბოთი დაავადებულთა ფიზიკური რეაბილიტაცია სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდით,“ „ავთვისებიანი სიმსივნეების ამბულატორიული ქიმიოთერაპია“ და სხვ. მადრი ერთ-ერთი ავტორია მონოგრაფიისა – „ძუძუს სიმსივნეების დიაგნოსტიკა“. მის მიერ არის მომზადებული მრავალი თემატური სტატია ონკოლოგიაში ქართული ენციკლოპედიისათვის.


ღირსეულად დაფასდა ბატონი კოტეს ღვაწლი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. მას 1985 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ექიმის წოდება. დაჯილდოებულია გრ. მუხაძის სახელობის სამახსოვრო მედლით. მიღებული აქვს ჯანდაცვის სამინისტროს უამრავი სიგელი.

1997 წელს ქართული მამოლოგიური სკოლის შექმნისა და პრაქტიკული ონკოლოგიის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის დაჯილდოებულია ღირსების ორდენით. 2002 წელს დაჯილდოვდა დამსახურებული მედიკოსის მედლით. არის სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა და მედიკო-ბიოლოგიური აკადემიების ნამდვილი წევრი, პროფესორი. მისი ბიოგრაფიული მონაცემები გამოქვეყნებულია კემბრიჯისა და ნიუ-იორკის ინტერნაციონალურ ცენტრებში.

წლების სიმრავლემ ვერაფერი დააკლო ბატონ კოტეს და დღესაც თავის ქვეყნისა და ხალხის სამსახურშია. იგი უაღრესად დახვეწილი და ელეგანტური პიროვნებაა. ის ისევე გონებანათელი, ხალისიანი კოტე-ექიმა პაციენტებისათვის, ბრწყინვალე ქირურგია საოპერაციო მაგიდასთან, არაჩვეულებრივი ლექტორი და პედაგოგია თავისი მსმენელებისა და ახალგაზრდა ექიმებისათვის. მისი ცხოვრების განვლილი გზა თეორიული ცოდნით, პრაქტიკული გამოცდილებით, მაღალი პროფესიონალიზმით და კაცთმოყვარეობით სამაგალითოა მომავალი თაობებისათვის.

*საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო;
პროფესორ ა. ღვამიჩავას სახელობის
ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი;
პროფესორ კონსტანტინე ვეფხვაძის სახელობის საქართველოს
ონკოლოგთა და ონკოგინეკოლოგთა საზოგადოება
„საქართველოს რესპუბლიკა“,
№270 ოთხშაბათი, 6 ნოემბერი, 20026.*

კონსტანტინე მაღიჩი – მეცნიერი



ზოგი რამ ძუძუს კიბოს შესახებ

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში ყოველწლიურად კიბოთი ავადდება 10000000 და, ამავე მიზეზით, ყოველწლიურად იღუპება 6000000 ადამიანი. მათივე გაანგარიშებით, 2020 წლისათვის მსოფლიოში, სავარაუდოდ, კიბოთი დაავადდება 20000000 და ამავე მიზეზით გარდაიცვლება 10000000 ადამიანი. ონკოდაავადებათა ავადობის მაჩვენებლები მატულობს საქართველოს ყველა რეგიონში. საქართველოს ონკოპრევენციის ცენტრის მონაცემებით, 2001 წელს საქართველოში გამოვლინდა ავთვისებიანი სიმსივნის 4997 პირველადი შემთხვევა, მათ შორის, სიმსივნის ბოლო, IV სტადიაში, მთელი საქართველოსათვის – 45,3%, ხოლო თბილისის მოსახლეობისათვის – 53,6%.

რაც შეეხება ძუძუს კიბოს, განვითარებულ ქვეყნებში ავთვისებიანი სიმსივნეებით ავადობის სტრუქტურაში მას პირველი ადგილი უკავია. მსოფლიოში არსებულ ეთნიკურ ჯგუფებს შორის, ძუძუს კიბოთი დაავადების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღენიშნება შავაელ ქალებს (87,6 ყოველ 100000 ქალზე), ევროპაში – ნიდერლანდებს (81,0) (ცხრილი №1).

ცხრილი №1

ევროპის ქვეყნებში ძუძუს კიბოთი ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები

ქვეყანა	ავადობა და რანგი	სიკვდილიანობა
ნიდერლანდი	81,0	26,8
ბელგია	79,2	26,7
დანია	73,2	26,9
შვეცია	72,8	-
ინგლისი	-	28,9
ლუქსემბურგი	72,0	27,3

ევროპის სხვა რეგიონებში ძუძუს კიბოთი ყოველწლიურად ავადდება ყოველი მე-12 ქალი, ამერიკის შეერთებულ შტატებში – ყოველი მე-11 ქალი 100000 ქალზე. რაც შეეხება საქართველოს, რომელიც ევრაზიულ რეგიონს ეკუთვნის, კიბოთი დაავადებათა სტრუქტურაში ძუძუს კიბოს პირველი ადგილი უკავია.

მათემატიკური პროგნოზირების საფუძველზე, საქართველოში ძუძუს კიბოთი დაავადება 2010 წლისათვის სავარაუდოდ 58,2-ს მიაღწევს 100000 ქალზე (ცხრილი №2).

ცხრილი №2

ძუძუს კიბოთი ავადობის სავარაუდო მაჩვენებელი საქართველოში 100 000 ქალზე

1990	1995	2000	2005	2010	წლიური მატება
44,0	44,4	45,8	52,4	58,2	0,88

დაკვირვების ქვეშ მყოფ ავადმყოფთა უმრავლესობა 50 წელს გადაცილებული იყო, მათგან გათხოვილი – 94,4%; სქესობრივი ცხოვრება 13-16 წლის ასაკში დაწყებული ჰქონდა 8,8%. 17-19 წლის ასაკში – 24,4, ხოლო 20 წლის ზევით – 69,8%. ამგვარად, მხოლოდ ავადმყოფთა 30,2%-მა დაიწყო სქესობრივი ცხოვრება 20 წლამდე. ქალები, რომლებიც იყვნენ ფეხმძიმედ, მაგრამ არ უმშობიარიან, თითქმის ერთნაირი რაოდენობით იყვნენ; საკონტროლო ჯგუფში შობადობა მხოლოდ 9%-ით აღემატებოდა ავადმყოფთა ჯგუფს. ერთ ავადმყოფზე საშუალოდ მოდიოდა 4,85 ფეხმძიმობა, მშობიარობა – 2,2; შესაბამისად, საკონტროლო ჯგუფში 5,8 და 2,88; მხოლოდ მშობიარობა უფრო ხშირად 9,2 იყო ძუძუს კიბოთი დაავადებულეებში, მრავალშვილიანი (4 და მეტი შვილი) თითქმის ერთნაირი რაოდენობით იყო ორივე ჯგუფის ქალებში; აბორტების საშუალო რიცხვი ერთ ავადმყოფზე შეადგენდა 2,6; საკონტროლო ჯგუფში – 3,5; ქალებში, რომელთაც ძუძუ არ უჭმევიათ ან მცირე ხანს აწოვეს, ძუძუს კიბოს შემთხვევა 2-ჯერ მეტია. 210 შემთხვევაში ავადმყოფთა ახლო ნათესავი იყო ავად სხვადასხვა ლოკალიზაციის ავთვისებიანი სიმსივნით.

საქართველოს მოსახლეობის კულტურული დონის ზრდას, ქალთა ჩაბმას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და დღევანდელ სოციალურ

მდგომარეობას მოჰყვა 20 წლამდე ქალთა გათხოვების რიცხვის შემცირება. გვიანი ქორწინების, და, შესაბამისად, გვიანი პირველი ფეხმძიმობის დიდმა რიცხვმა გამოიწვია შობადობის შემცირება, ძუძუს კიბოთი დაავადებისა და შობადობის მაჩვენებლებს შორის კავშირის საფუძველზე (რანგობრივი კორელაციის განსაზღვრის გზით) დადგინდა, რომ საქართველოში არსებობს მათ შორის უკუკორელაციური ურთიერთკავშირი. აღსანიშნავია, რომ იმ რეგიონებში (რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი), სადაც დამახასიათებელია გვიანი ქორწინებისა და შობადობის დაბალი რიცხვი, შედარებით მაღალია ძუძუს კიბოთი დაავადების რიცხვი. ქვემო ქართლის რეგიონებიდან (დმანისი, ბოლნისი, ნალკა, თეთრიწყარო და სხვა), სადაც, ტრადიციულად ქორწინება ხდება ადრეულ ასაკში და შესაბამისად, მრავალშვილიანობაა, ძუძუს კიბოთი ავადობა შედარებით დაბალია.

სხვადასხვა დროს ჩატარებულმა ეპიდემიოლოგიურმა კვლევებმა გამოავლინა ზოგიერთი ე.წ. „რისკფაქტორი“, რომლებიც ხელს უწყობენ ძუძუს კიბოს წინარე დაავადებების და მათ ფონზე კიბოს განვითარებას. მათ მიეკუთვნება:

- 1) ასაკი – 40-59 წელი;
- 2) ძუძუს სიმსივნე ახლო ნათესავებში;
- 3) მენსტრუაციის ადრე დაწყება (12 წელი და უფრო ადრე);
- 4) სქესობრივი ცხოვრების გვიან დაწყება (30 წელს ზევით);
- 5) მოგვიანებით პირველი მშობიარობა (26 წელი და ზევით);
- 6) დიდი ნაყოფი (4კგ და მეტი);
- 7) ხანგრძლივი ძუძუს ნოვება (1 წელზე მეტი);
- 8) მენსტრუაციის გვიანი (50 წელი და ზევით) შეწყვეტა;
- 9) მშობიარობის შემდეგ ანთებითი დაავადებები;
- 10) ძუძუს ტრავმა;
- 11) ფარისებული ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება;
- 12) მენსტრუალური ციკლის შეწყვეტა სასქესო ორგანოების სიმსივნესთან დაკავშირებით;
- 13) ჰიპერტონია და ზედმეტი წონა;
- 14) 30-35 წლის ქალებში მასტოპათია გენეტიკური დატვირთვით;
- 15) თამბაქოს ნევა;
- 16) ხშირი აბორტი.

დადგენილია, რომ საქართველოში მცხოვრებ ქალებში ერთი რისკფაქტორი აღენიშნება ჯანმრთელ ქალთა, 77,9%. რისკ-ფაქტორის რიცხვის მომატებასთან ერთად მცირდება პრაქტიკულად

ჯანმრთელ ქალთა რიცხვი; ასე მაგალითად, 4 და მეტი რისკფაქტორი აღენიშნებოდა ძუძუს კიბოთი დაავადებულ თითქმის ყველა ქალს (99,8%), ხოლო ჯანმრთელ ქალებში იგი 14,7%-ია. ამგვარად, რისკფაქტორის ჯგუფში ქალთა შეყვანის კრიტერიუმად უნდა ჩაითვალოს 4 და მეტი ფაქტორი.

ოთხი და მეტი რისკფაქტორის არსებობა ხელს უწყობს ქალთა ორგანიზმში მთელ რიგ ძვრებს, რის შედეგადაც ირღვევა ჰორმონო-მეტაბოლური ჰომეოსტაზი, მატულობს ესტროგენების კონცენტრაცია ესტრადიოლის ფრაქციის ხარჯზე, რაც ხელს უწყობს ძუძუში, პროლიფერაციული პროცესების განვითარებას – კეთილთვისებიან დისპლაზიებს, ანუ, ძუძუს კიბოსწინარე დაავადებებს. ასეთ ქალებში ძუძუს კიბოს განვითარების რისკი აღწევს 90%-ს (ლ. დიმარსკი; გ. ა. პანტიუშენკო; ტ. ე. სამოილოვა და სხვები).

ვ. ა. ჟივეცკის მონაცემებით, დისჰორმონული ჰიპერპლაზიის სიხშირე უკანასკნელ წლებში გაიზარდა 4-5-ჯერ, ავადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აღინიშნება 30-39 (31-52%) და 40-49 (32-55%) წლების ასაკში. ამ ასაკის ქალები, რომელთაც აქვთ სხვადასხვა სახის დისჰორმონული დისპლაზიები, შეადგენენ რისკჯგუფის ძირითად კონტინგენტს.

კიდევ ერთხელ გვინდა აღვნიშნოთ, რაც სადღეისოდ დადგენილია, რომ ძუძუს დისჰორმონული ჰიპერპლაზიების განვითარებაში საკმაოდ დიდ როლს ასრულებს ორგანიზმში ნეირო-მეტაბოლურ-ჰორმონული კორელაციის დარღვევა, რაც ვლინდება ძუძუში სხვადასხვა სახის დისჰორმონულ-ფონური ცვლილებებით. ასეთებს ეკუთვნის:

1. მასტოდინია – როდესაც მეტ-ნაკლებად გამოხატულია ტკივილის სინდრომი. ზოგ შემთხვევაში ამ სიმპტომმა შეიძლება მიაღწიოს მაღალ ინტენსივობას, რაც არ არის დაკავშირებული ძუძუში მიმდინარე მორფოლოგიურ ცვლილებებთან. მასტოდინიის სინდრომი, უმეტეს შემთხვევაში, ძლიერდება მენსტრუაციის დროს და უკავშირდება ძუძუში ამ პერიოდში ნორმალურ ფუნქციურ-მორფოლოგიურ ცვლილებებს.

2. თირეოტოქსიკური მასტოპათია (ველიამინოვის დაავადება). ძუძუში პათოლოგიური ცვლილებები უკავშირდება ფარისებური ჯირკვლის ფუნქციას, თვით ამ ფორმით მასტოპათიის სახელწოდება განსაზღვრავს როგორც დიაგნოზს, ისე ამ დაავადების მკურნალობის ტაქტიკას.

3. ფიბროზული მასტოპათია – ამ ფორმას მიეკუთვნება ძუძუს მთელი რიგი დაავადებები საკვერცხეების ჭარბი ფუნქციური

ცალკეულ ატიპურ-ანაპლაზიურ უჯრედებში ხშირად აღინიშნება ნერტილოვანი მუტაცია, რომლის დროსაც უჯრედში არსებული არააქტიური პროტონკოგენი ერთი ნუკლეოტიდის შენაცვლებით (გლიცინი-ვალინზა) ხდება აქტიური ონკოგენი, რომლის მოქმედება ხელს უწყობს ანაპლაზიური უჯრედის ბიოლოგიურ ტრანსფორმაციას. უჯრედი იძენს ავტონომიას, უსასრულო გამრავლების უნარს და ხდება უკვდავი. ამ ტრანსფორმირებული უჯრედებიდან შესაძლებელია განვითარდეს არაპალპირებადი cancer in situ.

ძუძუს კიბოს განვითარების პროცესი მრავალფაზიანია:

I ფაზა – სიმსივნური პროცესის ინიციაცია, გამოწვეული გარეგანი, და ძირითადად, ენდოგენური ფაქტორებით (უჯრედში ნივთიერებათა ცვლის პროცესებში ონკოგენის ჩართვა);

II ფაზა – მრავლობითი პროლიფერატების განვითარება;

III ფაზა – მრავლობითი პროლიფერატების გაერთიანება კეთილთვისებიანი სიმსივნის ჩამოყალიბებით, უჯრედების ანაპლაზიის ნიშნებით;

IV ფაზა – ანაპლაზიურ-ატიპური უჯრედებიდან ავთვისებიანი სიმსივნის განვითარება და შემდგომ უსასრულო პროგრესია;

III ფაზა არ არის სავალდებულო და II ფაზა ხშირად გადადის სიმსივნის განვითარების IV ფაზაში.

ინიციაციიდან სიმსივნის განვითარებამდე საჭიროა ადამიანის ცხოვრების 1/4 (15-20-25 წელი). ხშირად ამ ფაზაში ძნელია არაპალპირებადი, მინიმალური ძუძუს კიბოს კლინიკური გამოვლინება და საჭიროებს თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიური მეთოდების კომპლექსურ გამოყენებას.

ჩვენ მიერ კლინიკურ გამოკვლევებთან ერთად გამოყენებული იყო თერმოგრაფია – I სტადიის დროს დამთხვევას ადგილი ჰქონდა 72,1%-ში; II სტადიაში – 90,8%, უკონტრასტო მამოგრაფია (დამთხვევა 87,3%), გამონადენის ციტოლოგიური გამოკვლევა (დამთხვევა 77,3%). უკანასკნელი ათწლეულის პერიოდში ძუძუს კიბოს დიაგნოსტიკაში ფართოდ ვიყენებთ ძუძუს კომპლექსურ ულტრასონოგრაფიულ გამოკვლევას, რამაც საშუალება მოგვცა გამოვავლინოთ მოცულობითი პროცესი 91,2%-ში.

ულტრასონოგრაფიული კვლევით დადგინდა: 1,5 სმ-ზე მეტი ზომის სიმსივნეების დროს 97,6%-ს ჰქონდა ავთვისებიანი წარმონაქმნის ნიშნები, 1,5% სმ-ზე ნაკლები ზომის სიმსივნეების დროს – 74,5%-ში, რეგიონული ლიმფური კვანძების გადიდება აღინიშნა 91,7%-ში.

კ. ბარამიძის მონაცემებით (2002წ.), ექოგრაფიის და ულტრასონოგრაფიული დოპლეროგრაფიის შერწყმამ გაზარდა თითოეული

მეთოდის დიაგნოსტიკური ინფორმაციულობა სხვადასხვა სიმსივნური პროცესების დროს.

თ. ჩანგელია, კ. მაღიჩი და სხვ. (1999) აღნიშნავენ, რომ არა მარტო გამოვავლინოთ სიმსივნე, არამედ დავადგინოთ მისი ხასიათიც, ძუძუს კიბოს დროს ამ მეთოდთა გამოყენებით მგრძნობელობა იზრდება 96,9%-მდე, სპეციფიკურობა – 84,3%-მდე, დიაგნოსტიკის სიზუსტე კი – 90,6%-მდე. 230 შემთხვევიდან 8 შემთხვევაში გამოვლინდა ძუძუს მინიმალური კიბოს 8 შემთხვევა.

დიაგნოზის საბოლოო დაზუსტების მიზნით, ზოგ შემთხვევაში, ვაკეთებდით სექტორულ რეზექციას ან სიმსივნის ამოკვეთას, განკვეთზე მის დათვლიერებას და სწორი დიაგნოზის დადგენას 98,3%-ში; ანაბეჭდების სასწრაფო ციტოლოგიურ შესწავლას – დამთხვევა 98,7%; ერთდროული სასწრაფო ჰისტომორფოლოგიური კვლევით შესაძლებელი გახდა სარწმუნო დიაგნოზის დადგენა 99,5%-ში (ცხრილი №3).

ცხრილი №3

პათოგენეზური ცვლილებები და დიაგნოზის ექიმამოგრაფიული დასაბუთება სხვადასხვა ასაკის ჯგუფის ქალებში

ძირითადი დიაგნოსტიკური ნიშნები:

- 1) პათოლოგიური ცვლილებები მამოგრამაზე: „ვარსკვლავისებური ნაწიბური“ გარკვეულ უბანზე არანაკლებ 15-20 მიკროკალცინატიტ ან მათ გარეშე.
- 2) ცვლილებები თერმოგრამაზე – „კეროვანი“ ჰიპერთერმია სურათის ასიმეტრიით.
- 3) ექოდოპლეროგრაფიული გამოკვლევა ტარდება ახალგაზრდა ქალებში მამოგრაფიასთან ერთად.
- 4) ასპირაციული ბიოფსია – სასწრაფო ციტოჰისტოლოგიური გამოკვლევა.

ჯგუფი და ასაკი

I ჯგუფი – 35 წლამდე

რისკვაქტორები

1) ფარისებრი ჯირკვლის ეუთიორეოიდული ან ჰიპოთირეოიდული გადიდება, ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგია – ჰიპოთირეოზით.

2) დაგვიანებული მენსტრუაცია (16 წ. ზემოთ).

3) დაგვიანებული პირველი მშობიარობა ან არ ნამშობიარევი...

4) ძუძუს კიბო ახლო ნათესავეებში.

5) ძუძუს წინამორბედი ჰიპერპლაზია (5 ან მეტი წლის განმავლობაში).

II ჯგუფი – 35-49 წ.

1) მენსტრუაციის დაწყება 12 წლამდე.

2) მენსტრუალური ციკლის დარღვევა (მტკივნეულობა, არარეგულარული ჭარბი სისხლიანი გამონადენით).

3) სქესობრივი ფუნქციის დარღვევა (არ აქვთ სქესობრივი ცხოვრება ან მოგვიანებით დაწყება, ფრიგიდიზმი, არ აქვთ ორგაზმი).

4) უშვილობა (პირველი ან გვიანი მეორადი უკანასკნელი მშობიარობა).

5) საშვილოსნოს დანამატების ანთებადი ან ჰიპერპლასტიური პროცესები.

6) ქრონიკული ჰეპატოპათია (10 და მეტი წელი).

7) ძუძუს კიბო ახლო ნათესავეებში.

8) ძუძუს ქსოვილის წინამორბედი ჰიპერპლაზია (5 და მეტი წელი).

III ჯგუფი – 50-59წ.

1) ჰიპერტონიული დაავადება.

2) სიმსუქნე.

3) ათეროსკლეროზი.

4) შაქრიანი დიაბეტი.

5) დიდი ნაყოფი (4 კგ და მეტი).

6) გვიანი მენოპაუზა (50წ. ზევით).

7) საშვილოსნოს ფიბრომიომა.

8) ოჯახურ ანამნეზში ქალის გენიტალის სიმსივნეები.

IV ჯგუფი – 60 წელი და ზევით

1) მენსტრუაციის ადრე დაწყება და გვიანი შეწყვეტა.

2) გვიანი პირველი და უკანასკნელი მენსტრუაცია.

3) ხანგრძლივი ქვრივობა (10 და მეტი წელი). რეპროდუქციულ პერიოდში.

4) ჰიპერტონია.

5) სიმსუქნე.

6) ათეროსკლეროზი.

7) შაქრიანი დიაბეტი.

8) ახლო ნათესაებებში გენიტალის და მსხვილი ნაწლავის კიბო.

ამ ფაქტორების მხედველობაში მიღება და ძირითადი დიაგნოსტიკური ნიშნების არსებობა – მამოგრამაზე „ვარსკვლავისებური“ ნაწიბური და გარკვეულ უბანზე 15-20 და მეტი მიკროკალცინატი ან მათ გარეშე დამახასიათებელი ცვლილებები გამოვლენილი ექოდოპლეროგრაფიით და დამიზნებითი ასპირაციული ბიოფსია გვაძლევს საშუალებას მივმართოთ ექციზიურ ბიოფსიას სასწრაფო ჰისტოლოგიური გამოკვლევით.

რაც შეეხება ძუძუს კიბოს მკურნალობას, იგი უნდა დაიწყოს ყოველმხრივი გამოკვლევით, რომლის მიზანია დაწვრილებით შევისწავლოთ:

- 1) სიმსივნის ბიოლოგიური და ანატომიური თვისებები;
- 2) ორგანიზმის ბიოლოგიური თვისებები;
- 3) დაავადების სტადიურობა და სხვა.

სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის კომპლექსური მკურნალობის არსებულ ვარიანტებში წამყვანი ადგილი ქირურგიულ მკურნალობას უკავია. 1884 წელს ხალსტედის მიერ რეკომენდებული ოპერაცია ბოლო დრომდე ითვლებოდა ოპერაციის რადიკალურ ტიპურ ფორმად. 30-35 წლის წინათ წარმოიშვა ფართო მოცულობის ოპერაციული ჩარევის ტენდენცია. ურბანმა, მარგოტმა, ხოლდინმა, დიმარსკიმ, ბილანიშვილმა და სხვებმა შეიმუშავეს გაფართოებული ოპერაციების მეთოდიკა, რომლის დროსაც აშორებდნენ არა მარტო ილლიის და ლავინქვეშა ლიმფურ კვანძებს, არამედ პარასტერნულ ლიმფურ კვანძებსაც. ავტორთა გარკვეული ჯგუფი (დალ-ივერსონი, ვანგესტინი და სხვა) რეკომენდაციას უწევდნენ არა მარტო პარასტერნულ, არამედ მედიასტინური ლავინზედა ლიმფური კვანძების ამოკვეთასაც. ზოგიერთი ავტორი (მაკ-დონალდი, ხაგენსენი და სხვა) პარასტერნული, ლავინზედა, ილლიისქვეშა ლიმფური კვანძების მოშორებას და მათში მეტასტაზის აღმოჩენის შემდეგ საერთოდ უარყოფდნენ რადიკალური ოპერაციის ჩატარებას.

ამ ბოლო დროს ონკოლოგთა გარკვეული ნაწილი გეთავაზობს რადიკალური მასტექტომიის შემცირებას, მის შეცვლას უბრალო მასტექტომიით, ანდა სექტორული რეზექციით, ხოლო შემდგომში სხვადასხვა დამატებით მკურნალობას – სხიურს, ქიმიოთერაპიას, ჰორმონოთერაპიას (მაკ-უორტერი, პეიტი-დეისონი და სხვა).

600 ბრიტანელი ქირურგის გამოკითხვისას აღმოჩნდა, რომ ხოლსტედის ტიპის ოპერაციის მომხრე იყო 20%, სხვადასხვა მოდიფი-

კაციის შეზღუდული მასტექტომიის – 53%, ხოლო გაფართოებულ ოპერაციას ისინი თითქმის არ ატარებენ. რა თქმა უნდა, დაცვითი ოპერაციების ხვედრითი წილის გადიდება განპირობებულია დიაგნოსტიკის მიღწევებით და სარძევე ჯირკვლის კიბოს მინიმალური და კლინიკურად უსიმპტომო ფორმების რეალურად აღმოჩენით.

ჩვენი 10-წლიანი დაკვირვება მოიცავს 868 ავადმყოფს სარძევე ჯირკვლის კიბოს I სტადიით, რომელთაც ჩაუტარდათ დაზოგვითი ოპერაციები, დაკვირვებამ დაადასტურა, რომ დაზოგვითი ოპერაციების საუკეთესო კანდიდატები არიან მცირე ზომის სიმსივნის მქონე ქალები, სადაც სიმსივნემ ჯერ კიდევ ვერ მოასწრო გავრცელება როგორც სარძევე ჯირკვლებში, ასევე მის გარეთ. ნაკლებად ფართო ოპერაციების შესაძლებლობას და სიცოცხლის გახანგრძლივების საშუალებას იძლევა დაავადების ადრეული გამოვლინება. ოპერაციის შემდეგ ცოცხლობდა ათი და მეტი წელი 14 ქალიდან თორმეტი, რომელთაც ადრეულად გამოუვლინდათ სიმსივნე ($T_1N_0M_0$ – I სტადია). სიმსივნის დიამეტრის 0,5 სმ დროს რეციდივების გარეშე ცოცხლობდა ყველა ავადმყოფი. 10-წლიანი სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ 88,9%-ია; სიმსივნის ზომის ზრდასთან ერთად უარესდება მკურნალობის შედეგები. 0,6 სმ დიამეტრის სიმსივნის დროს ხუთწლიანი სიცოცხლის ხანგრძლივობა 94,6%-ია, ხოლო 10-წლიანი – 76%. 1-2 სმ დიამეტრის სიმსივნის დროს 5-წლიანი სიცოცხლის ხანგრძლივობა მცირდება 76,7%-მდე, 10-წლიანი კი – 49,2%-მდე.

რიგი ავტორებისა (ვ. ვიშნიკოვი, საკიროვი, უ. პაკი, ვ. დემიდოვი, ვ. სემიგლაზოვი, ი. შავლი, კ. მადიჩი, გ. ხახანაშვილი, ა. სიხარულიძე) თვლიან, რომ პეიტის ოპერაცია ადეკვატური ქირურგიული ჩარევაა (ცხრილი №4).

ცხრილი №4

პეიტი-დისონის ოპერაცია ძუძუს კიბოს დროს ხუთწლიანი გამოჯანმრთელებით (868 ავადმყოფი)

დაავადების სტადია	5-წლიანი გაჯანმრთელება
T_1N_0 – I სტადია	93%
T_1N_0 – I სტადია	91,2%
$T_{1,2}N_0$ – I ^б სტადია	66,3%
$T_{2,3,4}N_0$ – II ^б სტადია	33,5%

ოპერაცია ტარდება გარდიგარდმო განაკვეთით; მუშავდება ლავი-
წვევმა, ილლისა და ბექქვევმა არე, საიდანაც ფაშარ შემაერთებელ
ქსოვილთან, კუნთების ფასციასთან და ლიმფურ კვანძებთან ერთად
სარძევე ჯირკვალი იკვეთება ერთ მთლიან ბლოკში. შორეული
შედეგები შესწავლილი იყო ავადმყოფთა 86,2%-თან. I სტადიაში
(T_1N_0) ხუთწლიანი განკურნება აღწევდა 93%-ს, (II სტადიაში) –
91,2%-ს, III სტადიაში ($T_{1,2}N_0$) – 66,3%-ს, III β ($T_{2,3,4}N_0$) – 33,5%-ს.

ზედა კიდურების გამოხატული ლიმფოსტაზი აღენიშნა ერთ
ავადმყოფს, 4 ავადმყოფს აღენიშნებოდა მხრის შემუშება, რამ-
დენიმე ავადმყოფს შეუშუპდა მტევის ზურგი. ზედა კიდურის
შეშუპების პროფილაქტიკისათვის მასტექტომიის დროს, მიზანშე-
წონილია ოპერაციის წარმოება კანის გარდიგარდმო განაკვეთით,
მკერდის დიდი კუნთის და, რაც მთავარია, ილლის ფოსოს ე. წ.
თალის შენარჩუნება.

1982 წელს ჩემ მიერ მოწოდებული იყო მადენის ტიპის
რადიკალური მასტექტომიის მოდიფიკაცია, ამ მოდიფიკაციით
შენარჩუნებული დიდი კუნთი მთელ თავის სიგრძეზე ბოჭკოე-
ბის მიმართულებით იყოფა ორ ნაწილად – ლავინის და მკერდის
ნაწილებად. სათანადო დამუშავების და მობილიზაციის შემდეგ
მკერდის დიდი კუნთის ლავინის ნაწილი კავებით გადაინევა
ზევით ლავინისაკენ, კუნთის მკერდის ნაწილი – ქვემოთ, რის
შემდეგ წარმოებს კუნთებს შორის არსებული სივრცის ვიზუა-
ლური და პალპატორული რევიზია. მეტასტაზების გამორიცხვის
შემთხვევებში კუნთებს შორის არსებული სისხლძარღვოვანი წნული
თავისუფლდება ირგვლივ არსებული ფაშარი ქსოვილისგან. ამ
სივრცეში მეტასტაზების არსებობისას ან საეჭვო შემთხვევებში
სისხლძარღვოვანი წნული გადაიკვანძება. შემდგომ გადაიკვეთება
მკერდ-ლავინის ფასცია. მკერდის მცირე კუნთი მთელ მის სიგრძეზე
გამოიყოფა ფასციალური ბუდიდან და ხდება მისი მობილიზაცია.
კუნთქვეშ შეიძლება შეტანილ იქნას დოლბანდის ზოლი ან კავი.
კუნთი გადაინევა ლატერალურად და ზევით, რითაც იქმნება
ფართო სივრცე ნერვულ-სისხლძარღვოვანი წნულის მედიალურ
კუთხესთან მისადგომად, ამის შემდეგ ამ არეში იკვეთება წნუ-
ლის მფარავი ფასცია და გამოიყოფა წნულის ზემოთ და ქვემოთ
არსებული ფაშარი შემაერთებელი ქსოვილი აპიკალურ, პირველ,
მეორე და მესამე ეტაპის ლიმფურ კვანძებთან ერთად ზურგის
ფართო კუნთის მედიალურ კიდემდე. ოპერაციის შემდგომი
ეტაპები წარმოებს არსებული მოდიფიკაციის მიხედვით.

მონოდებული მოდიფიცირებული მასტექტომიის დროს შენარჩუნებულია მკერდის დიდი და მცირე კუნთები თავისი ფიზიოლოგიური ფუნქციებით, რითაც განსხვავდება იგი მასტექტომიის მეთოდებისაგან და ამავე დროს თავისი რადიკალიზმით არ ჩამორჩება მათ.

შესწავლილი იყო სამი ტიპის ოპერაციების ეფექტურობა: ჰალსტედის რადიკალური მასტექტომია, მოდიფიცირებული რადიკალური მასტექტომია, რადიკალური რეზექცია (ცხრილი №5).

ცხრილი №5

ოპერაციის ტიპი	ავად-მყოფთა რაოდენობა	რეციდივი		მეტასტაზირება		სიკვდილიანობა	
		აბს.	%	აბს.	%	აბს.	%
რად. მასტექტომია	T ₁ - 87	1	1,1	8	9,1	7	8,6
ჰალსტედის	T ₂ - 143	5	3,4	35	24,4	26	18,6
რად. მასტექტომია	T ₁ - 158	4	2,5	13	8,2	7	4,4
პეიტის	T ₂ - 160	8	4,3	23	14,3	14	8,7
რადიკალური	T ₁ - 172	18	10,4	15	6,7	15	8,7
რეზექცია	T ₂ - 46	2	-	5	-	4	-

დაკვირვებების მთელ პერიოდში სიმსივნის რეციდივები აღმოაჩნდა რადიკალური მასტექტომიის შემდეგ 6 ავადმყოფს, პეიტის ოპერაციის შემდეგ - 12-ს, რადიკალური რეზექციის შემდეგ - 20-ს. მოგვიანებით მეტასტაზები გამოვლინდა რადიკალური მასტექტომიის დროს 43 ავადმყოფში, პეიტის ოპერაციის შემდეგ - 36-ში, ხოლო რადიკალური რეზექციის შემდეგ - 20 ავადმყოფში. ადგილობრივი რეციდივების და შორეული მეტასტაზების სისშირე სამივე ოპერაციის დროს დაკავშირებული იყო სიმსივნის დიამეტრთან და რეგიონულ ლიმფურ კვანძებში მეტასტაზების არსებობასთან. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი რეციდივების წარმოქმნა უფრო ხშირია რადიკალური რეზექციის შემდეგ.

შედარებით გავრცელებული კიბოს ფორმების დროს ავადმყოფებს უტარდებათ მკურნალობის მთელი კომპლექსი - ოპერაციამდე მსხვილფრაქციული სხივური თერაპია, ჰორმონო-ქიმიოთერა-

პია, ავთვისებიანი სიმსივნის გავრცელების პროცესის და თვით ავადმყოფის საერთო მდგომარეობის გათვალისწინებით. აგრეთვე გათვალისწინებული იყო სარძევე ჯირკვლის კიბოს ფორმა [4, 6]. ჩვენი მონაცემებით, მკურნალობის შედეგებით სასურველი შედეგი მიღებული იყო I სტადიისას ($T_1N_0M_0$) თირეოიდული და სარძევე ჯირკვლის კიბოს ინვოლუციური ფორმების დროს: 5 და მეტ წელს ოპერაციის შემდეგ, შესაბამისად ცხოვრობდა ავადმყოფთა 93,8% 6,0 და 91,68 (ცხრილი №6). $T_3N_0M_0$; $T_3N_1M_0$; $T_{1,2,3}N_{2,3}M_0$ -ის დროს 5 და მეტ წელს ცხოვრობდა (როგორც I სტადიის დროს), ავადმყოფები თირეოიდული და ინვოლუციური ფორმებით – შესაბამისად – 68,7% და 60,5% (ცხრილი №7).

ცხრილი №6

ძუძუს კიბოს I სტადია $T_1N_0M_0$ კლინიკო-პათოგენეზური ფორმები	ნამკურნალე ავადმყოფთა რაოდენობა	ავადმყოფთა ცხოვრების ხანგრძლივობა	
		5 და მეტი წელი, %	10 და მეტი წელი, %
თირეოიდული ფორმა	16	93,8±6,0	68,7±11,6
საკვერცხის ფორმა	38	71,1±7,3	50,0±8,1
თირკმელზედა ჯირკვლის ფორმა	17	76,5±10,3	53,0±12,1
ინვოლუციური ფორმა	12	91,6±8,0	75,0±12,5
სულ	83	79,5±4,4	57,8±5,4

ცხრილი №7

ძუძუს კიბოს II სტადია $T_2N_0M_0$ $T_3N_1M_0$; $T_{1,2,3}N_{2,3}M_0$ კლინიკო-პათოგენეზური ფორმები	ნამკურნალე ავადმყოფთა რაოდენობა	ავადმყოფთა ცხოვრების ხანგრძლივობა	
		5 და მეტი წელი, %	10 და მეტი წელი, %
თირეოიდული ფორმა	16	68,7±11,6	57,0±12,4
საკვერცხის ფორმა	158	43,7±3,9	38,0±3,9
თირკმელზედა ჯირკვლის ფორმა	124	46,0±4,4	41,1±4,4
ინვოლუციური ფორმა	86	60,5±5,3	53,5±5,4
სულ	384	49,2±2,5	43,2±2,5

ჩვენს მასალაზე ძუძუს კიბოს პეჯეტის ფორმა შეადგენდა 17%-ს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის კიბო შედარებით ნელა ვითარდება. კანის პირველი სიმპტომების გამოვლინებიდან ძუძუში სიმსივნის განვითარებას ზოგ შემთხვევაში საშუალოდ დასჭირდა 54,2 თვე ე. ი. 4,5 წელზე მეტი. დიაგნოსტიკაში კლინიკურ შემონიშნებასთან ერთად ფართოდ ვიყენებდით ექსფოლიატიური ციტოლოგიური გამოკვლევის მეთოდს ან მივმართავდით ბიოფსიას. ამ მეთოდებთან ერთად საკმაოდ სრულ ინფორმაციას გვაძლევდა ერთდროული ექოსკოპიური და მამოგრაფიული გამოკვლევა. ძუძუს კიბოს ამ ფორმის დროს, ისევე როგორც ძუძუს კიბოს სხვა ფორმების დროს, მივმართავდით კომპლექსურ მკურნალობას.

მეტად აქტუალურია ძუძუს კიბოს მკურნალობის დროს ჭრილობის ამონარეცხი სითხის ციტოლოგიური გამოკვლევა. 115 შემთხვევაში ელექტროდენით ნარმოებული იყო პალსტიდის ოპერაცია, აქედან 52 შემთხვევაში წინასწარ გაკეთდა სექტორული რეზექცია. ამონარეცხი წყლების ციტოლოგიური კვლევის შედეგად 47 შემთხვევაში (46,8%) აღმოჩენილი იყო კიბოს შეუცვლელი უჯრედები და ზოგიერთ შემთხვევაში – კიბოს უჯრედების კომპლექსები, 26 შემთხვევაში (22,7%) საეჭვო უჯრედები და 42 შემთხვევაში (36,5%) იყო უარყოფითი პასუხი. შესაძლებელია ამ უჯრედებიდან მომავალში განვითარდეს რეციდივები (ცხრილი №8).

მიღებული ფაქტობრივი მონაცემები მიგვითითებს, რომ ქირურგიული მანიპულაციის შემდეგ მაქსიმალურად უნდა დავზოგოთ ძუძუ დამატებითი ტრავმული და ზიანებისაგან.

ყველა სტადიის დროს ოპერაციის დამთავრების შემდეგ ჭრილობა უნდა აქტიურად ამოირეცხოს, დამუშავდეს სპირტით და ციტოსტატიკური პრეპარატებით, რომელიც შეიყვანება ნეკნთაშუა კუნთებში, მკერდის ძვლის მახლობლად და ოპერაციის შემდგომ პერიოდში უნდა გაგრძელდეს ამ პრეპარატების ინტრავენური შეყვანა.

ეკონომიური ოპერაციის შემდეგ, როგორც წესი, ძუძუს დარჩენილი ნაწილი უნდა მთლიანად დასხივდეს სხივური ენერჯის კანცეროლიზური დოზით, რომლის მიზანია ჭრილობაში და დარჩენილ ქსოვილში დათრგუნოს ძუძუს კიბოს უჯრედების მიკროდისემინატები.

ჰორმონოთერაპიის საკითხები სარძევე ჯირკვლის კიბოს დროს წყდებოდა საშოს ნაცხის ციტოლოგიური გამოკვლევების, ესტროგენული ბალანსის, სიმსივნეში სქესობრივი ქრომატინის და ბოლო წლებში, აგრეთვე ესტროგენული რეცეპტორების, გათვალისწინებით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სადღეისოდ ყოველდღიურ

პრაქტიკაში ავადმყოფთა იმუნოლოგიური კონტროლი. მარკერებზე ტესტირებას ვიყენებდით წელიწადში 2-ჯერ ჩატარებული მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად.

ადგილობრივად გავრცელებული ფორმების დროს, მთელ რიგ შემთხვევებში, მივმართავდით ოპერაციისწინა მსხვილფრაქციულ სხივურ თერაპიას. ჩვეულებრივი ფრაქციებით ვასხივებდით T_{3,4}, N_{2,3}, M ო სტადიების დროს. კომბინირებული მკურნალობის შედეგებმა გვიჩვენა, რომ მხოლოდ ადგილობრივი ქირურგიული და სხივური მკურნალობა არ იძლევა გარანტიას რეციდივებისა და მეტასტაზების განვითარების თავიდან ასაცილებლად. ჰორმონოქიმიოთერაპიის განვითარებამ მკურნალობის კომპლექსური მეთოდების დანერგვის საშუალება მოგვცა.

არსებული მონაცემებით, ძუძუს კიბოს განსაკუთრებით გავრცელებული ფორმების მკურნალობის დროს სხვადასხვა მოქმედების ციტოსტატიკური პრეპარატების გამოყენებამ მკვეთრად გააუმჯობესა განკურნების შორეული შედეგები, ხოლო გენერალიზებული ფორმების დროს 64,3%-ში შესაძლებელი გახადა ობიექტური რემისიის მიღწევა სამი და მეტი წლით.

ჰორმონოთერაპიას ძირითადად ვიყენებდით, როგორც კიბოსწინარე დაავადებების, ასევე კიბოს გავრცელებული ფორმების დროს. ჰორმონული აქტივობის დასადგენად, როგორც წესი, ვიკვლევდით დლე-ლამის შარდში ესტროგენების და მათი ფრაქციების (ესტრადიოლი, ესტრიოლი) კონცენტრაციას, კეტოსტეროიდების, სიმსივნეში ბარსხეულების (სქესობრივი ქრომატინი) პროცენტულ თანაფარდობას და ვახდენდით ესტროგენული რეცეპტორების განსაზღვრას.

ჩვენი მონაცემებით, გამომჟღავნდა საკმაოდ გამოხატული კანონზომიერება პირველად კერაში ესტროგენების რეცეპტორების შემადგენლობასა და ჰორმონოთერაპიის მგრძობელობას შორის. იმ ავადმყოფებში, რომელთაც ჰქონდათ ესტროგენული რეცეპტორები – 55%, ნათლად შეიმჩნეოდა მეტასტაზების რეგრესია, ხოლო 45%-ში, ესტროგენ დადებითი შემთხვევაშიც ჰორმონოთერაპია უშედეგო იყო. საჭიროა უფრო დანვრილებით, მოლეკულურ დონეზე იქნას შესწავლილი სიმსივნური უჯრედის მგრძობელობა ამა თუ იმ ჰორმონულ პრეპარატებისადმი და შემდგომში შემუშავდეს პერსონალურად ჰორმონოთერაპიის ჩატარების პირობები. კლინიკური დაკვირვების ქვეშ მყოფ 2120 ძუძუს კიბოთი დაავადებულ ქალში სხვადასხვა ვადებში 310-ს განუვითარდა მეტასტაზები ხერხემალში (35,7%), გრძელ ლულოვან

(34,8%) და ბრტყელ (30,1%) ძვლებში. ავადმყოფთა უმრავლესობის ასაკი მერყობდა 21-წლიდან 60-მდე. ძირითადი კონტინგენტი იმყოფებოდა რეპროდუქტიულ პერიოდში (35,9%), მენოპაუზაში 5 წლამდე (31,3%), 10 წლამდე (16,54%), ღრმა მენოპაუზაში (12,9%) და ხელოვნურ მენოპაუზაში (2,14%).

ასაკისა და ოვარიული ციკლის მიუხედავად, უმრავლეს შემთხვევაში, ვაგინური ნაცხის გამოკვლევით აღინიშნებოდა III, III-IV და IV რეაქცია (ცხრილი №9).

ცხრილი №8

ამონარეცხი ნყლების ციტოლოგიური კვლევის შედეგები

სტადია	ავადმყოფთა რაოდენობა	შედეგები		
		დადებითი	საეჭვო	უარყოფითი
I	15	7	4	4
II	74	32	16	26
III	25	7	6	12
	1	1	-	-
სულ	115	47	26	42

ცხრილი №9

მენსტრუალური ციკლი	ავადმყოფთა რაოდენობა	რეაქცია				
		I	II	III	III-IV	IV
ნორმალური	63			6	20	37
მენოპაუზა 5 წლამდე	57	1	4	10	19	23
ღრმა მენოპაუზა	35	3	15	10	5	2
სულ ავადმყოფთა რაოდენობა	155	4	19	26	44	62
%	100	2,58	12,25	16,77	28,38	40

დღე-ღამის შარდის ბიოქიმიური ანალიზით ვადგენდით ესტროგენების კონცენტრაციას. ავადმყოფებს აღენიშნებოდათ ესტროგენების ჭარბი ექსკრეცია ძირითადად ესტრიოლის ფრაქციის სიჭარბით და 17 კეტოსტეროიდების ექსკრეციის დაქვეითებით.

მკურნალობა ჩაუტარდა 284 ავადმყოფს. მეტასტაზები მხოლოდ ძვლებში ჰქონდა 153-ს (53,87%), ლიმფურ კვანძებში და ძვლებში – 58-ს (20,42%), შინაგან ორგანოებში და ძვლებში – 46-ს (16,2%), ადგილობრივი რეციდივი და მეტასტაზები ძვლებში – 27-ს

(9,5%) და 140 შემთხვევაში აღინიშნებოდა ძვლების მრავლობითი დაზიანება.

კომპლექსური მკურნალობის სქემები ითვალისწინებდა არსებულ ცვლილებებს. იმ შემთხვევაში, როცა აღინიშნებოდა ესტროგენების ჭარბი ექსკრეცია და შენარჩუნებული იყო მენსტრუალური ციკლი, მკურნალობას ვინყებდით ქირურგიული ჩარევით – ოვარიექტომია ან დისტანციური დასხივებით საკვერცხეების ფუნქციის დაქვეითების მიზნით. შემდგომში ავადმყოფებს უტარდებოდათ ჰორმონოთერაპია ანდროგენებით ან კორტიკოსტეროიდებით, მენოპაუზაში (10 და მეტი წელი) ავადმყოფებს მკურნალობა უტარდებოდათ ესტროგენებით – სინესტროლის დიდი დოზებით.

ჰორმონოთერაპიის ფონზე მრავლობითი მეტასტაზისას (არა უმეტეს სამისა) ტკივილების მოხსნის მიზნით ტარდებოდა დისტანციური სხივური მკურნალობა (20-30 rad); 4-6 კვირის შემდეგ დამაკმაყოფილებელი ჰემატოლოგიური მაჩვენებლების დროს ვატარებდით კურსობრივ ქიმიოთერაპიას (ენდოქსანი, ციკლოფოსფანი, ფტორურაცილი საჭიროებისას და კორტიკოსტეროიდები).

ძვლებში მრავლობითი მეტასტაზების დროს მიღებულ შედეგებს ვაფასებდით ზოგადი მდგომარეობის გაუმჯობესებით, ტკივილების და ფუნქციური დარღვევების მოხსნით („სუბიექტური რემისია“); რენტგენოლოგიური მონაცემებით, პროცესის შეჩერება – ნაწილობრივი ან მთლიანი ძვლის სტრუქტურის აღდგენა („ობიექტური რემისია“) აღინიშნებოდა 148 შემთხვევაში (62,11%), ოვარიექტომიის ფონზე ანდროგენების გამოყენებით რემისია აღინიშნებოდა 71,05%, რენტგენოკასტრაციისას – 57,14%, მხოლოდ ჰორმონოთერაპიის ფონზე – 41,4%. ესტროგენები კორტიკოსტეროიდებთან ერთად გამოყენებული იყო 29 შემთხვევაში. რენტგენოლოგიური ცვლილებები ვითარდებოდა უფრო გვიან, ვიდრე „სუბიექტური“ რემისია და გამოიხატებოდა ოსტეობლასტურ რეაქციაში და ზოგიერთ შემთხვევაში დაზიანებული სტრუქტურის აღდგენაში.

სოლიტარული მეტასტაზების დასხივებისას ჰორმონოთერაპიის ფონზე ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებები ვითარდებოდა უფრო ადრე და უფრო მკვეთრად იყო გამოხატული.

მრავლობითი მეტასტაზისას მკურნალობამ ჰორმონებით ციტოსტატურ პრეპარატებთან ერთად (ინდოქსანი, ციკლოფოსფანი, ფტორურაცილი) დამაკმაყოფილებელი რენტგენოლოგიური შედეგები მოგვცა (42,47%). (იხ. ცხრილი №10).

ცხრილი №10

პროცესი	ავად-რაოდ.	რემისია		უშედეგოდ		საშუალოდ რემისიის ხანგრძლივობა (თვეებში)	3-წლიანი შედეგები	
		აბს. რ-ბა	%	აბს. რ-ბა	%		აბს. რ-ბა	%
სოლიტარული	80	65	82,5	4	17,5	12,5	42	53,5
მრავლობითი	146	62	42,45	84	57,3	11,5	31	28,52
გენერალ-იზებული	58	16	32,65	39	67,35	7,5	7	12,07

კლინიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისას სუბიექტური რემისიის დროს აღინიშნებოდა ესტროგენების კონცენტრაციის შემცირება ესტროლის და ესტრადიოლის ფრაქციების ხარჯზე, 17-კეტოსტეროიდების მაჩვენებლების გაზრდით. ვაგინალურ ნაცხებით გამოვლინდა IV რეაქციის გადასვლა III-ში; III-სი - II - I-ში.

ზოგადი მდგომარეობის გაუარესებისა და ახალი მეტასტაზური კერების განვითარების დროს მატულობდა ესტროგენების და მცირდებოდა 17-კეტოსტეროიდების კონცენტრაციები.

ჩატარებული მკურნალობა მოყვანილია ქვემოთ სერიებით:

I სერია - ოვარექტომია, ანდროგენები, ადგილობრივი დასხივება, ჰოპოფიზის დასხივება, ქიმიოთერაპია - რემისია 71,05%, სიცოცხლის ხანგრძლივობა - 14 თვემდე;

II სერია - რენდგენოკასტრაცია, ანდროგენები, ადგილობრივი დასხივება, ჰოპოფიზის დასხივება, ქიმიოთერაპია - რემისია 57,12%, სიცოცხლის ხანგრძლივობა - 11,5 თვემდე;

III სერია - ანდროგენები, ადგილობრივი დასხივება, ქიმიოთერაპია - რემისია 41,6%, სიცოცხლის ხანგრძლივობა - 8,5 თვე;

IV სერია - ესტროგენები, დასხივება, ქიმიოთერაპია - რემისია 29,3%, სიცოცხლის ხანგრძლივობა 6,5 თვე.

როგორც მოყვანილი შედეგებიდან ჩანს, ძვლებში მეტასტაზების კომპლექსური მკურნალობის დროს ძირითადია ქირურგიული ან სხივური კასტრაცია პლიუს ჰორმონოთერაპია.

ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ჰორმონოთერაპია ამ პერიოდში ავადმყოფს უნდა უტარდებოდეს უწყვეტად, მთელი დაკვირვების დროს.

მიუხედავად შედარებით დამაკმაყოფილებელი შედეგებისა,

ქალებში შენარჩუნებული მენსტრუალური ციკლით და მენო-
პაუზით 5 წლამდე – 44,98% და 5 წელზე მეტი მენოპაუზით –
64,52%, მკურნალობამ მაინც არ მოგვცა სასურველი შედეგები
(იხ. ცხრილი №11).

ცხრილი №11

მენსტრუალ- ური ციკლი	ავად- მყოფთა რაოდენ- ობა	რემისია		უშედეგოდ		რე- მისია თვეებ- ში	3-წლიანი შორეული შედეგები	
		აბს. რ-ბა	%	აბს. რ-ბა	%		აბს. რიცხვ.	%
შენარჩუნებული მენოპაუზა 5 წლამდე	191	106	55,2	85	44,98	11,27	53	27,74
მენოპაუზა 5 წლის ზევით	93	33	35,48	60	64,52	7,5	27	29,03

თანამედროვე სამკურნალო საშუალებების ახალი პორმონული და ციტოსტატიკური პრეპარატების გამოყენებამ გააუმჯობესა მკურნალობის შორეული შედეგები, მაგრამ ეს პრობლემა დღესაც არ კარგავს თავის აქტუალობას და აუცილებელია ვეძებოთ ძუძუს კიბოს ძვლებში მეტასტაზების პრევენციის გზები.

ყველა ქალი, რომელსაც ძუძუს კიბოს გამო ჩაუტარდა სათანადო გამოკვლევა და მკურნალობა, პირველი დღიდანვე საჭიროებს ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას, რომელიც ეყრდნობა სამ საკვანძო მომენტს:

1. ავადმყოფისათვის ამ დაავადების ინტიმური მნიშვნელობა.
2. მოკვეთილი ორგანოს ფსიქოლოგიური შეფასება.
3. ავადმყოფის ცხოვრების ჰორიზონტები.

ოპერაციის შემდეგ ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას უნდა დაე-
მატოს ფიზიკური რეაბილიტაცია. მოგვიანებით, საავადმყოფოდან
განერის შემდეგ, – სოციალურ-პროფესიონალური რეაბილიტა-
ცია. ზემოთ ხსენებული ღონისძიებების ჩასატარებლად საჭიროა
ექიმ-ფსიქოლოგების საშტატო ერთეულების შექმნა.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ძუძუს კიბოს თავიდან აცილება შესაძ-
ლებელია. ამისათვის კი საჭიროა:

1. პროფილაქტიკის საშუალებით ძუძუს კიბოს განვითარების თავიდან აცილება და მინიმალური ფორმების დროული გამოვ-
ლინება.

2. ეპიდემიოლოგიური ტესტირება და მაღალი რისკვაქტორის მქონე ქალთა ჯგუფების შედგენა.

3. ქალების მიერ ძუძუს თვითგასინჯვის მეთოდის ათვისება.

4. ექიმ-სპეციალისტის ან ოჯახის ექიმის კონსულტაცია არანაკლებ წელიწადში 2-ჯერ.

5. გამოკვლევის მაღალ ტექნოლოგიური მეთოდების გამოყენება.

6. პრესით, რადიოთი და ტელევიზიით არსებული ინფორმაციული ვაკუუმის შემცირება.

ძუძუს კიბოს დიაგნოზი არ არის ფატალური, შესაძლებელია მისი პროფილაქტიკა და დაწყებითი ფორმების სრული განკურნება.

ლიტერატურა

1. კ. მაღიჩი – სარძევე ჯირკვლის კიბოს ავადობის, პროფილაქტიკის და მკურნალობის ზოგიერთი აქტუალური საკითხები, „ლევან ჩარკვიანი“, 1998წ.

2. კ. მაღიჩი, ა. სიხარულიძე – სარძევე ჯირკვლის კიბოს ავადობის, პროფილაქტიკის და მკურნალობის რეტროსპექტიული ანალიზი, თეორიული და კლინიკური მედიცინის ნარკვევები, თბილისი, 2000წ.

3. ა. სიხარულიძე, კ. მაღიჩი, გ. ნემსაძე – ძუძუს სიმსივნეების დიაგნოსტიკა, თბილისი, 2000წ.

4. Мадич К.К., Хаханашвили Г. Н., Сихарулидзе А. В., К вопросу диагностики начальных форм рака молочной железы. Вопросы организации противораковой борьбы, профилактики и диагностики злокачественных опухолей. 1985.

5. მაღიჩი კ. – მოდიფიცირებული რადიკალური მასტექტომია. III რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ქუთაისი, 1995 წ.

6. Мадич К. К., Хаханашвили Г. Н., Сихарулидзе А. В., Результаты лечения рака молочной железы с учетом клинико-патогенетических факторов. Эффективность современных методов злокачественных опухолей. 1998.

7. Пудре М. Е. Эпидемиология молочной железы. В книге: Эпидемиология рака в СССР и США., М., 1979.

8. Семиглазов В. Д. Клинико-патогенетические формы рака молочной железы. Хирургия 1980, №2.


9. Вепхვაдзе К. Ф., Мадич К. К., Мшвениерадзе Д. И. Результаты комплексного лечения метастазов рака молочной железы в костную систему. Некоторые вопросы современной онкологии, Тбилиси, 1974.

10. Вепхვაдзе К. Ф., Мадич К. К. и др. Цитологические исследования раневых смывов при хирургическом лечении рака молочной железы. Некоторые вопросы современной онкологии. Тбилиси, 1974.

11. V. V. Vishnyakova, S. Kirob, V. Todorov, V. Peeck, K. Madich, G. Khakhanashvili, A. Sikharulidze, A. Pantushenko. The results of clinical trial within framtwork of CMEA on surgical meth ods of mammary gland carcinoma treatment/Neoplasma, 1986.

*ჟურნალი – „საქართველოს ონკოლოგია“,
№2/2002, თბილისი.*

რაციონალური წინადადებები ოსკოლოგიაში



УДОСТОВЕРЕНИЕ
на рационализаторские предложения

№ 14 15.06.61


В соответствии с артиком 76 Постановка об отечественном изобретении и рационализаторских предложениях, утвержденная постановлением Совета Министров СССР от 21 августа 1959 г. № 884, удостоверяю изобретение изобретателя И.А. КОЗЛОВИЧА КОЗЛОВИЧА

на предложение, принятое рационализаторским и проектно-конструкторским бюро Центрального научно-исследовательского института Управления Министерства СССР

и изобретателем И.А. КОЗЛОВИЧ И.А. КОЗЛОВИЧ

на 15.06.61 г.

Рационализаторское предложение № 14



УДОСТОВЕРЕНИЕ
на рационализаторские предложения

№ 90 14.04.78

В соответствии с артиком 76 Постановка об отечественном изобретении и рационализаторских предложениях, утвержденная постановлением Совета Министров СССР от 21 августа 1959 г. № 884, удостоверяю изобретение изобретателя И.А. КОЗЛОВИЧА И.А. КОЗЛОВИЧ

на предложение, принятое рационализаторским и проектно-конструкторским бюро Центрального научно-исследовательского института Управления Министерства СССР

и изобретателем И.А. КОЗЛОВИЧ И.А. КОЗЛОВИЧ

на 14.04.78 г.

Рационализаторское предложение № 90

სამეცნიერო შრომების ნუსხა

37

კონსტანტინე ვაღიანი

1. ძუძუს სიმსივნეების დიაგნოსტიკა. მონოგრაფია, თბილისი, 2000წ.
2. К вопросу о саркомах кожи.
Сб. тр. межресп. конф. онкологов. Ереван, 1956.
3. Эффективность профилактических осмотров населения по выявлению ранних форм рака молочной железы.
4. Тезисы докл. науч. конф. онкологов, Харьков, 1956.
5. კანის კიბოს მკურნალობის საკითხისათვის.
ჟურნ. „საბჭოთა მედიცინა“, №4. 1957.
6. კანის კიბოს ჰისტომორფოლოგიური სტრუქტურის საკითხისათვის.
მონოგრაფიაში ექიმთა დახ. ინსტიტუტის შრომათა კრებული, 1957.
7. Особенности распространения рака кожи в Груз. ССР.
Сб. тр. Тбил. ГИУВ-а, 1958.
8. О роли предопухолевых состояний в возникновении рака кожи.
Тезисы докл. IV Закав. науч. конф. онкологов, Баку, 1959.
9. ცხიმოვან სიმსივნეთა კლინიკა და მკურნალობა.
ონკოლოგიის სამეც. კვ. ინსტ. შრომათა კრებული, ტ. I, 1961.
10. Клинико-морфологические особенности рака кожи в Груз. ССР.
Жур. "Вестник венерологии и дерматологии", №3, 1962.
11. დიაგნოსტიკა და მკურნალობა კანის ჰიგმენტური ახალწარმონაქმნების.

ონკოლ. სამეც. ინსტ. შრომ. კრებული, 1961; აგრეთვე საკავ. სამეც. კონფ. პიგმენტური სიმსივნეები, კიევი, 1961.

12. О некоторых краевых особенностях, распространенных злокачественных опухолей в Груз. ССР

Сб. тр. НИИ онкологии МЗ ГССР и тез. докл. Всесоюз. совещ. по вопросу орг. и краевых особен. распростр. рака, Волгоград, 1960.

13. კანის კიბო

შრომ. კრ. №1, 1961, ონკოლოგ. სამეც. ინსტ. შრომ. კრ. №1, 1961, ონკოლოგ. სამეც. ინსტ.

14. ცხიმოვანი ქსოვილის კიბოს კლინიკა და მკურნალობა.

15. К вопросу хирургического лечения рака кожи.

В аннотационном сб. ГИДУВ-а, Тбилиси. 1962.

16. Отдаленные результаты лечения рака кожи и нижней губы.

Тр. VIII Междунар. противоракового конгресса, Москва, т. I, 1963.

– ყველა ქალმა, განსაკუთრებით 40 წელს გადაცილებულმა, უნდა იცოდეს, რომ არამართო სასურველი, აუცილებელიცაა მისთვის წელიწადში ორჯერ ონკოლოგის კონსულტაცია. ეს შიში, ფსიქოლოგიური მომენტები, ჩვენი სამედიცინო კულტურის დაბალმა დონემ შექმნა. მეკრდის მარტივი პათოლოგია თითქმის ყოველ მეორე ქალს აღენიშნება და რომ მართლა საშიშ და დაუძლეველ პრობლემად არ იქცეს იგი, სწორედ ამისთვის სჭირდება მას სპეციალისტი, სწორედ ამისთვის არსებობს ყველა პოლიკლინიკაში სპეციალური კაბინეტი და ამისთვისაა მოწოდებული ჩვენი ინსტიტუტიც.

შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ სარძევე ჯირკვლის ყველა პათოლოგია, ყველანაირი კვანძი, გამაგრება, შეშუპება, გამონადენი საგანგაშო და საშიში არ არის, მაგრამ ამის განსაზღვრა მხოლოდ ექიმს შეუძლია და ავადმყოფმა თავის თავზე არ უნდა აიღოს არც ნაადრევი დასკვნების გაკეთება და არც გულის ცუდუბრალო დაარხეინება.

ჰორმონალური წონასწორობის დარღვევით წარმოშობილი კეთილთვისებიანი პროცესები და კვანძები, ე. წ. დისჰორმონალური ჰიპერპლაზიები: ფიბროადენომა, ცისტური მასტოპათია, ანუ ფიბროადენომატოზი, ხანგრძლივად არსებული ფიბროადენომატოზები (გამონადენით ჯირკვლის დვირილიდან), ძირითადად, ახალგაზრდებს უფითარდებათ და ისინი თერაპიული მკურნალობისა თუ ქირურგიული ჩარევის შედეგად ისპობა, ორგანიზმისთვის უვნებელი ხდება და თვისებრიობის ცვლასაც გამორიცხავს.

50-70 წლის ქალებში კი, ძირითადად, ავთვისებიანი სიმსივნეებია გავრცელებული.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ავთვისებიანი სიმსივნე საღ უჯრედებში არ წარმოიქმნება. როგორც ერთმა აკადემიკოსმა თქვა, ყველა მათგანს აქვს წინარე მდგომარეობა, თუმცა ყველა წინარე მდგომარეობა არ გადაიქცევა ავთვისებიან სიმსივნედ (გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული საერთაშორისო სამედიცინო ორგანიზაციის მონაცემებით, ზემოთ აღნიშნული კეთილთვისებიანი სიმსივნეების მხოლოდ 25% ემორჩილება ასეთ გარდაქმნას). ასე რომ, ექიმთან კონტაქტი, რაც უნდა უსიამოვნო იყოს იგი, კი არ უნდა გვაფრთხობდეს, უნდა გვაიმედებდეს და გვანტიერესებდეს კიდევც.

– საზღვარგარეთული პრესა ხშირად აწვდის მკითხველს სენსაციურ ინფორმაციას ავთვისებიანი სიმსივნის განკურნების ახალ მეთოდებზე...

– ეს უფრო ხშირად საკითხისადმი უურნალისტოა არაკომპეტენტური მიდგომის შედეგია. უცხოელ უურნალისტებს უყვართ სენსაციები, რეკლამები, ხმაური... არის მცდელობა, მაგრამ ჯერჯერობით ავთვისებიანი სიმსივნის მკურნალობის კლასიკური მეთოდები ძალაში რჩება. დანარჩენი მომავლის საქმეა. მე, პირადად, მეცნიერთა იმ ნაწილს ვეკუთვნი, რომელიც ოპტიმისტურად არის განწყობილი, ყოველდღე ელოდება კარგს, ახალს, პროგრესულს. გარდა ამისა, როგორც სპეციალისტს, მჯერა, რომ თვით სარძევე ჯირკვლების ავთვისებიანი სიმსივნე ძველი მეთოდებით მკურნალობის დროსაც, თავის სანყის ფაზაში, სხვა ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნეებისაგან განსხვავებით, განკურნებადია.

– რა აზრის ბრძანდებით ავთვისებიანი სიმსივნის მკურნალობის არატრადიციულ მეთოდებზე?

– ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ასეთი რამ შეუძლებელია. თუკი აღწერილია ასეთი შემთხვევები, ალბათ, საკითხისადმი არაპროფესიული მიდგომის გამო. რადგან კეთილთვისებიანი და ავთვისებიანი სიმსივნეების სიმპტომები ხშირად ემთხვევა ერთმანეთს და განკურნებაც პირველი მათგანისაა შესაძლებელი.

– ხელს უწყობს თუ არა სიმსივნურ წარმონაქმნებს ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების მიღება?

– სპეციალურად ჩატარებულმა გამოკვლევებმა ვერ გამოავლინა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების მოქმედება ავთვისებიანი სიმსივნის განვითარებაზე. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, რომ რისკი დიდია. ამ საშუალებათა გამოყენების დაწყებამდე ქალმა კონსულტაცია უნდა გაიაროს გინეკოლოგთან, რადგან ეს საშუალებები ყველა ორგანიზმისათვის რეკომენდებული არ არის. სავალდებულოა პრეპარატების მიღების პროცესშიც ავადმყოფზე ექიმის დაკვირვება.

საერთოდ კი, ქალის ორგანიზმს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. მასზე შედარებით უფრო მეტად მოქმედებს ყველა გარეშე ფიზიკური თუ ფსიქიკური ფაქტორი: სტრესი, ტრავმა, ზედმეტი გადაღლა და გადატვირთვა, დაძაბული ცხოვრება. მინდა, შეგახსენოთ მსოფლიო მედიცინაში დადგენილი შემდეგი ფაქტი: ომისა და საერთო დაძაბულობის დროს ყოველთვის საგრძნობლად მატულობს ქალთა სიმსივნური დაავადების შემთხვევები.

ესაუბრა ლია ტოკლიკიშვილი
გაზეთი „7 დღე“, 18-24 სექტემბერი, 1992, №33.

მკერდის ამპუტაციით რომ არ დაისაჯოთ...

კოტე მადიჩი – სახელი, რომელსაც რეკლამა არ სჭირდება; კაცი, რომელთანაც საქართველოს ყველა კუთხიდან მოდიან შეშინებული, აცრემლებული ქალწულები, დედები თუ ბებიები... ბატონი კოტეს მოსაცდელთან ყოველთვის ხალხმრავლობაა... ისინი შემფოთებულნი ელიან მის საბოლოო სიტყვას – განაჩენს – განაჩენს, რომელიც გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

78

კონსტანტინე მაღიჩი

მხრებში მოხრილმა, გაფითრებულმა გოგონამ გულწრფელად მითხრა: „მას შემდეგ, რაც ბატონმა კოტემ დიაგნოზი დამისვა, სასონარკვეთაში ჩავვარდი. მაშინვე გავემგზავრე მოსკოვს, შემდეგ ლენინგრადს, მაგრამ პასუხი ყველგან ერთი და იგივე იყო. ოპერაცია კი ბატონ კოტესთან ვამჯობინე... ახლა ვნანობ, რომ ტყუილად დავკარგე დრო. მადიჩის მიერ დასმულ დიაგნოზს ვერსად გაექცევი!“

ბატონ კოტეს უკვე ორი საათია ვუცდი. მთხოვეს, ოპერაციაზეა შესული და დაელოდეთო. ავადმყოფის ახლობელთა განცდები მეც გადმომედო. ატირებულები ყოველნუთს საათს დასცქეროდნენ. დრო კი უმონყალოდ იწელებოდა. და აი, ისიც გამოჩნდა. სწრაფი, ენერგიული ნაბიჯებით ამოიარა კიბე.

– ბატონო კოტე, უკვე რამდენიმე საათია გელით. ამდენი ხანი საოპერაციოში ბრძანდებოდით?

– დილიდან სამი მკერდი მოვკვეთე, მეოთხე კი – ნანილო-ბრივ.

სიტყვები სადღაც შორიდან ჩამესმა. შიშისგან გამაჟრჟოლა. თვალები ძლივს გავუსწორე და ჩემდაუნებურად წამოვიძახე – „არ გეცოდებათ?“ – და მაშინვე ვინანე! ვინანე, რადგან მივხვდი, რომ გული ვატკინე. სევდანარევი თვალებით გადმომხედა.

– ყავას არ მიირთმევთ?

– არა, გამადლობთ.

და ისევ ხანგრძლივი პაუზა. გარემო დამთრგუნველად მოქმედებდა საავადმყოფოსთვის დამახასიათებელი სპეციფიკური სუნი მაბრუებდა. თვალწინ გაფერმკრთალებული, ტკივილისგან სახედალარული „ამორძალების“ სახეები მედგა, რომელნიც მკერდზე ხელმიბჯენილნი ძლივს დალასლასებდნენ დერეფნებში.

– ბატონო კოტე, ოპერაცია ერთადერთი გამოსავალია?

– ერთადერთი, რასაკვირველია, არა. ძუძუს კიბოს მკურნალობა კომპლექსურია და მოიცავს როგორც ქირურგიულ, ასევე სხივურ,

ქიმიო-ჰორმონალური პრეპარატებით მკურნალობას სხვადასხვა კომბინაციით.

უნდა აღინიშნოს, რომ ძუძუს კიბოს მკურნალობა არის ინდივიდუალური და ავადმყოფის სუბიექტური მონაცემებიდან გამომდინარეობს.

სამწუხაროდ, ხშირად ქალები ძალიან გვიან მოგვმართავენ. ისინი კიბოს მომაკვდინებელ სენად თვლიან. უნდა გვახსოვდეს, რომ განკურნება შესაძლებელია, თუ დაავადება დროულად გამომჟღავნდება. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ყველა ქალი 25-დან 60 წლამდე, წელიწადში ორჯერ მაინც რომ გადიოდეს სამედიცინო შემოწმებას, კიბოს დაგვიანებული შემთხვევები არ იარსებებდა, ოპერაციებიც ბევრად სასარგებლო იქნებოდა და რეციდივებს ადგილი თითქმის არ ექნებოდა. რაც უფრო ადრეულ სტადიაში გამოვლენილი სიმსივნური დაავადება, მით მეტი გარანტიაა ქალის გამოჯანმრთელების.

გარკვეული პერიოდის წინ სარძევე ჯირკვლის შემანარჩუნებელი ოპერაციები განიხილებოდა, როგორც საშიში და არაადეკვატური. დღეს კი ხელთა გვაქვს ამის სანინაალმდეგო მრავალი მტკიცება. ცნობილი იტალიელი ონკოლოგის უმბერტო ფერონიზის მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად მასტექტომიასა (მკერდის სრული ამპუტაცია) და ნაწილობრივ გაკეთებული ოპერაციების ე.წ. კვადრანტექტომიების შედეგები აბსოლუტურად იდენტურია. დაკვირვება 700 იტალიელ ქალს ჩაუტარდა, რომელთა ნახევარს გასტექტომია, ხოლო ნახევარს კვადრანტექტომია გაუკეთდათ (იმ შემთხვევაში, როდესაც სიმსივნურ პროცესში ჩათრეული იყო ილღის ქვეშ ლიმფური კვანძები – ავადმყოფებს დამატებით სხივური მკურნალობა უტარდებოდათ). ორივე ჯგუფის ქალებში სიმსივნური დაავადება ადრეულ ფაზაში იყო დადგენილი და მკურნალობის ჩატარების 10 წლის შემდეგ ორივე ჯგუფის ავადმყოფთა 96 პროცენტი ცოცხალი იყო და არავითარი დაავადების კლინიკური სურათი არ შეენიშნებოდათ...

სარძევე ჯირკვლის კვადრანტექტომიების მომხრეთა რიცხვი დღეისათვის თანდათან იზრდება, თუმცა მრავალი ექიმი ამ მეთოდის წინააღმდეგია. ისინი საკუთარ შიშს იმით ხსნიან, რომ რადიკალური ოპერაციების გარეშე კიბოს რეციდივის შანსი მეტია, მაგრამ ხანგრძლივი დაკვირვებები, ვფიქრობ, გადაათქმევენებს მათ თავიანთ შეხედულებებს. სარძევე ჯირკვლის ნაწილობრივი ოპერაციის უკეთესი კანდიდატები არიან ქალები, რომლებსაც

კიბო ადრეულ სტადიაში აღმოუჩინეს და სიმსივნემ ვერ მოასწრო გავრცელება. ამაში კი, რა თქმა უნდა, თვით ქალებმა უნდა შეგვიწყონ ხელი, არ გადადონ მკურნალობის ვადები და დროულად მიმართონ ექიმს. მათ უნდა იცოდნენ, რომ თუ დროულად მიაკითხავენ მკურნალს, არ დაისჯებიან სარძევე ჯირკვლის ამპუტაციით.

– ბატონო კოტე, თქვენ აღნიშნეთ, რომ აუცილებელია დაავადების დროული გამომჟღავნება. რა უნდა გაკეთდეს ამისთვის?

აუცილებელია ყველამ იცოდეს, რომ კიბო ერთბაშად არ ჩნდება. კიბოს საფუძველი ზოგჯერ ათეული წლის მანძილზე იქმნება.

კიბო სწორედ იმით არის საშიში, რომ დასაწყისი „უსიმპტომოდ“, ფარულად მიმდინარეობს, მაგრამ მისი დიაგნოზის ადრეული დადგენა სავსებით შესაძლებელია. ამისთვის აუცილებელია მოსახლეობის პროფილაქტიკური გასინჯვა.

სარძევე ჯირკვლებში ეს პროცესები იწყება უმტკივნეულოდ, მკვრივი კვანძის სახით, რომელიც მოთავსებულია ჯირკვლის სისქეში. პირველად სიმსივნე საკმაოდ მოძრავია, შეიძლება დვრილის ჩაზნექაც იყოს... ნორმიდან რაიმე გადახრის აღმოჩენისთანავე საჭიროა სასწრაფოდ მიმართოთ ექიმს. არავითარ შემთხვევაში არ დაიდოთ სათბურები, საფენები, მალამოები. მცდარ მკურნალობას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია.

ფრანგი მეცნიერი პიერ დენუა ამტკიცებს, სარძევე ჯირკვლის გადაგვარებული პირველი უჯრედის წარმოქმნიდან 2 სმ დიამეტრის სიმსივნის წარმოქმნამდე შეიძლება გავიდეს ორ-ნახევარი წლიდან 15 წლამდე. კიეველი მეცნიერები კი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოსწინარე დაავადების გადასვლა კიბოს საწყის ფორმაში ხუთ წელიწადს გრძელდება.

– ბატონო კოტე, როგორ ხდება კიბოს დიაგნოსტიკა?

– ჩვენ გვაქვს ისეთი გამოსაკვლევი აპარატები, ვფლობთ ისეთ მეთოდებს, რომ მრავალი სახის კიბოს დიაგნოზის დადგენა შეგვიძლია საწყის ფორმაში (მაგალითად, სარძევე ჯირკვლის კიბო და საშვილოსნოს ყელის კიბო შეიძლება დადგინდეს მაშინ, როცა ავადმყოფი თავად ვერაფერს გრძნობს).

– ბატონო კოტე, რა არის სარძევე ჯირკვლისა და სასქესო ორგანოების კიბოს გამომწვევი მიზეზები და შესაძლებელია თუ არა მათი თავიდან აცილება?

– ქალის ავთვისებიან სიმსივნეთა შორის ყველაზე მეტად

ყება, არარეგულარული სქესობრივი ცხოვრება ან არასქესობრივი ცხოვრება. მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით დადგინდა, რომ ეს დაავადება უფრო ხშირია ქალებში, რომლებიც არ ორსულდებიან და არ უმშობიარებიათ. ან პირველად დაორსულდნენ და იმშობიარეს 25-30 წლის ასაკის შემდეგ. სარძევე ჯირკვლის რისკის ფაქტორია სიმსუქნე. ვფიქრობთ, რომ ცხოველური ცხიმებისა და ქოლესტერინის მაღალი შემცველობის პროდუქტების დიდი რაოდენობით გამოყენება ხელს უწყობს სიმსივნის ზრდას. ავადმყოფებს ანამნეზში ხშირად აღენიშნებათ სარძევე ჯირკვლის დაუეუილობა, ტრავმა, ლაქტაციის რეჟიმის დარღვევა, მშობიარობის შემდგომი მასტიტი. აღნიშნული მოვლენები ხელს უწყობს სარძევე ჯირკვლებში კიბოს წინა დაავადებათა განვითარებას.

საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარებას ხელს უწყობს საშვილოსნოს ყელის სამშობიარო ტრავმა, ხშირი აბორტები. აბორტი უხეშად არღვევს ორსულობის ფიზიოლოგიურ პროცესს და იწვევს ჰორმონალურ ძვრებს ქალის ორგანიზმში. დაავადება ადვილად ვითარდება ხანგრძლივი ვირუსული ინფექციის ფონზე, რომელიც სქესობრივი გზით გადადის. კიბოს წინა დაავადებები ხშირად აქვთ იმ ქალებს, რომლებიც არ იცავენ პირადი ჰიგიენის წესებს, არ მიმართავენ ექიმს და არ მკურნალობენ.

საშვილოსნოს ტანის კიბოს განვითარებას ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის და ენდოკრინული სისტემის მოშლილობა, რაც დაკავშირებულია ასაკთან. დაავადებულნი აღნიშნავენ მენსტრუალური და სამშობიარო ფუნქციების დარღვევას, ხშირ სისხლდენას კლიმაქსის პერიოდში...

ქალის სარძევე ჯირკვლის და სასქესო ორგანოების დაავადებათა პროფილაქტიკისთვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქალიშვილის დროულ გათხოვებას, 25 წლამდე და შესაბამისად სქესობრივი ცხოვრების ადრე დაწყებას, მის რეგულარობას. ქალი უნდა მოერიდოს ხელოვნურ აბორტებს, განსაკუთრებით პირველი ორსულობისას. სასურველია პირველი მშობიარობა 26 წლამდე და აუცილებელია შვილის ძუძუთი გამოკვება. ქალმა არ უნდა ჩაიცვას მკერდის ზომასთან შედარებით პატარა ბიუსტჰალტერი, რაც აფერხებს სარძევე ჯირკვლების სისხლის მიმოქცევას, იწვევს მათ ტრავმირებას.

ვინაიდან სიმსუქნე ქალის სასქესო ორგანოთა დაავადების რისკის ფაქტორია, საჭიროა მისი პროფილაქტიკა – სწორი კვების რეჟიმის რეგულირება.

როგორც აღვნიშნე, ქალის სასქესო ორგანოთა კიბოს განვითარებაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ინფექციას, კერძოდ ტრიქომონულ კოლპიტს, ჰერპესის ვირუსს და სხვა. ამიტომ აუცილებელია პირადი ჰიგიენის დაცვა, რომ ინფექციური აგენტი არ შეიჭრას სასქესო ორგანოებში... დაუშვებელია სქესობრივი კავშირი მენსტრუაციის დღეებში, ზოგ შემთხვევაში – ორსულობის პერიოდშიც. ორგანიზმის ზოგადგამაჯანსაღებელი ღონისძიებები, შრომისა და დასვენების რეჟიმის სწორი ორგანიზება, რაციონალური კვება ორგანიზმის დამცველობითი ძალების მასტიმულირებელია, სხვადასხვა დაავადების და კერძოდ, ავთვისებიან სიმსივნეთა განვითარების შესაძლებლობას ამცირებს...

გვახოვდეს! სარძევე ჯირკვლის სიმსივნის ადრეული აღმოჩენა და ჩატარებული შესაბამისი მკურნალობა საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ ავთვისებიანი სიმსივნის განვითარება, ხოლო მისი არსებობის შემთხვევაში – დროულად მივალნიოთ მისგან განკურნებას.

გვახსოვდეს! დაავადების დროული დიაგნოზი არის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის შენარჩუნების ყველაზე კარგი გარანტი.

– ბატონო კოტე, გამდლობთ საინტერესო საუბრისათვის. დარწმუნებული ვარ, ბევრს დააფიქრებს ჩვენი საუბარი. ბევრიც საკუთარ თავში დაძლევს შიშს და საკუთარი სიცოცხლის ხსნისათვის დაუყოვნებლივ მოგმართავთ.

*მაია ბეგლარიშვილი
გაზეთი „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“, 26 სექტემბერი, 1992 წ.*

Опухоль молочной железы: не упустите момент!

Рак молочной железы — болезнь, ставшая бичом для многих стран, в том числе и для нашей, где эта заболеваемость среди других злокачественных образований занимает первое место.

Поскольку обязательные во всех цивилизованных странах ежемесячные визиты к врачу для наших женщин — дело ныне весьма непростое с финансовой точки зрения, хочу дать несколько советов, т. к. рак молочной железы при своевременном его выявлении в большинстве случаев излечивается.

Каждой женщине следует помнить, что в любом возрасте, особенно после 30 лет, она должна систематически, раз в месяц, лучше через семь

дней после окончания менструации, а при ее отсутствии в одни и те же дни каждого месяца производить самообследование молочных желез.

В чем заключается это самообследование? Прежде всего, в осмотре белья, на котором можно обнаружить пятнышко или следы кровянистых выделений. Затем, стоя перед зеркалом обнаженными по пояс, сначала с опущенными, а затем с поднятыми вверх руками, положенными на голову, следует обратить, прежде всего, внимание на симметричность уровня обеих молочных желез, на их конфигурацию и размеры, обязательно сравнивая одну грудь с другой.

Обнаружение всякого рода изменений, как, например, смещение молочной железы вверх, вниз, в сторону, изменение ее формы с образованием возвышения, уплотнения, а также стягивания кожного покрова, срезанность контура, западение соска, покраснение кожи молочной железы или области соска и околососковой зоны, появление выделений из соска, — все это должно привлечь внимание.

После тщательного осмотра следует приступить к ощупыванию молочных желез, — это рекомендуется делать лежа на спине с отведенной рукой, а под лопатку подложить полотенце или небольшую подушку. Ощупывание правой молочной железы производят левой рукой, а левой железы — правой рукой. Всякого рода уплотнения — болезненные или безболезненные, плотные или эластичные, ограниченные или разлитые — должны женщину насторожить.

Как вести себя, как действовать дальше? Это далеко не праздный вопрос, ибо, как сказал один известный онколог, «невежество убивает столько же людей, сколько само заболевание». Дело в том, что в большинстве случаев женщины поздно обращаются к врачу, когда помочь уже практически невозможно. Вот почему хочу особо подчеркнуть: заметив что-то неладное, сразу же следует обратиться к специалисту. Тщательное медицинское обследование поможет рассеять сомнения, а в случае необходимости — принять соответствующие меры.

Вместе с тем надо помнить, что хорошее здоровье начинается с кухни. Известно, что жирная пища увеличивает риск заболеть раком молочной железы, прямой кишки и щитовидной железы, поэтому женщинам следует ограничить прием жирной пищи до 20 процентов и ниже. Следует употреблять побольше свежих фруктов, овощей, хлеба крупного помола, различных каш, фасоли и других бобовых. Надо также увеличить содержание в пище витаминов «А», «С», бета-каротина, которые имеются в зелени, зеленых и красных овощах, а также в фруктах. Принимайте все виды пищи с капустой.

Большую роль при этом играет технология приготовления пищи: предпочтительно варить и жарить продукты на пару, при низком огне.

Строго-настрога запрещается курить, т. к. это увеличивает риск заболевания раком на 30 процентов.

И еще одно предупреждение: не занимайтесь самолечением, не увлекайтесь травмами и рекламируемыми прессой и телевидением домашними средствами без ведома и разрешения врача-онкомаммолога.

Константин МАДИЧ, заведующий кафедрой онкологии
Тбилисской медицинской академии, профессор.
Газета "Вечерний Тбилиси", 3-5 апреля 1997г.

სახელგანთქმული კოტე მადიჩი ურჩევს ქალებს...

ამ საოცრად გულისხმიერ პიროვნებასა და დიდებულ პროფესიონალზე ვის არ სმენია ჩვენში. და, აი, ახლა მე მისი სტუმარი ვარ. მსურს, მისი ავტორიტეტული სიტყვა და რჩევა მივანოდო ჩემს თანამოქალაქეებს, რომელთაგან ბევრი, ძალიან ბევრი არ უფრთხილდება თავის ჯანმრთელობას, ვიდრე აქვს, ხოლო როცა ტკივილი შეანუხებს და ჯანმრთელობაც თვალსა და ხელს შუა გაეღევა, ხშირად უკვე გვიანია მასზე ზრუნვა...

კოტე მადიჩი – (გვარის წარმომავლობით სერბიელი, მაგრამ „თხემით ტერფამდე“ ქართველი – არც სიამოვნებს სადაურობის ჩაძიება, კატეგორიულად აცხადებს, მე ქართველი ვარ) – ღვანღმოსილი დასტაქარი, რომელსაც დიდი ამაგი მიუძღვის ქართული მამოლოგიური სკოლისა და პრაქტიკული ონკოლოგიის განვითარებაში;

რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, ღირსების ორდენის კავალერი, საზოგადოება „თბილისელის“ წევრი, თბილისის სამედიცინო აკადემიის ონკოლოგიის კათედრის პროფესორი. ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი.

– ბატონო კოტე, სამწუხაროდ, საქართველოში ყოველწლიურად იზრდება სარძევე ჯირკვლის კიბოთი დაავადებულ ქალთა რაოდენობა; თქვენი აზრით, რით აიხსნება ეს ფაქტი?

– ამთავითვე მინდა აღვნიშნო, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეცნიერო-სამედიცინო პრობლემა სიმსივნურ დაავადებათა დროს არის დაავადების დინამიკის პროგნოზირება, განსაკუთრებით, ლოკალიზაციების დროს, რამეთუ, დაავადების ნაადრევი ფორმების დიაგნოსტიკა გამოირჩევა სირთულით და მკურნალობის თავისებურებით.

კიბოთი დაავადების საერთო სტრუქტურაში სარძევე ჯირკვლის კიბოთი დაავადება ყოველწლიურად იზრდება. საშუალო წლიური აბსოლუტური მატება 1,7-ია.

ოთხმოციან წლებში ჩატარებული მათემატიკური პროგნოზირებით მოსალოდნელი იყო, რომ 1990 წელს სიმსივნე 100 ათას ქალზე მიაღწევდა 37,2 შემთხვევას. სინამდვილეში კი იყო 38,4 შემთხვევა. თუ მხედველობაში მივიღებთ დღევანდელ სოციალურ-დემოგრაფიულ ვითარებას, 2000 წლისათვის მოსალოდნელია, ავადობის მაჩვენებელი უფრო გაიზარდოს... კერძოდ, დაავადება მიაღწევს 48,8 შემთხვევას 100 ათას ქალზე, ანუ, სიმსივნე ექნება ყოველ მეთერთმეტე ქალს.

– ავთვისებიან ახალწარმონაქმნებთან ბრძოლა დღეს მსოფლიოს მეცნიერთა თუ მედიკოსთა უპირველესი საზრუნავია; სპეციალურ სამედიცინო ლიტერატურაში ამ დაავადების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა, თქვენ რას გვეტყობით სარძევე ჯირკვლის სიმსივნური დაავადების ხელშემწყობ ფაქტორებსა და მის გამომწვევ მიზეზებზე?

– ამ დაავადების წარმომშობი ფაქტორის განსაზღვრა საკმაოდ ძნელია და დაკავშირებულია რიგ მიზეზთა კომპლექსზე – როგორც ადამიანის ცხოვრების პირობებზე, ისე ორგანიზმის შიგა გარემოზე.

მრავალწლიანი ეპიდემიოლოგიური და ექსპერიმენტული გამოკვლევებით დადგინდა, რომ ქალის სარძევე ჯირკვლის სიმსივნის განვითარება დაკავშირებულია ორგანიზმის ჰორმონალურ მდგომარეობასთან. ჰორმონების ცვლისა და ბალანსის დარღვევებს პირდაპირი კავშირი აქვს ქალის სქესობრივი ცხოვრების პირობებთან, შობადობის და აბორტის რიცხვთან, მენსტრუალური ციკლის მოშლასთან, ძუძუს წოვების ხანგრძლივობასთან და ა.შ. ამ ფუნქციების დარღვევის შედეგად, შეიძლება, სარძევე ჯირკვალში ჩამოყალიბდეს სხვადასხვა სახის დისჰორმონალური ცვლილებები, კერძოდ, მასტოპათია, ადენომა, სისხლმდენი სარძევე ჯირკვალი და ა.შ., რომლებიც მიეკუთვნებიან კიბოსწინარე დაავადებებს და მათ ფონზე სარძევე ჯირკვლის კიბოს რისკი 90 პროცენტამდე აღწევს.

რაც უფრო გვიან ხდება ქორწინება და პირველი ორსულობა, ნაკლებია შობადობა, მით უფრო ხშირია სარძევე ჯირკვლის დაავადება, მაგალითად, მაღალმთიან რაიონებში (რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი და სხვა), ხოლო ქვემო ქართლის რეგიონში (დმანისში,

ბოლნისში, ნალკაში, თეთრწყაროში...), სადაც, ტრადიციულად, ქორწინდებიან ადრეულ ასაკში და, შესაბამისად, მრავალშვილიანობაა, სარძევე ჯირკვლის კიბოთი ავადობა შედარებით დაბალია.

– ბატონო კოტე, ყველას კარგად გვესმის, რომ კიბო ჯანმრთელ ორგანიზმში არ ვითარდება, მისი საფუძველი, ალბათ, წლების მანძილზე ყალიბდება...

– დიახ, დაკვირვებამ გვაჩვენა, რომ სიმსივნე ჯანმრთელ ორგანოსა და ქსოვილში არ ვითარდება. იმ ფონს, რომელზეც შეიძლება კიბო განვითარდეს, უწოდებენ კიბოსწინარე დაავადებებს, რომლის დროული გამოვლენა და მკურნალობა არის სწორედ კიბოს პროფილაქტიკა.

სარძევე ჯირკვლის სიმსივნე შემთხვევათა 95 პროცენტში ემართებათ ქალებს 30 წლის ზევით, ხოლო 90 პორცენტს – 40 წელს ზევით. ამიტომ ამ ასაკში ქალმა განსაკუთრებით უნდა მიაქციოს ყურადღება თავის ჯანმრთელობას, მკაცრად დაიცვას ჰიგიენა და წელიწადში 2-3-ჯერ ჩაიტაროს პროფილაქტიკური შემოწმება.

მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ შესაძლებელია სარძევე ჯირკვლის დიაგნოზის ადრეული დადგენა, რისთვისაც აუცილებელია ქალების პროფილაქტიკური გასინჯვა. რაც უფრო ადრეა დადგენილი დიაგნოზი, მით მეტია ავადმყოფის განკურნების შანსი, განსაკუთრებულ პუნქტუალობას ამ საკითხში უნდა იჩენდნენ ისეთი ქალები, რომელთაც ალენიშნებათ ქრონიკული ანთებითი დაავადებები, ნივთიერებათა ცვლისა და ჰორმონალური წონასწორობის დარღვევები.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ჯანმრთელობის გაუარესებით გამოწვეული უსიამოვნებანი, ქალი უნდა მიმართავდეს სისტემატურ თვითგასინჯვას. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, ქალებს თვითგასინჯვით, თავად შეუძლიათ გამოავლინონ ერთი სანტიმეტრი დიამეტრის ზომის ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი სიმსივნეები, მისი ჩატარების საუკეთესო დროდ უნდა ჩავთვალოთ მენსტრუაციის დამთავრებიდან მე-7-მ დღე, ხოლო ქალებმა, რომელთაც აქვთ მენოპაუზა, უკეთესია აირჩიონ ერთი და იგივე რიცხვი ყოველ თვეში. თვითგასინჯვა იწყება ქალის თეთრეულის დასრულებით (ხომ არ არის რაიმე ლაქა), ამის შემდეგ ქალმა უნდა დაითვლიეროს სარძევე ჯირკვლები – დვრილების მდგომარეობა, მათი განლაგება, ერთნაირია თუ არა სარძევე ჯირკვლები (ფორმით და ზომით), ერთნაირ დონეზეა თუ არა მათი საზღვრები. ფრთხილად უნდა შეამოწმოთ, ხომ არ არის გამონადენი დვრილიდან. ამის შემდეგ ქალი უნდა დანჯეს მაგარ

სანოლზე, მარჯვენა ბეჭის ქვეშ შემოიდოს დაკეცილი პირსახოცი ან პატარა ბალიში, ჩამოუშვას მარჯვენა ხელი ტანის პარალელურად, ხოლო მარცხენა ხელის თითების ბოლოებით ფრთხილად გაისინჯოს სარძევე ჯირკვალის ცენტრიდან პერიფერიისაკენ, საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით; უნდა გაისინჯოს ილლიის ფორმაც. ანალოგიურად, მარჯვენა ხელით ისინჯება მარცხენა სარძევე ჯირკვალის და ილლიის ფოსო.

საკმაოდ დიდი ინფორმაციის მიღება შეიძლება შხაპის ქვეშ, გასაპნული სარძევე ჯირკვლის გასინჯვისას. ამ შემთხვევაში ჯირკვალის ისინჯება მოხრილი თითების ფრთხილი დანოლით ცენტრიდან პერიფერიისაკენ.

აგრეთვე, აუცილებლად მიმაჩნია პროფილაქტიკური გასინჯვების, სადიაგნოსტიკო-საკონსულტაციო ცენტრების არსებობა: საჭიროდ ვთვლი, დღევანდელ ეტაპზევე ოჯახის ექიმის ინსტიტუტის შემოღებას, რადგან ის ექიმი იქნება პირველი, რომელსაც ქალი მიმართავს საკონსულტაციოდ.

კიბოს შემთხვევათა 75 პროცენტის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია დავიცვათ შემდეგი პირობები: ცხოვრების ფიზიოლოგიური წესი, პირადი ჰიგიენა, კვების სწორი რეჟიმი, ორგანიზმის გამაკაჟებელი ღონისძიებები, მავნე ჩვევების აღმოფხვრა...

და მაინც, კიბოსაგან თავდაცვა, ძირითადად, დამოკიდებულია თვით ქალზე, მან არ უნდა შეასუსტოს ყურადღება თავისი ჯანმრთელობისადმი; პერიოდულად უნდა მიმართოს სამედიცინო დანესებულებას პროფილაქტიკური გასინჯვებისა და დროული კონსულტაციებისათვის.

ესაუბრა მზია გოგოძე
გაზეთი „თბილისი“, 24 დეკემბერი 1998წ.

როგორ დავიცვათ თავი ძუძუს კიბოსაგან?

ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ კიბოს დროულად აღმოჩენისა და სწორი მკურნალობის შემთხვევაში იგი განკურნებადია. ჯანსაღ ორგანიზმსა და ჯანსაღ ქსოვილში კიბო არასოდეს ჩნდება; მის განვითარებას წინ უსწრებს ე.წ. „კიბოსწინარე“ დაავადებანი, რომელთა დროული აღმოჩენა და მკურნალობა ჯანმრთელობის უპირველესი გარანტიაა. სტატისტიკის მიხედვით, დღეს ძუძუს კიბოს ქალებში ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს, მამაკაცებში კი იგი შედარებით იშვიათად გვხვდება. ჩვეულებრივ, სარძევე ჯირკვლის

კიბო იწყება უმტკივნეულო, მკვრივი კვანძის გაჩენით. ავადყოფები ასეთ გამაგრებას ყურადღებას არ აქცევენ და ექიმს მხოლოდ მაშინ მიმართავენ, როდესაც სიმსივნე მნიშვნელოვნად გაიზრდება ან დაწყულდება. დასაწყისში სიმსივნე საკმაოდ მოძრავია, შემდეგ კი კანს ან ქვეშემდებარე ქსოვილს შეეზრდება და მისი მოძრაობა თანდათან იზღუდება. სიმსივნის მფარავი კანის დანაოჭების ცდის დროს ვლუბულობთ დამახასიათებელ სურათს – ფორთოხლის კანს.

თუ სიმსივნე დერილთან ახლოსაა, ეს უკანასკნელი ჩაიზნიქება შემაერთებული ქსოვილოვანი ზონრების განვითარების გამო. თვით დაავადებული ძუძუ ამ დროს უფრო მალაა ჯანმრთელ ძუძუსთან შედარებით. გარდა ამისა, ხშირად შეცვლილია ძუძუს გვირგვინის ფორმაც.

სიმსივნური პროცესი ხნიერ ქალებში შედარებით ნელა მიმდინარეობს, გამონაკლისია ანთებითი კიბოს ფორმა, რომელიც საკმაოდ სწრაფად ვითარდება. ამ დროს შეიმჩნევა სარძევე ჯირკვლის კანის ფართო უბნის განითლება, ხელით გასინჯვისას სარძევე ჯირკვალი ოდნავ მტკივნეულია. ილლიის ფოსოში შეინიშნება გადიდებული ლიმფური კვანძი, თუმცა ეს ნიშნები მუდავნდება მაშინ, როცა სიმსივნური პროცესი უკვე შორსაა წასული. სწორედ ამიტომ სიმსივნის დადგენისათვის აუცილებელია პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება, რაც სიმსივნური დაავადების დროული დადგენისა და გამოჯანმრთელების საწინდარია.

საუბედუროდ, დღესაც ვხმარობთ ხშირად სიტყვა „თუ“-ს – „თუ დროზე დავადგენთ“, „თუ დროზე ვუმკურნალებთ“ და ა.შ. ყველაზე მარტივია, ადამიანმა თვითონ მიაქციოს ყურადღება თავის ჯანმრთელობას, თანაც მაშინ, როცა იგი თავს ჯანმრთელად თვლის.

აღსანიშნავია, რომ კიბო არც გადამდება და არც – შთამომავლობითი, მაგრამ ცნობილია მთელი რიგი ოჯახებისა, სადაც კიბოს დაავადებას ადგილი ჰქონდა რიგი წლების განმავლობაში. ეს აიხსნება იმით, რომ არსებობს კიბოსადმი მიდრეკილება და, რა თქმა უნდა, ასეთი წრის ადამიანებმა განსაკუთრებული ყურადღებით უნდა აწარმოონ თვითგასინჯვა.

ქალმა უნდა იცოდეს, რომ მისი ჯანმრთელობისათვის და სარძევე ჯირკვლის დაავადების თავიდან აცილებისათვის აუცილებელია დროული გათხოვება (20-25 წ.). ნორმალური სქესობრივი ცხოვრება, პირველადი ორსულობის შენარჩუნება, მშობიარობა, ბავშვის ძუძუთი კვება (10-12 თვე). საშიშია ხშირი აბორტი. ქალი უნდა ეცადოს, არ დაერღვეს ნივთიერებათა ცვლა ორგანიზმში.

ამიტომაც უნდა ერიდოს ზედმეტ წონას, ეცადოს, არ მიიღოს ბევრი შაქარი, ცხიმები, სახამებელი, ერიდოს თამბაქოს წევას, ზედმეტად არ მიიღოს ჰორმონული პრეპარატები და ა. შ.

ხშირად სარძევე ჯირკვლის არაავთვისებიანი სიმსივნეები ქმნიან კიბოს განვითარების საფუძველს. „კიბოსწინარე“ დაავადება ნელა მიმდინარეობს. მართალია, მის ფონზე ყოველთვის კიბო არ ვითარდება, მაგრამ ქალმა უნდა იცოდეს, რომ ამ დაავადების დროული აღმოჩენა და სწორი მკურნალობა დაიცავს ძუძუს კიბოსაგან.

სარძევე ჯირკვალში მიმდინარეობს რიგი ფიზიოლოგიური პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია მენსტრუაციასთან, ორსულობასთან, ძუძუს წოვებასთან და ყოველი მათგანის ცვლილება, როგორც უკვე ვთქვით, ქალის ჯანმრთელობისათვის საშიშია. აღსანიშნავია, რომ სარძევე ჯირკვლის შეშუპება მენსტრუაციის წინ და ორსულობის დროს ჩვეულებრივი ფიზიოლოგიური პროცესია, ისევე, როგორც დვრილის გამუქება და მისგან ხსენის გამოყოფა, ხოლო ბავშვის ძუძუთი კვების წინ – რძის გამოყოფა, მაგრამ სარძევე ჯირკვლის კანის ფერის, დვრილის ფორმის და კანის ცვლილება, ძუძუში სიმკვრივის გაჩენა მენსტრუაციის წინაპერიოდში ან მენოპაუზის დროს, გამონადენი დვრილიდან (განსაკუთრებით – სისხლიანი) სარძევე ჯირკვლის დაავადების ნიშანია და აუცილებელია ექიმის კონსულტაცია. იმისათვის, რომ არ გამოგვრჩეს სარძევე ჯირკვლის დაავადების რაიმე ნიშანი, ქალმა თვეში ერთხელ, მენსტრუაციიდან ერთი კვირის შემდეგ, ხოლო მენოპაუზის დროს – თვის ერთსა და იმავე რიცხვში აწარმოოს თავისი სარძევე ჯირკვლების თვითგასინჯვა. ამისათვის კი საჭიროა:

1) დაათვალიეროს დაბანამდე თავისი საცვალი, განსაკუთრებით იქ, სადაც სარძევე ჯირკვლები და დვრილი ეხება მათ – ხომ არ არის რაიმე ლაქა (უფერო, ყვითელი ან სისხლიანი).

2) დაათვალიეროს დვრილის ფორმა (სიწითლე, ჩაზნექილობა). ხომ არ სველდება დვრილის გარშემო კანი ან ხომ არ არის მის ირგვლივ გამონაყარი; ძალიან ნელა, თითების დაჭერით შეამოწმოს გამონადენი დვრილიდან.

3) დაათვალიეროს სარძევე ჯირკვლის მთელი კანი (ხომ არ არის გამონაყარი, სიპრიალე, ფერის ცვლილება), ელასტიკურია თუ არა კანი, ხომ არ არის კანზე რაიმე სიმკვრივე, რომელიც წააგავს ფორთოხლის კანს.

4) სარკის წინ დაშვებული ხელებით დაათვალიეროს თავისი სარძევე ჯირკვლების ფორმა, ზომა, ერთ დონეზეა თუ არა მათი საზღვრები.

5) შემდგომ ზურგზე დანჯეს მაგარ სანოლზე; მარჯვენა სარძევე

ჯირკვლის გასინჯვისას მარჯვენა მხარის ქვეშ ამოიდოს პატარა ბალიში ან დაკეცილი პირსახოცი, მარჯვენა ხელი გაასწოროს ტანის მიმართულებით და მარცხენა ხელის თითებით მსუბუქად დაინყოს სარძევე ჯირკვლის გასინჯვა. ჯერ გასინჯოს დვრილის გარშემო არე, შემდეგ ნელ-ნელა, რადიალურად შეამომნოს მთელი სარძევე ჯირკვალი; ასევე უნდა გასინჯოს ილლიის ფოსო. ამის შემდეგ მარჯვენა ხელი დაიდოს თავზე და ასევე გასინჯოს მარჯვენა ძუძუ. აგრეთვე, ილლიის ფოსოც. შემდეგ კი იგივე მანიპულაცია ჩაიტაროს მარცხენა სარძევე ჯირკვალზე.

სარძევე ჯირკვალში ან ილლიის ფოსოში რაიმე ცვლილების აღმოჩენისას აუცილებლად მიმართოს ექიმს. არავითარ შემთხვევაში არ ჩაიტაროს თვითმკურნალობა – კომპრესებით, სათბურებითა და მალამოებით. არასწორი მკურნალობა მავნეა, მხოლოდ ონკოლოგს შეუძლია თავისი გამოცდილებით და არსებული ნატიფი დიაგნოსტიკური მეთოდებით, თვალითა და ხელით შეუმჩნეველი ცვლილებების აღმოჩენა და დროული სწორი მკურნალობა.

არსებობს სიმსივნურ დაავადებათა გამოკვლევის მრავალი მეთოდი – თერმოგრაფია, ულტრაბგერითი გამოკვლევა, რადიოიზოტოპური მეთოდი, მამოგრაფია, ციტოლოგია და სხვანი. მათი კომპლექსური გამოყენებით შეიძლება სარძევე ჯირკვლებში იმ ცვლილებათა აღმოჩენა, რომლებიც ექიმის ხელისთვის მოუწვდომელია. თუ სიმსივნე 1 სმ-ზე ნაკლები ზომისაა, ხშირად შესაძლებელია მხოლოდ სიმსივნის ამოკვეთა და ძუძუს შენარჩუნება. ამიტომ აუცილებელია, პროფილაქტიკისათვის, წელიწადში ერთხელ ქალმა მიმართოს სამედიცინო დანესებულებას, სადაც შესაძლებელი იქნება ულტრაბგერითი (35-40 წლის ასაკში) და მამოგრაფიული (40 წლის ზევით) გამოკვლევების ჩატარება; საჭიროების შემთხვევაში ორივე მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი იქნება ნებისმიერი ცვლილების გამოვლენა.

საუბედუროდ, ტკივილი კიბოს დროს გვიანი სიმპტომია. კიბო ტკივილით რომ იწყებოდეს, ავადმყოფი მაშინვე მიმართავდა ექიმს, მაგრამ მისი სივერავე სწორედ უმტკივნეულობაშია და სწორი დიაგნოზის დადგენა მნიშვნელოვანია მაშინ, როცა იგი დათვალთვრებითა და ხელის შეხებით შეუმჩნეველია.

გვახსოვდეს, რომ ჩვენი ჯანმრთელობა ჩვენსავე ხელშია.

პროფესორი კონსტანტინე მადიჩი
გაზეთი „ასავალ-დასავალი“,
1999წ. 28 ივნისი-4 ივლისი, №27.

ქალებში განვითარებულ ავთვისებიან სიმსივნეებს შორის ყველაზე ხშირია მეკრდის კიბო. დღეისათვის საქართველოში ამ დაავადების გავრცელების ზუსტი მონაცემები არ არის დადგენილი.

სავარაუდოდ, 2005 წლისთვის ჩვენს მანდილოსნებში სარძევე ჯირკვლის კიბოს მაჩვენებელი 52,4-ს მიაღწევს (ყოველ 100 000 ქალზე). ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია მასტოპათია – სარძევე ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგია, რომელიც თავისთავად სერიოზულ დაავადებებს არ წარმოადგენს, მაგრამ 4-5-ჯერ ზრდის კიბოს წარმოქმნის რისკს.

ამ საკითხთან დაკავშირებით გვესაუბრება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ონკოლოგი, საქართველოში მამოლოგიის სკოლის დამფუძნებელი კონსტანტინე (კოტე) მაღიჩი.

ქალის სარძევე ჯირკვალი ასაკობრივი თუ ფიზიოლოგიური ფაქტორების გამო მთელი ცხოვრების მანძილზე განიცდის გარდაქმნას. მას განსხვავებული აგებულება აქვს ბავშვობის, გარდატეხის, რეპროდუქციულ (ნაყოფიერების) ასაკში, მენოპაუზის შემდეგ... ჯირკვალი პერიოდულად, მენსტრუაციულ ციკლთან დაკავშირებითაც ცვალებადობს, მის სტრუქტურაზე დიდად მოქმედებს ქალის ცხოვრების ბუნებრივი მოვლენები (ორსულობა, ძუძუს წოვება).

მასტოპათიის წარმოქმნის მექანიზმი

ყველა ხსენებულ ეტაპზე სარძევე ჯირკვალში განვითარებულ ცვლილებებს განაპირობებს შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებში გამოშვებული ჰორმონები. ჯანმრთელი ქალის ორგანიზმში ჰორმონალური წონასწორობა – ჰომეოსტაზი უნდა იყოს დამყარებული.

ზოგიერთი პროცესი (აბორტები, საკვერცხეებისა და მათი დანამატების ანთებები, ნერვული სისტემის დაავადებანი და სხვა) ჰორმონალური დისბალანსის განვითარებას იწვევს, ანუ, ჰორმონები ნორმაზე მეტი ან ნაკლები რაოდენობით გამოიმუშავდება. დროთა განმავლობაში ამ მდგომარეობამ შესაძლოა არა მხოლოდ კეთილთვისებიანი წარმონაქმნების (მასტოპათია, ადენომა), არამედ ზოგჯერ ავთვისებიანი სიმსივნის ჩამოყალიბებაც გამოიწვიოს.

რისკფაქტორები

მასტოპათიის განვითარება ბევრადაა დამოკიდებული სოციალურ

ფაქტორებზე. იგი უფრო ხშირია ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში. ამ პათოლოგიის განვითარების რისკფაქტორებია:

- მცირე შობადობა (1-2 შვილი)
- ხშირი აბორტი
- არასწორი სქესობრივი ცხოვრება
- სხვადასხვა ჰორმონის (მაგალითად, კონტრაცეპტივების)

თვითნებური მიღება

- ბავშვის ძუძუთი კვების ადრეული შეწყვეტა
- გინეკოლოგიური დაავადებები
- თამბაქოს ნევა
- ზედმეტი სიმსუქნე
- ჰიპერტონიული დაავადება
- შაქრიანი დიაბეტი
- გენეტიკური დატვირთვა.

დადგენილია, რომ ქალებს, რომლებიც ადრეულ ასაკში თხოვდებიან, აბორტებს არ მიმართავენ, ბევრ შვილს აჩენენ და პატარებს 1 წლამდე მაინც ძუძუთი კვებავენ, მასტოპათიისა და მკერდის კიბოს საფრთხე ბევრად ნაკლებად ემუქრებათ.

ფორმები

მასტოპათია ძირითადად ახალგაზრდა (20-40 წლის) ასაკის ქალბატონების ხვედრია. დაავადება, როგორც წესი, სარძევე ჯირკვალში გამკვრივების წარმონაქმნით ვლინდება და შეიძლება ერთ ან ორივე ჯირკვალში განვითარდეს ერთეული თუ მრავლობითი წარმონაქმნის სახით.

მასტოდინია – ზოგჯერ სარძევე ჯირკვალში არანაირი ცვლილება არ ფიქსირდება, მაგრამ ქალი მაინც ძუძუს ტკივილს უჩივის. ტკივილი ძლიერია, შესაძლოა ბეჭსა და მხარშიც გადაეცემოდეს.

ფიბროადენომატოზი – სარძევე ჯირკვალში კვანძების გაჩენა. ისინი ან მთელ ჯირკვალშია გავრცელებული (დიფუზიური ფიბროადენომატოზი) ან მის მხოლოდ რომელიმე უბანში (კვანძოვანი).

ვიბროადენომა – მოძრავი, გლუვი ზედაპირის კვანძებია, რომლებიც ძირითადად 20-25 წლის ქალებში ვითარდება.

ცისტები – სხვადასხვა ზომის, კონსისტენციის, რაოდენობის... ზოგჯერ დერილიდან გამოწვეული (გამჭვირვალე, მღვრიე, მომწვანო, რძისფერი ან სისხლიანი). გამოიყოფა თავისთავად, ან დერილზე თითის დაჭერის შედეგად.

მასტოპათიის ყველა ჩამოთვლილი ფორმისას ჩივილი (მტკივნეუ-

ლობა, წარმონაქმნის ზომაში მატება) განსაკუთრებით მენსტრუაციის წინა და მენსტრუაციის პერიოდში ძლიერდება.

სარძევე ჯირკვლებში ტკივილის არსებობა მასტოპათიის აუცილებელ ნიშანს არ წარმოადგენს.

დიაგნოსტიკა

მასტოპათიის ამოცნობა თვითონ ქალსაც შეუძლია. თვითგასინჯვად ნოდებულ პირობებში რეგულარულად, თვეში ერთხელ, ერთსა და იმავე დროს (სასურველია მენსტრუაციის დამთავრებიდან 2-3 დღის შემდეგ) უნდა ტარდებოდეს.

ქალმა ყურადღება უნდა მიაქციოს სარძევე ჯირკვლების სიმეტრიულობას, კანის ფერს, გამონადენს დვრილიდან, გამკვრივებულ, მტკივნეულ უბნებს. ხელით გასინჯვა გაშლილი ხელისგულით ან შუა სამი თითის ბალიშებით, ჯირკვალზე მსუბუქი და ღრმა ზენოლით კონტროლდება. ყურადღება ექცევა ილლიის, ლავინზედა და ლავინქვედა არეებს.

რა თქმა უნდა, ძნელია მასტოპათიის კიბოდ გადაგვარების მომენტის დაჭერა, მაგრამ მაინც არსებობს სიმპტომები, რომლებიც ავთვისებიანი პროცესის დანყებაზე მიგვანიშნებენ. ესენია: ფიქსაცია (კვანძი არ მოძრაობს), დვრილის გასქელება, სიმსივნის თავზე კანის ჩაზნექვა, ილლიის ფოსოში ჯირკვლების გაჩენა, დვრილიდან სისხლიანი გამონადენი.

ამგვარი სიმპტომების გამოჩენისას ქალმა სასწრაფოდ მამოლოგს უნდა მიაკითხოოს (ან ოჯახის თუ პოლიკლინიკის ექიმს, რომელიც მას შემდგომში მოქმედების გზას უჩვენებს).

დიაგნოზის დასაზუსტებლად გამოიყენება სარძევე ჯირკვლის ულტრაბგერითი გამოკვლევის მეთოდი და რენტგენომამოგრაფია, საჭიროების შემთხვევაში კი – ციტოლოგიური გამოკვლევა.

ბოლო წლებში იმუნოლოგიურ ტესტირებასაც მიმართავენ. ამ შემთხვევაში სპეციალური მარკერები სიმსივნის არსებობაზე მიუთითებენ.

პროფილაქტიკა

პროფილაქტიკის მიზნით უდიდესი მნიშვნელობა აქვს თვითგასინჯვას. ასევე ექიმის მიერ ჩატარებულ კონსულტაციას, რაც, წესით, წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ხდებოდეს.

კარგი იქნება, თუ 40 წლამდე ასაკის ქალბატონები წელიწადში ერთხელ მაინც ექომამოგრაფიითაც შეამოწმებენ სარძევე ჯირკვლებს. 40-50 წლის ასაკში კი 2 წელიწადში ერთხელ, დამატებით

რენტგენომამოგრაფიაც ჩაიტარონ. 50 წლის ზევით ყველა გამოკვლევის სიხშირე ორმაგდება.

მკურნალობა

მასტოპათიის სხვადასხვა ფორმა განსხვავებულ მკურნალობას მოითხოვს. უმეტესად საჭირო ხდება ჰორმონალური ჩარევა.

ჰორმონალური ჰომეოსტოზის აღდგენაში ახალგაზრდა ქალებს შესაძლოა ორსულობა, მშობიარობა და ძუძუს წოვება დაეხმაროს.

გინეკოლოგიური დაავადებებისას, ამ სფეროს მონესრიგება ხდება საჭირო.

ქირურგიული მკურნალობა მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება, მაგ., ფიბროადენომის არსებობისას. რადგან იგი ხშირად განიცდის კიბოდ გადაგვარებას. ამ, საკმაოდ მარტივი ოპერაციის დროს ადგილობრივი ანესთეზია კეთდება და საავადმყოფოში დანოლაც არ არის საჭირო.

მთავარია, ქალებს ახსოვდეთ, რომ სარძევე ჯირკვლის პრობლემის დროზე აღმოჩენა და მისი ხშირი კონტროლი, ავთვისებიანი სიმსივნის შორსნასული და მომაკვდინებელი ფორმებისგან დაიცავთ. მასტოპათიის კიბოდ გადაგვარების სანყს ეტაპზე ქირურგიული ჩარევა განკურნების სრულ გარანტიას იძლევა.

*მარი აშულაშვილი
ჟურნალი „ოჯახის მკურნალი“,
№3, 26 აპრილი 9 მაისი, 2001 წ.*



პროფესორი კონსტანტინე მაღიჩი და
პროფესორი ლევან ჩარკვიანი



პროფესორები რეზო გაგუა, კოტე მაღიჩი, გულნარა გერსამია,
კოტე მარდალეიშვილი, გია ნემსაძე, გასვლითი სესია - 1999წ.

შეკითხვები კონსტანტინე მაღიჩს კოტე მაღიჩი თქვენს ზარს ელის!

რამდენიმე დღის წინ ლეგენდარულ ექიმს, ქართული ონკოლოგიის პატრიარქს, პროფესორ კონსტანტინე მაღიჩს დაბადების დღე უკონდა, თუმცა წლების და ზუსტებისაგან, იუბილარის თხოვნით, თავს შევიკავებთ. ბატონი კოტე წარსულში (1940-49 წლებში) ცნობილი კალათბურთელი იყო, შემდგომში კი თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო გუნდის ექიმი, თუმცა მერე სპორტულ ინტერესებს მაინც ონკოლოგიამ გადასცალა და მედიცინის ამ ურთულეს სფეროში დაიწყო მოღვაწეობა. დღეს ბატონი კოტე მაღიჩი 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მონაწილეა ყველა მსოფლიო თუ საკავშირო მნიშვნელობის ონკოლოგიური კონგრესისა. არის საქართველოს დამსახურებული ექიმი, სამედიცინო სოციალურ მეცნიერებათა და მედიკო-ბიოლოგიური აკადემიების წამდვილი წევრი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

– ბატონო კოტე, თქვენი მრავალწლიანი გამოცდილებიდან გამომდინარე, რას თვლით მკერდის კიბოს ესოდენ გავრცელების მთავარ მიზეზად?

– მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ დაავადებების მხრივ მსოფლიოში პირველ ადგილზე ძუძუს კიბო დგას, გულ-სისხლძარღვთა სნეულებები კი მეორე ადგილზეა მხოლოდ. ძუძუს კიბოს გამომწვევი მთავარი მიზეზებია:

1. სტრესი – რომელიც ანადგურებს იმუნურ სისტემას და ადა-მიანის ორგანიზმში არსებულ ონკოგენს აძლიერებს;
2. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი;
3. კვება – არაბუნებრივი კონსერვანტებით სავსე პროდუქტი ვიტამინებით კი არ ამდიდრებს ორგანიზმს, არამედ არღვევს ნივთიერებათა ცვლას.

ყველა ეს ფაქტორი საბოლოო ჯამში წარმოშობს კიბოს – რომელიც დღეს მსოფლიო პრობლემაა.

– ის ქალები, რომელთაც მკერდის რადიკალური (მთლიანი მოკვეთა) ოპერაცია აქვთ გაკეთებული, ხშირად პლასტიკურ

ოპერაციასაც მიმართავენ ფიზიკური ნაკლის დასამალად. თვლით თუ არა ასეთ ოპერაციას ჯანმრთელობისათვის უვნებლად?

– დიდი ონკოლოგი ნიკოლოზ ბლოხინი თვლიდა, რომ მკერდის სიმსივნის | სტადიის დროს პლასტიკური ოპერაცია საჭირო არ არის, რადგან მკერდი არ იკვეთება, ხოლო ||| სტადიის დროს კი უკვე მიზანშეუწონელია. ჩემი თვალსაზრისიც ასეთია. მოდით, განვეკურნოთ ის ადგილი, რომელსაც ვჭრით, რათა რეციდივი არ განმეორდეს და მერე ვილაპარაკოთ პლასტიკაზე.

– სხვადასხვა საშუალებით, მაგალითად, სილიკონით მკერდის გადიდება, რომელიც დღეს ასე მოდურია, ხომ არ არის ქალის ჯანმრთელობისათვის საშიში?

– მკერდის გადიდება, საერთოდ, არასწორ მოქმედებად მიმაჩნია. მიუხედავად იმისა, რომ სილიკონით მკერდის გადიდება შედარებით უვნებელია, ქალი ასეთ შემთხვევაშიც არ არის დაზღვეული – ტრავმის შედეგად შეიძლება სილიკონი გასკდეს და ხელახლა გახდეს ოპერაცია საჭირო. ასე რომ, ყოველგვარი პლასტიკური ოპერაციის წინააღმდეგი ვარ.

– რას იტყვით სპეციალური კრემის შეზღვევით მკერდის გადიდების მეთოდზე?

– აბსოლუტურად არ მიმაჩნია საჭიროდ, ვინაიდან ეს კრემები ჰორმონალური პრეპარატებია და არცთუ ისე უვნებელია, როგორც ამას მწარმოებლები გვიმტკიცებენ. ეს დიდი კომერციაა მხოლოდ და არა ჯანმრთელობისაკენ მიმართული აქცია. ასეთი სილამაზის მომხრე არა ვარ.

– ბატონო კოტე, ქალის გაახალგაზრდავების რომელი მეთოდის მომხრე ხართ?

– ბუნების წინააღმდეგ მიმართული არც ერთი სიახლის მომხრე არა ვარ. ჩემი რჩევა ქალებისადმი ასეთია: – იცხოვრეთ ჯანსაღი ცხოვრების წესით; გიყვარდეთ სპორტი; დაამკვიდრეთ ოჯახის ექიმის ინსტიტუტი, რომელიც დაგვეხმარება კიბოს ნაადრევ სტადიაში გამოვლენაში და მისი პროფილაქტიკის საშუალებას მოგვცემს; იკვებეთ მოკრძალებულად და სწორად!

– ძუძუს თვითგასინჯვაზე რას გვეტყვით?

– მიმაჩნია, რომ ყველა ქალმა უნდა შეისწავლოს ძუძუს თვითგასინჯვა და ეს პროცედურა ყოველდღიურ აუცილებლობად უნდა ჩათვალოს. თვეში ერთხელ თვითგასინჯვა აუცილებელია. ამ პროცედურისადმი განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილონ იმ მანდილოსნებმა, რომელთაც ახლო ნათესავი ან ოჯახის

წვერი ჰყავთ ონკოლოგიური სენით დაავადებული, რადგან ასეთ შემთხვევაში რისკფაქტორი ბევრად მეტია.

– ბატონო კოტე, თქვენ ბევრი ონკოლოგი აღზარდეთ, თქვენი ქალიშვილებიდან კი ერთი ენდოკრინოლოგია, მეორე – ფსიქოლოგი, რატომ მოხდა ასე?

– იმიტომ, რომ ჩემი პროფესია ძალიან მძიმე და რთულია.

– დაბოლოს, ბატონო კოტე, როგორ ფიქრობთ, ონკოლოგია თანამედროვე ცივილიზაციის სენია თუ გასულ საუკუნეებშიც არსებობდა ეს პრობლემა?

– ონკოლოგია წარსულშიც დიდ პრობლემას წარმოადგენდა. შესაძლოა უფრო ნაკლები სიმწვავეით, მაგრამ ეს პრობლემა მუდამ იდგა ადამიანების წინაშე. თუმცა ადრე მისი განკურნება ოპერატიული ჩარევით არ ხდებოდა. ძველად ეს ამ საშინელი დაავადებისადმი ორგანიზმის გაძლების დონეზე რჩებოდა მხოლოდ. ამის დასამტკიცებლად რემბრანდტის ერთი სურათი შემიძლია შემოგთავაზოთ, სადაც მას ონკოლოგიური ავადმყოფი, კერძოდ, ძუძუს კიბოთი დაავადებული ქალი ჰყავს დახატული.

*მომზადა ეთერ კასრელიშვილმა
გაზეთი „სასაელ-დასაელი“, 2002წ. 2-8 დეკემბერი №49*

კოტე მაღიჩი გვიჩვენებს

ძუძუს თვითგასინჯვა

ძუძუს თვითგასინჯვა უნდა ხდებოდეს ყოველთვიურად, სიმწიფის პერიოდიდან მოყოლებული, სიბერემდე. ძუძუს შემოწმებისათვის საუკეთესო დროა მენსტრუალური ციკლის დასრულებიდან მე-7-10 დღე, როდესაც ძუძუ არც ზედმეტად გამაგრებულია და არც ზედმეტად რბილი. მენოპაუზის ან საშვილოსნოს ამოკვეთის შემდგომ ძუძუს თვითშემოწმება უნდა წარმოებდეს ყოველი თვის პირველ რიცხვში.

ძუძუს გასინჯვა დაიწყეთ აბაზანაში, ოდნავ გასაპნული ხელით ისე რომ, ხელისგული ადვილად სრიალებდეს კანზე. მაღლა ასწიეთ მარცხენა მკლავი და მარჯვენა ხელით შეუდექით მარცხენა ძუძუს შემოწმებას. ძუძუ უნდა გაისინჯოს გაშლილი ხელისგულით ან შუა სამი თითის ბალიშებით და არა თითის წვერით, რადგან თითების წვერებქვეშ სიმსივნური წამონაქმნი იმალება ძუძუს ქსოვილში.

ზედაპირული გასინჯვა

თითების ბალიშებით ძუძუს მსუბუქი ზენოლით გასინჯვისას გამოვლინდება ნებისმიერი მცირე ზომის კანქვეშა, მოძრავი სიმსივნური წარმონაქმნი, რომელიც უფრო ძლიერი ზენოლისას ქრება და აღარ ისინჯება.

ღრმა გასინჯვა

ღრმა ზენოლით გასინჯვისას გამოიკვლევა შედარებით ღრმად მდებარე ქსოვილები და ნეკნების მიმდებარე არე. გახსოვდეთ, თქვენზე უკეთ არავენ იცნობს თქვენს მკერდს!

ილლიის ქვეშ ლიმფური სადინარების გასინჯვა

რადგან ძუძუს კიბო შესაძლოა ლიმფური კვანძების გადიდებით გამოვლინდეს, ზედმინევენით ყურადღებით გამოიკვლიეთ ილლიები და ლავინის ძვლის გარშემო მდებარე ზედაპირი.

სიმსივნურ წარმონაქმნთა მდებარეობა

ძუძუს კიბო მკერდის გარკვეულ არეში ვითარდება. მაგალითად, სიმსივნის შემთხვევების 50 პროცენტი ვითარდება ძუძუს ზედა გარე კვადრანტში; 15 პროცენტი – ზედა, შიდა კვადრანტში; 6 პროცენტი – ქვედა შიდა კვადრანტში; 11 პროცენტი – ქვედა გარე კვადრანტში, ხოლო 18 პროცენტი – ძუძუსთავზე.

ძუძუს ხელით გამოკვლევის ორი ძირითადი მეთოდი

სპირალური მეთოდი – გასინჯვა დაიწყეთ მკერდის ზედა არიდან. ხელით მოძრაობით შემოხაზეთ დიდი სპირალი. ხელი ამოძრავეთ მთელი ძუძუს გარშემო. ეძიეთ ნებისმიერი უჩვეულო კვანძი ან გამაგრება. ძუძუს გარშემო შემოხაზეთ დაახლოებით სამი სპირალი, ვიდრე ძუძუსთავს მიაღწევთ. პროცედურა გაიმეორეთ ორჯერ.

უჯრიანი ბადით კვლევის მეთოდი

წარმოსახვით დაყავით მკერდი კვადრანტებად, ლავინის ძვლიდან ძუძუს ქვედა კიდემდე და ილლიიდან მკერდის ძვლამდე. ცალ-ცალკე გამოიკვლიეთ ყოველი კვადრანტი თითების სპირალური, წრიული მოძრაობით. გასინჯეთ ჯერ მსუბუქი, შემდეგ ღრმა ზენოლით.

კოტე მადიჩი გვირჩევს

კიბოს ადრეული გამოვლენა მისი წარმატებით მკურნალობისა და სიცოცხლის გადარჩენის საწინააღმდეგოა. სამწუხაროდ, ზოგჯერ ქალები ადრეულ გამაფრთხილებელ სიმპტომებს ყურადღებას არ აქცევენ. ზოგი დაუდევრობას იჩენს და თვლის, რომ სიმპტომები თავისთავად გაივლის. ზოგს კი შიში იპყრობს. გახსოვდეთ, როგორც კი რომელიმე სიმპტომი აღმოგაჩნდებათ, დაუყოვნებლივ მიმართეთ ექიმს!

101

კონსტანტინე მადიჩი

– ქიმიური ან სხივური თერაპია მოძველებული მეთოდი ხომ არ არის ონკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ?

– არც ერთი მეთოდი არ მოძველებულა, უბრალოდ, არსებობს ძველი და ახალი თაობის პრეპარატები. სხივური და ქიმიური მეთოდებით მკურნალობა კი კვლავ აქტიუალურია – განსაკუთრებით კიბოს წაადრევე პერიოდში გამოვლენის დროს გვაძლევს კარგ ეფექტს.

რა უნდა მოიმოქმედოს ქალმა ძუძუს ტრავმის შემთხვევაში?

– ძუძუს ტრავმის შემთხვევაში აუცილებელია ცივი საფენის დადება დაახლოებით 3 საათის განმავლობაში. მსუბუქი ტრავმის დროს ტკივილმა 3 დღის შემდეგ არ უნდა შეგანუხოთ. იმ შემთხვევაში, თუ ტკივილი გაგრძელდება, მიმართეთ ექიმს დროზე ზომების მისაღებად, რათა მდგომარეობა არ გართულდეს.

– როგორ უნდა მიხვდეს ადამიანი, რომელი სახის სიმსივნე აქვს – კეთილთვისებიანი თუ ავთვისებიანი?

– იმის გარკვევა, კეთილთვისებიანია სიმსივნე თუ ავთვისებიანი, ხდება კლინიკურად. ამ სიმსივნეებს შორის დიდი სხვაობაა. ექიმს შეუძლია გაარკვიოს ეს როგორც ვიზუალურად, ისე პალპაციით (ხელით გასინჯვით). მკურნალობის წარმართვისა და დიაგნოზის საბოლოო დადგენისათვის საჭიროა დამატებითი გამოკვლევები ტექნოლოგიების გამოყენებით. კერძოდ, 35 წლამდე პაციენტს გამოკვლევა უტარდება ულტრასონოგრაფიული სამუშაოებით, ხოლო 35 წლის ზევით ასაკისას – მამოგრაფიული.

– რამდენად ეფექტიანია ურინოთერაპიის მეთოდით ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა?

– ამ მეთოდით მკურნალობას არ ვეთანხმები, ურინოთერაპიით მორჩენილი ჯერ არავინ მინახავს.

– იძლევა თუ არა შედეგს ონკოდაავადებების თვითმკურნალობა დისტილირებული (გამოხდილი) ნავთით?

– ჩემთვის ასეთი მეთოდით მკურნალობაც მიუღებელია.

- პრაქტიკაში თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც პაციენტს სიმსივნე სპონტანურად გაუქრა?

- ასეთი შემთხვევა ძალზე იშვიათია, მაგრამ ჩემს პრაქტიკაში დამიფიქსირებია, თუმცა ვფიქრობ, ეს დიაგნოსტიკური შეცდომა იყო.

- რამდენად შედეგიანია ონკოლოგიური დაავადების მკურნალობა ექიმბაშთან ან ბიოენერგოთერაპევტთან?

- ექიმბაშის მიერ განკურნებული ადამიანი ჯერ არ მინახავს, ზოგჯერ დაავადების I სტადიაში მყოფი პაციენტი ექიმბაშთან მკურნალობის შემდეგ ჩვენთან III სტადიით დაბრუნებულა.

- დასაშვებია თუ არა ფიტოთერაპიული მეთოდით ონკოავადმყოფის მკურნალობა?

- მხოლოდ ფიტოთერაპიით მკურნალობა შედეგს არ იძლევა, თუმცა დამხმარე საშუალებას წარმოადგენს კომპლექსური მკურნალობის დროს.

- ძუძუს კიბოთი დაავადებულთათვის რომელი პრეპარატი გამოიყენება ყველაზე აქტიურად?

- ყველა პრეპარატს აქვს თავისი მკურნალობის სქემა, ანუ ინდივიდუალური ჩვენებები, ამიტომ მათი შაბლონურად გამოყენება არ შეიძლება. გარდა ამისა, ყველა ავადმყოფი ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს, აქ ზოგადი რჩევა არ გამოგვადგება.

- დამკვიდრდება თუ არა ონკოლოგიაში გენური ინჟინერიის მიღწევები?

- გენური ინჟინერიის განვითარება-შესწავლა ძალიან ბევრს მოგვცემს. უკვე შეიქმნა ახალი განხრა - მოლეკულური ონკოლოგია, რომელიც მალე დაადგენს, რა უწყობს ხელს სიმსივნის ონკოგენის გააქტიურებას და მოგვცემს ამ პროცესის შეჩერების საშუალებას. მომავალში ამ სფეროს განვითარებით ახალი პრეპარატი შეიქმნება, რომელიც შეაჩერებს სიმსივნის განვითარებას.

- შეიძლება თუ არა მამაკაცსაც გაუჩნდეს ძუძუს კიბო?

- შესაძლებელია, ამის ალბათობა 1,5 (ერთნახევარი) პროცენტია. მამაკაცს იგი შეიძლება გაუჩნდეს ჰორმონალური ფუნქციების დარღვევის შედეგად.

- ტრანსპლანტაციის შედეგად სქესშეცვლილ ქალს (ყოფილ მამაკაცს) თუ შეიძლება გაუჩნდეს ძუძუს კიბო?

- მედიცინაში ასეთი შემთხვევები დაფიქსირებულია. ასეთ ადამიანებს ძუძუს კიბო უჩნდებათ იმ შემთხვევაში, როდესაც მკერდის გაზრდის მიზნით ჰორმონალურ მკურნალობას მიმართავენ (იგულისხმება ქალის ჰორმონები).

– ძუძუს თვითგასინჯვის გარდა, რა სახის პროფილაქტიკურ საშუალებებს უნდა მიმართოს ახალგაზრდა ქალმა, რომელსაც დედა ჰყავს ონკოლოგიური ავადმყოფი?

– ძუძუს სიმსივნით დაავადებულის შვილი უნდა იყოს ყურადღებით (თუმცა სრულიად ჯანმრთელადაც შეიძლება განვლოს მან ცხოვრება), ხშირად ანარმოს ძუძუს თვითგასინჯვა და წელიწადში ერთხელ ექიმს მიაკითხოს. რისკის ფაქტორი სიმსივნის წარმოქმნას ყოველთვის არ ნიშნავს. ეს გაფრთხილებაა მხოლოდ, რომ სიმსივნე ადრეულ ასაკშიც შეიძლება გამოვლინდეს.

ძუძუს კიბოს მომასწავებელი ნიშნები:

1. ნებისმიერი გამაგრება მკერდზე;
2. ძუძუს უჩვეულო ზომამდე გადიდება;
3. ძუძუს უჩვეულო ჩამოშვება;
4. კანის დანაოჭება მკერდის არეში;
5. ძუძუსთავის ჩაბრუნება;
6. ძუძუსთავის ნებისმიერი ცვლილება;
7. მკლავის უჩვეულო შესიება;
8. ლიმფური კვანძების გადიდება;
9. ნებისმიერი უჩვეულო გამონადენი ძუძუს დვრილიდან.

მოამზადა ეთერ კასრელიშვილმა
გაზეთი „ასავალ-დასავალი“,
9-15 დეკემბერი, №48 2002 წ.

რა უნდა ვიცოდეთ კიბოსა და მისი პროფილაქტიკის შესახებ?

104

კონსტანტინე ვაძიანი

– ვარ 48 წლის. 29 წლის წინ გავიკეთე მასტიტის ოპერაცია. ბოლო 10 წელია ნაოპერაციევ მკერდზე ჩაბრუნდა ძუძუს თავი (არ მტკივა). მაქვს ფიბრომატოზული კვანძი და მენოპაუზა (უკვე 8 წელია). მაინტერესებს, საშიშია თუ არა ფიბრომატოზული კვანძი და ძუძუს ჩაბრუნებული თავი?

– მარტო დერილის თავის ჩაბრუნება არ მიგვიითებს სიმსივნის არსებობაზე. 35-40 წლის ქალმა, წესით, წელიწადში ერთხელ უნდა ჩაიტაროს ძუძუს რენტგენოლოგიური გამოკვლევა-მამოგრაფია, ხოლო წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გაესინჯოს სპეციალისტს. კონკრეტულ შემთხვევაში კი აუცილებელია, ქალბატონმა კონსულტაციისათვის ექიმს მიმართოს.

– რატომ არის გლუკოზის შემცველი პროდუქტი საშიში ონკოავადმყოფებისათვის?

– სიმსივნური უჯრედები ჭარბად შთანთქავენ გლუკოზას, მის ირგვლივ მყოფ სხვა უჯრედებიდან, რადგან სიმსივნური უჯრედების სწრაფი გამრავლებისათვის აუცილებელ ინგრედიენტს გლუკოზა წარმოადგენს. ამიტომ ონკოავადმყოფებმა მისი მიღება რაც შეიძლება უნდა შეზღუდონ.

– ნიუ-მექსიკოს (აშშ) შტატის ჯანდაცვის სპეციალისტებმა გამოაქვეყნეს მონაცემები იმის შესახებ, რომ უზომო რაოდენობით ცხიმის მიღება სარძევე ჯირკვლის კიბოს წარმოქმნის რისკს აძლიერებს, რატომ?

– ჭარბი წონა ადამიანის ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის დარღვევის ერთ-ერთი ნიშანია და იგი ერთ-ერთ რისკფაქტორს წარმოადგენს ძუძუს კიბოსა და სხვა სიმსივნეების განვითარებისათვის რისკფაქტორების ჯგუფს აგრეთვე მიეკუთვნება პიპერტონიული დაავადებები და შაქრიანი დიაბეტი. ზედმეტი ცხიმებისა და კვების რეჟიმის დარღვევაც ძუძუს კიბოს ერთ-ერთი მთავარი რისკფაქტორია.

– არსებობს ხის სოკო „ჩაგა“, რომელსაც რუსი სპეციალისტები ფართოდ იყენებენ ონკოლოგიური დაავადებების სამკურნალოდ. მას აგრეთვე ხმარობდა რონალდ რეიგანი თავისი დიეტოლოგის რჩევით. მაინტერესებს, საქართველოში თუ მკურნალობენ „ჩაგას“ მეშვეობით?

– საქართველოში „ჩაგა“ გამოიყენება როგორც დამოუკიდებ-

ბლად, ასევე სხვა სამკურნალო ბალახებთან ერთად. იგი ხელს უწყობს ორგანიზმის იმუნური სისტემის სტიმულაციას. ჩვენს აფთიაქებში იყიდება „ჩაგას“ (არყის ხის სოკოს) შემცველი პრეპარატი – „ბ ფუნინგი“.

– მსურს ლიპოსაქციის მეთოდით მკერდის დაჰატარაება. ხომ არ გამოიწვევს ეს ავთვისებიან სიმსივნეს?

– ლიპოსაქციის ჩატარებამ არ უნდა გამოიწვიოს ავთვისებიანი სიმსივნის განვითარება, თუმცა ამით არ მცირდება ძუძუს კიბოს წინამორბედი დაავადებების და თვით ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების რისკი.

– ვარ 38 წლის. მკერდზე გაკეთებული მაქვს რადიკალური ოპერაცია. ექიმი მირჩევს გავიკეთო მეორე ოპერაცია – საკვერცხეების ამოკვეთა (ოვარექტომია), აუცილებელია თუ არა ეს?

– საკვერცხეების ოპერაციის აუცილებლობა განისაზღვრება მხოლოდ კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემების მიხედვით.

– ვარ 25 წლის გაუთხოვარი. ორივე მკერდზე მაქვს მასტოპათია. არის თუ არა იმის საშიშროება, რომ იგი ავთვისებიან სიმსივნეში გადაიზარდოს?

– მასტოპათიის ძუძუს კიბოში გადაზრდა ყოველთვის არ ხდება. თქვენთვის სასურველია გათხოვება, მშობიარობა – ბავშვის ყოლა, ძუძუს წოვება. პირველი ორსულობა არ უნდა შეწყდეს, ვინაიდან აბორტმა შეიძლება გამოიწვიოს მთელი რიგი ცვლილებები ქალის გენიტალიებში და ხშირ შემთხვევაში უშვილობაც.

– ოჯახში მეექვსე წევრი ვარ, ვისაც ონკოლოგიური დაავადება (ძუძუს კიბო) აღმოაჩნდა. მსურს, გავიგო, ოჯახის დანარჩენმა წევრებმა რა პროფილაქტიკურ ღონისძიებას უნდა მიმართონ?

– მემკვიდრეობითმა და სხვა რისკფაქტორების არსებობამ შეიძლება ხელი შეუწყოს ადამიანის სხვადასხვა ორგანოს სიმსივნის განვითარებას, მაგრამ არა ყოველთვის. ოჯახის დანარჩენმა წევრებმა სასურველია ჩაიტარონ დამატებითი გამოკვლევები და იმუნოლოგიური ტესტირება (სპეციფიკური სიმსივნური მარკერების გამოკვლევა).

– გაკეთებული მაქვს მკერდის რადიკალური ოპერაცია. ვარ 40 წლის. დამინიშნეს ქიმიოთერაპიის კურსი. მსურს, ქიმიოთერაპიასთან ერთად მივიღო ქართული იმუნომოდულატორი „გა-40“, რათა ადვილად გადავიტანო ქიმიოთერაპიით გამოწვეული თანამდევნი მოვლენები, რას მირჩევთ?

– გირჩევთ, მიმართოთ თქვენს მკურნალ ექიმ-ქიმიოთერაპევტს, რათა მან შეგირჩიოს, თუ რომელი იმუნომოდულატორის გამოყენება არის საჭირო ამ კონკრეტულ შემთხვევაში.

– ნაოპერაციევ მკერდზე (რადიკალური. III სტადია) მირჩიეს ჩავიტარო სხივური ან ქიმიოთერაპია. რომელი სჯობს, რას მირჩევთ?

– ქიმიო ან სხივური თერაპიის ჩატარებას აქვს თავისი ჩვენებები და უკუჩვენებები და მისი გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება თქვენს მკურნალ ექიმთან ერთად უნდა მიიღოთ.

– 83 წლის დედაჩემს მკერდზე გაუჩნდა ავთვისებიანი სიმსივნე. ოპერაციას და ნარკოზს, ვფიქრობთ, ვერ გადაიტანს, ტკივილები არა აქვს, რას გვირჩევთ?

– ავადმყოფს უნდა ჩაუტარდეს ზოგადი გამოკვლევა და სპეციალისტების კონსულტაციის შემდეგ უნდა დადგინდეს მკურნალობის ტაქტიკა. ზოგიერთ შემთხვევაში, როცა ოპერაციას შეიძლება არასასურველი შედეგი მოჰყვეს (თქვენს შემთხვევაში), შეიძლება მკურნალობის სხვა მეთოდების გამოყენება.

– ვიყავი თქვენი პაციენტი 20 წლის წინ – ოპერაცია გავიკეთე (I სტადია). ამჟამად ვარ 68 წლის. არაფერი მანუხებს, აუცილებელია თუ არა კონსულტაციაზე მოსვლა?

– სასურველია კონსულტაციაც და გამოკვლევების ჩატარებაც.

– 50 წლის ქალს აქვს გულის თანდაყოლილი მანკი. ამჟამად მკერდზე აღმოაჩნდა სიმსივნე. გვანტერესებს, შეიძლება თუ არა ოპერაციის გაკეთება?

– თუ ადამიანი გულის მანკით არის დაავადებული, საჭიროა კარდიოლოგის დასკვნა, შესაძლებელია თუ არა მისთვის ოპერაციის გაკეთება საერთოდ, გულის მანკით დაავადებული უამრავი ადამიანისათვის გაუკეთებიათ ძუძუს ოპერაცია, რომელიც ნარმატებით დასრულებულა.

– 4 წლის წინ მკერდზე გავიკეთე ოპერაცია. ნაოპერაციევ მხარეს ხელი მუდმივად შესიებული მაქვს, თუმცა არ მტკივა. საშიშია თუ არა?

– ხელის შესიება – ლიმფოსტაზი საშიში არ არის, საჭიროა, სათანადო სპეციალური მკურნალობის ჩატარება სარეაბილიტაციო კაბინეტში. უნდა ერიდოთ ინფექციის შეჭრას შესიებულ ხელში, რათა არ მოიმატოს შესიების ინტენსივობამ. ძუძუს ოპერაციის დროს არც ისე იშვიათად ვითარდება ლიმფოსტაზი, რომლის განვითარებას ხელს უწყობს ხელის ლიმფური სისტემის

თავისებურება, სიმსუქნე, კიდურის ზედმეტი დატვირთვა და ინფექცია – ნითელი ქარი.

– დასავლეთის ქვეყნებში და რუსეთშიც ონკოავადმყოფები მიმართავენ ე. წ. დიეტოთერაპიას. რას გვირჩევთ, აუცილებელია იგი თუ არა?

– ყველა ონკოლოგიურმა ავადმყოფმა თუ ჯანმრთელმა მოქალაქემ ჯანმრთელი ცხოვრების წესით უნდა იცხოვროს, რომელშიც შედის კვების რეჟიმის მონესრიგება ადამიანი უნდა მოერიდოს ზედმეტად კალორიული საკვების მიღებას (შაქარი, ცომეული, ცხოველური ცხიმი და სხვა). ამასთან, სასურველია, მის რაციონში ჭარბობდეს ხილი და ბოსტნეული.

*მომზადა ეთერ კასრელიშვილმა
გაზეთი „ასავალ-დასავალი“,
2002 წლის 16-22 დეკემბერი, №49(52)*

რა უნდა ვიცოდეთ კიბოსა და მისი პროფილაქტიკის შესახებ?

– ოჯახში გვყავს ონკოლოგიური ავადმყოფი, რომელსაც შვიდი წლის წინ გაუმაგრდა მკერდი. სასტიკი წინააღმდეგი იყო ექიმთან ვიზიტის. ამჟამად დიდი რაოდენობით სდის მძაფრი სუნის მქონე ჩირქი და სისხლი. გვინტერესებს, რომელ სტადიასთან გვაქვს საქმე და არსებობს თუ არა საშველი?

– იმ შემთხვევაში, თუ სიმსივნე მოძრავია და არ არის ფიქსირებული მკერდის ქვეშ მყოფ ქსოვილთან, შესაძლებელია ძუძუს მოკვეთა სიმსივნესთან ერთად, რათა შევწყვიტოთ სისხლ-ჩირქოვანი გამონადენი. თუ ქირურგიული ჩარევა შეუძლებელია, მაშინ უნდა განხორციელდეს ინტენსიური ჰორმონო- და ქიმიოთერაპია. დაუშვებელია მოსამწიფებელი და სხვა მალამოების ხმარება. დაწყულეებული სიმსივნის ზედაპირი სასურველია, დამუშავდეს კალიუმის პერმანგანატის („მარგანცოვკა“) მუქი ხსნარით და მოინვას დაზიანებული ადგილები. სუნის გასაანეიტრალეზად შეიძლება ქსეროფორმის ფხვნილის გამოყენება. აღნიშნული მეთოდებით მკურნალობამდე სასურველია კონსულტაცია მამოლოგიური ცენტრის სპეციალისტთან.

– ხანდაზმული ავადმყოფებისათვის არის თუ არა რაიმე შეღავათები ან უფასო გამოკვლევები ონკოცენტრში?

– ხანდაზმულმა და მატერიალურად დაუცველმა ავადმყოფმა უნდა დაწეროს განცხადება და დახმარებისათვის მიმართოს ონკოცენტრის ხელმძღვანელს ეკონომიკის დარგში.

– ვარ ონკოლოგიური ავადმყოფი, მაქვს სწორი ნაწლავის კიბო. მარწმუნებენ, რომ ონკოცენტრში მკურნალობის ნაცვლად იოგას ვარჯიშებს მივმართო, რადგან ასე უფრო შესაძლებელია დაავადებისაგან განკურნება. რას მირჩევთ?

– იოგას ვარჯიშებით სწორი ნაწლავის და სხვა სიმსივნეების განკურნება შეუძლებელია. თქვენ უნდა მიმართოთ ონკოცენტრის პროქტოლოგიურ კაბინეტს. სწორი ნაწლავის ადრეული ფორმების დროული მკურნალობა საკმაოდ ეფექტიანია იოგას ვარჯიშებით და სხვა არატრადიციული მეთოდებით მკურნალობა მხოლოდ ძვირფასი დროის დაკარგვაა.

– ვიცი, რომ ამერიკაში ყოველი მე-4 ქალი ძუძუს კიბოთი არის დაავადებული. მსურს, გავიგო, რომელი პრეპარატებით თუ დიეტოთერაპიით იხანგრძლივებენ ისინი სიცოცხლეს?

– აშშ-ში ძუძუს კიბოთი ავადდება ყოველი მე-4 ქალი. თვითგასინჯვის მეთოდის ათვისება, დროული გამოკვლევა ულტრაბგერით და მამოგრაფიით იძლევა საშუალებას (როგორც ამერიკაში, ასევე სხვა ქვეყნებში) გამოვლინდეს ძუძუს კიბოს ადრეული ფორმები (0,3-0,8მმ ზომის). ასეთ შემთხვევაში საკმარისია მხოლოდ სიმსივნის ამოკვეთა ძუძუს შენარჩუნებით.

– გაკეთებული მაქვს მკერდის ოპერაცია (I სტადია). მაინტერესებს, დროთა განმავლობაში იგი აუცილებლად გადაიზრდება თუ არა II-III სტადიებში თუ შესაძლებელია საერთოდ არ განვითარდეს?

– თუ ძუძუს კიბოს I სტადიის ოპერაციაა გაკეთებული, შეუძლებელია დაავადება გადავიდეს II სტადიაში. ოპერაციის შემდეგ სტადიურობა არ იცვლება.

– გაკეთებული მაქვს ოპერაცია ორივე მკერდზე (რადიკალური). მსურს გავიგო, შესაძლებელია თუ არა კიდევ რაიმე ადგილზე განვითარდეს სიმსივნე? ვარ 63 წლის.

– იმისათვის, რომ არაფერი განვითარდეს, წელიწადში ერთხელ მიმართეთ კონსულტაციისათვის მკურნალ ექიმს.

– მაქვს მკერდის კიბო. მსურს გერმანიაში წავიდე სამკურნალოდ. თქვენი აზრით, ექნება თუ არა იქ მკურნალობას უკეთესი შედეგი?

– ყველა ქვეყანაში მკურნალობის ეფექტიანობა დამოკიდებულია

დაავადების ფორმების ადრეულ სტადიაში გამოვლენაზე. ხოლო შორეული შედეგები ყველგან ერთნაირია.

– ბავშვისათვის ძუძუს ნოვეების შემდეგ მკერდი დამრჩა გამაგრებული. დავიდე სხვადასხვა საფენი, მაგრამ უშედეგოდ. მეშინია სიმსივნის გაჩენის. რას მირჩევთ?

– გირჩევთ, დამატებით გამოკვლევა ჩაიტაროთ სპეციალისტთან, თანამედროვე დიაგნოსტიკური მეთოდების გამოყენებით.

– 28 წლის ასაკში დამემართა კლიმაქსი (მენოპაუზა), რამაც იმოქმედა კუჭზე, სწორ ნაწლავზეც მაქვს პრობლემები. მაინტერესებს, იწვევს თუ არა ნაადრევი კლიმაქსი მკერდის სიმსივნეს?

– ნაადრევი კლიმაქსის ფონზე გარდაუვალი არ არის სიმსივნის განვითარება. სასურველია გინეკოლოგ-ენდოკრინოლოგის და მამოლოგის კონსულტაცია.

– მძიმე მშობიარობის შემდეგ მთლიანად ამომაჭრეს საშვილოსნო. მსურს გავიგო, შესაძლებელია თუ არა ასეთ ოპერაცი-აგადატანილ ქალს, რომელიმე ასაკში დამემართოს მკერდის კიბო (ვარ 40 წლის)?

– ამ ოპერაციის შემდეგ აუცილებელი არ არის კიბოს განვითარება. უნდა აითვისოთ თვითგასინჯვის მეთოდიკა და წელიწადში ერთხელ მიმართოთ მამოლოგს.

– ვარ 60 წლის, გათხოვილი. ხანგრძლივი მკურნალობის მიუხედავად, შვილი არ შემეძინა, თუმცა არც უშვილობის გამომწვევი დიაგნოზი დაუსვამთ. მსურს გავიგო, ხომ არ მელის მკერდის კიბოს საშიშროება?

– სიმსივნის განვითარების მაღალი რისკისათვის საჭიროა მინიმუმ ოთხი და მეტი რისკფაქტორის არსებობა.

– მყავს 13 წლის გოგონა, ნორმალურად განვითარებული (არ არის მსუქანი). ვატყობ, როგორც დედა, რომ ერთი მკერდი უფრო დიდი აქვს მეორესთან შედარებით. ხომ არ არის საშიში (ერთი წელია, რაც მენსტრუალური ციკლი დაეწყო)?

– არ არის საშიში, საკმაოდ ხშირად ძუძუთა ზომებს შორის არსებობს ერთგვარი განსხვავება, მით უმეტეს ამ ასაკში, როდესაც გოგონა ჯერ მხოლოდ ყალიბდება.

– მკერდის ოპერაციის გაკეთების შემდეგ გავიდა ორი წელი. ამჟამად ავადმყოფი უმძიმეს მდგომარეობაშია და ქირურგიულ ჩარევას აღარ ექვემდებარება. მაინტერესებს, მორფის გარდა თუ არსებობს რაიმე ტკივილგამაყუჩებელი საშუალება ასეთი ავადმყოფისათვის (ავადმყოფი 58 წლისაა)?

- ასეთი შედეგი დამოკიდებული შეიძლება იყოს სიმსივნის სტადიაზე. ონკოლოგიურ ცენტრთან არსებობს სპეციალური კომისია, რომელიც განსაზღვრავს ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატის ხასიათს და მის დოზირებას. ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა გაუტკივარების პრეპარატის დოზის გაზრდა.

- სწორი ნაწლავისა და მკერდის კიბოს გამომწვევ მიზეზებად ყოველთვის ერთსა და იმავე ფაქტორებს ასახელებენ. რატომ არის ეს ორი სახეობის სიმსივნე ასე ერთმანეთთან დაკავშირებული?

- ეს სადავო საკითხია. ძუძუს კიბო შემთხვევების სიხშირით პირველ ადგილზეა მაშინ, როცა სწორი ნაწლავის კიბოს შემთხვევები ბევრად იშვიათია. თუმცა არსებობს მთელი რიგი რისკფაქტორებისა, რომელიც საერთო მახასიათებელია ორივე დაავადებისათვის.

გაზეთი „ასავალ-დასავალი“,
2002 წლის 23-29 დეკემბერი,
№50(53).

რა უნდა ვიცოდეთ კეთილთვისებიანი სიმსივნისა და მისი პროფილაქტიკის შესახებ?

- რა კატეგორიის ონკოლოგიური წარმონაქმნები განეკუთვნება კეთილთვისებიან სიმსივნეს?

- კეთილთვისებიან სიმსივნეს მიეკუთვნება ადამიანის სხეულის ქსოვილისა და ორგანოების ისეთი წარმონაქმნი, რომელიც ნელა იზრდება, არ ახასიათებს მაინფილტრებელი და დესტრუქციული ზრდა (ე. ი. არ ვრცელდება ირგვლივ მყოფ საღ ქსოვილებში). აგრეთვე მეტასტაზირება.

- არის თუ არა საშიში ხალეები?

- სხვადასხვა სახის ხალი ადამიანთა 92-98 პროცენტს აქვს. ხალეებიდან ავთვისებიანი სიმსივნე, საბედნიეროდ, იშვიათად, 2 პროცენტამდე შემთხვევაში წარმოიქმნება. ძირითადად გადაგვარებისაკენ მიდრეკილია ისეთი ხალეები, რომლებიც განიცდიან მუდმივ გალიზიანებას (ულტრაიისფერი სხივები, ტრავმა, ხანგრძლივი მექანიკური გალიზიანება და სხვ.).

- სხეულის რომელ ნაწილში შეიძლება განვითარდეს კეთილთვისებიანი სიმსივნე?

– იგი შეიძლება განვითარდეს ორგანიზმის ნებისმიერ ნაწილში და მისი წარმოშობა ნებისმიერი ქსოვილიდან შეიძლება მოხდეს.

– მკერდზე თუ ჩნდება კეთილთვისებიანი სიმსივნე?

– მკერდზე შეიძლება გაჩნდეს კეთილთვისებიანი სიმსივნე – ფიბროადენომა, კისტა, ცხიმოვანი სიმსივნე – ლიპომა და სხვა.

– არის თუ არა საშიში ორგანიზმისათვის კეთილთვისებიანი სიმსივნე?

– მკვეთრი ზღვარი ავთვისებიან და კეთილთვისებიან სიმსივნეებს შორის არ არსებობს. ზოგიერთ შემთხვევაში კეთილთვისებიანი სიმსივნის ზრდასთან ერთად შეიძლება ჩამოყალიბდეს მთელი რიგი ცვლილებები ადამიანის ორგანიზმში, რომელიც მოითხოვს რადიკალურ ქირურგიულ ჩარევას, თუმცა ხშირად კეთილთვისებიანი სიმსივნე მთელი სიცოცხლის განმავლობაში უვნებელია.

– რატომ უჩნდება კეთილთვისებიანი სიმსივნე ადამიანს, რა ინვეზს მას?

– კეთილთვისებიანი სიმსივნის განვითარებას ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, მავნე ჩვევები, ცხოვრების არაჯანსაღი რიტმი და სხვა.

– არის თუ არა მეჭეჭი კეთილთვისებიანი სიმსივნე?

– მეჭეჭი არ არის კეთილთვისებიანი სიმსივნე, იგი შეიძლება ვირუსული წარმოშობის იყოს. მეჭეჭების განვითარების შემთხვევაში ზოგჯერ საჭიროა დერმატოლოგის კონსულტაცია. ერთი რამ შემძლია ვთქვა, რომ კეთილთვისებიანი სიმსივნეც მოითხოვს სათანადო ყურადღებას და დროულ მკურნალობას.

– რამდენად ეფექტურია კარჩაულის სითხე, იყენებენ თუ არა მას დღეს ონკოლოგიაში?

– კარჩაულის სითხე ონკოლოგიაში დღესაც საკმაოდ ეფექტურია მეჭეჭების, ხორცმეტებისა და სხვა კეთილთვისებიანი პროცესების სამკურნალოდ, თუმცა ჯერ უნდა დაისვას ზუსტი დიაგნოზი (ციტოლოგიური, ბიოფსია და სხვა) და მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი ამ სითხის გამოყენება სპეციალისტის მიერ, რომელსაც აქვს სათანადო მომზადება და გამოცდილება. განსაკუთრებული სიფრთხილე გვმართებს პიგმენტური წარმონაქმნების (თანდაყოლილი და შეძენილი ხალების) დროს.

ონკოლოგიაში დღეს ხალების მოსაცილებლად შესაძლებელია გამოვიყენოთ ქირურგიული მეთოდიც – მოყინვა-კრიოთერაპია, ახლოფოკუსური რენტგენოთერაპია და ჩვენების მიხედვით ამ მეთოდების კომბინაცია.

შენიშვნა: საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ გვეარი ქარჩაული წლების განმავლობაში შეცდომით გავრცელდა საქართველოში. პროვინება, რომელმაც ონკოლოგიური სითხე შექმნა, იყო ქართველი ქიმიკოსი ამირან ზაქარიას ძე კარჩაული (ე.კ.).

– ხორცმეტი სახეზე ან მეჭეჭი შეიძლება თუ არა გადაიზარდოს ავთვისებიან სიმსივნედ და როგორ მოუაროს მას ადამიანმა, რომ არ გახდეს ის საშიში წარმონაქმნი?

– ყველა ხალი, რომელიც იზრდება, განიცდის მექანიკურ გალიზიანებას. შესაძლებელია მათ მოსაცილებლად გამოყენებულ იქნას როგორც კარჩაულის სითხე, ასევე სხვა მეთოდებიც, მაგრამ გადანყვებილება სპეციალისტმა უნდა მიიღოს.

– მზის ულტრაიისფერმა სხივებმა თუ შეიძლება მოახდინოს ხორცმეტის ან ხალის ავთვისებიან წარმონაქმნად გადაქცევის პროვოცირება?

– ულტრაიისფერმა სხივებმა და სხვა გარეგანმა ფაქტორებმა – ორგანიზმის შიდა ჰორმონალურმა ძვრებმა (სქესობრივმა მომნიფებამ, ორსულობამ, აბორტმა, პრეკლიმაქსურმა და კლიმაქსურმა პროცესებმა) შეიძლება ხელი შეუწყონ თანდაყოლილი და შეძენილი პიგმენტური წარმონაქმნების ავთვისებიანად გარდაქმნას. ხალის გადაგვარების ნაადრევი კლინიკური ნიშნებია: არსებული ხალის გამუქება ან გაფერმკრთალება, ზრდა, კონსისტენციის შეცვლა, ზედაპირზე ნახეთქების წარმოქმნა ან დაწყლულება, ხალის ირგვლივ მონითალო ფერის „ყაითნის“ განვითარება, პიგმენტური კვანძების გაჩენა სიმსივნის ახლოს ან მისგან მოცილებულ ადგილზე. ამ მოვლენების შემჩნევის შემთხვევაში საჭიროა სიფრთხილე და სპეციალისტთან კონსულტაცია. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება თვითმკურნალობა, ფიტოპრეპარატების ან მალამოების გამოყენება.

– თავის დროზე ბევრ ცნობილ ადამიანს, მაგალითად, ნატო ვაჩნაძეს, მიხეილ გორბაჩოვს და სხვებს აუკრძალეს ხალებისა და ზედმეტი წარმონაქმნების მოცილება, რატომ?

– გორბაჩოვს აქვს სისხლძარღვთა თანდაყოლილი კეთილთვისებიანი სიმსივნე – გემანგიომა, ხოლო ნატო ვაჩნაძეს ჰქონდა მრავლობითი კეთილთვისებიანი ხალი, რომლებიც, ჩემი აზრით, საკმაოდ უხდებოდა და ამშვენებდა მას. მიმაჩნია, რომ ექიმმა, ვიდრე დაინყებს ხალის მკურნალობას, უნდა დასვას ზუსტი დიაგნოზი. ხალიდან განვითარებულ ავთვისებიან სიმსივნეს – მელანომას

ექიმბაში, უცოდინარი ექიმი არც უნდა შეეხოს, ვინაიდან მელანომა სწრაფად განვითარებადი ავთვისებიანი სიმსივნეა და მისი არასწორი მკურნალობა შეიძლება საბედისწერო გახდეს.

– რა ასაკში სჯობს ზედმეტი წარმონაქმნის მოცილება, რათა იგი არ გაიზარდოს?

– ზედმეტი წარმონაქმნის მოცილება შესაძლებელია ყველა ასაკში და ამის აუცილებლობა უნდა გადაწყვიტოს სპეციალისტმა.

*მოამზადა ეთერ კასრელიშვილმა
გაზეთი „ასაველ-დასაველი“,
2003 წლის 13-19 იანვარი, №2(55).*



მშობლები – კონსტანტინე მაღიჩი და ქეთევან ცინცაძე

ოჯახური გარემო

მუდამ მემახსოვრება

კოტე მადრიხისნაირი ადამიანები იშვიათად მოიძებნებიან. ეს, ცხადია, უპირველესად განგებამ იწვებს – მოჰმადლა რა მას განსაკუთრებული ნიჭიერება და ადამიანური თვისებები. მაგრამ მასთან დაკავშირებით არანაკლებ ყურადღებას იმსახურებს წარმომავლობა, ოჯახური გარემო, რამაც დიდი როლი შეასრულა მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში.

მე, პირადად, ბედნიერება მხვდა წილად ნაწილობრივ დაკავშირებული ვყოფილიყავი იმავე გენეტიკურ ძირებთან, ვზიარებოდი იმავე ატმოსფეროს და, ფაქტობრივად, ერთი ოჯახის წარმომადგენლები ვყოფილიყავით.

კოტე მადრიხი ჩემი უახლოესი ნათესავი იყო დედის მხრიდან. მისი დედა – ქალბატონი ქეთევან ცინცაძე და ბაბუაჩემი კონსტანტინე ცინცაძე მკვიდრი და-ძმანი იყვნენ. წარმოშობით ცინცაძეები ლანჩხუთიდან იყვნენ, მაგრამ ლანჩხუთთან მათ კავშირი არ ჰქონიათ. ბაბუაჩემის მშობლები – დიმიტრი ცინცაძე და მატრონა კანდელაკი ფოთის მკვიდრნი იყვნენ, აქ დაოჯახდნენ და გაზარდეს ექვი შვილი. ორი ვაჟი – ნესტორი და კონსტანტინე, ოთხი ქალიშვილი – სოფიო, ქეთევანი, ნადია და ლიუდმილა. ვერ ვიტყვი, რა მატერიალური რესურსები გააჩნდა ცინცაძეების ოჯახს, ფაქტი კია, რომ ექვსიდან სამი შვილი მათ პეტერბურგში გაამწესეს უმაღლესი განათლების მისაღებად – უფროსი ვაჟი, ნესტორი, ბაბუაჩემი კონსტანტინე და ქალიშვილი ქეთევანი – კოტე მადრიხის დედა. სამივენი სწავლობდნენ ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. პეტერბურგის უნივერსიტეტის შემდეგ ეს მეორე უმაღლესი სასწავლებელი იყო თავისი მნიშვნელობით. მას დღემდე აქვს შემორჩენილი ძველი სახელწოდება და პოლიტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამისია. ბაბუაჩემის ოჯახში ინახებოდა წიგნი, რომელშიც აღრიცხული იყვნენ ამ ინსტიტუტის კურსდამთავრებულები, მათ შორის იყვნენ ცინცაძეები. პეტერბურგიდან და-ძმა ცინცაძეები „ხელდამშვენებულნი“ ჩამოვიდნენ. ქეთევანმა

ჩამოიყვანა მეუღლე კონსტანტინე სერგის-ძე მადიჩი, ხოლო ბაბუაჩემმა – ჩემი ბებია ოლგა ტაპილსკაია. ოირვენი – სიძეც და რძალიც საუცხოოდ შეეთვისნენ ქართულ გარემოს, გულით შეიყვარეს ნათესავ-მეგობრები და საყოველთაო სიყვარულიც დაიმსახურეს.

ცინცაძეები თავიანთ მშობლიურ ქალაქს – ფოთს დაუბრუნდნენ. სწორედ იმ დროს – გასული საუკუნის 10-ან წლებში – ფოთის ქალაქის თავი (დღეს რომ ქალაქის მერი ეწოდება) იყო ჩვენი დიდი სამოციანელი ნიკო ნიკოლაძე. იგი სათავეში ედგა ფოთის პორტის მშენებლობას. ჩამოვიდა თუ არა ნესტორ ცინცაძე, მაშინვე მიიწვია იგი მთავარ ინჟინრად პორტის მშენებლობაზე. ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ამშვენებს დიდი ფოტოსურათი, რომელზედაც გადაღებულია ნიკო ნიკოლაძე თავის თანამოაზრეთა შორის, მარცხენა მხარეს მას გვერდს უმშვენებს ნესტორ ცინცაძე. საგულისხმოა, რომ თბილისში გადმოსახლებული ნიკო ნიკოლაძე და ნესტორ ცინცაძე ერთ სახლში დასახლდნენ, დღევანდელ გ. ტაბიძის ქუჩაზე, №21 სახლში. ამ სახლს ამშვენებს სამი მემორიალური დაფა – ნიკო ნიკოლაძის, მისი ქალიშვილის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორის, ქ-ნ რუსუდან ნიკოლაძის და მისი მეუღლის – ისტორიკოსის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ნ. პოლიევქტოვისა. როდესაც ნესტორი გარდაიცვალა, ქ-მა რუსუდანმა მოიტანა გვირგვინი წარწერით: „ძველ ფოთის მშენებელს, ძვირფას ნესტორს – ნიკო ნიკოლაძის ოჯახისაგან“.

ფოთიდან ცინცაძეებმა მალე გადმონაცვლეს თბილისში. ქ-ნმა ქეთევანმა და ბაბუაჩემმა ერთ სახლში დაიდეს ბინა – რუსთაველის პროსპექტზე №24-ში, ლალიძის მალაზიის თავზე. დღეს ამ სახლს მემორიალური დაფა ამშვენებს უმცროსი კოტე მადიჩის – გამოჩენილი ონკოლოგის პატივსაცემად. ქეთევან და კონსტანტინე მადიჩები II სართულზე დასახლდნენ, კონსტანტინე და ოლგა ცინცაძეები – III-ზე. ამ ოჯახებს ერთი რამ განასხვავებდა გარემომოწყობაგან. მათ ქართულ კეთილშობილებასა და სიღარბაისლეს კონსტანტინე მადიჩისა და ოლგა ტაპილსკაიას მეოხებით ძველი პეტერბურგის ინტელიგენტური სულიც ერთვოდა. ამიტომაც მათი ოჯახები კიდევ მეტდ იზიდავდა იმდროინდელ თბილისურ საზოგადოებას.

მოგეხსენებათ, რა იყო ძველი რუსთაველის გამზირი – აქ საღამოობით სასეირნოდ გამოდიოდა ქართული ინტელიგენციის ელიტა. – ბევრი მათგანი ხშირი სტუმარი იყო ცინცაძეების ოჯახებისა.



კონსტანტინე მადიჩი შვილიშვილებთან – ერეკლე და ნინო
გამყრელიძეები, ზურა და კოტე ბოკუჩაევები

ქ-ნი ქეთევანი იყო უსაზღვროდ სტუმართმოყვარე, გულღია მასპინძელი, ასხივებდა სიტბოს და კეთილმოსურნეობას, ამასთანავე, მეტად თავმდაბალი, მას ვერ შეატყობდი, რომ პირველი ქართველი ქალი იყო, რომელმაც პეტრბურგში მიიღო საინჟინრო განათლება. დიდთან დიდი იყო, პატარასთან – პატარა, როგორც ჭეშმარიტ ინტელიგენტებს სჩვევიათ. ამიტომაც სარგებლობდა საყოველთაო სიყვარულით.

ასეთივე სათნოებით აღსავსე იყო უფროსი კონსტანტინე მადიჩი. ძნელი წარმოსადგნია, რომ მშობლიურ ნიადაგს სავესებით მოწყვეტილ ადამიანს არ ჰქონდეს მტკივნეული განცდა თავისი მდგომარეობისა, მაგრამ ბატონ კონსტანტინეს ამას ვერ შეატყობდით, იმდენად შეეისისხლბორცა იგი ქართულ გარემოს, თუმცა ქართული ენა ვერ შეითვისა, ისევე როგორც ბებიაჩემმა. ბატონი კოტე ძალიან ნიჭიერი კაცი იყო. მან თბილისში პირველი საპნის ქარხანა გახსნა. ახლაც ვგრძნობ მისი გაკეთებული საპნის სურნელს. ეს იყო სიგარეტის ქალაქლივით თხელი, გამჭვირვალე ერთჯერადი საპონი, რომელიც მგ ზავრობისას იყო მოსახმარი. ალბათ, დღევანდელ

დღეს ბატონ კონსტანტინეს ექნებოდა თავისი სანარმო, იქნებოდა წარმატებული ბიზნესმენი, მაგრამ საბჭოთა სისტემა ასეთ ადამიანს გაახარებდა? საბჭოთა წყობილებამდე ძმები ცინცაძეებიც ძალიან წარმატებულნი იყვნენ, შემდგომ კი მათ ყველა გზა გადაეკეტათ... ბაბუაჩემის ოჯახის ცხოვრება ტრაგიკულად წარიმართა. ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის თანაშემწემ თვალი დაადგა ჩვენების ბინას. ბაბუაჩემი გამოასახლეს და გაუყენეს ყაზახეთის გზას. მისი გადასახლება სამ ნელინადს გაგრძელდა. დანაშაულის არარსებობის გამო ბოდში მოუხადეს და დააბრუნეს, მაგრამ იმ არეულობამ დედაჩემის ძმა იმსხვერპლა, მას ტუბერკულოზი შეეყარა, რამაც 28 წლის ახალგაზრდის სიცოცხლე იმსხვერპლა. კოტიკო მადრინი იმ დროს უკვე სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი იყო. იგი თავს დასტრიალებდა თავის ბიძაშვილს, მზრუნველობას არ აკლებდა, მაგრამ რას გახდებოდა. ტუბერკულოზი ხომ იმ დროს უკურნებელი სენი იყო.

ქეთევანმა და კონსტანტინემ თავიანთ ქალ-ვაჟსაც იგივე სახელები დაარქვეს – ქეთო და კოტიკო, თუმცა უმცროს ქეთოს მთელი თბილისი იცნობდა, როგორც ტატა მადრის. ტატა ადრეული ყმანვილქალობიდან ყურადღებას იქცევდა თავისი გარეგნული მშვენიერებით. ქალაქში ერთ-ერთ ულამაზეს ქალად ითვლებოდა. მეგობრების მეტად ფართო წრე ჰყავდა – მათ შორის იყვნენ – ნინო რამიშვილი, ელენე ვირსალაძე, კიტი ნუცუბიძე, მედეა უზნაძე, ლიზა ბარნაბიშვილი, ელია კანდელაკი, ციცნა ჩოლოყაშვილი და კიდევ მრავალი წარმომადგენელი სახელოვანი ქართველი ინტელიგენციისა.

ტატა ცოლად გაჰყვა გივი მესხიშვილს – ბრწყინვალე ინტელიგენტს, გამორჩეულს როგორც ქართული რაინდული გარეგნობით, ასევე ღრმა ინტელექტით. ჩვენს ოჯახს ხშირად სტუმრობდნენ რუსი მწერლები, გივი და ტატა ამ თავყრილობების მონაწილენი იყვნენ. ერთ-ერთ ჩამოსულ სტუმარს მამაჩემისთვის უთქვამს – შენს სტუმრებს შორის ყველაზე მეტად მწერალი გივი მომეწონაო. მას ვერ წარმოედგინა, რომ პროფესიით ქიმიკოსი-ტექნოლოგი ასე ღრმად იცნობდა მსოფლიო ლიტერატურას. მესხიშვილები – ეს ხომ საგანგებო თემაა. დიდი ლადო მესხიშვილის შთამომავალთა შორის უმეტესობა ცალკე მონოგრაფიას იმსახურებს. ტატას და გივის სილამაზე გავრცელდა მათ ქალიშვილში – ნინკა მესხიშვილში. ქ-ნი ნინკა სპეციალობით არქიტექტორია – ასევე თავისი თაობის მშვენიება, საყოველთაო თაყვანისცემას რომ იმსახურებდა. დღეს ამ მშვენიების გამომხატველია ნინკას ქალიშვილი – ქეთუსია



ანა ციციშვილი, კოტე მადიჩი, ნინუკა გამყრელიძე, ლიზა ციციშვილი, ზურა და კოტიკო ბოკუჩავეზი, დგას ერეკლე გამყრელიძე

იგნატოვა. კოტე მადიჩი ყოველთვის სიამაყით წარმოთქვამდა თავისი დის და მის შთამომავალთა სახელებს.

როდესაც ჩემი მშობლები – თამარ ცინცაძე და ბესო ულენტი დაქორწინდნენ, კოტე მადიჩი პირტიტველა ყმანვილი იყო. მამაჩემს ის თავიდანვე ძალიან შეუყვარდა, კოტიკაც ასევე სიყვარულით პასუხობდა. ბავშვობიდანვე უყვარდა ნიგინი. ხშირად ბესოს რჩევას სთხოვდა, რა წაეკითხა ქართული ლიტერატურიდან. მამა ნიგინებს აძლევდა, შემდგომ თავისი აზრის გაზიარებას სთხოვდა. მეც ახალგაზრდობიდანვე კოტე სულ ნიგინით ხელში მახსოვს.

სკოლის შემდეგ კოტიკამ სწავლა სამედიცინო ინსტიტუტში გააგრძელა. აღმოჩნდა, რომ სწორედ ექიმობა იყო მისი მოწოდება. აქ გამოჩნდა მისი დიდი ნიჭი და მეცნიერული ალღო. ყველას გვახარებდა მისი სწრაფი წინსვლა და წარმატებული მოღვაწეობა ონკოლოგიაში. არაერთხელ მსმენია მოსკოვს გამგზავრებულ ავადმყოფებისაგან, დედაქალაქში რომ უთქვამთ მათთვის, იქ მადიჩი გყავთ და აქ რას მოფრინავთო.

კოტე აგვიანებდა დაოჯახებას და რაოდენ გავიხარე, ორდესაც გავიგე, რომ ზაირა ნიკოლაიშვილზე აპირებდა დაქორწინებას. მე და ზაირა ერთ სკოლაში ვსწავლობდით. ის ჩემზე რამდენიმე კლასით წინ იყო. მე ადრე ჩავები სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და წარმატებულ უფროსკლასელებთან ვმეგობრობდი. მათ შორის იყო ზაირა ნიკოლაიშვილიც. ზაირამ სანიმუშო მეუღლეობა გაუნია კოტიკას. შეუქმნა თბილი, ლამაზი ოჯახი, გაზარდა მშვენიერი, ჭკვიანი ქალიშვილები – ირინე და მარინე. კოტეს დიდად ეამაყებოდა თავისი სიძეები – სისხლძარღვთა ქირურგიის ან ალიარებული საეციალისტი მამუკა ბოკუჩავა და ქართული პოლიტიკური სპექტრის თვალსაჩინო წარმომადგენელი დავით გამყრელიძე. განსაკუთრებით ვუმაღლი ზაირას, რომ გააგრძელა მოსიყვარულე, გულთბილი ურთიერთობა ნათესავეებთან, არ დაგვაშორა მადიჩების ოჯახს უფროსი თაობის ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ. ზაირასა და კოტიკას ქორწინების შემდეგ წელიწადს მე დავქორწინდი მუსიკისმცოდნე ანტონ ნულუკიძეზე. კოტე და ანტონი ახალგაზრდობიდან იცნობდნენ ერთმანეთს და დიდად გაუხარდათ ჩვენი დამოყვრება. კოტიკოს აინტერესებდა ანტონის საუბარი მუსიკაზე, ხელოვნებაზე. როცა რამე მნიშვნელოვან თარიღს აღვნიშნავდით, კოტიკო და ზაირა მუდამ ჩვენთან იყვნენ.

თუ როგორი პროფესიონალი იყო კოტე მაღიჩი, ამაზე მისი კოლეგები ისაუბრებენ. მე მიხდა ხაზი გავუსვა მის ადამიანურ თვისებებს. ის იყო უაღრესად თავმდაბალი, ყურადღებიანი ადამიანი. არასოდეს გაგრძნობინებდა თავის აღმატებულებას, როცა უკვე საქვეყნოდ აღიარებული ექიმი გახდა. ჩემი ნაცნობ-მეგობრები, იცოდნენ რა ჩემი ახლობლობა მადიჩებთან, მე მომმართავდნენ, ვისაც კი ოდნავ რაღაც გაჰკრავდა მკერდში. კოტე ყველას დიდი ყურადღებით, დაუზარებლად, რა თქმა უნდა, უანგაროდ ხვდებოდა. ზოგჯერ ავადმყოფთან სახლშიც მიმყვებოდა.

სამწუხაროდ, ბებიაჩემი და მამაჩემიც ამ ავადსახსენებელი დავადების მსხვერპლნი გახდნენ. კოტე იყო გაჭირვების ტალკვესი, ჩვენი მუდმივი თანამგრძობი. მახსოვს, მამაჩემი წყნეთში იწვა უკვე ავადმყოფობის ბოლო ფაზაში. კოტიკო ხშირად ამოდიოდა მასთან. როდესაც მამა რაღაცას შეეკითხებოდა, კოტე პასუხობდა: „არ ვიცი, ბატონო ბესო, თქვენ ჩემი ავადმყოფი არ ხართ“. ამით მძიმე ავადმყოფს ცუდ ეჭვებს უქარვებდა.

როდესაც პირველ შვილზე ვიმშობიარე, პირველი კოტიკა შემოვიდა ჩემთან პალატაში წითელი ვარდებით ხელში. მე ის



ბაბუა და შვილიშვილები – ერეკლე და ნინო გამყრელიძეები

ისეთი მემახსოვრება მუდამ – სახეგაცისკროვნებული, სიკეთის და იმედის შემომტანი ყველასთან და ყოველთვის.

ნინო ულენტი

მე კოტიკა ძალიან მიყვარდა

რაც წლები გადის, სამწუხაროდ, იმ ადამიანთა რიცხვი სულ უფრო იზრდება, ვინც პირადად შენ, ძალიან დაგაკლდა, ვის გარეშეც ცხოვრებამ რალაც განსაკუთრებული ხიბლი და, რაც მთავარია, სიმყუდროვის, დაცულობის შეგრძნება დაკარგა, ვისაც შენ, უბრალოდ, უყვარდი და ვინც შენ გიყვარდა. ვისი, შენდამი ყოველგვარ ობიექტურობას მოკლებული დამოკიდებულებაც შენი ცხოვრების უდიდესი სტიმული და შემადგენელი ნაწილი იყო, ვისი სიტბოც, რომელშიც წლების მანძილზე ასე ნებივრობდი, აღარასდროს არაფრით შეიცვლება.

მაგრამ არსებობენ ისეთი პიროვნებები, რომელთა ადგილი, როლი, მნიშვნელობა, როგორც სუბიექტურად, პირადად შენთვის, ასევე მთელი საზოგადოებისათვის, თითოეული იმ ადამიანისათვის, ვისთანაც მას ერთხელ მაინც ჰქონდა შეხება, სრულიად აუნაზღაურებელია. დარწმუნებული ვარ, რომ კოტე მადიჩი, სწორედ ასეთ პიროვნებებს მიეკუთვნება. დარწმუნებული ვარ, რომ ამაში არავინ შემეკამათება და იგი, არავის, ვინც მას იცნობდა, არც მის მადლიერ პაციენტებს, არც ერთგულ მეგობრებს, კოლეგებს, არც მის მოსიყვარულე ოჯახის წევრებს არასდროს დაავინყდებათ.

ძნელია, მოიგონო შენთვის ძალიან საყვარელი, ახლობელი ადამიანი, რომლისგანაც სიყვარულის, სითბოს, ყურადღებისა და სიკეთის მეტი არაფერი გინახავს და რალაც გადაჭარბებულ, ზედმეტად სენტიმენტალურ სიტკბოში არ გადახვიდე. მეორე მხრივ, რომც გადახვიდე, მერე რა მოხდა? იმედია, მაპატიებთ. კოტე, ან როგორც ჩვენ ვეძახდით, კოტიკა ჩემი ოჯახის თითოეულ წევრს თავისებურად, გამორჩეულად უყვარდა, მისი, როგორც პიროვნების ფასი, ზუსტად იცოდა და ყოველთვის დაუფარავად გამოხატავდა ამას. კოტიკას გადაჭარბებული თავმდაბლობის მიუხედავად, ყველანი, ბაბუაჩემი, მამაჩემი, დედაჩემი... მისით ამაცობდნენ. მე ისეთ გარემოში გავიზარდე, ჩამოვყალიბდი, სადაც კოტიკა მადიჩი ბევრი მნიშვნელოვანის და, სამწუხაროდ, დღეს ძალიან დეფიციტურის სიმბოლო იყო: შინაგანი კულტურა, აღზრდა, უსაზღვრო სიკეთე, კეთილშობილება, თავმდაბლობა, სითბო, ახლობლის სიყვარული, ერთგულება, ღრმა პროფესიონალიზმი, ზოგიერთისთვის, შეიძლება, უხერხემლობად მიჩნეული, ინტელიგენტური სირბილე და ამ სირბილის მიუხედავად, მტკიცე, მყარი, ხშირ შემთხვევაში მკაცრი პრინციპები, ღირებულებები, ფასეულობები და მათ საფუძველზე განვლილი ცხოვრება.

კოტიკა ბებიჩემის, ტატა მადიჩის უმცროსი ძმა იყო, ბებიისა, რომელმაც გამზარდა და თავისი საყვარელი ძმის იდეალიზებული სახე ბავშვობიდან შთამინერგა. სულ პატარაობაში კოტიკას ბავშვური ცელქობების მოყოლით მაჭმევდა. კოტიკას ახალგაზრდობის თავგადასავლების მაგალითზე ყრმობაში მარიგებდა. მოგვიანებით კი, უკვე ზრდასრულ ასაკში, კოტიკას მაგალითზე კეთილშობილების, პროფესიონალიზმის, თითქოს მარტივი და ამავე დროს, ასეთი რთული ადამიანური ურთიერთობების მთავარ პრინციპებს, ცხოვრებაში აუცილებელ ჭეშმარიტ ფასეულობებს მინერგავდა, მასწავლიდა. რა ვისწავლე, არ ვიცი, მაგრამ, დღეს, როდესაც აღარც ტატა და

აღარც კოტიკა აღარ არიან, ეს გაკვეთილები, ჩემთვის, კიდევ უფრო ძვირფასი, მნიშვნელოვანი და მეხსიერებაში სათუთად შესანახი გახდა. დღეს, როდესაც საზოგადოება, სწორედ კოტიკა მადრიჩის მსგავსი პიროვნებების ღრმა, თითქმის კატასტროფულ სიმწირეს განიცდის, დღეს, როდესაც ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდსულოვნებამ, კეთილშობილებამ, კულტურამ, აღზრდამ ასეთი გაუფასურება განიცადა, დღეს, როდესაც ექიმის ვალი, პასუხისმგებლობა, პროფესიონალიზმი, საკუთარი საქმის ცოდნა და სიყვარული, პაციენტისადმი ჭეშმარიტი ჰუმანურობა, სულ უფრო და უფრო, იშვიათად გვხვდება, – ექიმის, მოქალაქის, მეგობრის, კოლეგის, ბაბუის... ძალიან, ძალიან თბილი, მოსიყვარულე და ყველასათვის ასეთი საჭირო კოტიკას ფასი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდა.

რა მაგონდება, როდესაც კოტიკას ვიხსენებ? უამრავი, იუმორითა და სითბოთი აღსავსე ყოფილი ნიუანსები. მისი მანქანის მართვა? მისი გამასპინძლება (კარებში შესვლას ვერ ასწრებდი, რომ უკვე რამე გემრიელს ვთავაზობდა)? ხელგაშლილობა? სამსახურის შემდეგ, გზად, ბებიჩემთან თითქმის ყოველდღიური მისი ვიზიტები ან, უფრო სწორად, ათწუთიანი შემოვლები. „დაგხედეთ. კარგად ხართ? ნავედი“? მისი შავი ბერეტი და ტატას კომენტარები – „Сними берет. Только его не хватало“? თუ მისი დარწმუნებული, ცოდნით, გამოცდილებით აღსავსე ტონი, როდესაც როგორც ონკოლოგს, ფაქტობრივად, განაჩენი გამოჰქონდა? თუ მამაჩემის რამდენიმესაათიანი ოპერაციის შემდეგ კოტიკას ანითლებული, დაღლილი სახე და განუსაზღვრელი ტკივილით აღსავსე, ცრემლმორეული თვალები? თუ ის, რომ ამ ვირტუოზული ოპერაციის შედეგად კოტიკამ მამაჩემს ათი-თორმეტი წლის სრულყოფილი სიცოცხლე აჩუქა? თუ ის, როგორ იბნეოდა, როდესაც საქმე ვინმე ახლობლის ოჯახის ნევრის რიგით ავადმყოფობას ეხებოდა. როგორ „პანიკორობდა“ და ბებიჩემი ამბობდა – „Не надо говорить Котику. Только психовать будет...“? თუ, მთელი ცხოვრება, რომელიც უამრავი, მშვენიერი, თბილი, ბედნიერებითა და უბედურებით, ერთგულებითა და თანადგომით გამორჩეული ნუთებისგან შედგება? თუ, უბრალოდ, კოტიკა მადრიჩის ყოვლისმთქმელი, მეტყველი, ცოცხალი, პლასტიკური, მგრძნობიარე, დახვეწილი, გრძელთითებიანი ქორურგის, გნებავთ, არისტოკრატიის ხელები?

უპირველესად რას ვიხსენებ? რა მაგონდება ყველაზე მეტად? არ ვიცი, ალბათ, ყველაფერი ერთად. უბრალოდ, მენატრება. ძალიან ხშირად მაგონდება – ყოფაში, გაჭირვებაში, სიხარულსა და წყენაში, ბედნიერებასა და უბედურებაში. დღეს, როდესაც მე

თვითონ, კარგა ხანია, ბავშვი აღარ ვარ, კოტიკა მადიჩის პიროვნებას კიდევ უფრო ვაფასებ, კიდევ უფრო მაკლია და სამწუხაროდ, ისიც ვიცი, რომ მის ადგილს ველარასდროს ვერავინ დაიკავებს. არსებობს დანაკარგები, რომლებიც არ ნაზღაურდება.

მე კოტიკა ძალიან მიყვარდა...

ქეთუსია იგნატოვა

დაუეცნყარი ადამიანი

ყველა მოგონება, რომელიც მე კოტე მადიჩთან (ჩვენს კოტიკასთან) მაკავშირებს, თუნდაც სასიამოვნო და სასიხარულო, ჩემთვის მაინც სევდისმომგვრელია, რადგან ის ბედნიერი დღეები აღარასოდეს დაბრუნდება.

ჩემი და კოტეს შვილების დაქორწინების პირველივე დღეებიდან კოტე, მისი არაჩვეულებრივი პიროვნული თვისებების გამო, ჩემთვის უახლოესი და უსაყვარლესი ადამიანი გახდა. თხემით ტერფამდე ინტელიგენტი, საინტერესოდ მოსაუბრე, იუმორის გრძნობით უხვად დაჯილდოებული, თბილი, ყურადღებიანი და ამავე დროს ჩემს მიმართაც კი, უცნაურად მორიდებული იყო...

ჩვენი ურთიერთობის რამდენიმე ეპიზოდს მოვიგონებ. მარინეს და დათოს ნიშნობის დღეს ძალიან აღელვებული იყო, თვალცრემლიანიც კი, ბუნებრივია, – ქალიშვილს ათხოვებდა. არ ვიცოდი, როგორ დამემშვიდებინა. მივედი მასთან და ვუთხარი – კოტიკ, ნუ ლელავ, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. გაეცინა, გადამეხვია და მითხრა, – რასაკვირველია, კარგად იქნებაო.

პირველი შვილიშვილის დაბადების მოლოდინში სამშობიაროში ერთად ვნერვიულობდით. როდესაც გვაცნობეს, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა და ქვეყანას პატარა ერეკლე გამყრელიძე მოეწვინა, კოტე სიხარულისგან ატირდა. იგი საერთოდ ძალიან გულჩვილი ადამიანი იყო.

ძალიან უყვარდა ჩემს ოჯახში გამართულ წვეულებებზე სტუმრობა. არაჩვეულებრივად მოილხენდა ხოლმე – ბევრ საინტერესო და სამხიარულო ამბებსაც გვიყვებოდა. მასთან ერთად სუფრასთან ყოფნა მართლაც ზეიმი იყო. ერთხელ ისე მოეწონა შეკრებილი საზოგადოება, რომ ადრე წასული ცოტა ხანში უკან მობრუნდა – თქვენთან ყოფნა მომინდაო. თუ დიდხანს ვერ ვხვდებოდით ერთ-

მანეთს, მე და იას ტელეფონით დაგვირეკავდა, მოგვიკითხავდა და გვესიყვარულებოდა. ჩვენ გვეამაყებოდა ერთმანეთი.

დიდი სიხარულით გვეგებებოდა თავის ოჯახშიც. განსაკუთრებით უხაროდა, როდესაც მის აგარაკზე – კოტორაანთკარში ვეწვეოდით ხოლმე. არ იცოდა, რითი ესიამოვნებინა ჩვენთვის და ხშირად ღამისთევით დარჩენასაც გვთხოვდა.

მოსაგონარი ბევრი მაქვს, მაგრამ, როგორც ვთქვი, ყველა ეს მოგონება, დიდ სევდას მგვრის. მე მადლობას ვწირავ ღმერთს, რომ ჩემი ცხოვრების არცთუ ისე მცირე მონაკვეთი გავატარე ამ არაჩვეულებრივ პიროვნებასთან, ჩემთვის უძვირფასეს და უსაყვარლეს ადამიანთან – დაუფინყარ კოტე მადრითან.

ერეკლე გამყრელიძე
საქართველოს ეროვნული აკადემიის
ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი.
25.10.08.

ერთი დღე ბაბუასთან ერთად

ძალიან მიჭირს მოკლედ გამოვხატო მთელი ის სიყვარული, მონატრება და ფიქრები, რაც მე ბაბუ კოტიკას მიმართ გამაჩნია. ბევრი ვიფიქრე იმაზე, თუ რა მომეყოლა ბაბუაჩემზე. ბევრის დაწერა შეიძლება მის პროფესიონალიზმზე, მართლაც რომ ტომეული შეიძლება გამოიცეს, მაგრამ ამ ყველაფერს ის ხალხი გიამბობთ, ვინც ჩემზე უკეთ იცის ბაბუს ესა თუ ის მიღწევა, ვისაც მასთან ერთად მთელი ცხოვრება აქვს გატარებული და, რაც მთავარია, ბებიაჩემი ზაირა, რომელიც დღემდე მისით ცხოვრობს. ბევრი ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე მომეგონებინა ერთი დღე, რომელიც ერთად გავატარეთ.

ზაფხულის ცხელი დილა იდგა. თბილისში ვიყავი და ერთი სული მქონდა თბილისის სიციხეს სადმე გავქცეოდი. ღამის ნაწვიმარი ისე აორთქლდა, რომ 11 საათისთვის ქუჩაში ერთი გუბეც კი აღარ იყო დარჩენილი. ყველა ჩემი მეგობარი ქალაქიდან იყო წასული, ზოგი ზღვაზე, ზოგი აგარაკზე თბილისის მახლობლად. პირველი საათისთვის ბაბუმ დამირეკა, დაღლილი ხმა ჰქონდა, როცა ვკითხე რაში იყო საქმე – მიპასუხა, რომ მანქანა გაუფუჭდა და ონკოლოგიურიდან პირდაპირ პროფილაქტიკაში ამოყო თავი.

წარმოვიდგინე სუფთად და გემოვნებით ჩაცმული ბაბუაჩემი მზუთიანი პროფილაქტიკის ეზოში 40-გრადუსიან სიცხეში – ეს ნამდვილად არ იყო მისი გარემო. ბაბუს მთელი ჩემი ბავშვობის განმავლობაში ჰყავდა ხორცისფერი ვოლგა, რომლითაც ძალიან ამაცობდა. სწორედ ჩემი დაბადების დღეს გამოიყვანა იგი. ყოველთვის საუკეთესო ფორმაში ჰყავდა, დღემდე კარგად მახსოვს ის სპეციფიკური არომატი, რომელიც ამ მანქანას თან სდევდა. სწორედ ამ მანქანაში ვიძინებდი ჩაჯდომისთანავე, ჩემს მუხსიერებაში ის დღემდე რჩება ყველაზე უსაფრთხო მანქანად, რომლითაც ოდესმე მიმგზავრია, ამაში ალბათ დიდი წვლილი მიუძღვის ბაბუაჩემის მართვის სტილს. ბაბუა საჭესთან არასოდეს ჩქარობდა, ბევრჯერ რომელიღაც ფიცხ მძღოლს გრძელი საყვირითაც კი გაუცილებია ჩვენი მანქანა. როგორც გითხარით, ეს მანქანა ჩემი ასაკის იყო და ისე, როგორც ყველა ხანშიშესული მანქანის, მისი გამოცვლის დროც მოვიდა. მე ძალიან განვიცადე ჩემი თანატოლის წასვლა, მაგრამ ბაბუამ ახალი SAAB-ი შეიძინა და ჩემმა დარდმაც ცოტახანს გასტანა. სწორედ ამ ახალ მანქანას დასტრიალებდა ბაბუაჩემი იმ ცხელი ზაფხულის დღეს. როდესაც ვკითხე, რითი შემძლო დახმარება და რატომ არ დამირეკა მანამდე ბაბუმ მიპასუხა: რომ უკვე ყველაფერი რიგზე იყო და ცოტა ხანში მანქანა ისევ „საბრძოლო“ ფორმაში იქნებოდა. მე მაინც ჩემსას არ ვიშლიდი, მაგრამ ბაბუმ მკითხა, ნავიდოდი თუ არა მასთან ერთად კოტორაანთკარში ჩვენს აგარაკზე, რომელიც ბებიაჩემმა და ბაბუაჩემმა პერესტროიკის ფონზე ააშენეს და იმით იყო განთქმული სამეზობლოში, რომ დანესებულ საბჭოთა სტანდარტებს არ ექვემდებარებოდა. რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი. ყოველი დღე, ამ აგარაკზე გატარებული, ჩემთვის და ჩემი დეიდაშვილებისთვის დღესასწაულის ტოლფასი იყო. ბაბუ შემითანხმდა, რომ გარკვეულ საათზე გამომივილიდა და მეც შევეუდექი მზადებას. ბაბუმ პუნქტუალურად მომაკითხა, SAAB-ში ჩავჯექი და გზას გავუდექით. ბაბუაჩემი განსაკუთრებულად კარგ ხასიათზე იყო, რაზეც ის მეტყველებდა, რომ მაგნიტოფონში თავისი საყვარელი ლუი არმსტრონგის აუდიოკასეტა ჰქონდა ჩართული და თვითონაც ლილინებდა, რაც, მართალი გითხრათ, ცხოვრებაში პირველად და საბოლოოდ ვნახე. არ შემიძლია უკომენტაროდ დავტოვო მისი ჩაცმულობა: აუტანელი სიცხის მიუხედავად, ბაბუაჩემი ძალიან მოდურად და ლამაზად იყო ჩაცმული, ეკეთა თავისი იშვიათი გამოშვების „ავიატორის“ სტილის მზის



შვილიშვილები – კოტე ბოკუჩაევა, ნინო და ერეკლე
გამყრელიძეები, ზუბა ბოკუჩაევა, პატარა ნიკუშა ბოკუჩაევა
(კოტორაანთკარი 2007 წ.)

სათვალე და ჰალსტუხიცი კი არ ჰქონდა შესხნილი. ვთვლი, რომ თუ საერთოდ რაიმენაირი ჩაცმის გემოვნება გამაჩნია, მთლიანად ბაბუაჩემის დამსახურებაა და სწორედ ის მაგალითი და გენები, რაც მან მომცა, განაპირობებს ჩემი ჩაცმულობის სტილს. მანქანაში გრილოდა, ლუი არმსტრონგის ჯადოსნური საყვირი მის სალონს ავსებდა და მე და ბაბუაჩემი გრილი აგარაკისკენ მიექროდით. მანქანის „ხელთათმანის სანახი“ გავხსენი და ბაბუს აუდიოკასეტების თვალთვრებას შევეუდექი, იქ იყო რეი ჩარლზი, ფრენკ სინატრა, ვესტსაიდის ისტორიის აუდიოკასეტა და სხვა მრავალი მუსიკალური განძი. ბაბუმ ჩემი ინტერესი შეამჩნია და მუსიკაზე დამიწყო საუბარი. მიყვებოდა თავისი ახალგაზრდობის ამბებს, როგორ უსმენდნენ მუსიკას გრამოფონებზე და რას უსმენდა იგი ჩემს ასაკში, მეც განაბული ვუსმენდი. მისი ნაამბობი ჩემთვის წარმოუდგენელ და ზღაპრულ წარსულს მოიცავდა, რომლის არაჩვეულებრივი მაგალითი იყო თვითონ ბაბუაჩემი. ლაპარაკ-ლაპარაკში საგურამომდე ისე ჩავედით, რომ ვერც კი შევეამჩნიე. მაღაზიასთან გავაჩერეთ, ბაბუ გადავიდა და ორ წუთში უკან დაბრუნდა. ერთი ბოთლი კოკა-კოლით ჩემთვის და ერთი ბოთლი

ლუდით თავისთვის. ორივემ სიამოვნებით მივირთვით ჩვენ-ჩვენი სასმელი და გზა განვაგრძეთ. ისევ წარსულს დავუბრუნდით, ამჯერად მე ვსვამდი კითხვებს და ათასჯერ მოყოლილ ჩემთვის საყვარელ ამბებს ვაყოლებდი ბაბუაჩემს. მან მიაშობ დედაჩემის და დედაჩემის ბავშვობის თავგადასავლები, როგორ იმგზავრეს ერთად მოსკოვში და როგორ სეირნობდნენ ნავით მდინარე „მოსკვაზე“. ლუი არმსტრონგმა ამონურა აუდიოკასეტის ორივე მხარე და ჩვენც მივალნიეთ ჩვენი მგზავრობის მიზანს, ჩვენს სახლს და მის წინ მდგომ უზარმაზარ მუხას. აგარაკზე ბევრი ხალხი დაგვხვდა, ბაბუ დაუყოვნებლივ საქმეში ჩაერთო და ბალის მორწყვას შეუდგა; კოტორაანთკარში არაჩვეულებრივი ვარდები გვქონდა, რომელსაც ბაბუ მუდამ უვლიდა, ვარდებმა ბაბუაჩემის წასვლა თითქოს ვერ გადაიტანეს და დღეს არც ერთი მათგანი აღარ შემოგვრჩა. მეც ბავშვებში გავერეი და მათთან ერთად კალათბურთის თამაშს შევყევი.

მე და ბაბუაჩემს ბევრი დრო გავგიტარებია ერთად, მაგრამ ეს მგზავრობა განსაკუთრებულად დამამახსოვრდა, – ეს იყო ბოლო შემთხვევა, როდესაც მე და ბაბუაჩემი მარტო ვიყავით. თვე-ნახევარში ბაბუ უკვე ჩვენთან აღარ იყო, მაგრამ იგი ყოველთვის დარჩება ჩემთან და როდესაც ლუი არმსტრონგის „What a Wonderful World“-ს მოვკრავ ყურს, ყოველთვის მახსენდება ჩვენი მგზავრობა ზაფხულის ერთ ცხელ დღეს.

ერეკლე გამყრელიძე

ჩემი კოტიკა

უფალს მადლობა უნდა შევწირო, რომ მარგუნა ის ბედნიერება, რასაც კოტიკა მაღიჩი ჰქვია. ბევრისთვის ის ბატონი კოტიე, ან, უბრალოდ, კოტიე იყო, ჩემთვის კი კოტიკა. მასთან ერთად გატარებული 40 წელი დაუეინყარია ჩემთვის. ბედნიერი ვარ, რადგანაც კოტიკამ დიდი სიმდიდრე დამიბოვა – კარგი შვილები, სიძეები და საყვარელი და არაჩვეულებრივი შვილიშვილები.

კოტიკა ინტელიგენტურ ოჯახში გაიზარდა, მის მამას არ მოესწრებოდა, მაგრამ დედა – ქეთევან ცინცაძე – არაჩვეულებრივი ქალი იყო; მას ქუთაისის გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული და შემდეგ სწავლა პეტერბურგის ქალთა საინჟინრო ინსტიტუტში გააგრძელა, სადაც



სვეტლანა სპირინა, კოტე მაღიჩი, ზაირა ნიკოლაიშვილი
საქართველოს და ევროქვეყნების ონკოლოგთა კონგრესი,
ბათუმი 1996 წ.

შეხვდა კოტიკას მამას. ისინი სანკტ-პეტერბურგში დასახლდნენ, შეიძინეს ბინა „на Васильевском острове“, ხოლო აგარაკი ლიგოვოში, მაგრამ რევოლუციამ აიძულა ისინი, დაეტოვებინათ პეტერბურგი. დეიდა ქეთომ თავისი მეუღლე და ულამაზესი ქალიშვილი, ტატა მაღიჩი თბილისში ჩამოიყვანა, თან თავისი აგარაკის სურათებიც ჩამოიტანა, რომლებსაც სიცოცხლის ბოლომდე სასოებით ინახავდა, – დაბრუნების იმედი ჰქონდა... დეიდა ქეთო პირველი ქართველი ქალი იყო, რომელსაც არქიტექტორის დიპლომი ჰქონდა. იგი ბუნებით ქველმოქმედი იყო და კიდევაც არის მოხსენიებული საქართველოს კათალიკოს კალისტრატე ცინცაძის დღიურებში. კალისტრატე ცინცაძე კოტიკას ნათლია იყო, რაც ძალიან ეამაყებოდა მას.

კოტიკაზე შემოძლია უსასრულოდ ვილაპარაკო. ხშირად ვფიქრობ, როგორ ახერხებდა ყველაფერში ასეთი გამორჩეული და მისაბაძი ყოფილიყო? რაღაცნაირი იყო, თავისებური, სუფთა, უმეტესად განონასწორებული, არაჩვეულებრივად თბილი, ჩუმიც და მხიარულიც, საოცარი იუმორის პატრონი, ზედმეტად მორიდებულიც, მეგობრული, საოცარი მოკითხვა იცოდა,

მონესრიგებული, შრომისმოყვარე, ვერ იტანდა ტყუილს, სულით ხორცამდე ინტელიგენტი და ეს თვისება მასთან ყოფნისას ყოველთვის მყლავნდებოდა. არ მახსოვს როდესმე კარებში პირველი გასულიყო, ზოგჯერ ვბრაზდებოდი კიდეც ამაზე, – როცა სადმე გვაგვიანდებოდა. იგი არაჩვეულებრივი შვილი, მეუღლე, მამა და ბაბუა იყო. მიუხედავად დაძაბული შრომისა, ყოველთვის ტკბილი და ყურადღებიანი იყო ოჯახის, შვილების, ახლობლებისა და მეგობრების მიმართ.

ავადმყოფებთან დამოკიდებულება კიდეც სხვა თემია. ალბათ ჩემგან მისი ამდენი ქება უხერხულიცაა, მაგრამ მართლა ასეთი იყო!..

მახსოვს, ახალი შეუღლებულები ვიყავით, მოვსეირნობდით რუსთაველზე. მას ვილაც ქალბატონი შეხვდა, მიესალმა და გამაცნო. როცა დავშორდით, თავისთვის ჩაილაპარაკა: „აქ 5 წელი რომ მოვიგო, ხომ დიდი ბედნიერებააო“. ამ სიტყვებმა ძალიან გამაოცა, ვერაფერს მივხვდი, მაგრამ გავიდა წლები და ჩემთვის გასაგები გახდა მისი ნათქვამი. ზოგჯერ მისი დამოკიდებულება პაციენტისადმი მაბრაზებდა კიდეც და ბევრჯერ მითქვამს: „შენ შენი ავადმყოფები უფრო გიყვარს, ვიდრე ჩვენ.“ მომიფერებოდა და გაიცინებდა.

მახსენდება კიდეც ერთი გურჯაანელი ქალი, რომელიც თურმე კოტიკას პირველი ნაოპერაციები იყო. ყოველ 6 ნომბრისთვის (კოტიკას დაბადების დღისთვის) მოგვართმევდა პატარა ამანათს – რამდენიმე ჩურჩხელას, ყურძენს და აუცილებლად სამამთროს მწნილს. ამ ქალბატონს კოტიკა არც კი ხვდებოდა, მაგრამ სამსახურიდან მოსვლისთანავე აუცილებლად იკითხავდა, იყო თუ არა ის „გურჯაანელი“, – ამით იგი ალბათ ავადმყოფის მდგომარეობასაც ამონებდა და თითქოს ამ დაავადებისადმი განუელ წინააღმდეგობასაც. გავიდა რამდენიმე ათეული წელი (30 თუ 40), ეს ქალი აღარ ჩანდა, გადაგვაგინწყდა კიდეც. ერთ დღეს კოტიკა ცუდ ხასიათზე მოვიდა სამსახურიდან (ეს მას იმწუთასვე ემჩნეოდა), ხმა არ ამოუღია და ბოლოს მითხრა, რომ სამსახურში ის „გურჯაანელი“ ყოფილა მასთან, ქალიშვილი მოუყვანია. ქალბატონი კი კარგად იყო, მაგრამ მისი შვილის მდგომარეობაზე წუხდა – თვითონ კი დროზე მოვიდა და კარგად არის, შვილმა კი დააგვიანაო.

მაოცებდა კოტიკა სახლში ბავშვების ავადმყოფობისას – თვითონ ხომ ექიმი იყო – „ამ საქმეს შენ უკეთ უძღვებიო“ მეტყოდა ხოლმე, მიუხედავად იმისა, რომ მან თითქმის უშეცდომოდ იცოდა

დიაგნოზის დასმა (ყველა მიმართულებით მკურნალობის სწორი გზის შერჩევა). სრულიად სხვანაირი იყო თავის ავადმყოფებთან. ზოგჯერ რატომღაც თვლიდნენ, თითქოს ის მკაცრი იყო, მაგრამ სინამდვილეში ძალიან თბილი იყო მათ მიმართ და ყურადღებიანი. როცა სახლში კაბინეტიდან გამოდიოდა უსიტყვოდ და დიდხანს იბანდა ხელს, ვგრძნობდით, რომ ავადმყოფს საკმაოდ რთული მდგომარეობა ჰქონდა, მასაც უჭირდა ალბათ, – გეგმავდა, როგორ დაერიგებინა ავადმყოფი. როცა გამოვიდოდა და ილიმებოდა, ვიცოდით, მასაც უხაროდა, რომ ავადმყოფი დროზე მოვიდა. იცოდა თქმა: დაგვიანებული აპენდიციტიც კი ძალიან საშიშიაო. ავადმყოფების დიდი სიყვარული და პატივისცემა წერილებიდანაც ჩანდა, რომლებსაც იგი თითქმის ყოველდღიურად იღებდა. მახსენდება ბათუმი – 72 თუ 73 წელი იყო. გადაწყვიტეთ, ბავშვები ბოტანიკურ ბაღში წაგვეყვანა. ჩავსხედით ავტობუსში, მაგრამ მალე მძღოლს სთხოვა, ავტობუსი გაეჩერებინა და ჩამოგვიყვანა. გვთხოვა დავლოდებოდით. ვერაფერს მივხვდით, თვითონ უკან გაბრუნდა და ცოტა ხანში დაბრუნებულმა გვითხრა, რომ ავტობუსიდან დაუნახავს ბავშვი, რომელიც დედას მიჰყავდა. მას არ მოეწონა ბავშვის ხალი და დედას ურჩია თბილისში ონკოლოგიურში მიეყვანა იგი. ის ქალი სექტემბერში ჩამოსულა ბავშვით თბილისში და ონკოლოგიურის ყველა განყოფილება დაუვლია (კოტიკას გვარი არ იცოდა), სანამ კოტიკას იპოვნინდა. კოტიკამ ბავშვს უპატრონა – ჩააბარა სამკურნალოდ ექიმს. ყველას ეგონა, რომ იგი მისი ახლობელი იყო, მხოლოდ მკურნალობის დამთავრების შემდეგ მოუყოლია ეს ისტორია.

საოჯახო საქმეებიდან სრულიად თავისუფალი იყო და ამით თვითონაც კმაყოფილი იყო, მაგრამ ზოგჯერ ვთხოვდი რაიმე პროტექციას. საშინლად არ უყვარდა ვინმესთვის რაიმეს თხოვნა, შენუხება, თვითონ კი, თუ შეეძლო პირადად რაიმეს გაკეთება, თავს არ დაზოგავდა. მახსოვს, ძალიან მინდოდა ინსტრუმენტის შეძენა (თბილისში კი ეს თითქმის შეუძლებელი იყო). ვიცოდი, იმ დროს ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრის დირექტორი მისი ნაცნობი იყო (ფეხბურთს ერთად თამაშობდნენ), ამიტომ ხშირად ვახსენებდი ჩემს სურვილს და პროტექციას ვთხოვდი – სასტიკ უარს მეუბნებოდა. ერთხელ შემთხვევით იმ სავაჭრო ცენტრში შევედი, რა თქმა უნდა, მე ჩემი თხოვნა გავიმეორე; ჩემდა გასაოცრად, წინააღმდეგობა არ გამიწია და უსიტყვოდ წავიდა დირექტორთან, მაგრამ ძალიან მალე დაბრუნდა გაბრწყინებული სახით.

დარწმუნებული ვიყავი, რომ თხოვნა შემისრულა. როცა ვკითხე შედეგის თაობაზე, გაცილებულმა მიპასუხა – გუშინ გაუთავისუფლებიათო. გავიდა წლები და ერთ სალამოს კოტიკამ მითხრა, ახლობელი მოიყვანს მეუღლეს შემონმებაზე (ოპერაცია უკვე გაკეთებული ჰქონდა) და სახლში რაიმე გქონდეს. ეს ახლობელი ის „დირექტორი“ ყოფილა და მთხოვა, არაფერი მეთქვა, მაგრამ ამჯერად პირობა დავარღვიე...

კოტიკას ძალიან უყვარდა სტუმრობა, არ უყვარდა თამაძობა, არც სიმღერა შეეძლო, მაგრამ ცეკვაში არავის უთმობდა ასპარეზს. შეიძლება მთელი ქეიფი ეცეკვა, ქეიფის დროს არც ერთ ქალს არ ტოვებდა, რომ არ ეცეკვა მასთან. ვეტყვოდი ხოლმე, – მეტისმეტს ხომ არ აკეთებ-მეთქი, მაგრამ თავისას არ იშლიდა. სახლში ხშირად შვილიშვილებსაც აიყოლიებდა ცეკვაში.

კოტიკა არაჩვეულებრივი მონესრიგებული იყო სახლშიც და გარეთაც. მართლაც სამაგალითო იყო, კარგი გაგებით პრანჭიაც და შვილიშვილებს დღესაც ხშირად ვაგონებ ბაბუს ამ თვისებას. შვილიშვილები ყველას უყვარს, მაგრამ რალაც სხვანაირი სათნო დამოკიდებულება ჰქონდა მათდამი, არ იცოდა ზედმეტი დარიგება, არც ზედმეტად მისცემდა შენიშვნას. შვილიშვილები კარებში ბაბუტას რომ დაიძახებდნენ გაბრწყინებული სახით ეგებებოდა, ცდილობდა მათი სურვილები ყოველთვის დაეკმაყოფილებინა. მწყინს, რომ ჩვენი ნაბოლარა ნიკუშა (მეხუთე შვილიშვილი) ვერ მოესწრო ბაბუს – ბევრი რამ დააკლდა ბაბუსგან ნიკუშას... ძალიან ტკბილად მახსენდება კოტიკასთან ერთად გატარებული ზაფხულის დღეები კოტორაანთკარში – მას ძალიან უყვარდა ბავშვებთან ერთად იქ ყოფნა. კოტიკამ სპეციალურად გამოუყო ბავშვებს ეზოში დიდი ფართი – ფეხბურთის მოედნად და დღესაც თამაშობენ ბავშვები იქ ფეხბურთს, არც მამუკა და დათო აკლდებოდნენ ამ თამაშს. თითქმის მთელი კოტორაანთკარის ბავშვები იყრიან აქ თავს. კოტიკა სავარძელში იჯდა – კითხულობდა – და თვალყურს ადევნებდა მათ თამაშს. იქვე დათოს ინიციატივით გაკეთდა პატარა კალათბურთის მოედანი, სადაც ძალიან უყვარდა მას კალათბურთის თამაში. კოტიკას თამაშში ჩართვა განსაკუთრებულ მზიარულებას იწვევდა.

აცვივდებოდა თუ არა, სალამოს იწყებდა მზადებას ბუხრის ასანთებად – ეს განსაკუთრებული რიტუალი იყო. ააგიზგიზებდა ბუხარს, გვერდზე მოისვამდა ბავშვებს და უყვებოდა სპორტულ თავგადასავლებს. ბიჭებიც დიდი ინტერესით უსმენდნენ.

კოტიკას არაჩვეულებრივი სამეგობრო წრე ჰყავდა. რომელი ერთი მოვიგონო: ზურა ზოდელავა თავისი უმშვენიერესი მეუღლით უუუუნა ბახტაძით, ზურიკო კობახიძე, კორნელი კეკელიძე, ცოტნე ჩხიკვიშვილი, დევიკო დათეშიძე, რეზო ხოფერია, მერი გელოვანი, ეთერ მოდებაძე... საუბედუროდ, არც ერთი არ არის ცოცხალი. ლევან ჭაჭიაშვილთან მეგობრობდა, ნანო თუხარელთან, ვახტანგ ხუციძესთან (წოპესთან). ძალიან უყვარდა წოპე თავისი საყვარელი მეუღლით ნუნუ ხარებავათი. ხშირად ვხვდებოდით – ნუნუ უფრო ახლობელიაო, ნუნუ კი მპასუხობდა: „Мы русскоязычные друзья“ (ორივეს რუსული სკოლა ჰქონდა დამთავრებული). ჩვენი ეს თბილი ურთიერთობა იმანაც განაპირობა, რომ დაენათესავდით – უუუუნა ბახტაძე და მერი გელოვანი ირინეს ნათლიები იყვნენ, კოტიკა მანანა კეკელიძის და მაიკო ხუციძის ნათლია იყო. მართალია, ბევრი მეგობარი ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ მათ ოჯახებს და შვილებს ყურადღებას არ აკლებდა და ამ დამოკიდებულებას ჩვენი შვილებიც აგრძელებენ.

მახსენდება: ერთხელ მანქანით მივდიოდით, რალაც ვკითხე ონკოლოგიურ დაავადებაზე და მანქანაში ისეთი ლექცია წამიკითხა, რომ დამუნჯებული და აღფრთოვანებული ვუსმენდი და ბოლოს კიდევ ვუთხარი – ახლა კი ვხვდები, რატომ არიან შენი ლექციით აღფრთოვანებულები-მეთქი.

ონკოლოგიით ცხოვრობდა, ონკოლოგიაზე რომ ლაპარაკობდა, სახე უბრწყინავდა. როგორც ექიმი, სხვის აზრსაც ითვალისწინებდა. ოპერაციიდან ისე არ გამოვიდოდა, რომ მადლობა არ გადაეხადა ყველა დამხმარესათვის. უყვარდა ონკოლოგიური საავადმყოფო, თითქმის ყველა თანამშრომელს ტკბილად მოიხსენიებდა, არც ვიცნობდი ზოგს, მაგრამ ვიცოდი მათი არსებობა. ვერავისზე ცუდს ვერ ათქმევინებდი, ზოგჯერ მაოცებდა, როცა ცდილობდა ცუდი საქციელის გამართლებას. სამსახურში ძალიან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა ახალგაზრდებთან, განსაკუთრებით აფასებდა პროფესიონალი ზმს, პროფესიონალს ბევრ რამეს პატიობდა. შემოძლია ვთქვა, რომ ახალგაზრდებს ტოლს არ უდებდა. თვითონაც ახალგაზრდული იყო ბოლომდე. ცდილობდა ახალგაზრდებისათვის დახმარება გაენია. იცოდა თქმა – მე ბევრი რამ კონიამ მასწავლა (ვეფხვაძემ) და მეც უნდა ვასწავლო მათო.

ოპერაციისთვის განსაკუთრებულად ემზადებოდა, ხშირად გვიან ღამით გადმოიღება წიგნებს, რალაცას გადახედავდა, აუცილებლად გადაშლიდა „оперативная хирургия“-ს, ზოგჯერ რალაცას ხაზავდა. მე მიკვირდა და კიდევ ვუბნებოდი – ამდენ ოპერაციას აკეთებ

და კიდევ წიგნში იხედები-მეთქი? ის კი მპასუხობდა – „ყველა ადამიანი ინდივიდუალურია, რამდენი ადამიანიცაა, იმდენი კიბოა და ხომ უნდა ვიყო მზადო“ ზოგჯერ თავის ნაოპერაციევ ავად-მყოფს ვერ ცნობდა, მაგრამ როგორც კი შეხედავდა განაკვეთს, იმ წუთს იტყოდა, ეს ჩემი ნაოპერაციევიაო.

რამდენი რამე მაქვს მოსაგონარი. მაგონდება კოტიკას თვალები და ხელები. თვალები მართლაც ლამაზი, ღრმა და ხშირად სევდიანი ჰქონდა. ასეთი თვალები ჩვენს გოგოებსაც გამოჰყვათ – მე მას მაღიჩის თვალებს ვეძახი. განსაკუთრებით მოცუბდა მისი თითები – ურბილესი და მგრძნობიარე თითის ბალიშები – ეს უფლის მაღლი იყო. ხშირად ვეუბნებოდი: აი, ეს თითები გეხმარებიან სწორი დიაგნოზის დასმაში-მეთქი. რა თქმა უნდა, მარტო თითები ვერაფერს იზამდა, აქ მას გამოცდილება, მახსოვრობა და ბუნებით მომადლებული ინტუიცია შველოდა.

ხშირად, საღამოობით ვიგონებ ჩვენს ერთად გატარებულ დღეებს. განსაკუთრებით ტკბილად რუსთაველი მახსენდება, სადაც ცხოვრების მრავალი წელი გავატარეთ. მაგონდება კონფერენციები თუ ყრილობები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქსა თუ უცხოეთში. ხშირად დავყვებოდი მას ამ ყრილობებსა თუ კონფერენციებზე, სადაც აუცილებლად ლევან ჩარკვიანიც მოდიოდა. არაჩვეულებრივი



მაღიჩების აგარაკი ლიგოვოში (ლენინგრადთან)

დამოკიდებულება ჰქონდათ კოტიკას და ლევანს, ხშირად იგონებდნენ ერთმანეთზე სხვადასხვა სასაცილო ეპიზოდებსაც.

ერთხელ მოსკოვში ყრილობაზე წავედით კოტიკა, ლევანი და მე. ლევანი მგ ზავრობისას მართლაც არაჩვეულებრივი იყო, ყველა თხოვნას შეგისრულებდა. კოტიკას საშინლად არ უყვარდა მალაზიებში სიარული, მთელი დღე ონკოლოგიურ ცენტრში იყო, მე კი გოგონებისთვის საჩუქრების ყიდვა მინდოდა, ამიტომ საყვედურს ვუბნებოდი. ერთხელ დიდი თხოვნის შემდეგ დამთანხმდა, წამომყვებოდა, მაგრამ სამაგიეროდ მე უნდა წავეყოლოდი სხდომაზე – იმ დღეს მას მოხსენება ჰქონდა. დარბაზში მას და ლევანს ადგილები პირველ რიგში ჰქონდათ, მაგრამ მართო არ დამტოვა და მე-7 თუ მე-8 რიგის განაპირა სკამებზე დავსხედით. სესიას აკადემიკოსი ბლოხინი ხელმძღვანელობდა. კოტიკა ჩუმად იჯდა, ჩემს შეკითხვებს არც კი პასუხობდა. როდესაც ბლოხინმა გამოაცხადა „слово предоставляется нашему Константину Константиновичу“ (კიდევ გამიკვირდა, უგვაროდ რომ ახსენა), კოტიკამ უცებ ადგილიდან ხმამაღლა დაიწყო თავისი მოხსენება – ეს ისეთი მოულოდნელი იყო, რომ როცა ტრიბუნაზე ავიდა, აუდიტორიამ ტაში დასცხო და ყველანი ფეხზე ადგნენ, კოტიკა კი გაოცებული იდგა ტრიბუნაზე, – იმდენად გატაცებული იყო თავისი მოხსენებით, რომ ვერც მიხვდა ამ აპლოდისმენტების მნიშვნელობას. მერე ლევანი აბრაზებდა – შენ განგებ მოიქეცი ასეო. კოტიკას მაშინ ვკითხე, რას ნიშნავდა „наш Константин Константинович“-მეთქი და გაღიმებულმა მიპასუხა: „ლენინგრაძელები თვლიან, რომ მე ლენინგრაძელი ვარ (დისერტაცია მან იქ გააკეთა), მოსკოველები თვლიან, რომ მე მათი მონაფე ვარ, მე კი კონია ვეფხვადის მონაფე ვარო“. იგი მართლაც დიდ პატივს სცემდა თავის მასწავლებელს. ზოგჯერ ავადმყოფის მკურნალობის გზის განხილვისას, მსჯელობის დროს თურმე იტყოდა კიდევ: ამას კონია ასე გააკეთებდა და მეც ასე უნდა გავაკეთოო.

მასხენდება ასევე ონკოლოგთა ყრილობა რუმინეთში; ყრილობაზე მომხსენებელი მართო კოტიკა იყო, ამიტომ დილიდან საღამომდე ის სხდომებს ესწრებოდა. ქართული დელეგაცია მრავალრიცხოვანი იყო. ერთ კვირა დღეს დელეგატებმა გადანიყვიტეს დაეთვალაიერებიანათ „მუზეუმი ღია ცის ქვეშ“. რა თქმა უნდა, კოტიკაც წამოვიდა. მუზეუმის დათვალაიერებისას შემოგვხვდა იუგოსლავების დელეგაცია (მაშინ მათ ასე უწოდებდნენ). ჩვენს დელეგაციას გამოეყო მიტო ნანობაშვილი და იუგოსლავებს განუცხადა „среди нас находится ваш земляк товарищ Мадич“. იუგოსლავებმა მას ყურადღება არ

მიაქციეს. კოტიკა განითლდა (ხშირად იცოდა განითლება) და მიტოს დიდი საყვედური უთხრა. გავაგრძელეთ სვლა და ისევ აღმოვჩნდით ამ იუგოსლავების წინ და მოულოდნელად მიტო ამოუდგა გვერდით კოტიკას და სერბებს მიუთითა კოტიკაზე: „Вот товарищ Мадия“. ყველამ შემოგვხედა, ერთმა სერბმა კი მას დამტვრეული რუსულით უპასუხა: „Он не товарищ, он господин“.

კოტიკა მიუბრუნდა მიტოს და ხუმრობით უთხრა: ხომ ხედავ, ბოდიშობით უნდა მელაპარაკო, ბევრს ვიცინოდით კოტიკას ამ პასუხზე. მართლაც მაღიჩის გვარი ხომ სერბთა ბრწყინვალე თავადების წარმომადგენელია, მაგრამ მიუხედავად ამისა, როცა კოტიკას ეკითხებოდნენ, სადაური ბრძანდებითო, იგი ძალიან ბრაზობდა და პასუხობდა – „მე ქართველი ვარო“.

იგი მეგობრობდა მოსკოველ და ლენინგრადელ ონკოლოგებთან. საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქალაქების ონკოლოგიური დაწესებულებების ონკოლოგებთან ურთიერთობდა. ყველანი დიდ პატივს სცემდნენ მას.

კოტიკა და სპორტი ხომ მისი ცხოვრების ცალკე ფურცელია. სკოლიდანვე დაიწყო ჯერ ფეხბურთის და მერე კალათბურთის თამაში, ხოლო სტუდენტობის დროს თბილისის დინამოს კალათბურთელთა გუნდის წევრი იყო და ხშირად სიამაყით იხსენებდა სპორტში გავლილ წლებსაც. დევიკო დათეშიძემ იცოდა თქმა – კოტიკა ლექციაზე ყოველთვის ყავისფერი პატარა ჩემოდნით ცხადდებოდა, რადგან იქიდან კალათბურთის სათამაშოდ მიდიოდა კიროვის პარკში და ჩვენც ხშირად მივყვებოდითო ან შეჯიბრებებზე მიფრინავდაო. იგი თვლიდა, რომ სპორტმა მას ბევრი დადებითი თვისება მისცა, უპირველეს ყოვლისა კი სწრაფი რეაგირების უნარი – რაც ოპერაციის დროსაც მეხმარებო. შემდეგ იყო დინამოს (ფეხბურთელების) ექიმი, ხოლო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მთლიანად ონკოლოგიაში გადაერთო, მაგრამ იმ პერიოდის სპორტსმენებს სიყვარულით და სიამაყით იხსენებდა.

ხშირად ვისმენდი მის ქებას, გამოთქვამდნენ მისდამი მაღლიერებას, თითქოს შეჩვეულიც ვიყავი ამას, მაგრამ ზოგჯერ გვარი უხერხულობაშიც მაგდებდა. თვითონ იცოდა თქმა, თუ საქმის გაკეთება უნდა, მაღიჩიაო, ისე კი ნიკოლაიშვილიაო. რამდენი რამ მაქვს გასახსენებელი: კოტიკასთან გატარებული ცხოვრების მოსაგონებლად ალბათ ერთი წიგნიც არ მეყოფა – 40 წელი ძალიან ცოტა ყოფილა. ვერ წარმომედგინა კოტიკას გარეშე ცხოვრება, იგი ყოველთვის იმედის მომცემი იყო. ხშირად ვფიქრობ,


შეუძლებელია მას თავისი დიაგნოზი არ სცოდნოდა, მაგრამ ჩვენ არ გვიმხელდა და არც გვაგრძნობინებდა, გვიფრთხილდებოდა. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ შესუსტებულა მისი სულიერი ძალა, მრავალი გეგმა ჰქონდა და აღსავსე იყო ენერჯით.

კოტიკა – ეს სახელი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია.

თურმე შეიძლება გაატარო წლები, მთელი ცხოვრება ისე, რომ ერთი შეცდომა არ დაუშვა, იცხოვრო პატიოსნად, იყო სამაგალითო... სწორედ ასეთი ცხოვრებით იცხოვრა კოტიკამ.

ზაირა ნიკოლაიშვილი

*მთავარი იყო
ჩემი ძალიან კარგად
და რაღაცადაც აღსავსე,
იქცა ჩემი "საყვარელი"*



მეგობრული შარჟი საული კახიანისა



მადლიერი პაციენტებისგან

სიცოცხლისათვის შობილი ჩანახატი

139

კონსტანტინე მაღიჩი

სახე – კუშტი და მკაცრი

მეტყველება – ძუნწი

ხმა – გემრიელი

ნაბიჯი – მოზომილი, დინჯი

მოძრაობა – შინაგანი დაძაბულობით აღსავსე

ლიმილი – იშვიათი, საოცარი, უსაზღვრო სიკეთით სავსე

ყოველი ძარღვი – დაჭიმული

ნაკვთები – ავაზასავით მოქნილი.

ერთი შეხედვით, განსაკუთრებული არაფერია...

მაშ, რაში იმალება განუმეორებლობის საიდუმლო?

მაშ, საიდან იფრქვევა ის ულევო სითბო, მოულოდნელად რომ გადმოიღვრება და სახლდება შენში?

თვალები... სიკეთით სავსე თვალები... მუქი, შუქჩამდგარი, იმედის სხივით ანთებული თვალები... ცნობიერების დაკარგვამდე დამუხტულ წუთებშიც გაზაფხული რომ ყვავის მათში!..

თქვენი სამოსის ფერი – გაზაფხული...

მწვანე ფერი! იმედის შუქი, რომელიც ჩურჩულებს, ყველა გზა ხსნილია, მობრძანდი, სიცოცხლეო, და დამკვიდრდი სამარად-ყამოდ. მადლიერებით თავს გიკრავთ გადარჩენილი სიცოცხლე, რომელსაც უკვე სწამს, რომ გაზაფხულზე ყველაფერი იწყება თავიდან, თავად არსებობაც.

სწორედ ამ იმედით მოვდიოდი შეშფოთებული, აფორიაქებული, გაფითრებული, შიშჩამდგარი თვალებით. მოვდიოდი ურწმუნოდ და რწმენით სავსეც, სიკვდილ-სიცოცხლესთან შეჭიდებული, რადგან ასე ძლიერ მიყვარს იგი – სიცოცხლე – და არ ვთმობ მას.

გრძნობთ ჩემს იჭვინულ მზერას, მზერას დაუინებულს და უსიტყვოს, სადაც ყველაფერია ერთად: ტკივილიც, შიშიც, ძრწოლაც, ნდობაც და იმედიც.

საოცრებას ველოდები, რადგან ორი ჯადოსნური სიტყვა ვიცი – კოტე მაღიჩი.

თქვენ აქ ბრძანდებით!

მაშ, აკიფდა იმედის ნაპერწკალი. თქვენს მკაცრ სახეს ღიმილი ეფინება – ჩემს გულში იმედის კოცონი ინთება...

თქვენი ჯადოსნური ხელების სწრაფი თითები ზუსტად, მიზანდასახულად მოძრაობენ და საოპერაციო ნათელით ივსება – ზეიმობს სიცოცხლე, გადარჩენილი სიცოცხლე.

დამარცხებული უიმედობა, იჭვი, შიში, ძრწოლა გაფითრებულა, დალეულა და მიკუჭულა რეანიმაციის ოთახის კუთხეში, გაქრობას ლამობს.

ონკოლოგიური საავადმყოფო...

VII სართული...

ხმა ქალთა პალატებიდან...

გაუთავებელი ლაპარაკი...

სიცილი – ტირილში არეული...

სიმღერაც...

თეთრხალათიანი მედდების საქმიანი მოძრაობა...

ხმაური...

აურზაური...

და უცებ საოცარი სიჩუმე. ირინდება ყველაფერი, რა მოხდა? მაღიჩი მოდის! ავტორიტეტს – საქმით მოხვეჭილს – გზას გითმობთ ყველა.

მკაცრი ნაბიჯებით, სერიოზული სახით, საქმიანი იერით მოივლით თქვენს საბრძანებელს...

თეთრი სამოსით მოსილი მრევლი თან გახლავთ, დარაჯად რომ უდგას თქვენს ძუნწ მოძრაობასა და ჭკვიანურ სიტყვებს.

ასეა გათენებიდან მიმწუხრამდე...

ასეთ სიცოცხლეს მე მამაცობას ვეძახი, გამირობას ვუნოდებ, ბატონო ექიმო, და ამ სიცოცხლესაც კოტე მაღიჩი ჰქვია...

*მ. გიგინეიშვილი, ქობულეთი,
19 5/XI.855.*

აკროსტიხი

კ აბადონზე სახლობ თითქოს,
ო ქროს ტახტის მბრძანებელი,
ტ ირილს შეცვლი სიხარულით,
ი სეთი გაქვს ვაჟკაცს ხელი.
„კ იბორჩხალა“ თქვენი შიშით,
ო, ვერ ბედავს გამრავლებას,
მ იხარია, თქვენი მზერა
ა ღმასივით თავს გვევლება.
დ იდი არის თქვენი გული,
ი რმის ნახტომს მზეც ვერ გაყოფს:
ჩ ემო კოტე, სულ იცოცხლეთ,
ს აქართველოს საამაყოდ!..

ეთერ ჯიშკარიანი

ძვირფასო პროფესორო

კონსტანტინ კონსტანტინოვიჩ!

ულრმესი მადლობა, იმ გულთბილობისა და ყურადღებისათვის, რომელსაც იჩენდით ჩემ მიმართ განსაცდელის ჟამს.

მადლიერი პაციენტის სიყვარული ყველაზე ღირსეული ჯილდოა დასტაქრისათვის.

ჩემი გული კი გამთბარია თქვენი სათუთი და მამაშვილური მზრუნველობით, ყურადღებით.

თქვენდამი მადლიერების გრძნობით დატყვევებული.

პაკელიანი

23.1.76წ.

Дорогой

Константин Константинович!

За Вашу теплую заботу обо мне, доброту и внимание, как к больной, я, на этой маленькой открыточке, от всего сердца выражаю Вам глубокую благодарность и в то же время желаю Вам самого наилучшего здоровья, благополучия в выполняемой работе и счастья в жизни!

С глубокой благодарностью к Вам и пожеланиями

Ирина Шавдия

10.9.49г.

მინდა შეგიქო მარჯვენა... კოტე მადიჩს

142

კონსტანტინე მადიჩი

რამდენჯერ მხსნელად გელოდა
გარინდებული პალატა,
რამდენს სიცოცხლე აჩუქე,
მისულს სიკვდილის კარად და
თვალში მზედ შემოაშუქე,
ტკივილი ძილს რომ ჰპარავდა...
რამდენჯერ ღონემიხდილის
განკურნე მძიმე იარა,
თუმც სარეცელთან სიკვდილის ლანდებმა გადაიარა...
სიცოცხლის მხსნელი როცა გეყავს,
სიკვდილი გძლევსო? არ მჯერა...
მინდა შეგიქო დასტაქარს
ეგ მადლიანი მარჯვენა,
ათასთა საკეთილდღეოდ,
ათასთა გადასარჩენად!

*მარადის თქვენი მადლიერი ავადმყოფი...
თბილისი 20.X.786.*

Посвящается Константину Константиновичу

Не только самому известнейшему,
Но и обаятельнейшему хирургу.
Как многие из тех, кому
Земные радости возвращены,
Теперь и я принадлежу
И буду век обязана тому,
Чья слава многих лет не сделала
Высокомерным и надменным.
Что ж, пусть гарантия здоровья не дана,
Надежда теплится едва
И будущее всё весьма туманно...
Но счастлива!
Что так легко судьба
Недуг мой вверила тогда
Тому, кого боготворить
Как сотни тех других я стала.

ნელი საფაროვა
6.II.1979г.

ხელმადლიანო დასტაქარო – პატივცემულო კონსტანტინე კონსტანტინეს ძევ!

143

კონსტანტინე მადლიერი

რაღა დამრჩენია იმის გარდა, რომ გითხრათ გულითადი მადლობა იმისათვის, რაც ყველაზე ძვირფასია ამქვეყნად – რწმენისათვის, რომ საიმედო ფარი გიცავს, რწმენისათვის, რომ იცოცხლებ.

ავადმყოფის სასათუმალთან ექიმი ეს იგივეა, რაც უფსკრულის თავთან გაჩენილი ხიდი.

იმედი ახალ ენერგიას ბადებს. იგი თეთრი ფოლადის ფარია – სიკვდილის მიერ აღმართული მახვილის წინააღმდეგ.

ასეთ ფარად მიგიჩნიეთ თქვენ, პატივცემულო ექიმო!

კონსტანტინე კონსტანტინეს ძე მადლირი!

იმედის, რწმენის, გადარჩენის სინონიმად ქცეულა ეს სახელი თბილისის ონკოლოგიური საავადმყოფოს ავადმყოფთათვის.

ქირურგის მაგიდაზე რისკი და შიში, ხიფათი და რწმენა, სიკვდილი და სიცოცხლე შუქრდილივით ერთმანეთის გვერდით დამდგარა...

თქვენს ხელს ხომ სიკვდილი არ უწერია.

უკან დარჩა უიმედობა, ფიქრი და დარდი!

სიხარულის ცრემლით დაინამა ჩემი ოჯახის ყველა წევრი, ნათესავ-მეგობრები.

ამ სიხარულს თქვენ გვაზიარეთ!

დაე, თქვენს ხელში ყოველთვის იელვოს უიმედობის დამრთ-გუნველმა სკალპელმა!

თქვენი მარად მადლიერი პაციენტი.

ქიონია კვარაცხელია,
2.10.1979 წელი.

კოტე მადიჩს

144

ქონსტანტინე მადიჩი

თქვენი სახელი ზარივით რეკავს,
გულში იმედად გაიხშიანებს
და უბრუნდებათ სიცოცხლის რწმენა
სასონარკვეთილ ადამიანებს.
შეუბღალავი თქვენი სახელი
ქება-დიდებით ნახსენებია,
ხალხზე ზრუნვაში გათეთრებულო,
რამდენჯერ თავზე დაგთენებია.
მაგ დალოცვილი მარჯვენის მადლით
გადაარჩინე რამდენი ტანჯვას,
საზიზღარ სენზე გამარჯვებულო,
დაფასდა თქვენი შრომა და გარჯა.
მადლობას გიძღვნით ყველას სახელით,
ვამაყობთ თქვენი ცოდნით და ნიჭით,
განგებას შევთხოვ ხელაპყრობილი,
იყოს დღეგრძელი კოტე მადიჩი!

*მაყვალა ქარლიშვილი,
15.XI.81 წ.*

ბატონ კოტე მადიჩს

არ გიცნობდით დღევანდლამდი,
ამიტომაც მქონდა დარდი,
მონყალების თვალით გიმზერ
ამ ჩემს მშველელს კოტე მადიჩს.
ნეტავ იცით თავის ფასი?
იმედად რომ გასახავთ ერთად,
სხვა რა იყო ნეტავ ქრისტე,
რომ ინამეს ყველამ ღმერთად.
სახელი ხომ ქუხს კავშირში,
რომ სიცოცხლის გუშაგი ხართ,
ვინც არ გიცნობთ, ეგონება,
რომ რიგითი მუშაკი ხართ.
ეს უბრალო სათნო კაცი

კი ამართლებთ საქმით სახელს,
 ავადმყოფებს გვხიბლავს თქვენი,
 დასტაქარო სისადავე.
 ვიცით, იცავთ ჩვენს სიცოცხლეს,
 ხიფათს აღარ გაგვაკარებ,
 სიკვდილს გზას გადაულობავთ
 დღეგრძელობით გაგვანარებთ.
 ვლოცავთ მაგ თქვენს ოქროს ხელებს,
 დღეს მოსკოვში არვინ გარბის,
 თქვენ ღმერთიც ხართ და ხატიც ხართ,
 სალოცავი, კოტე მადრი!
 მითხარით, ვის შეგადაროთ,
 ზევსს, პრომეთეს თუ ღმერთს, ქრისტეს,
 თქვენისთანა მადიჩები,
 რა იქნება, მრავლად იშვეს!
 თქვენ, იმედო მთელი ხალხის,
 ღმერთი გვყავხართ მინიერი,
 იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ,
 თქვენი მრავალჟამიერი!

*მ. გიგინეიშვილი,
 1985წ. სექტემბერი.*

ღრმად პატივცემულ ქონსტანტინეს!

ამ ბარათის დანერა თქვენმა წერილმა „რა უნდა იცოდეს ქალმა“
 (რომელიც გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ დაიბეჭდა) გადამანყვეტინა.
 გამოგიტყდებით, შიშით შეუპრობილის გამონაკლისს ვერც ჩემში
 დავუშვებ, მაგრამ ეს მრავალმა რამემ განაპირობა, რომლის გად-
 მოცემით, არ მივცემ თავს უფლებას, შეგანუხოთ, ხოლო თქვენი
 წერილის შედეგი ჩემში იმედისა და რწმენის გაჩენაა.

მაქვს ჯირკვალის – მკერდის ზედა ნაწილში. ყველა ავადმყოფი
 ჯიუტობს მკერდის მოკვეთას – შეიძლება, ამ კატეგორიას მეც
 ვეკუთვნოდე, მაგრამ ესეც თუ არ იქნება, რა თქმა უნდა, ადა-
 მიანს უწევს ბედთან შერიგება. იმედი და რწმენა, რაც თქვენმა
 წერილმა გამიჩინა, ღმერთმა ნუ მომიშალოს. ჩემს ჯირკვალს
 უკვე მეორე წელი შეუსრულდება, რაც „სათუთად“ ვინახავ და

თუ ნელსა მესამესა, ამასთან ერთად მომინია სიცოცხლის ზეიმი, „იუბილეს გადახდა არ აცდება“.

ველი თქვენს გამოხმაურებას, რისი იმედიც ისეთივეა, რაც თქვენი წერილის შემდეგ გამიჩნდა. ნახვამდის – დაგიტოვებთ სულის სიმხნევებს, ფიზიკურ სიჯანსაღეს და აღმავლობას თქვენს შემოქმედებით ცხოვრებაში!

თუ ეს ბარათი თქვენ არ გეკუთვნით, გთხოვთ, უმორჩილესად მომიტევეთ, რადგან ექიმი კონსტანტინეს გვარი ელსმენების ნიგნში ორია მხოლოდ – მე კი არ ვიცი, ექიმი რომელი ბრძანდებოდა. ამიტომ ვკადნიერდები და უმორჩილესი თხოვნით შეგთხოვთ პატიებას.

ნარგიზა კაპანაძე,
13.08.90წ.

ბატონო კოტი!

ვფიქრობ, ამ ბარათით ვამსხვრევ იმ ტრადიციას, რასაც „ექიმი-პაციენტი“ ჰქვია, მაგრამ ჩემს მდგომარეობაში ალბათ ყველაფერი თუ არა, ზოგი რამ მაინც მომეტევება.

უბრალოდ, იმ დღეს, გაყინული თბილისის პირობებში, იმ თბილ სამზარეულოში, ჩემდა უნებურად ოჯახური თბილი ურთიერთობის პატარა ეპიზოდის მონმე გავხდი და იმდენად მომხიბლა თქვენმა ურთიერთობამ, რომ არ შემიძლია არ დაგლოცოთ ეს შესანიშნავი წყვილი, რომელიც თითქოს და პოლარულად გამოიყურება, რამეთუ თქვენ გარეგნულად დისტანციური, დინჯი, დარბაისელი, ოდნავ ცივი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ, მაგრამ ქალბატონი ზაირა თავისი საოცარი კონტაქტურობით, ქალური მიმზიდველობით, ლირიკულობით, იუმორის უბერებელი ახალგაზრდული სულით (იცით? მას რომ უსმენთ, თითქოსდა მისი აურის მიღმა მისი ბაფთიანი ორეული გოგონა დგას), თავისი გასაოცარი სითბოთი, ხიბლითა და უშუალობით ადნობს და აწონასწორებს ამ პოლუსებს და გარეგნული ცივი ფარის მიღმიდან თქვენც თქვენი მრავალი ადამიანური ღირსებებით უფრო მინიერი და ახლობელი ხდებით გარშემომყოფთათვის.

უფალმა გადღეგრძელოთ და ტკბილად შეგაბეროთ ერთმანეთს.

ღმერთს ვთხოვ, ბატონო კოტე, თქვენი კეთილშობილური საქმიანობის მუდმივი თანმდევი ყოველთვის წარმატება ყოფილიყოს!

პატივისცემით თქვენი პაციენტი
ცირა ომაძე-სიფრაშვილისა.

P.S. იმედია, ამ ბარათს ეთიკის ნორმების უპატივცემულობაში, ანდაც ფამილარობაში არ ჩამითვლით.
27.02.94.

147

კონსტანტინე მაღიჩი

ბატონო კოტე!

შესანიშნავი ოსტატობა, თავმდაბლობა, ვაჟკაცური შემართება, ცოდნის მრავალმხრივი გამოვლინება, პაციენტების ერთგულება და თავდადება, – აი, რა შემიძლია ვთქვა თქვენ შესახებ, ბატონო კოტე.

ყველაზე დიდ ჯილდოდ ითვლება ის, რომ თქვენი დიდი ცოდნით, გამბედაობით, დაულალავი მზრუნველობით სიცოცხლეს უხანგრძლივებთ უმწეო და იმედდაკარგულ ადამიანს.

მადლობა მინდა მოგახსენოთ თქვენ, დიდო ოსტატო, ადამიანის სიცოცხლის გაგრძელების დიდო ხელოვანო!

დიდხანს, დიდხანს ჯანმრთელად გეცოცხლოთ განწირულთა იმედად და სიხარულად!

თქვენი პაციენტი
ნორა დურმიშიძე
1. IX. 98წ.

პატივცემულო კოტე!

რამდენჯერ დავაპირე, რომ გულითადი მადლობა გადამეხადა თქვენთვის და თუ ნებას დამრთავდით, თქვენს სასწაულმოქმედ ხელებს ვეამბორებოდი, მაგრამ დავაპირებდი და ვერ გიბედავდით... ამიტომ გადავწყვიტე, ამ პატარა ბარათით გადმომეცა თქვენთვის უღრმესი მადლობა.

ორი თვის განმავლობაში რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ერთ მკერდს მომკვეთდნენ და მეორე მკერდის ბედიც მალეღებდა. და იმდენად განვიცაადე ეს ამბავი, რომ ადგილს ვერ ვპოულობდი,

ჩემს თვალს ცრემლი არ შორდებოდა და რას ვაკეთებდი ან რას ვამბობდი, არ ვიცოდი, ე. ი. საკუთარი თავისადმი კონტროლის გრძნობა მქონდა დაკარგული და აი, პირველ თებერვალს ბედნიერი დილა გამითენდა: პირველად დილით გავიგე, რომ ოპერაცია კეთდებოდა არა ორივე მკერდზე, არამედ ერთზე და, რაც მთავარია, მკერდი კი არ უნდა მოეკვეთათ, არამედ ნაწილობრივ უნდა ამოეჭრათ; ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, საოპერაციო მაგიდაზე რომ ვინეჭი, ჩემი თავი უბედნიერესი მეგონა. თქვენმა სასწაულმოქმედმა ხელებმა მოახდინა სასწაული ჩემს ცხოვრებაში. ადამიანების სიცოცხლის გადარჩენა და მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა თქვენთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ჩემთვის ეს არის სასწაული, ჩადენილი თქვენ მიერ. თქვენდამი უღრმესი მადლობის გრძნობით ვარ გამსჭვალული, დიდი სურვილი მაქვს, ბევრი რამ გადმოგცეთ ამ ბარათით, მაგრამ ძალიან მეუხერხულეობა, არ მინდა ზედმეტად თავი შეგანყინოთ, ამიტომ პატ. კოტე, გისურვებთ მრავალი ათეული წლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ყოველივე კარგს, დაე, მრავალ, მრავალ წელს იდექით ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის სადარაჯოზე, გულითადი მადლობა!"

პატივისცემით,
ნელი ქერჩიაშვილი

ბატონო კოტე!

მინდა გისურვოთ ყოველივე კარგი! ქართველი ხალხის იმედო, რომელსაც რუსი ხალხიც გიცნობთ, როგორც ბრწყინვალე სპეციალისტს. დიდხანს იყოს თქვენი მარჯვენა აქ მოსული ავადმყოფების საკეთილდღეოდ. თქვენმა ძვირფასმა მარჯვენამ რაც შეიძინოს თქვენს საყვარელ ოჯახში, ყველაფერი სიკეთესა და ბედნიერებაში მოხმარდეს და თქვენი საყვარელი შვილები კი თქვენისთანა საუკეთესო მადიჩები დაზრდილიყვნენ! იცოცხლოს თქვენმა საყვარელმა ოჯახმა სამარადჟამოდ!

თქვენგან დიდი კმაყოფილი და მადლობელი ვართ, ვართ მარტო მკურნალობით კი არა, თქვენი თბილი ბუნებითაც. გაიხარეთ, ძვირფასო, ბრწყინვალე ადამიანო.

პატივისცემით ნ. გვაძაბია

პაციენტის მადლობა და მოკრძალებული სიყვარული

1966 წელს ონკოლოგიურ საავადმყოფოში მოვიდა ახალგაზრდა ქალი, რომელიც სასონარკვეთილი იყო და სიცოცხლის იმედი დაკარგული ჰქონდა. თქვენმა კეთილმა გულმა და დასტაქარის ოსტატობამ იგი გადაარჩინა და დღესაც აგრძელებს სიცოცხლს.

ნება მომეცით, მოგილოცოთ ღირსშესანიშნავი თარიღი. იცოცხლეთ დიდხანს თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად!

გისურვებთ, კიდევ მრავალი იმედდაკარგული გადაერჩინოს თქვენს მარჯვენას!

*ულრმესი პატივისცემით,
ლილი ციფურაშვილი-ქოიავასი,
დეკემბერი, 2002 წ.*

ბატონო კოტე!

ახალწლის ღამეს შეევსვით მრავალი განწირულის სადღეგრძელო, რომელთა იმედის ნაპერწკალს თქვენ წარმოადგენთ.

ამ მადლისათვის უფალმა სიხარულით, სიკეთითა და ბედნიერებით სავსე უთვალავი ახალი წელი გაუთენოს თქვენს მშვენიერ ოჯახს!

*მარად თქვენი მადლიერი,
მედეა ლორთქიფანიძე*



**კოტე მაღიჩი, თინა ბარამიძე, ფრიდონ თოდუა, რეზო ვეფხვაძე,
კლარა გელაშვილი, (ზის) ლევან ჩარკვიანი**

კონსტანტინე მაღიჩი კოლეგებისა და ახლოვლების თვალთ

კოტე მაღიჩი

151

*ჭეშმარიტი ინტელიგენტი, დიდი მეცნიერი,
პედაგოგი და ფილიგრანული დასტაქარი*

კონსტანტინე მაღიჩი

არიან ადამიანები, რომელთა სახელი და დიდება წლებს უძლებს და რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო სანატრელი ხდება ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა, ვინაიდან მათ თავიანთი ცხოვრების მანძილზე მათივე საქმიანობით, ცხოვრების წესითა და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ამ ნუთისოფლიდან წასვლის შემდეგ ნათელი კვალი დატოვეს.

ჩემთვის უდიდესი პატივია ამ პატარა წერილში მოვიგონო ადამიანი, რომელიც ცნობილი გახლდათ, როგორც ჭეშმარიტი ინტელიგენტი, დიდი მეცნიერი, პედაგოგი და ქირურგი.

წერილს, რომელსაც მე ვანერ ხელს და ზემოაღნიშნული ეპითეტებით ვამკობ ღირსეულ პიროვნებას, მოგონების ამ ნაწილს უდავოდ ათასობით ადამიანი დაადასტურებდა. თითოეულ ამ ფენომენზე, რომელიც ბატონი კოტეს პიროვნებას ეხება, შეიძლება სერიოზული ნარკვევი დაინეროს, მაგრამ მოგონებათა კრებულის ფორმატი ამის საშუალებას არ იძლევა.

ბატონ კოტეს, სანამ ის ცნობილი და აღიარებული მოღვაწე გახდებოდა, მართალია, დიდი სკოლა ჰქონდა გავლილი, მაგრამ მე მას თვითნაბად ძვირფას თვალს შევადარებდი, ვინაიდან მას ბევრისაგან გამორჩეული თვისებები ჰქონდა. ის დიდთან დიდი იყო, ხოლო პატარასთან პატარა. მახსოვს მისი ურთიერთობა, საქმიანი დისკუსიები ონკოლოგიის ისეთ კორიფებთან, როგორებიც იყვნენ აკადემიკოსები ნ. ბლოხინი, ნ. ტრაპეზნიკოვი, ვ. პიროგოვი და სხვები, რომლებიც ყოველთვის ითვალისწინებდნენ ბატონი კოტეს მოსაზრებებს და ციტირებას უკეთებდნენ მის შრომებსა და გამონათქვამებს.

მახსოვს, როგორ კითხულობდა ის ლექციებს სრულიად გამოუცდელ, დამწყებ ონკოლოგებთან და გამოცდილ, ჩამოყალიბებულ ექიმებთან, რომლებიც მრავლად ჩამოდიოდნენ ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრაზე, რომლის გამგე ბატონი კ. მაღიჩი გახლდათ.

მე და ბატონი კოტე არაერთი საერთაშორისო ფორუმის მუშაობაში ვმონაწილეობდით, ხან მოსკოვში, ხან სანქტ-პეტერბურგში და ზოგჯერ უფრო შორსაც, სადაც არაერთი მამოლოგი და არამართო მამოლოგი, საჯაროდ და სიამაყით აცხადებდა, რომ აქ, ამ ფორუმზე მათი მასწავლებელი პროფესორი მადინი იმყოფება და ამ განცხადებას, როგორც წესი, ოვაციები მოჰყვებოდა ხოლმე.

მახსოვს, ეს იყო 1983 წელს, მე უკვე ონკოცენტრში ფილტვების განყოფილებას ვხელმძღვანელობდი, როდესაც მე და ბატონი კოტე ქ. ვოლგოგრადში ფილტვის კიბოს ადრეული ფორმის დიაგნოსტიკისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე გავემგზავრეთ. მაგონდება, როგორი ყურადღებით იყო ის ჩემდამი, მაშინ საკმაოდ ახალგაზრდა ვიყავი, ონკოლოგთა წრე ფართოდ არ მიცნობდა, ხოლო ბატონი კოტე ყოველმხრივ ცდილობდა, ნახულობდა საბაბს წარვედგინე ცნობილი და სახელოვანი მეცნიერების წინაშე. შემდეგ, ეს იყო ლენინგრადში, სსრკ ონკოლოგთა მეოთხე ყრილობაზე, სადაც ჩემი განყოფილების ნაშრომმა პირველი პრემია მოიპოვა, ბატონმა კოტემ ამასთან დაკავშირებით საგანგებო შეხვედრა მოაწყო, რაც ასევე მისი პიროვნების დიდ მასშტაბებზე მეტყველებს. ასეთი მოგონება უამრავია, მაგრამ მინდა ბატონ კოტეზე ერთიც მოვიგონო, არაერთხელ მომიყოლია მისი თანდასწრებით და ბევრიც გვიცინია: ვართ ქუთაისში. ერთ-ერთ გასვლით სესიაზე, მის გარდაცვალებამდე, ალბათ, ერთი წლით ადრე, მოგეხსენებათ, საქმიანი შეხვედრების შემდეგ ქუთათურების მასპინძლობა და ბოლოს გვიან ღამით სასტუმრო ქუთაისის 2 თუ 3 ოთახიან აპარტამენტებში მოგვათავსეს. ბუნებრივია, დავნექით დასასვენებლად და სიზმარში ვხედავ, ზღვის ტალღები როგორ ეხეთქება ჯებირებს და საშინელი ხმა ჩამესმის. გამომეღვიძა, გადავბრუნდი და ვცადე გამეგრძელებინა ძილი, მაგრამ ეს ხმა არ წყდება და იძულებული გავხდი წამოვმდგარიყავი და რას ვხედავ: გამსკდარა წყლის მილი და რაღაც საშინელი ძალით წყლის ჭავლი ეხეთქება კედელს, ხოლო ბატონი კოტე სულ სველი, საღამოს საცვლებში ცდილობს მოერიოს წყლის ძალას, რა თქმა უნდა, ჩავერთე საქმეში და ვუსაყვედურე რატომ ერთი არ შემომძახეთ-მეთქი. „ჩემო რეზო, ახალგაზრდა ხარ და ისე ტკბილად გეძინა, შემეცოდეო“. ესეც მის უდიდეს კეთილშობილებაზე მეტყველებს.

ბატონი კოტე გახლდათ ხელმარჯვე დასტაქარი. ყველა მისი ოპერაცია ქირურგებისათვის მასტიერკლასი იყო. ყველა ქალს კოტე უნდოდა და ისიც ძალას არ ზოგავდა ჩვენი დების, დედების

სიცოცხლე გაეხანგრძლივებინა. ალბათ არც ერთი ქირურგის ცოლისთვის არ დაურეკავს იმდენ ქალს – „ჩამიწყვე“ თქვენს ქმართან საქმეო, რამდენიც უსათნოეს და უკეთილშობილს ქალბატონ ზაირასათვის დაურეკავთ.

ერთ-ერთი საერთაშორისო ქირურგიული კონგრესის დღის წესრიგში სხვა აქტუალურ პრობლემებთან ერთად ასეთი საკითხიც იყო შეტანილი – „ქირურგის ცოლის როლი ქირურგიის განვითარებაში“. იმაში, რასაც ბატონმა კოტემ მიაღწია თავისი პრაქტიკული, მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის პერიოდში ქალბატონი ზაირასა და მისი უმშვენიერესი, სამაგალითო ოჯახის წევრები უდიდესია.

დღეს კლინიკას, სადაც ბატონი კოტე ათეულობით წელი მოღვაწეობდა და ჩამოაყალიბა ქართველ მამოლოგთა სკოლა, მისი სახელი აქვს მინიჭებული. ეს რჩეულთა ხვედრია! ბატონი კოტე ჩვენთანაა, ვინაიდან მისი კლინიკა აგრძელებს იმ დიდ ტრადიციებს, რომელსაც მან ჩაუყარა საფუძველი და მას დღეს მის მიერ შერჩეული, ნიჭიერი და საქმიანი პიროვნება, პროფესორი გია ნემსაძე ხელმძღვანელობს.

ბატონი კოტეს სული ნათელშია, ის ფიქრობს მისი ქვეყნის გამარჯვებაზე, ონკოცენტრისა და მისი კლინიკის წინსვლაზე. დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ონკოლოგები თავისუფალ საქართველოში თავითნთ სიტყვას იტყვიან ამ სერიოზულ დაავადებასთან ბრძოლაში, რასაც საფუძველი დიდ ქართველ ონკოლოგებთან ერთად კოტე მადიჩიმაც ჩაუყარა.

*რეზო გაგუა, ბ. ლვამიჩავას სახელობის
ონკოლოგიის ნაციონალური
ცენტრის გენერალური დირექტორი, მედიცინის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის
ლაურეატი, პროფესორი.
21.09.2008.*

კონსტანტინე მადიჩი!

ქართული მედიცინის მემკვიდრე კონსტანტინე მადიჩი, შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი ქვეყნის ონკოლოგიური სამსახურის ერთ-ერთ დამფუძნებლად, რადგან მისი შეგნებული ცხოვრების უდიდესი

ნაწილი მან მიუძღვნა სწორედ ამ დარგის განვითარებას. ყოფილი საბჭოთა კავშირის სამედიცინო საზოგადოება მას იცნობდა, როგორც მამოლოგიური სამსახურის ბრწყინვალე წარმომადგენელს და ყოველთვის დამსახურებულად თვლიდა ამ დარგის „კორიფეთა“ შორის.

ყოველივე ამას ბატონმა კოტემ მიაღწია მრავალწლიანი სამეცნიერო და ქირურგიული მოღვაწეობის შედეგად. გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, პრაქტიკულად სიცოცხლის ბოლომდე იგი იყო ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრის გამგე და ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის მამოლოგიურ კლინიკას ხელმძღვანელობდა. მისი დაუზოგავი შრომის შედეგად სხვადასხვა სიმსივნური პათოლოგიის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ძირითად პრინციპებს ეზიარა 6000-ზე მეტი ექიმი, ხოლო რამდენიმე მათგანი ჩამოყალიბდა წარმატებულ ონკოლოგად და დღესაც აგრძელებს მუშაობას ჩვენს დანესებულებაში.

რაც შეეხება ქირურგიული მოღვაწეობის ასპარეზს, იგი მართლაც უბადლო ქირურგი იყო. ვისაც კი ერთხელ მაინც უნახავს ბატონი კოტე საოპერაციო მაგიდასთან, არ შეიძლება არ მოხიბლულიყო მისი ფილიგრანული ტექნიკით. ონკოლოგიის ღრმა თეორიული და კლინიკური ცოდნა შერწყმული იყო დიდ ქირურგიულ გამოცდილებასთან, რაც საშუალებას აძლევდა მას ხშირად უიმედობას მიცემული მრავალი პაციენტი გადაერჩინა.

ჩემი პირველი შეხვედრა ბატონ კოტესთან ჯერ კიდევ 70-იანი წლების დასაწყისში მოხდა, მას შემდეგ რაც მე – კოტე მარდალეიშვილი ჩავერიცხე ასპირანტურაში, ხოლო სადისერტაციო თემის შესასრულებლად შემომთავაზეს „ყბა-სახის სისხლძარღვოვანი სიმსივნეების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხებზე“ მუშაობა. რჩევისათვის მივმართე ბატონ კოტეს. დაახლოებით ორმოცნუსთიანი საუბრის შემდეგ, შემიძლია ვთქვა, რომ იგი იყო პირველი ადამიანი, ვინც მეცნიერულად სწორად შეაფასა აღნიშნული თემის აქტუალურობა და გარკვეული კორექტირების შემდეგ დამისახა მისი განხორციელების გზები. რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენი გზები კვლავ გადაიკვეთა ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში. 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჩვენ ერთმანეთის გვერდიგვერდ ვმუშაობდით. ამ ხნის განმავლობაში ხშირად გვიხდებოდა სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობა. ქართულ დელეგაციას იგი ყოველთვის ღირსეულად, ჩვეული სიდარბაისლით წარმოაჩენდა. მის გამოჩენას დარბაზში ყოველთვის

მოჰყვებოდა მხურვალე ოვაციები. იგი უყვარდათ, რადგან ბატონი კოტე იყო კეთილმოსურნე ადამიანი, კარგი მეგობარი და ბრწყინვალე პედაგოგი, დაუზარელი კლინიცისტი და ერუდირებული ქირურგი, რომელსაც შეეძლო უზომო რაოდენობით გაეცა სითბო ყველა ონკოლოგიური პაციენტისთვის. ჩემი აზრით, პროფესორ კონსტანტინე მადიჩის გავლილი გზა და მისი ცხოვრების პრინციპები მისაბაძი უნდა იყოს ყველა დამწყები ექიმისათვის.

კონსტანტინე მარდალეიშვილი, პროფესორი

პროფესორ კონსტანტინე მადიჩის ხსოვნას

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატი და ონკოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლები დღეს კიდევ ერთხელ დიდი სევდით და გულისტკივილით აღვნიშნავთ, რომ ჩვენ გვერდით აღარ არის ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, სამამულო სამეცნიერო და პრაქტიკული ონკოლოგიის ფუძემდებელი, უბადლო მამულიშვილი, ცნობილი პედაგოგი, მეცნიერი, ქირურგი და საზოგადო მოღვაწე, სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა და სამედიცინო-ბიოლოგიური აკადემიების ნამდვილი წევრი, პროფესორი კონსტანტინე მადიჩი.

კონსტანტინე მადიჩის შემოქმედება 1947 წლიდან იწყება, როდესაც მან მუშაობა დაიწყო ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრაზე ჯერ ლაბორანტად, ხოლო შემდგომში მუხლჩაუხრელი შრომით მიაღწია დოცენტის და პროფესორის თანამდებობას, გახდა ონკოლოგიის კათედრის გამგე.

მისი ლექციები ერთობ პოპულარული გახდა ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში. აუდიტორია ყოველთვის სავსე იყო მსმენელებით და ონკოცენტრის თანამშრომლებით. იგი მთელი ლექციის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტს ამყარებდა აუდიტორიასთან. მას შეეძლო მარტივი და გასაგები ენით მიეტანა სათქმელი მსმენელამდე.

ბატონი კონსტანტინე მადიჩი გამოირჩეოდა ღრმა მეცნიერული ცოდნით და დიდი ერუდიციით, ამავე დროს, იგი დაჯილდოებული იყო კვლევითი მუშაობის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელის განსაკუთრებული უნარით. სწორედ ამ ნიჭის წყალობით ბატონმა კონსტანტინემ ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში ჩამოაყალიბა

საქართველოში პირველი მამოლოგიური განყოფილება, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა. მისი აქტიური მოღვაწეობით განყოფილება მდროის მოკლე პერიოდში არა მარტო საქართველოში, არამედ ყოფილ საბჭოთა კავშირში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა.

აღბათ მისი აქტიური შემოქმედების მიზეზი იყო ის, რომ იგი მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე იზიდავდა უნარიან და ენერგიულ ახალგაზრდობას. ბატონმა კონსტანტინემ შექმნა საკუთარი მეცნიერული სკოლა მრავალრიცხოვანი მოწაფეებით. პროფ. კ. მაღიჩის მეცნიერული ცოდნა, პროფესიული მომზადების მაღალი დონე, დიდი ერუდიცია, შრომისმოყვარეობა, პედაგოგიური ნიჭი, მიმზიდველი პიროვნული თვისებები მისი სკოლის აღმავლობის საწინდარი გახდა. პროფ. კ. მაღიჩის ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი დისერტაცია, გამოქვეყნებულია ასობით მეცნიერული ნაშრომი როგორც სამამულო, ისე უცხოურ პერიოდულ ლიტერატურაში.

ბატონმა კონსტანტინემ ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრასთან ჩამოაყალიბა ციტოლოგიური ლაბორატორია, რომელიც ტერიტორიულად ონკოცენტრის ბაზაზეა განთავსებული და დიდ დახმარებას უწევს სიმსივნით დაავადებულ ავადმყოფებს სწორი დიაგნოზის დასამაში.

პროფ. კ. მაღიჩის მიერ მოწოდებულია ძუძუს სიმსივნის დროს რადიკალური ოპრაციის ახალი მოდიფიკაცია, რომელიც ფართოდ დაინერგა კლინიკაში. მის მიერ ჩატარებული ოპერაციები ყოველთვის გამოირჩეოდა უზადო და მაღალი ტექნიკური შესრულებით.

ბატონ კონსტანტინეს გამოქვეყნებული აქვს 160 სამეცნიერო ნაშრომი. მან სახელი გაუთქვა ქართულ სამედიცინო მეცნიერებას უცხოეთში – იაპონია, იტალია, აშშ, ინგლისი, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, გერმანია – აი, იმ ქვეყნების არასრული ნუსხა, სადაც სამეცნიერო ფორუმებზე ის ბრწყინვალე მოხსენებებით გამოდიოდა. ეს ის პერიოდი გახლდათ, როდესაც ქართული მეცნიერული ნიჭის და მოღვაწეობის უცხოეთში გატანა ერთეული მეცნიერის ხვედრს წარმოადგენდა და მათ შორის ერთ-ერთი პროფ. კ. მაღიჩი იყო.

კათედრის და მამოლოგიის განყოფილების პრიორიტეტული სამეცნიერო კვლევითი საგანი იყო და ამჟამადაც არის ქირურგიული, კომბინირებული, კომპლექსური მკურნალობის პრობლემების შესწავლა. ძუძუს კიბოს ეპიდემიოლოგიის და ამ დაავადებით გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის პროგნოზირება და

სათანადო პროფილაქტიკური რეაბილიტაციური ღონისძიებების შემუშავება და მათი დანერგვა პრაქტიკაში. ამ საკითხების სამეცნიერო კვლევა მიმდინარეობდა სამეცნიერო ოქმებით აღმოსავლეთ ევროპის, ამერიკის შეერთებული შტატების, რუსეთის ნამყვანი სამეცნიერო ცენტრებისა და ამიერკავკასიის ონკოლოგიური დაწესებულებების მეცნიერებთან ერთად ერთობლივი რანდომიზირებული მასალების გამოყენებით პროფ. კ. მადიჩის აქტიური მონაწილეობით.

ამ დიდ შემოქმედებით შრომაში მას ყოველთვის მხარში ედგა მისი უერთგულესი მეუღლე, უმშვენიერესი ქალბატონი ზაირა ნიკოლეიშვილი, რომელიც ენერგიას არ იშურებდა, რათა ბატონ კონსტანტინესთვის შეექმნა ნაყოფიერი შრომის პირობები.

სამშობლომ ღირსეულად დააფასა პროფ. კონსტანტინე მადიჩის ღვაწლი. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით იგი დაჯილდოვებული იყო „ღირსების ორდენით“.

ჩვენს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ ბატონი კონსტანტინე ცნობილი იყო, როგორც გულმართალი და პატიოსანი ვაჟკაცი, დიდებული მეგობარი და ამხანაგი, ყველას მიმართ ყურადღებიანი, გაჭირვებაში ყველას დამხმარე, დიდებული ოჯახიშვილი, მეუღლე, მამა, ბაბუა, ყველასათვის სასურველი სტუმარი, გულუხვი მასპინძელი და რაინდული თვისების ადამიანი.

პროფესორ კ. მადიჩის შინაარსიანად გატარებული ცხოვრება და თავდადებული შრომა ხალხის სამსახურში თვალსაჩინო მაგალითია ახალგაზრდა თაობისათვის, თუ როგორ უნდა იღვანოს ადამიანმა თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ. მისი მონაფეები და მეგობრები არასდროს დაივიწყებენ ბატონ კონსტანტინეს ნათელ ხსოვნას და მის ღვაწლს, რომელიც მან ეროვნული ონკოლოგიის განვითარებას დასდო.

ბატონ კონსტანტინეს ოჯახის ყველა წევრს ვუსურვებ ჯანმრთელობას, სულის სიმტკიცეს, ხანგრძლივ სიცოცხლეს და დიდ შრომით წარმატებებს.

*ი. ბაქრაძე,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის ონკოლოგიის დეპარტამენტის
ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა
დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი,
პროფესორი*

ქართული სამედიცინო ელიტის სიამაყე – კოტე მადიჩი

ძნელია გახსენება ადამიანისა, რომლის კონკრეტულ საქმეთა უდიდესი ნუსხა ვერც კი უახლოვდება იმ დიდ მასშტაბებს, რომელსაც მოიცავდა დიდი ქირურგი, დიდი ადამიანი კოტე მადიჩი.

ქართული სამედიცინო ელიტის საამაყო რიგს, რომელსაც წარმოადგენენ გრიგოლ მუხაძე, მიხეილ ჩაჩავა, ეგნატე ფიფია, კოტე ჩაჩავა, კონია ვეფხვაძე და სხვანი, ღირსეულ გამგრძელებლად მოეველინა ჩვენი ქვეყნის სასიქადულო პიროვნება – პროფესორი კოტე მადიჩი.

ბატონი კოტე ქართული ონკოლოგიის სათავეებთან იდგა ლევან ჩარკვიანთან, ლუარსაბ შარაშიძესთან, გულნარა გერსამიასთან ერთად. მან დიდი როლი შეასრულა ქართული ონკოლოგიის იმ ორბიტაზე გასვლაში, რომელსაც დღეს წარმოადგენს ეს დიდი სამედიცინო სამსახური და დანესებულება, რომელსაც საქართველოს ონკოლოგიის ეროვნული ცენტრი ჰქვია.

ბატონი კოტეს მეგობრები იყვნენ მედიცინის, კერძოდ, საბჭოთა ონკოლოგიის ისეთი დიდი კორიფეები, როგორებიც იყვნენ: ყოფილი საკავშირო ონკოლოგიის ცენტრის დირექტორი, აკადემიკოსი ნ. ბლოხინი, აკადემიკოსი ტრაპეზნიკოვი, ყველა საბჭოთა რესპუბლიკის წამყვანი ქირურგები და ონკოლოგები; ყოველ მათგანთან მას სამაგალითო მეგობრობა ჰქონდა.

აღსანიშნავია ბატონი კოტე მადიჩის საქმიანობა არა მარტო უდიდესი პრაქტიკოსი ქირურგის, არამედ დიდი პედაგოგის რანგშიც. იგი იყო ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრის გამგე და დახელოვნების ინსტიტუტში ექიმთა სპეციალიზაციის საპასუხისმგებლო მოღვაწეობას ღირსეულად ეწეოდა.

ექიმებთან და სტუდენტებთან მისი ურთიერთობა იწყებოდა ყველა ექიმისათვის უპირობო დაუნერვლი წესით – „pzimym non notceze“ – „უპირველეს ყოვლისა, ნუ ავნებ“. ამ წესით იცხოვრა, ამ წესით აღზარდა ბევრი სპეციალისტი, რომლებიც ამაცობენ იმ დიდი სიკეთით, რასაც მადიჩთან ურთიერთობის ბედნიერება ეწოდება.

პირადად მე ერთი ქართული კუთხიდან – მთიანეთიდან (ფშავეხევსურეთიდან) ვარ. რუსეთში მომინია უმაღლესი სამედიცინო განათლების მიღება. ახალგაზრდა ქირურგი დავბრუნდი თბილისში.

ბატონმა კოტემ დიდი როლი შეასრულა ჩემი ადგილის დამკვიდრებაში, ჩემს შემდგომ სპეციალობაში, ზოგადად, ჩემი, როგორც ექიმის და პიროვნების ჩამოყალიბებაში.

ბატონი კოტეს ორივე ქალიშვილი ექიმია. ერთი სიძე ცნობილი ქირურგი მამუკა ბოკუჩავაა, მეორე – ექიმი, პოლიტიკოსი დავით გამყრელიძე.

ერთი პატარა გადახვევა თემიდან:

ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში მიღებული წესია, არასწორი, მაგრამ მაინც ჩვენი წესი – პოლიტიკაში პიროვნების დომინანტია და არა მისი პლატფორმისა.

მეც მეტ-ნაკლებად ამ სუბიექტივიზმის მსხვერპლი ვარ, თუმცაღა ბატონ დავით გამყრელიძეს ყოველთვის დავუჭერდი მხარს, თუ მხარი უნდა დაუჭირო წესიერებას, პატიოსნებას, პროფესიონალიზმს და უპირობო ერთგულებას სამშობლოსადმი, ვინაიდან თუ არა ეს ყველაფერი, ბატონი კოტე მაღიჩის ოჯახის ღირსეული წევრი ვერასოდეს გახდებოდა.

ბატონი კოტეს ამქვეყნიური ცხოვრების დამთავრებით მისი, როგორც პიროვნების, მშობლის, ექიმის, მასწავლებლის თემა არ დამთავრებულა, ამის ნათელი მაგალითია მისი მადლიერი მოსწავლეები და, რაც მთავარია, მისი მადლიერი პაციენტები.

უდავოდ ძნელი იყო ამ ორიოდე სიტყვის თქმაც უსაყვარლეს ადამიანზე, სამარადისო სამყოფელში გარდასულზე, ერთი კი ნათელია – მისი სახელი უკვდავი იქნება, სანამ მისი საყვარელი სამშობლო – საქართველო იარსებებს და მეორე მისი სული არის იქ, სადაც მართალნი ამა ქვეყნისანი განისვენებენ.

*ბიჭიკო ცალულელაშვილი
ონკოცენტრის აბდომინალური ქირურგიის
კლინიკის ხელმძღვანელი, სახელმწიფო
პრემიის ლაურეატი, პროფესორი.*

კაცი, ექიმი, ადამიანი...

დიდი ფიქრის შედეგ გადავწყვიტე, რომ ეს სათაური დამეტოვებინა იმ მოგონებისთვის, რომელიც დიდებულ მოქალაქეს, პატრიოტს, სპორტსმენს, პროფესიონალ სპეციალისტს და ნამდვილ მეგობარს მივუძღვენი.

კოტე მაღიჩის სახელი, როგორც დიდი სპეციალისტისა და ონკოლოგისა, ჯერ კიდევ ინსტიტუტის კედლებში მესმოდა. გასული საუკუნის 60-იან წლებში, ჩვენი სტუდენტობის დროს ონკოლოგია, როგორც დამოუკიდებელი საგანი არ ისწავლებოდა, იგი ქირურგიის შემადგენელი ნაწილი იყო. სტუდენტები ნაკლებად გათვითცნობიერებული ვიყავით ცალკეულ ნოზოლოგიებში. მახსოვს ჩვენი კურსელი, ჩემი მეგობარი გოგონა, როგორი აღფრთოვანებით მიყვებოდა ცნობილი ონკოლოგის, კოტე მაღიჩის შესახებ, რომელსაც მისთვის ფიბროადენომის ოპერაცია გაუკეთებია „ლენკომბინატში“. იგი ამკარად შეყვარებული იყო მკურნალ ექიმზე. ძალიან მინდოდა გამეცნო ბატონი კოტე, მენახა უცხოური წარმოშობის გვარის პატრონი და სტუდენტური თვალთ შემეფასებინა მისი ოპერაციული ტექნიკა.

გამოხდა ხანი. ინსტიტუტის დამთავრების და უცხო ქვეყანაში ქირურგიული სპეციალიზაციის შემდგომ, ბედის განგებამ სწორედ ონკოლოგიაში მომახვედრა და დაწყებული 1972 წლიდან 30 წელზე მეტი ბატონ კოტესა და მე გვერდიგვერდ გვინევდა მედიცინის ამ მძიმე დარგში მოღვაწეობა, – დასაწყისში მე, როგორც დამწყებ ექიმს, მას კი, როგორც პედაგოგს და დიდ კლინიცისტს. იმ პერიოდში აუცილებელი იყო ონკოლოგიაში სპეციალიზაციის გავლა და დაწესებულებაში ახლად მოსულ 3 ახალგაზრდას – ლერი ბილანიშვილს, ოთარ თარგამაძეს და ამ სტრიქონების ავტორს მოგვინია სპეციალიზაციის 6-თვიანი კურსების გავლა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ 22 ექიმთან ერთად ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრაზე, რომელიც რესპუბლიკური ონკოლოგიური დისპანსერის ბაზაზე მუშაობდა. იმ პერიოდში კათედრას განაგებდა პროფესორი კონსტანტინე ვეფხვაძე, ქართული ქირურგიის და ონკოლოგიის ერთ-ერთი კორიფე, ხოლო სასწავლო ციკლს კი ხელმძღვანელობდა ბატონი კოტე, რომელიც თავისი მაღალი კულტურით, განათლებით და ორატორული ნიჭით დიდ სიმპათიებს იმსახურებდა მსმენელებში, განსაკუთრებით ქალებში.

ერთხელ გვეძახის მე და ლერის და გვავალებს: ბალტიისპირეთიდან ჩამოსულ ქალბატონებს აინტერესებთ თბილისის გაცნობა და მიეხმარეთო, თან წარგვიდგინა აღნიშნული პიროვნებები. აქედან დაიწყო ჩვენი ურთიერთობა, რომელიც შემდგომ ჭეშმარიტ მეგობრობაში გადაიზარდა.

კლინიკურ საქმიანობას ბატონი კოტე რესპუბლიკური ონკოლო-

გიური დისპანსერის | ქირურგიულ განყოფილებაში აწარმოებდა, მე კი | ქირურგიული განყოფილების ექიმი ვიყავი და სხვადასხვა სართულზე ვმუშაობდით, თუმცა ეს ხელს არ გვიშლიდა პრაქტიკულ და სამეცნიერო მუშაობაში გვერდიგვერდ ვყოფილიყავით.

ეს იყო დრო, როცა სავალდებულო იყო რესპუბლიკურ დაწესებულებებს კურაცია გაენია რეგიონებისათვის, მოსახლეობისათვის გაენია პროფილაქტიკური გასინჯვები. ამ კოლექტიური გასვლებით მოვლილი გექონდა მთელი საქართველო: აჭარა, აფხაზეთი, სამაჩაბლო, სვანეთი და სხვა კუთხეები. ბატონი კოტე, უმეტეს შემთხვევაში, ამ გამსვლელი სესიების უცვლელი წევრი გახლდათ და ლექციებით, პაციენტთან ურთიერთობით, თავისი გამოცდილებით დიდად პოპულარული ლექტორი და ექიმი იყო. აღასნიშნავია, რომ რეგიონებში ონკოლოგთა ჩასვლა იწყებოდა რეგიონის ხელმძღვანელებთან შეხვედრით და მთავრდებოდა შესანიშნავი ბანკეტით. ამ პირობებში უცებ იკვეთებოდა თითოეული ჩვენგანის პიროვნება, ვინ როგორი ხასიათის და თვისებების გახლდათ. ბატონი კოტე თავისი ადამიანობით და თბილი დამოკიდებულებით გამორჩეული იყო ყოველთვის. ვიხსენებ შემთხვევას, რომელიც შორეულ 1976 წელს მოხდა: ახმეტაში ონკოლოგთა გამსვლელი სესიის ბოლო დღეა. სასტუმროში, რომელიც დიდი კომფორტით არ გამოირჩეოდა, ერთ ნომერში ვცხოვრობდით: ბატონი კოტე, | ქირურგიული განყოფილების გამგე გივი ძაძაძიძე და მე. ბანკეტიდან დაბრუნებულმა ნაძინების შემდგომ თავი ცუდად ვიგრძენი და ნომრიდან ფეხაკრეფით, ისე რომ ჩაძინებულები არ გამეღვიძებინა, გავედი გარეთ. საკმაოდ შევყოვნდი. უცებ ისმის ხმაური, გამოდის კოტე და მეუბნება: – „გოჭს შენვა აკლდა და ალბათ განყინა, საკმაოდ მიირთმევდი სუფრასთან“. თან ელიმება. შევედით ნომერში, სანოლში მანვენს, საიდანღაც გაჩენილ ბორჯომს ხსნის, ღამის 3 საათია, შევწუხდი, ვუბოდიშებ, ხმამალა იცინის – ვის არ მოსვლიათ.

ამის შემდეგ, ვინ იცის, რამდენჯერ მოგვიწია ერთად მოგზაურობა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთ და ურთიერთყურადღება ერთმანეთისთვის არ მოგვიკლია. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ უამრავი მეგობარი ჰყავდა როგორც ჩვენთან, ასევე საზღვარგარეთ, საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში და ყველა დიდ პატივს სცემდა. მახსენდება 2002 წლის დეკემბერი: რამდენიმე ქართველი ონკოლოგი მიწვეული ვართ ონკოლოგიის ცენტრის 60 წლის საიუბილეო სესიაზე. სესიის გახსნის დღეს შევედივართ

ქართული დელეგაცია საზეიმოდ მორთულ დიდი თეატრის ფოიეში მკერდზე შესაბამისი სამაგრიტო – „ГРУЗИЯ“. უამრავი ხალხი, მთავრობის წევრები, სტუმრები, მასპინძლები ირევან. ჩამოსული არიან ცნობილი მეცნიერები როგორც ევროპიდან, ასევე იაპონიიდან, ამერიკიდან. ერთად მივიღივართ ბატონი კოტე, ლევან ჩარკვიანი, სვეტლანა სპირინა და მე, ამ სტრიქონების ავტორი. უცებ ვხედავთ ჩვენკენ ხელგაშლილი მოდის საკმაოდ მოხუცი, დაბალი ტანის, სიმპათიური ჰაბიტუსით, ინტელიგენტი კაცი და ბატონ კოტეს ეხვევა: „Ватно Коте, Вы приехали! Я очень рад видеть Вас!“ და წავიდა გულითადი მისალმებები და სიყვარულის კორიანტელი. აღნიშნული პიროვნება, რომელიც ასაკიდან გამომდინარე არცთუ ისე მობილური იყო, ჩვენთან დარჩა და ალბათ ბოლომდე იქნებოდა, პრეზიდენტში რომ არ მიეპატიჟებინათ. თურმე ეს ას წელს მიღწეული კაცი, რომელსაც დიდი პატივისცემით და მონივნებით ეპყრობოდა ირგვლივ ყველა, საბჭოთა ქირურგიის კორიფე და ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი ბორის ნიკოლოზის ძე პეტროვსკი ყოფილა. წლების მანძილზე მას თურმე საკმაოდ მეგობრული ურთიერთობა ჰქონია ბატონ კოტესთან. სამწუხაროდ, ეს შეხვედრა ბოლო აღმოჩნდა ორივესთვის. ამის შემდეგ ისინი მალე გარდაიცვალნენ.

ვიგონებ კიდევ ერთ შემთხვევას ბატონი კოტიკოს დამოკიდებულებისა უმცროსი კოლეგებისადმი: 1979 წელს ვაქვეყნებთ ერთობლივ სტატიას საკავშირო ჟურნალ „ონკოლოგიაში“ მამაკაცის სარძევე ჯირკვლის კიბოს სტადიურობის შესახებ. ეს ჩემი საკანდიდატო დისერტაციის ერთ-ერთი ფრაგმენტია – საკავშირო ჟურნალში გამოქვეყნება აუცილებელი იყო, ხოლო ჟურნალის რედაქტორი ბატონი კოტიკოს ახლო ნაცნობი გახლდათ. სტატიის გამოქვეყნების მწვანე შუქი ანთებულია. სტატიის ავტორები ბატონი კოტე და მე გახლავართ (ბატონი კოტე პირველი წერია). მიმაქვს მოსკოვში გასაგზავნი, ექსპერტიზაგავლილი სტატია ბატონ კოტესთან ხელმოსაწერად, მინიშნებულ ადგილზე აწერს ხელს, შემდეგ ფურცლავს სტატიას და უცებ მესმის მკაცრი ხმა: „ეს რა არის, ახლავე გადაბეჭდე სტატია და პირველად შენი გვარი დაწერე, ეს სტატია და დისერტაცია შენი პრიორიტეტია და მე აქ პირველობა არ მჭირდება“. ისევ მომიხდა გამზადებული სტატიის გადაბეჭდვა... რამდენი რამ გადაგვხდენია, მაგრამ ერთი რომ არ მოვიგონო, არ შეიძლება. ონკოლოგიაში დაპირისპირებულ მხარეთა ურთიერთშეხება და ინტრიგები თითქმის მისი დაარსები-

დან არსებობდა. თუ ერთი მხარის რომელიმე პროფესორთან რამე საუბარში შეგამჩნევდნენ, მეორე მხარე იწყებდა მაშინვე თქვენს აბსოლუტურ იგნორირებას. ახალგაზრდებს შემოქმედებითი მუშაობა ძალზე გაძნელებული გვექონდა. ასეთი მდგომარეობის მიუხედავად, არა მარტო მე, არამედ ვერც ერთი თანამშრომელი ვერ იტყოდა, რომ ბატონ კოტეს ოდესმე რამე მონაწილეობა მიელო ან კავშირი ჰქონოდა ინტრიგული ბადის ქსოვაში, პირიქით, სასტიკად ილაშქრებდა ამ სამარცხვინო ცხოვრებისეული ნაკლის წინააღმდეგ.

2003 წლის აგვისტოში ნავიდა ჩვენგან დიდებული პიროვნება, ცნობილი პროფესორი, პედაგოგი, მეცნიერი და დიდი დასტაქარი, რომელმაც თავისი კაცთმოყვარეობით, ინტელიგენტობით, პროფესიონალიზმით საიმედო ადგილი მოიპოვა ქართულ ინტელიგენციაში, სამედიცინო საზოგადოებაში, კოლეგებსა და მეგობრებში, მაღლიერ პაციენტებსა და მათ ახლობელთა გულეებში.

ამიტომ დავტოვე დიდი ფიქრის შემდეგ უცვლელად სტატიის სათაური, რომელიც მის ხსოვნას მივუძღვენი...

*რაიბულ თოდუა,
მედიცინის მეცნ. დოქტორი, ონკოცენტრის რბილი
ქსოვილების და ძვლების ქირურგიული განყოფილების
ხელმძღვანელი.*

Высокообразованный, блестящий хирург

Константина Константиновича Мадича я знаю с 1965г., когда я стала работать старшим лаборантом кафедры онкологии Тбилисского института усовершенствования врачей. Константин Константинович тогда был доцентом кафедры. С 1975 года я стала в качестве ассистента кафедры вести курсы специализации и усовершенствования по клинической цитологии совместно с доцентом кафедры Анной Ивановной Сахаровой. В программу нашего курса помимо лекций и практических занятий по клинической цитологии были включены клинические лекции по онкологии, которые читал профессор К. К. Мадич.

На наши курсы съезжались высокоэрудированные практические врачи из разных городов России, Прибалтики, Белоруссии, Украины, Средней Азии. И всем нашим слушателям очень нравились клинические лекции Константина Константиновича. Приезжие врачи восхищались широкой эрудицией и высоким мастерством изложения материала. Лекции К. К. Мадича всегда были очень интересными, содержательными,

ს ბოლშიმ კოლიჩვეთმ ნოვოი ინფორმაციი, ს დემონსტრაციამი ბოლნიხ, კინოფილმოვ, დიაპოზიტივოვ. ვრაცი ონკოლოგიჩესკოცო ცენტრი გურიი დი რაიონნიე ონკოლოგი ჩაწო ვსპომინაიუტ ლექციი კონსტანტინე კონსტანტინოვიჩა. კ პედაგოგიჩესკოი რაბოტე კ. კ. ოთნოსილს ოჩენი დობროსოვესტნი დ ოთვესტვენნი, ობრაცოვო სოვსტავილს ოუჩებნიე პლანი, მეთოდიჩესკიე რაზრატოკი ლექციი დ პრაქტიჩესკიხ ჯანაიტი პო ონკოლოგიი, რაზრატოვოლ კონტროლნიე ტესტოვნიე ჯანაიტი დ ვოპროსი დია პროგრამიროვანოი კონტროლი პო ვსემ თეამ ციკლოვ სპეციალიზაციი დ ოსოვერსენსტოვანი პო ონკოლოგიი. დია პრეპოდავთელიე კაფედრი ონ ბილ პრიმეროვ თოგო, კაკ ნადო ოთნოსილს კ პედაგოგიჩესკოი პროცესუ დ კაკ ნადო პრეპოდავთ.

კ. კ. მადიჩ ბილ ოპიტიმნი კლინიჩისტოვ, ომეოვიმ კლინიჩესკი დ ოსობენო მაკროსკოპიჩესკი პო ოპერაციონნოი მათერიალუ პოჩტი ბეზოშიბოჩნო სთავიტი დიაგნოზ ოეწი დო მიკროსკოპიჩესკოი ისლედოვანი.

კონსტანტინე კონსტანტინოვიჩ ბილ ბლესთაჟიმ ხირურგოვ, ობლადთელე ზოლეთო სკალპელი, პოდარენოი ომუ ოგო ჯე კოლეგამი ნა იუბილეი. თაკაი ოცენკა სოვიხ ხირურგოვ დოროგო სთოიტი.

კ. კ. მადიჩ ბილ ოდნიმ იზ რუკოვოდიტელიე მოეი კანდიდატსკოი დისსერტაციი დ, ვმესტე ს დოცენტოვ ა. ი. სახაროვი, ოკაჟალ მნე ბოლშიუ პომოწი ვ პოდგოტოვკე კ ჯაწიტი დისსერტაციი.

ოთო ბილ პრივეტილვი, დობროჟელატელნი, პროსთოი ვ ობშჩენიი ჩოლოკ, ვსეგდა გოთოვი პრიიტი ნა პომოწი პო ლიბოი პოვოდუ.

პამატი ო კონსტანტინე კონსტანტინოვიჩე მადიჩე ნავსეგდა სოხრანიტი ვ სერდცაჟ ოგო ოუჩნიკოვ, თეჟ, კთო ს ნიმ რაბოტალ დ თეჟ, კთო ოგო ჯნალ.

მარინა ბეროზაშვილი, დოქტორ მედიცინი.

„მაგიური მადიარი“ მადიჩი

თუ გვახსოვხარ?.. რამ დავგავინწყოს თქვენი დახვეწილი მიხვრამოხვრა, მხარზე ჩანთაგადაკიდებული, ოდნავ გვერდზე გადახრილი ტორსი დ მუდამ მომღიმარე პირისახე..

ძალიან მიმძიმს იმის გათავისება, რომ თქვენ უკვე წარსულში დარჩით დ ამქვეყნად აღარ არსებობთ. ჩემი ახალგაზრდობა თქვენი თაობის – ინტელექტუალი ექიმების, გულისხმიერი აღმზრდელების, ნამდვილი პედაგოგებისა დ კარგი ადამიანების გარემოცვაში გავატარე.

„მითიური მადიარი“ მადიჩი 1977 წელს გავიცანი, როცა ონკოცენ-

ტრში დავინყე მუშაობა და გავიარე კვალიფიკაცია ონკოლოგიის კურსებზე. იგი, უკვე ჭარმაგი მამაკაცი, მომხიბვლელი და საინტერესო პიროვნება, თავიდანვე დამიმეგობრდა. ამას განაპირობებდა, ერთი მხრივ ის, რომ ზაირაც გურული იყო და მეორეც, – უდიდესი ურთიერთგაგება და პატივისცემა ერთმანეთის მიმართ.

მონინება ბატონი კოტეს პიროვნების მიმართ მისმა აკადემიურმა გამოსვლებმა, კორექტულმა შენიშვნებმა, ღონისძიებების დროს ადეკვატურმა საქციელმა და საზოგადოებაში ურთიერთობის ფორმებმა გააჩინა; იცნობდა თბილისის კოლორიტულ პიროვნებებს და უამრავ ისტორიებს გვიყვებოდა ხოლმე მათზე.

მინდა რამდენიმე ეპიზოდი მოვიგონო. ერევანში (1982 წ.) ჩატარდა ამიერკავკასიის ონკოლოგთა ყრილობა. ჩვენი ინსტიტუტის დელეგაცია წარმომადგენლობითი იყო და სსრ კავშირის მეცნიერთა მოწონება დავიმსახურეთ წარმოდგენილი შრომებით. ბანკეტზე დირექტორებისათვის ცალკე მაგიდა გაიშალა, სადაც ბატონი კოტე და ქალბატონი ზაირაც ისხდნენ. მახსოვს, მობრძანდით დარბაზის ბოლო მაგიდასთან და მითხარით, ხარისხის მაძიებელი ხარ და საჭიროა იცნობდე ონკოლოგიის ელიტასო. იმ საღამოს გავიცანი კიევის ინსტიტუტის დირექტორი, რამაც ჩემი საკანდიდატო ხარისხის კიევეში დაცვა განაპირობა.

მოსკოვის სათაო ინსტიტუტში ყოფნის დროს ბატონმა კოტემ სვეტლანა სპირინასთან ერთად წაგვიყვანა რესტორან „პრალაში“ და დაუფინყარი საღამო მოგვინყო, ხშირად ვიხსენებდით; ასევე იყო ბათუმში, საკავშირო კონფერენციაზე, სადაც მოგვაჯადოვა თავისი საქციელით, სამეცნიერო ლექციით, ცეკვით, მოლხენით, სტუმარი ქალბატონების გართობით.

იოსებ ჩარკვიანის სახელი ეწოდა ბათუმის სამშობიარო სახლს, ამასთან დაკავშირებით მოენყო გასინჯვების აქცია, რომელშიც ოჯახის წევრებთან (ლევან, თენგიზ, ნინო ჩარკვიანები, რ. ციციშვილი) ერთად გავემგზავრეთ ბატონი კოტე და მე. ქალბატონი ზაირა ხშირად მირეკავდა (პირველი შემთხვევა ზაირას გარეშე!) გამეკონტროლებინა „კოტიკოს წნევა“ და თვალყური მედევნებინა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის, რის გამოც ბატონი კოტე ხუმრობით „НЯНКА“-ს მეძახდა, ძალიან ჯანმრთელადაც იყო და კარგი დროც გავატარეთ საქმის პარალელურად. ბატონი კოტე ამყობდა, რომ შეეძლო ახალგაზრდული ცეკვა და მოლხენა.

ასევე იყო ოზურგეთში, სადაც მამაჩემის იუბილესთან დაკავშირებული უფასო კონსულტაციები ჩავატარეთ, მთელი დღე

ბატონი კოტე ავადმყოფებს სინჯავდა, სალამოს ბანკეტზე ვიდეოზე იყო გადაღებული ბატონი კოტეს და მანანა გობრონიძის მიერ შესრულებული ცეკვა „შალახო“ და ბატონი კოტე აღფრთოვანებას ვერ მაღავედა, ნახეთ, როგორი ვიყავი, რა დროს სიბერეაო!

და ბოლოს, ბატონ კოტეს ძალიან უყვარდა კოტორაანთკარი, სადაც არაჩვეულებრივი აგარაკი ჰქონდა და ყველას აგიტაციას უწევდა, კარგი ჰაერია და თქვენც შეიძინეთო. საკუთარი ხელით ამუშავებდა ნიადაგს, რგავდა, თესავდა, რითაც ხარობდა; სწყინდა, ახალგაზრდები იშვიათად ჩამოდიანო. როცა, მისი დახმარების მიუხედავად, მე ვერ მოვახერხე კოტორაანთკარში მეყიდა აგარაკი, ძალიან გამიბრაზდა, მილაღატეო.

ბატონო კოტე! სახელოვანი სამეულიდან პირველი თქვენ დაგვტოვეთ, ავადმყოფობას არ ეპუებოდით, მაინც სამსახურში დადიოდით და თქვენს პენს არ კარგავდით. ძალიან გვიყვარდით ყველას, თქვენს შემდგომ თაობას სურვილი აქვს ბევრ რამეში მოგბაძოთ, მაგრამ ახლა სხვა დრო დადგა...

მსუბუქი იყოს თქვენთვის ქართული მიწა და არაფერი მომხდარიყოს საქართველოში ისეთი, რომ თქვენი მოგონება დაკარგულიყოს.

იძინეთ მშვიდად, კაცურო კაცო, ამინ!

*ციცო ხარაიშვილი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.*

კოტე მაღიჩი – დიდი პიროვნება, მასწავლებელი და დასტაქარი

უპირველეს ყოვლისა, ჩემთვის დიდი პატივია, რომ ბატონი კოტე მაღიჩის ხსოვნისადმი მიძღვნილ ნიგნში ჩემი მოგონებების დაბეჭდვა შემომთავაზეს. და მაინც, რა შეიძლება დაინეროს ქალაქდზე იმაზე მეტი, რაც თავად ბატონმა კოტემ შექმნა და რაც არასოდეს გაფერმკრთალდება მისი მეგობრებისა და მონაფეების მეხსიერებაში.

მე არ შეეჩერდები ბატონ კოტეზე, როგორც სპეციალისტზე, ვერც მისი, როგორც მამოლოგის მეცნიერულ თუ პრაქტიკულ დანატოვარს ავწონი და შევაფასებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ არათუ სამედიცინო სივრცეში, არამედ მთელ ქართულ საზოგადოებაში

არცთუ ბევრი ადამიანი მოიძებნება, ვისაც კოტე მადიჩის სახელი გაგონილი მაინც არ ჰქონდეს. ხოლო ვისაც პირადად ჰქონია მასთან შეხება, აღარასოდეს დაავინწყდება ეს ადამიანი.

ჩვენ, ახალგაზრდა ექიმები, ონკოლოგიის ცენტრში მოსვლის დღიდან ღმერთის ტოლად აღვიქვამდით ბატონ კოტეს და მის თაობას. ისინი ხომ საქართველოს ონკოლოგიის სათავეებთან იდგნენ, მათ ხომ დარგი შექმნეს ქვეყანაში, რითიც, ვინ იცის, რამდენ ადამიანს შეუნარჩუნეს ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

არადა, ბატონ კოტეს არასოდეს ჰქონია ღმერთობაზე პრეტენზია. ის თავისი არსით ნამდვილი ადამიანი იყო და გარშემოც არა ღვთიურ შუქს, არამედ ადამიანურ სიტბოს აფრქვევდა. თითქოს ბატონ კოტეზეა ნათქვამი: დიდთან დიდია და პატარსთან პატარაო, თუმცა ამაზე მოგვიანებით.

მე არ გავამახვილებ ყურადღებას მის დამოკიდებულებაზე თანამშრომლების მიმართ, ალბათ არ ვიქნები ორიგინალური, თუ უბრალოდ ვიტყვი, რომ ვერ გავიხსენებ მისგან რაიმე დახმარებაზე უარს, ვერ გავიხსენებ, რომ ამ მართლაც ძალზე დატვირთულ ექიმს როდესმე ეთქვას: დაკავებული ან დაღლილი ვარ, ახლა ნადი და მოგვიანებით მოდიო.

2001 წელს, როდესაც საქართველოში სიდუხჭრე და გაჭირვება იყო და როდესაც მოქალაქეებს, განსაკუთრებით რეგიონებში, არანაირი საშუალება არ ჰქონდათ, რომ ექიმისათვის მიემართათ, მე თანამოაზრეთა ჯგუფთან ერთად დავაფუძნე არასამთავრობო ორგანიზაცია „ონკოპრევენციის ცენტრი“. ჩვენი მიზანი იყო რეგიონებში მოსახლეობის პროფილაქტიკური გასინჯვებით ონკოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა და ადრეული დიაგნოსტიკა. როდესაც ჩვენი ჯგუფი ამ საქმეში მონაწილეობის ნინადადებით მივიდა ბატონ კოტესთან, მან არათუ მიიღო ჩვენი შეთავაზება, არამედ ახალგაზრდული შემართებით ჩაერთო საქმიანობაში და არც ერთი გასვლა არ გამოუტოვებია ორი წლის განმავლობაში. ადვილი წარმოსადგენია, რამდენად შემატა ავტორიტეტი და ეფექტურობა ჩვენს ახლად წამოწყებულ საქმეს ბატონი კონსტანტინე მადიჩის სახელმა და გამოცდილებამ.

ეს რაც შეეხება საქმეს, თუმცა ადამიანური მხარეც არ უნდა დაგვავინწყდეს. ჩვენი ახალგაზრდული გუნდის არც ერთ წევრს არ განუცდია რაიმე სახის დისკომფორტი ბატონი კოტე მადიჩის გვერდით. იგი საქმეშიც, ქეიფშიც და ცეკვა-სიმღერაშიც პირველობას არავის უთმობდა, ხოლო მისი იუმორის გრძნობა ხომ საქვეყნოდ ცნობილია.

არ მინდა სიტყვა გამიგრძელდეს. ჩემთვის და ჩვენი გუნდის თითოეული წევრისთვის მეხის დაცემასავით იყო ბატონი კოტეს სიკვდილი, ბატონი კოტესი, რომელიც სიცოცხლით და სიკეთით სავსე იყო, თუმცა ამბობენ, სიკვდილიც საუკეთესოებს არჩევსო.

დაბოლოს, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ბატონ კოტე მადიჩთან ჩემი ურთიერთობისას დანახული ძუძუს კიბოს პრობლემა ღრმად ჩაიბეჭდა ჩემს გონებაში, იმდენად ღრმად, რომ მე თავს ვალდებულად ვთვლიდი მისი ხსოვნის წინაშე, ამ პრობლემაზე მუშაობა გამეგრძელებინა.

სწორედ ბატონი კოტე მადიჩის დათესილის და ამ მუშაობის ნაყოფია, რომ დღეს საქართველოში არსებობს ეროვნული სკრინინგ-ცენტრი, რომელიც თბილისის მასშტაბით ახორციელებს ძუძუს კიბოს სკრინინგს. იმედია, ეს საქმიანობა გავრცელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით, რათა დაძლეული იქნეს ვრავი დაავადება, რომელთან ბრძოლასაც შეაღია თავისი ცხოვრება პროფესორმა კონსტანტინე მადიჩმა.

ბატონო კოტე, მსუბუქი იყო თქვენთვის ქართული მინა.

*პატივისცემით და სიყვარულით,
თქვენი უმცროსი მეგობრები
რემა ლვამიჩავა, იოსებ აბესაძე,
„ონკოპრევენციის ცენტრი“.*

Константин Мадич - профессиональный хирург и учитель

Я познакомилась с Константином Константиновичем Мадичем в 1978 году будучи химиотерапевтом поликлиники ОНЦ. У нас еженедельно проводились консультации по особо тяжёлым больным. И когда это касалось рака молочной железы, главным консультантом являлся К. К. Мадич. Меня покорило его высокий профессионализм и доброжелательное отношение к больным. Я не помню, чтобы К. К. Мадич когда-либо повышал голос или терял контроль над собой даже при самых сложных и спорных ситуациях. У меня лично к Константину Константиновичу всегда было чувство особого уважения и симпатии, потому что он никогда не подчеркивал своего превосходства в знаниях.

В последующем наше многолетнее профессиональное общение переросло в искреннюю симпатию и взаимоуважение. На протяжении многих лет мой профессиональный уровень повышался благодаря

циклом лекций и практическим занятиям, которые блестяще проводил Константин Константинович Мадич будучи заведующим кафедрой онкологии ГИДУВа. Профессор К.К. Мадич являлся одним из немногих настоящих профессионалов ОНЦ, который воспитал блестящую плеяду онкологов Грузии.

В моей памяти Константин Константинович всегда останется, несмотря на разницу в возрасте, квалификации, одним из самых светлых и красивых людей. И если я состоялась в своей профессии, то ведущая роль принадлежит дорогому нам всем человеку, педагогу, профессионалу К.К. Мадичу.

Лера Купрадзе

კონსტანტინე მადიჩი – ნათელი ხსოვნა

ჩვენი ქვეყნის ონკოლოგიური სამსახურის 60-ზე მეტი წლის ისტორიას, მრავალი ონკოლოგის, კლინიცისტის, დასტაქრის, მკურნალი ექიმის, მეცნიერის, პედაგოგის მოღვაწეობა ახსოვს.

მათ შორის, თავისი პროფესიონალობით, იყო და დღესაც მოღვაწეობს ბევრი ვარსკვლავი.

ამ თვალსაჩინო თანავარსკვლავედში ერთ-ერთი გამორჩეულია კაშკაშა ვარსკვლავი გახლდათ ბატონი კონსტანტინე მადიჩი.

ბატონი კოტე, როგორც ქვეყნის ნამყვანი ონკოლოგი, მამოლოგი, მაღალკვალიფიციური კლინიცისტი, დასტაქარი და გულისხმიერი მკურნალი ექიმი პოპულარობით სარგებლობდა მოსახლეობაში. პაციენტების საკონსულტაციოდ მიღებებზე, მას ყოველთვის დიდი რიგი ედგა. დიდი გულისხმიერებითა და ინდივიდუალური მიდგომით სინჯავდა იგი თითოეულ პაციენტს, სწავლობდა კვლევის შედეგებს, სვამდა კლინიკურ დიაგნოზს, ნიშნავდა მკურანლობას.

პაციენტების უმრავლესობას ძუძუს ფონური პროცესების გამო უნიშნავდა პრევენციულ მედიკამენტურ თერაპიას. მაღალი რისკის ჯგუფებზე აწარმოებდა follow-up დაკვირვებას.

ონკო-მამოლოგიურ პაციენტებს, ჩვენების მიხედვით, უტარებდა დამზოგველ თუ რადიკალურ ოპერაციულ მკურნალობას. ოპერაციის შემდგომ პერიოდში პირადად უტარებდა შეხვევებს, აქტიურად აკვირდებოდა მათ მოვლასა და ინდივიდუალურ რეაბილიტაციას.

50-წლიანი პრაქტიკული საქმიანობით მას მრავალი ასეული/ათასეული ქალისათვის აუცილებია კიბოთი დაავადება.

ძუძუს კიბოს პრევენციული სკრინინგის, კიბოსწინა დაავადებებისა და კიბოს ადრეულ სტადიებში გამოვლენის მიზნით, თბილისის გარდა, ბატონ კოტეს მრავალგზის მოვლილი აქვს საქართველოს რეგიონები.

რადიკალური ოპერაციული და/ან კომლექსური მკურნალობით, 5 წელზე მეტით მაინც გაუხანგრძლივებია ან საერთოდ გადაურჩენია (განუკურნავს) მრავალი ასეული ონკოლოგიური პაციენტი ქალის სიცოცხლე.

პრაქტიკულ სამედიცინო მოღვაწეობასთან ერთად ბატონი კოტე აწარმოებდა თეორიულ მეცნიერულ კვლევებს.

კვლევების შედეგები მრავალჯერ აქვს პრეზენტებული კავკასიაში, საზღვარგარეთის ქვეყნებში ორგანიზებულ კონგრესებზე, სიმპოზიუმებზე, კონფერენციებზე, თათბირ-სემინარებზე, ტრენინგებზე.

დიდი ორატორული ნიჭით დაჯილდოებული, რაფინირებული ინტელიგენტი, ჯენტლმენი, ფიზიკურად წარმოსადეგი პიროვნება ყველა აღნიშნულ ღონისძიებაზე, ფლაგმანის რანგში, ღირსეულად წარმოადგენდა ეროვნული ონკოლოგიის სახეს.

ბატონ კოტეს განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის კადრების მომზადებაში. ათეული წლების განმავლობაში ის ხელმძღვანელობდა, თავდაპირველად, დიპლომის შემდგომი განათლებისა და ექიმთა დახელოვნების სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ონკოლოგიის კურსებს, შემდგომში – საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის ონკოლოგიის კათედრას.

სრული პროფესორის, კონსტანტინე მაღიჩის მიერ ორგანიზებულ საკვალიფიკაციო კურსებზე დიპლომის შემდგომ კურსებზე დიპლომის შემდგომ განათლებას ონკოლოგიის დარგში გადიოდნენ ონკოლოგები (მათ შორის მე), მამოლოგები, გინეკოლოგები, ქირურგები, ზოგადი პროფილის ექიმები.

ბატონი კოტეს ლექციების მოსასმენად სპეციალისტები ჩამოდიოდნენ სხვადასხვა რეგიონიდან და ქალაქიდან: ბრესტიდან დანყებული – ვლადივოსტოკით დამთავრებული. მსურველთა დიდი რაოდენობის გამო, კურსებზე მსმენელთა შერჩევა და რეგისტრაცია წარმოებდა წინასწარი სელექციით.

ციკლები იმართებოდა მაღალი სიხშირით. თითოეულ ციკლზე ტრენინგს ერთდროულად გადიოდა 30-50 მსმენელი. შედეგად,

ბატონი კოტეს ასეული/ათასეული სპეციალისტისაგან შემდგარი მონაფეთა არმია, დღესაც ფართოდ არის წარმოდგენილი აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალში.

ბატონმა კოტემ საინტერესო ცხოვრების 80 წელი ღირსეულად განვლო. თავისი მოღვაწეობით საზოგადოებას მოუტანა დიდი სარგებელი, დაუტოვა ნათელი ხსოვნა და თბილი მოგონებები...

მან, როგორც ვარსკვლავმა გაიკაშკაშა, ღირსეულად ჩაგვიარა და გადავიდა ნათელ მარადისობაში...

*ვასილ ტყეშელაშვილი,
კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული
ასოციაციის და კავკასიის კავშირის პრეზიდენტი,
ჯანმრთელობის პრომოციის ალიანსის წარმომადგენელი.
თბილისი, 2008 წელი*

კოტე მადიჩი – ფაქიზი სულის ქირურგი

ნახევარ საუკუნეზე მეტი გავატარე ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში. ბედნიერი იყო ის პერიოდი ჩვენთვის. გვიყვარდა და გვჯეროდა ჩვენი კოლეგების და მასწავლებლების, რომლებმაც მოგვცეს ცოდნა, ჩავგინერგეს ჩვენი საქმის სიყვარული და ერთმანეთის პატივისცემა. მათ შორის იყო ჩვენი კოტეც – „ქალაქელი ბიჭი“. მან დიდი გამოჩინებით, მონდომებით, შრომით და ნიჭით მიაღწია თითქმის უკვდავებას. მისი სახელი არ ნაიშლება ქართული ონკოლოგიის ისტორიაში.

„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო“ – ამიტომ არ მინდა გამეორებით აღვწერო კოტეს მოღვაწეობა. იგი უკვე თავის სიცოცხლეშივე და შემდგომ კი უცხოელ და ჩვენი კოლეგების მიერ სრულად და სამართლიანადაა აღწერილი მოგონებებში.

მსურს შევქმნა კოტეს ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური პორტრეტი – მინდა დაეხატო ისეთი, როგორიც ნამდვილად იყო: მამულიშვილი, არისტოკრატი, ინტელიგენტი, სამართლიანი, დახმარების და ლხინის მოყვარული მეგობარი. სინაზისა და სილამაზის მონა და მოტრფიალე. საჭიროების დროს მკაცრი, ზოგჯერ ფეთქებადი, ყოველგვარი სულიერი ჭუჭყის გარეშე. იგი ყოველთვის პროფესიონალიზმს აყენებდა წინ.

იგი მგრძნობიარე და ფაქიზი სულის ქირურგი იყო. სულიერად

განიცდიდა მძიმე დაავადების გამო ავადმყოფთა მდგომარეობას. კოტე კარგი ფსიქოლოგიც იყო – ცდილობდა პაციენტებისათვის შიში გაეადვილებინა, დაერწმუნებინა გამოჯანმრთელებაში, ყველანაირად ცდილობდა მათი სიცოცხლის გახანგრძლივებას.

კოტეს გათვითცნობიერებული ჰქონდა თანამედროვე უცხოური და სამამულო ახალი მეცნიერული თეორიები, რომლებიც ეყრდნობოდა ჩატარებულ ექსპერიმენტის შედეგებს. მას ჰქონდა ნათელი გონება, მეხსიერება, აზროვნება, კამათის უნარი, საუკეთესო დიქცია და ორატორული ნიჭი.

ვიცი, რომ ბუნებაში მარადიული არაფერია, ყველაფერი ჩნდება და ქრება – იძირება. კოტე გაქრა, მაგრამ ახლობლების და კოლეგების ხსოვნაში იგი დარჩა ისეთი, როგორიც იყო. ახსოვს ექიმების და სტუდენტების იმ ნაწილს, რომელთაც ბედნიერება ხვდათ – მოესმინათ მისი ლექციები და პრაქტიკული ხელოვნება.

კოტეს უყვარდა სამშობლო, უყვარდა რუსთაველის გამზირი, სადაც გაიზარდა და დავაჟიკაცდა, სადაც ბავშვობისას კაცობის დასამტკიცებლად ხშირად სიცვლქესაც მიმართავდა და ბოლოს კი ერთ-ერთი ცნობილი და საყვარელი პიროვნება გახდა.

მართალია, კოტე წარსულს ჩაბარდა – „წარსული კი მომავლის მშობელია“.

ვაი ამ მომავალს! ვიცი, კოტეს სული წუხს და გლოვობს, ეცოდება მშობლიური მიწა, სადაც „მამა-პაპის ძვლები ეგულვის“. ეცოდება მისი მშობლიური მიწა, რადგან ისევ მოიწყა სისხლით და მას ლოცვის მეტი არაფერი შეუძლია. ღვთისმშობლის ლოცვა-კურთხევით და ძალით, ქართული პატრიოტული გენით ყველაფერი კარგად იქნება, დამშვიდდი, კოტე!

ციცო სანაძე

კოტე მაღიჩი – ადამიანი და ექიმი

ქცევით, საუბრით, ადამიანებთან დამოკიდებულებით, გარეგნობით და, თუ გნებავთ, ჩაცმულობითაც, ჭეშმარიტი ინტელიგენტი იყო კოტე მაღიჩი.

არაჩვეულებრივად კეთილგანწყობილი, გულისხმიერი, მახვილი და იმავდროულად მსუბუქი იუმორით დაჯილდოებული, მრავალმხრივ და ღრმად განათლებული, ძალიან საინტერესო მოსაუბრე – კოტე

იყო პიროვნება, რომელთან ურთიერთობა ჩემთვის ძალიან სასიამოვნო, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ მოგონებად რჩება.

ჩვენი დაახლოება დიდი ხნის წინ დაიწყო ერთად მუშაობით ჯანდაცვის სამინისტროს მაშინდელი IV სამმართველოს საავადმყოფოში, სადაც კოტე მრავალი წლის განმავლობაში მთავარი კონსულტანტი იყო მამოლოგიაში. საოპერაციოში მასთან მუშაობა ყოველთვის დაუძაბავი და ადვილი იყო. კრიტიკულ სიტუაციებში მისი თავდაჭერილობა დამამშვიდებლად მოქმედებდა ოპერაციაში მონაწილე პერსონალზე. ხშირად მოულოდნელი, მაგრამ ყოველთვის დროული, მისი ხუმრობა საოცრად განმუხტავდა ხოლმე უაღრესად დაძაბულ ვითარებასაც კი. და ამას ყოველთვის კეთილგანწყობის საოცრად ჰუმანური სახე ჰქონდა. ეს კი ხელს უწყობდა ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებასა და ოპერაციის წარმატებით დასრულებას.

დახვეწილი პროფესიონალიზმი, ღრმა და მრავალმხრივი სამედიცინო განსწავლულობა, დაულაღავი და დაუზარელი პრაქტიკული საქმიანობა და, რაც განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია, ავადმყოფის (ხშირად მძიმე და, არაიშვიათად, უიმედო ავადმყოფის) შიშისა და განცდის არამარტო გაგება – ღრმა ნედომა და თანაგანცდა განაპირობებდა მის მიმართ პაციენტებისა და მათი ახლობლების ნდობასა და სიყვარულს. ძალიან პოპულარული იყო კოტე არა მხოლოდ როგორც ექიმი – როგორც დიდი პიროვნება ქართული საზოგადოებისა.

მისაბაძი იყო კოტეს ურთიერთობა კოლეგებთან, განსაკუთრებით ახალგაზრდა ექიმებთან, რომლებიც, ბუნებრივია, უფრო ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე ძნელ მდგომარეობაში და ერიდებოდათ რჩევისათვის დროულად მიმართონ უფროს კოლეგას. უაღრესად ტაქტიანი რჩევით და მხოლოდ აუცილებლობისას პირადი ჩარევით მას ბევრჯერ უხსნია სიტუაცია და სამედიცინო ეთიკის, ჰუმანურობის სამაგალითო გაკვეთილიც უბოძებია ახალგაზრდებისათვის.

დახვეწილი ტექნიკის მქონე ქირურგი, კოტე კარგი პედაგოგიც იყო: საქართველოს და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის მსმენელები მრავალი წლის განმავლობაში ისმენდნენ ღრმა თეორიულ ცოდნასა და საკუთარ დიდ პრაქტიკულ გამოცდილებაზე დამყარებულ, შესანიშნავი ქართული და რუსული ენით ნაკითხულ მის ლექციებს.

ახლა, როდესაც სულ უფრო საგრძნობი ხდება მედიცინაში ტექნიკური მეთოდების შეჭრით განაპირობებული გაუცხოება ექიმსა და ავადმყოფს შორის, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად შეხვედებით ექიმს, რომელიც კონკრეტული ადამიანის, მისი განცდების, იმედისა თუ უიმედობის მაგიერ მხოლოდ გასაშუალებულ ავადმყოფს, უფრო სწორად კი ავადმყოფობის სიმპტომების მშრალ ნუსხას ხედავს. თუ ასეთ ექიმს საფუძვლიანი სამედიცინო ცოდნა გააჩნია, ის შეძლებს (და წარმატებითაც) უმკურნალოს ავადმყოფს, მაგრამ მისი ქმედება მიმართული იქნება უსახო ავადმყოფზე და აქ არავითარი მნიშვნელობა არ ექნება არც ექიმისა და არც პაციენტის პიროვნებას. ექიმი შეიძლება ასეთიც იყოს, მაგრამ ის ასეთი არ უნდა იყოს. ექიმი კოტე მადიჩისნაირი უნდა იყოს.

გოგი ჩახუნაშვილი

ბატონი კოტე

1958 წელს, ჯერ კიდევ 12 წლისამ ვინწინე ბატონი კოტეს გულისხმიერება. დედაჩემი – ქეთევან ნიკოლაძე და ბატონი კოტე მეგობრები იყვნენ. მე ხშირად მანუხებდა ყელი და ჩემი მოუსვენარი ხასიათის გამო სულ უფრო და უფრო მირთულდებოდა. ბატონმა კოტემ თითქმის ძალით წამიყვანა თავის უახლოეს მეგობართან ვახტანგ ხუციძესთან (წოპესთან) ტონზილექტომიისათვის. მე, დედისერთა ნებიერ ბიჭს ბატონმა კოტემ წყნარად გადამიკრა: „ბიჭო, პლესანოველი არა ხარ? შენს ყვირილს მთელი პლესანოვი გაიგებს და თავი მოგეჭრებაო“, მე, რა თქმა უნდა, ვცდილობდი ხმა არ ამომელო.

გავიდა წლები, დავამთავრე ინსტიტუტი, ჩამოვყალიბდი ექიმად, რომელმაც მოვიარე თითქმის მთელი საბჭოთა კავშირის ონკოლოგიური დანესებულებები და ვარშავის სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური ქირურგიის ონკოლოგიური განყოფილება. მეგონა ჩემზე მომზადებული ონკოლოგი საქართველოში არავინ იყო და 1983 წელს დავინწყე მუშაობა ბატონ კოტესთან კათედრაზე. აღმოჩნდა, რომ რაც ვისწავლე, ის წიგნებში იყო დანერილი, ხოლო ის, რაც პრაქტიკაში გვხვდება, მხოლოდ დიდი გამოცდილების შედეგია, რაც არ აკლდა ბატონ კოტეს.

ყველა, ვისაც ხვდა წილად მასთან მუშაობა, მონამენი ვიყავით

დიდი ექიმის იმ სიტბოსი და გულისხმიერებისა ავადმყოფობის მიმართ, რომელიც აუცილებელია ამ ამალელებელი მოვალეობის შესასრულებლად. არ შეიძლება გემუშავა ბატონ კოტესთან და არ გადმოგდებოდა ის სიტბო, გულისხმიერება, რომლითაც თვითონ მუშაობდა.

შეუძლებელია არ მოხიბლულიყავი მისი ზღვარდაუდებელი ცოდნით, ასევე გულითადობით და ზრუნვით, რომელსაც იჩენდა ის ახალგაზრდა ექიმების მიმართ. ახლაც მახსოვს მის მიერ ავადმყოფის გასინჯვის პროცესი, ანამნეზის გამოკითხვა, დიაგნოზის დასმა. ყოველთვის ჩვენ შეგვეკითხებოდა აზრს, თითქოს ჩვენს აზრს დიდი მნიშვნელობა ჰქონოდა. ყველას აკვირვებდა და აღაფრთოვანებდა მის მიერ დასმული წინასწარი დიაგნოზი, რომელიც თითქმის ყოველთვის მართლდებოდა შემდგომი გამოკვლევებით. რა თქმა უნდა, ეს განპირობებული იყო მისი ცოდნით, გამოცდილებით და ინტუიციით.

აღსანიშნავია ის უდიდესი პატივისცემა, მოკრძალება და სიყვარული ბატონ კოტეს მიმართ, რომელიც არსებობდა ონკოლოგიის ცენტრის თანამშრომლებს შორის. მას ძალიან უყვარდა ონკოლოგია, უყვარდა ავადმყოფი და ამიტომ ავადმყოფებიც შესცივინებდნენ თვალებში.

იგი იყო საუკეთესო ექიმი, მეცნიერი, არაჩვეულებრივი პედაგოგი. მის დადებით თვისებებთან შერწყმული იყო ჭეშმარიტი ინტელიგენტობა. ბატონი კოტე არაჩვეულებრივი პიროვნება იყო, მორიდებული, თითქოს უსიტყვო და ამავე დროს იგი ყოველთვის ყურადღების ცენტრში ექცეოდა.

როდესაც მოხდა უდიდესი ტრაგედია – გარდაიცვალა ბატონი კოტე, ძალიან გამიჭირდა, ვინაიდან აღარ ვიცოდი ვისგან მიმელო რჩევა, ვის შევეკითხოდი.

ბატონი კოტეს ადამიანურ და პროფესიონალურ თვისებებზე მეტყველებს ისიც, რომ არ დარჩენილა ადამიანი, რომ მისი ნასვლით გული არ სტკენოდა.

დათო ლოლობერიძე

მეგობრის გახსენება

176

ქონსტანტინე მაღიჩი

არსებობენ ადამიანები, რომელთა შესახებ წარსულში ლაპარაკი ძალიან ძნელია. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ბატონი კოტე (კონსტანტინე) მაღიჩი. იგი ქართული ონკოლოგიური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელია – შესანიშნავი ქირურგი, ბრწყინვალე პედაგოგი და ერთგული მეგობარი. ბატონი კოტეს უშუალო ხელმძღვანელობით გაიზარდა ქართველ ონკოლოგთა მთელი პლეადა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრის ბაზაზე და ონკოცენტრში. იგი იყო პროფ. კ. ვეფხვაძის ერთ-ერთი საუკეთესო მოწაფე და მისი საქმის ღირსეული გამგრძელებელი.

ბატონ კოტეს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში კანის სიმსივნეების პრობლემის შესწავლაში. ამავე თემას ეძღვნებოდა მისი საკანდიდატო დისერტაცია. ეს ფუნდამენტური ნაშრომი დღესაც დიდ დახმარებას უწევს ახალგაზრდა ონკოქირურგებს აღნიშნული საკითხის შესწავლისას.

თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის მნიშვნელოვანი პერიოდი ბატონმა კოტემ ძუძუს სიმსივნეების კვლევას მიუძღვნა. კერძოდ, იგი სწავლობდა ძუძუს კიბოს დროს ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ჰორმონულ ძვრებს.

როდესაც კოტე მაღიჩზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ბატონი კოტე ღრმად განათლებული და მაღალი ერუდიციის მქონე პიროვნება იყო, ნამდვილი ინტელიგენტი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. საკმარისი იყო შეგეხედა მისთვის და დალაპარაკებოდი, რომ ამაში უმაღლეს დარწმუნდებოდი. სამედიცინო თუ ნებისმიერ სხვა თემაზე მასთან საუბარი ერთი სიამოვნება იყო.

ბატონი კოტე ძალიან თბილი, კეთილი და ყურადღებიანი ადამიანი იყო როგორც კოლეგების, ისე პაციენტების მიმართ. არასდროს დამივიწყდება ერთი შემთხვევა პირადი ცხოვრებიდან: 1962 წელს დამიდგინდა ძუძუს დაავადება. ამის შესახებ ჩემს მეგობრებს გაუუმხილე. ოპერაციაზე არც კი მიფიქრია, თუმცა ძალიან ველავდი. ჩემი მდგომარეობის შესახებ მეგობრებმა ბატონ კოტეს შეატყობინეს. ის მაშინვე მოვიდა ჩემთან განყოფილებაში. დაუვიწყარია ის სიტბო და ყურადღება, რაც მან გამოიჩინა. სწორედ მან გადამანყვეტინა ოპერაციის დაუყოვნებლად გაკეთება და თავისი სამსახურიც შემომთავაზა. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ბატონ კოტეს სიტბო და ყურადღება არც ოპერაციის

შემდეგ დაუკლია ჩემთვის. მას შემდეგ 45 წელი გავიდა, მაგრამ მე დღესაც მახსოვს მისი სიკეთე.

სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ იმ საერთაშორისო აღიარებაში, რომელსაც ქართულმა ონკოლოგიამ მიაღწია, ბატონი კოტეს დიდი წვლილიც არის.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

*ნათელა თურქია,
მედიცინის დოქტორი,
ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის
სიმსივნეთა მედიკამენტური თერაპიის განყოფილების ექიმი.*

ბუმბერაზი კლინიცისტი

ბატონი კოტე მაღიჩი საოცრად დიდსულოვანი, კეთილშობილი და ყურადღებიანი ადამიანი იყო. მას შეეძლო ახალი, საღი აზრის გაზიარება ახალგაზრდა სპეციალისტებთან ერთად. მე იგი მუდამ ჩემს მასწავლებლად და აღმზრდელად მიმაჩნდა და დღეს თუკი რამ ვიცი, უმეტესწილად ეს ბატონი კოტეს დამსახურებაა.

ბატონ კოტესთან ხშირად გამიმართავს პოლემიკა ამა თუ იმ მეცნიერულ საკითხზე. მას ყოველთვის ჰქონდა ჭეშმარიტი პედაგოგის დამახასიათებელი თვისებები – მოგისმენდა, აგიხსნიდა და რაც ყველაზე მთავარია, ეს ბუმბერაზი კლინიცისტი ახალგაზრდებს გვეკითხებოდა სხვადასხვა საკითხს, აინტერესებდა ჩვენი აზრი, შეხედულება. დაფიქრდებოდა და თუ მოეწონებოდა, გაიზიარებდა და შეგვაქებდა.

მე მქონდა უდიდესი პატივი და ბედნიერება, მემუშავა ქართული მამოლოგიის მამამთავრის, ბატონ კონსტანტინე მაღიჩის გვერდით წლების მანძილზე. ეს იყო ჩემთვის უდიდესი სკოლა ქირურგად ჩამოყალიბების პერიოდში.

ბატონ კოტესთან ურთიერთობის მრავალი თბილი და საინტერესო მომენტი მახსოვს, თუმცა ახლა მხოლოდ ერთს გავიხსენებ. ერთ დღეს ბატონი კოტე და მე ჩემი საკანდიდატო დისერტაციის ზოგიერთ საკითხზე ვერ შევთანხმდით. მეორე დღეს მამოლოგიური კლინიკის დერეფანში ჩემს პაციენტებს ვესაუბრებოდი. ამ დროს ბატონ კოტეს გამოუვლია, მაგრამ საუბარში გართულს, მე იგი არ შევინიშნავს. ცოტა ხანში ბატონმა კოტემ თავის კაბინტში

მიხმო და გულდანყვევით მკითხა, – გუშინ ჩემგან რაიმე ხომ არ გენყინაო. როდესაც ჩემი პასუხი მოისმინა, მეტად თბილად გამიღიმა და მითხრა, – მე კი მეგონა, რაიმე განყენინე და ამაზე ვლელავდიო. აი, ასეთი ბავშვური სიალალით შეეძლო მას ყველა საკითხის გულთან მიტანა, ყველას აზრის, ტკივილისა და სიხარულის გაზიარება. როდესაც საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი, დასკვნითი სიტყვა ბატონმა კოტემ წარმოთქვა – ვამაყობ, რომ კახა ბარამიძე ჩემი აღზრდილია, ვამაყობ იმით, რომ ქართულ მამოლოგიაში მისი სახით მოდის ისეთი ახალგაზრდა სპეციალისტი, რომლითაც იამაყებდა მსოფლიოს ნებისმიერი წამყვანი კლინიკა – ეს იყო ჩემთვის უდიდესი ჯილდო. და მე დღეს ვარ საოცრად ამაყი, რადგან სწორედ ბატონ კოტე მაღიანის კაბინეტში, მის მაგიდასთან ვაგრძელებ მის დანყებულ კეთილშობილურ საქმეს. საოცარი აურა, რომელიც ამ ბუმბერაზმა ადამიანმა დატოვა, დღესაც აქ ტრიალებს და გვიმსუბუქებს ექიმის მეტად რთულ და საპასუხისმგებლო გზაზე სიარულს.

*კახა ბარამიძე,
მედიცინის აკადემიური დოქტორი.*

ექვნიება კოტე მაღიანის ხსოვნას

მზიანი და უჩვეულოდ ცხელი დღე სალამოს წვიმამ დაწმინდა და დააგრილა.

გრემ პერკსის ნაჩუქარი ვისკი უცებ მოერია დამძიმებულ კიდურებს და თბილისი უზომოდ მომენატრა.

ზაფხულის წვიმაში ათი წუთი გასეირნება ძალიან არ გასველებს, თან როცა ინგლისურად ცრის.

განყოფილების ოფისში ისეთი სიცარიელე და სინყნარე დამხვდა, რომ „ჰორმონოთერაპიულ“ სტატიაზე მუშაობა ხმაურიან დილაშდე გადადებად წამდვილად არ ღირდა. თუმცა, ჯერ ტელეფონით თბილისის ამბები და მონატრებები...

ის სალამოც, თბილისის ამბებიც კოტე მაღიანის მოგონებად გარდაიცვალა...

ინგლისურენოვანი სტატიის გაგებისა და გადმოთარგმნისათვის ერთი დღე არ კმარა. განსაკუთრებით, თუ სტატია ეხება ძუძუს კიბოს ჰორმონოთერაპიას მეცნიერებადაფასებულ ქვეყნებში.

კოტე მადიჩს ყოველთვის ერთ დღეში უნდა სტატიის უკან დაბრუნებაცა და მის შინაარსზე შინაარსობრივად საუბარიც. თუმცა, ღირს უძილო ლამედ; ჭიქა ვისკი, ბატონი კოტეს ულევნი მარაგიდან, მასთან საუბარს განსაკუთრებულ ინტერესს ჰმატებს და მე – სითამამეს. ეს ასაკოვანი პაციენტიც ფეხზე დაეყენე, სწორედაც მადიჩისეული სინესტროლის სქემის წყალობით. ქიმიოთერაპიის არც ფული ჰქონდა და არც ზოგადი მდგომარეობა, სახლში მიჰყავდათ უიმედოდ. სხვა შემთხვევაში, ასე თამამად ვერ გადაწყვეტილით მხოლოდ ჰორმონოთერაპიის დანიშნას, მიუხედავად ბატონი კოტეს მხარდაჭერისა. მეოცე საუკუნის ბოლოს ჯერ კიდევ მოსკოვში ხდება „ქართული ონკოლოგიური აზროვნების“ ჩამოყალიბება.

2006 წელს, პროფესორი ჯონ რობერტსონი, ნოტინგჰემის ძუძუს გაერთიანებისა და ჩემი სადისერტაციო თემის ხელმძღვანელი, ყურადღებით ისმენდა ჰორმონოთერაპიულ „ქართულ სასწაულებს“ და თავისი შოტლანდიური ინგლისურით მიხსნიდა, რამდენად მნიშვნელოვანია ამ ყველაფრისთვის სწორი ინტერპრეტაციის მოძებნა და როგორ გაგვიმართლა. ორივეს, რომ კარგი მასწავლებლები გამოგვიგზავნა უფაღმა და რა სამწუხაროა მათი დაკარგვა.

2007 წლის სანტ გალენის ძუძუს კიბოს სიმპოზიუმზე, მრავალწლიანი კამათისა და მრავალგზიანი ძიების საფუძველზე, მიღებულ იქნა სახელმძღვანელო შეთანხმება ჰორმონული მკურნალობის უპირატესობაზე ქიმიოთერაპიასთან მიმართებით პაციენტთა საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯგუფში. რობერტსონი საკმაოდ გახარებული ჩანდა შედეგით, მეც და პროფესორი მადიჩიც, დარწმუნებული ვარ.

არ არის მედიცინა მარტო განათლება და გამოცდილება. საერთოდაც, ყოველგვარ ცოდნას სჭირდება დაკვირვებისა და ამოცნობის ნიჭი.

თვალისმომჭრელ ფერთა სიმრავლეში მხოლოდ რჩეულები ჭვრეტენ წმინდა ფერთა გამოსახულებას.

გოგიტა ძავნიძე

კოტე მადიჩის ხსოვნა

180

სოსტანინე მადიჩი

თხუთმეტი წლის ვიყავი, როდესაც ჩემი გამზრდელი ბებიის მეღა-
ნომით დაავადების გამო კოტე მადიჩის სახელმა და პიროვნებამ
ჩვენს სახლში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. იგი მოგვევლინა
როგორც მშველელი, მკურნალი და მრჩეველი, ახლობელი მანამ-
დეც იყო, ვინაიდან მისი მეუღლე და დედაჩემი სკოლის მეგობრები
გახლავან. ბატონი კოტე ჩვენთან ერთად ებრძოდა განუკურნებელ
სენს, რომელიც ჩვენ უსაყვარლეს ადამიანს გვართმევდა და მე მის
თვალეში ვხედავდი დამარცხების ტკივილის ანარეკლს.

თვალეების ეს საოცარი გამომეტყველება რამდენიმე წლის მოგვი-
ანებით არაერთხელ მინახავს, როდესაც მკურნალი, ქირურგი, მეცნიერი
და მებრძოლი ბატონი კოტე მადიჩი ჩემი მასწავლებელი გახდა. დიდი
გამოცდილების მქონე ონკოლოგისთვის ჩვეული დამარცხების ტკივილი
და გამარჯვების სიხარული მუდამ იყო მის თვალეში ასახული.

ექიმობა და, კერძოდ, ონკოლოგობა მე ბატონი კოტეს მაგალი-
თზე გადავწყვიტე. სტუდენტობიდან მოყოლებული ონკოლოგიურ
საავადმყოფოში დავდიოდი, კოტე მადიჩის ოპრაციებს ვესწრე-
ბოდი, ასისტირებას ვუწევდი და მისგან ქირურგიას ვეზიარებოდი.
სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბედნიერება
მქონდა ბატონი კოტეს გვერდით მემუშავა 1984-დან 1994 წლამდე,
ვიდრე ჰოლანდიაში გადავიდოდი საცხოვრებლად.

ონკოლოგიურ ცენტრში ჯერ პოლიკლინიკაში დავინყე მუშაობა
ექიმ ცივა ხატიამვილთან ერთად, მამოლოგიურ კაბინეტში. ჩვენ
ვამზადებდით პაციენტებს კოტე მადიჩის კონსულტაციებისათვის.
ეს კონსულტაციები თავისთავად დიდი სკოლა გახლდათ არა მარტო
სამედიცინო აზროვნების, არამედ სამედიცინო ეთიკისა და კოლე-
გიალურ ურთიერთობათა ათვისების თვალსაზრისითაც. მამოლოგიურ
კლინიკაში, რომელსაც ბატონი კოტე მადიჩი ხელმძღვანელობდა,
ძველი თაობის ონკოლოგების გვერდიგვერდ ახალგაზრდა ექიმე-
ბიც მუშაობდნენ. ყველას უდიდესი პატივისცემა და მოკრძალება
ჰქონდა ბატონი კოტესი. იგი პირადად ატარებდა ყოველკვირეულ
შემოვლას, შემდეგ ავადმყოფთა გარჩევას და მკურნალობის გეგმის
შემუშავებას. საოპრაციოში მუდმივად გვასწავლიდა და დამოუკიდე-
ბლად მუშაობის საშუალებას არ გვაკლებდა. ბატონი კოტე დიდი
სტიმულის მომცემი იყო პირადად ჩემთვის და ასევე ყველა ახალ-
გაზრდა ექიმისთვის, მან მიმავლინა ქალაქ მოსკოვის საკავშირო
ონკოლოგიურ ცენტრში, სადაც დაუსწრებელ ასპირანტურაში

ჩაბარების შემდეგ პროფესორ ვ. ლეტიაგინის ხელმძღვანელობით საკანდიდატო დისერტაცია დავიცავი 1991 წელს.

ასევე 1993 წელს მომეცა საშუალება, სათანადო შერჩევის შემდეგ, ჰოლანდიის ქალაქ ალკმარის კლინიკაში სამთვიან სტაჟირებაზე წავსულიყავი. ბატონი კოტე ყოველთვის ხელს მინყობდა, რომ უცხო კლინიკაში შეძენილი ცოდნა და სიახლე მამოლოგიურ განყოფილებაში დაგვენერგა.

1994 წლიდან ჩემი ჰოლანდიაში გადასვლის შემდგომაც და ბატონ კოტეს გარდაცვალებამდე მასთან ყოველი შეხვედრა უზომოდ მახარებდა, ვუზიარებდი ჩემს ახალ გამოცდილებებს და ვუსმენდი მის აზრს, ვუყურებდი მის ხელებს, რომლებითაც მან მრავალ ადამიანს სიცოცხლე გაუხანგრძლივა და შეუნარჩუნა.

ძვირფასი ადამიანის, კოტე მაღიჩის ხსოვნა სამუდამოდ იქნება ჩემს გულში.

ეკა მხეიძე

*მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი,
ქირურგი-მამოლოგი, ამჟამად ოჯახის ექიმი.
ამსტერდამი, 24 ნოემბრი 2008წ.*

ღირსეული ქართველი კაცი

დადიოდა ქალაქში სერბი გურული — ღირსეული ქართველი კაცი, გამორჩეული დასტაქარი, უღალატო მეგობარი, სუფთა ბუნების კაცური კაცი, ქალაქის კოლორიტი... ეს კაცი კოტე მაღიჩი იყო.

საქართველოში ამ გვარს მხოლოდ მისი ორი ასული — ირინა და მარინა ატარებს დღეს.

მტკივნეულია წარსულში მისი მოხსენიება. სიკვდილთან ჭიდილში გაატარა მთელი ცხოვრება. ებრძოდა ვერაგ დაავადებას. თუ საბოლოოდ ვერ ამარცხებდა, ახანგრძლივებდა სიცოცხლეს, წლობით უბრუნებდა შვილებს დედას, მშობლებს შვილს.

რა ფაქტიზი მუშაობა იცოდა, თითების ნატიფი მოძრაობით აცილებდა სხეულს საშინელ წარმონაქმნს, მსუბუქად მუშაობდა. რამდენჯერმე მქონდა ბედნიერება გამეწინა მისთვის ასისტირება — მონვეული გვყავდა ჩვენთან კლინიკაში, სამწუხაროდ, ჩვენივე ექიმების საოპერაციოდ.

ოქროსხელემა კაცი იყო და ოქროს სკალპელი უსახსოვრეს, დაბადების 80 წელი რომ შეუსრულდა.

მაინც აჯობა სიკვდილმა... მას შეჰყარა დაუმარცხებელი სენი და ისე აღესრულა კოტე მადიჩი, როგორც ჩვეულებრივი რიგითი მოკვდავი — კაცი, რომელიც დაუღლეელი იბრძოდა ამქვეყნიური საოცრების — სიცოცხლის გასახანგრძლივებლად, სხვებისთვის შვების მოსაგვრელად, დააშორა იგი სანუკვარ ოჯახს, ერთგულ მეუღლეს, დიდებულ ქალბატონ ზაირას, მშვენიერ ასულებს, საამაყო სიძეებს, სათაყვანებელ შვილიშვილებს. ნაართვა იგი საქართველოს. ქართული სამედიცინო საზოგადოება მუდამ ქედს მოიხრის მისი ნათელი ხსოვნის წინაშე.

თინა ურუშაძე, დოცენტი
25.10.08

ბატონი კოტე, ჩემი ძვირფასი უფროსი მეგობარი

როდესაც დავაპირე ბატონ კონსტანტინე მადიჩზე ჩემი მოგონების დაწერა, რატომღაც პირველად ჩემთვის გავიფიქრე იმაზე, რომ თუ რა პიროვნებას წარმოადგენდა ეს ადამიანი, ვისთანაც მე მრავალი წლების განმავლობაში გარკვეული სუბორდინაციის წესების დაცვით, ნამდვილი მეგობრობა მაკავშირებდა.

თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი ბატონი კოტე მიეკუთვნებოდა ჭეშმარიტად იმ ბრწყინვალე მოქალაქეთა ჯგუფს, ვინც ხასიათდება პატიოსნებითა და კეთილშობილებით.

ჩვენი ნაცნობობა დაიწყო იქიდან, რომ მე ჯერ კიდევ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად უნივერსიტეტის) პირველი კურსის სტუდენტს მომიწია ბატონ კოტესთან ერთად საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების პირველობაზე კალათბურთში ერთ გუნდში თამაში. მაშინ ბატონი კოტე, ზუსტად არ მახსოვს, უკანასკნელ კურსზე ბრძანდებოდა ან უკვე პქონდა ჩვენი ინსტიტუტი დამთავრებული. საქმე ის იყო, რომ თბილისის პირველ ვაჟთა სკოლაში ფუნქციონირებდა ძალიან კარგი კალათბურთის გუნდი, რომლის წევრთა უდიდესი ნაწილი შემდეგში სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. ჩვენ გვჭირდებოდა ისეთი გამოცდილი მოთამაშე, როგორიც ბატონი

კოტე ბრძანდებოდა (იგი წარმატებით თამაშობდა თბილისის „დინამოს“ კალათბურთის გუნდში), ასე რომ, მასთან თამაში ჩვენ დიდ პატივად მიგვაჩნდა. ხუმრობით რომ ვთქვათ, ბატონმა კოტემ იკადრა ჩვენთან ერთად გამოსულიყო სამედიცინო ინსტიტუტის სპორტული ღირსების დასაცავად.

აღსანიშნავია, რომ ბატონი კოტე უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, უკვე ექიმი, კვლავ საკმარის ხანს აგრძელებდა კალათბურთის თამაშს. ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ვერის, ანუ როგორც მაშინ მას უწოდებდნენ კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის მოედანზე. მე მიხაროდა, რომ ბატონი კოტე ძალიან თბილად იყო განწყობილი ჩემ მიმართ და ჯერ კიდევ სტუდენტს უყურადღებოდ არასოდეს მტოვებდა.

ბატონი კოტე ბუნებით არ იყო ამაყი, მასთან თავისუფლად გრძნობდი თავს. იგი შესანიშნავი მოსაუბრე ბრძანდებოდა და ყოველთვის კეთილის მრჩეველად გვევლინებოდა. უკანასკნელ კურსზე მე მივმართე ბატონ კოტეს რჩევისთვის იმის თაობაზე, ნავსულიყავი თუ არა სამკურნალო ფიზკულტურისა (რეაბილიტაციის) და სპორტული მედიცინის დარგში სამუშაოდ. იმ პერიოდში მე მივიღე წინადადება პროფესორ გიორგი მღებრიშვილისგან აღნიშნულ დარგში ასპირანტურაში ჩაბარების შესახებ. ბატონ კოტეს გააჩნდა სპორტის ექიმად მუშაობის გამოცდილება, ამიტომ მან დაბეჯითებით მირჩია, რომ მე, როგორც სპორტსმენი, აუცილებლად უნდა ნავსულიყავი ამ დარგში სამუშაოდ, ვინაიდან მას დიდი მომავალი ექნებოდა. შემდეგში, როდესაც მე სწრაფად დავწინაურდი, ბატონი კოტე ყოველთვის მახსენებდა, რომ სწორად მოვიქეცი. გადიოდა წლები, ჩვენ უფრო იშვიათად გვინხდებოდა ერთმანეთის ნახვა, მაგრამ მე ბატონ კოტეს ოჯახის თაობაზე მისი მეუღლის, შესანიშნავი ადამიანის, ქალბატონ ზაირას მეშვეობით ბევრი რამ ვიცოდი. ქალბატონი ზაირა ხშირად მობრძანდებოდა ე.წ. მე-4 სამმართველოს სამკურნალო კაბინეტში, სადაც მე შეთავსებით ვმუშაობდი, ასე რომ, ბატონი კოტე არ მავინწყდებოდა.

პროფესორი კონსტანტინე მადიჩი მიეკუთვნებოდა იმ ექიმთა პლეადას, რომლებიც გამოირჩეოდნენ მაღალი პროფესიონალიზმით. ბატონი კოტე ყოველთვის გაუბრბოდა აუიოტაჟს თავის საქმიანობასთან დაკავშირებით, მაშინ როდესაც ერთ-ერთ ნამყვან ქირურგ-ონკოლოგად ითვლებოდა საქართველოში. იგი ბრწყინვალე ოპერატორი ბრძანდებოდა და იმ დროისთვის მაღალ ტექნიკურ დონეზე აკეთებდა ოპერაციას. ბატონ კოტეზე ამბობდნენ, რომ

იგი ყველა პაციენტს ურჩევდა გაეკეთებინა ოპერაცია, რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდა. ბატონი კონსტანტინე მაღიჩი ხასიათდებოდა დიდი ინტუიციით, რის წყალობითაც მას ჰყავდა ძალიან ბევრი ავადმყოფი გადარჩენილი. ასე რომ, პროფესორი კონსტანტინე მაღიჩი ავადმყოფს ოპერაციას უკეთებდა მაშინ, როდესაც ეს იყო აუცილებელი და გადაუდებელი.

ბატონ კოტე მაღიჩზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება. მე, როგორც მისმა უმცროსმა მეგობარმა გავბედე და ასე გავიხსენე ეს დიდებული ადამიანი, რომელსაც ამ ქვეყანაზე ბევრი სიკეთე უკეთებია.

*რომანოზ სვანიშვილი,
პროფესორი.*

ჩვენი კოტე

ადამიანი, რომელზეც იწერება მოგონება, ნამდვილად უნდა იყოს ღირსი იმისა, რომ თავისი ღირსებით თუ კეთილშობილებით დაამახსოვროს თავი მეგობრებს, ახლობლებს, საზოგადოებას თუ ოჯახის წევრებს და განა ეს ცოტაა... აქედან გამომდინარე, მინდა გავიხსენო და გაგახსენოთ ყველას ის ბრწყინვალე პიროვნება, რომელსაც კონსტანტინე (კოტიკა) მაღიჩი ერქვა. წარმოშობით სერბი, მაგრამ ნამდვილი ქართველი, დიდი ქართველი, დიას! ამ გვარს გვერდში ედგა და ამშვენებდა მისი დედის, ქეთევან ცინცაძის გვარი, რომელიც ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო ქართული ოჯახის, საზოგადოების და ახლობელი დიდი კალისტრატე ცინცაძისა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის და საზოგადო მოღვაწის. ამ ოჯახში გაიზარდა კოტე და მისი უფროსი და, ულამაზესი და უმშვენიერესი ტატა ალექსი-მესხიშვილისა. ეს ოჯახი ცხოვრობდა შუა „გალავინსკზე“ (ლალიძის წყლების თავზე | სართულზე, დიდი განიერი აივნით), რომელიც ითვლებოდა მთაწმინდის და ვერის უბნების მოსეირნე ახალგაზრდების „ბირჟად“ ზემელიდან დანყებული პიონერთა სასახლემდე.

ამ სახლს ძალიან პატარა ეზო ჰქონდა და კოტე ვერ ეზიარა ისეთ თამაშებს, როგორცაა აჩიკორი, კოჭობანა, „დეაუდარა“, ამიტომ იგი სკოლაში ჩაერთო სკოლის კალათბურთის გუნდში. კოტე ხშირად დიდ აივანზე იყო გადმოკიდებული და თითქმის ყველა გამვლელ-

გამომვლელს იცნობდა. რომ არა სპორტსაზოგადოება დინამოს დირექციის ახლომდებარეობა, ალბათ იგი აცდებოდა იმ „დიდ შედეგებს“, რომლითაც იყო დაკავებული, ფეხბურთი, ფრენბურთი, კალათბურთი და ბოლოს „პაჟარნი კამანდის“ წევრიც გახდა. მგონი გვიმაღავდა კრივში მონაწილეობას – ცხვირი ჰქონდა მაგრად ჩაჭყლეტილი, თუმცა ლენინგრადში ასპირანტურის პერიოდში მოეყინა იგი და ვერ სუნთქავდა ძილის და ჭამის დროს. როგორ არ ვეხვეწე, რომ დათანხმებულყო ოპერაციაზე (როდესაც უკვე ექიმები გავხდით), მაგრამ არაფრით არ ქნა.

ახლა კი რაც შეეხება ჩვენს ინსტიტუტში შესვლას, დამეგობრებას, ერთად გატარებულ დროს, რასაც სტუდენტობა ჰქვია და რასაც თან ახლავს ხოლმე მცირე ალკოჰოლის დახმარებით „მოხულიგნო“ ქმედებები: ერთხელ გამოიხატა ქუჩაში ურნის გადაბრუნებაში, რასაც ძლივს გადაურჩით და მერე ჩავდექით „კალაპოტში“; ამას ხელი არ შეუშლია კოტეს აკადემიური მოსწრებისა და იმ არჩევანისთვის, რომელსაც ონკოლოგია ჰქვია. ეს მართლაც ურთულესი და უმადური სპეციალობაა, მაგრამ არჩევანი განაპირობა მისმა სიმამაცემ, მონდომებამ და უდიდესი სპეციალისტის, პროფესორ ვეფხვაძის რჩევამ, რომელმაც განუსაზღვრა ამ დარგის მნიშვნელობა და როლი. მან ჩვენზე ადრე შექმნა არაჩვეულებრივი ქართული ოჯახი, არაჩვეულებრივი ქალიშვილებით და სიძეებით, რომელთა დაგვირგვინებაში მცირე წვლილი მეც მიმიძღვის.

დიახ! თამადა გახლდით ბატონო!

ამას მოჰყვა ნათელ-მირონობა და დანათესავება; უკეთეს ნათლიას ვერც ვინატრებდი ჩემი ქალიშვილისათვის და კოტემ 2 წლის მაიკო მონათლა წმინდა სამების ეკლესიაში, რასაც მოჰყვა განსაკუთრებული სითბო ნათლიასა და ნათლულს შორის. მიხარია კოტესგან წამოსული ნათელ-მირონი, რომელიც ჩვენი ოჯახების არაერთ თაობას გაჰყვა.

აი, ასეთი იყო კოტე მადრიჩი, რომელზეც კიდევ ბევრის მოგონება შეიძლება, მაგრამ შემდეგში იყოს.

დაე, იხაროს და იდღეგრძელოს მისმა დანატოვარმა ოჯახმა მისი უერთგულესი მეუღლის, ზაირა ნიკოლაიშვილის მეთაურობით. დაუვინყარი იყოს მისი ხსოვნა მის საგვარეულოში, ახლობლებში, პაციენტებში, ქართულ საზოგადოებაში და, რასაკვირველია, ქართულ მედიცინაში!

ამინ!

ვახტანგ ხუციძე (ნოპე)

ქართული ონკოლოგიური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელი

კარგად განვლილი ცხოვრება —
ხანგრძლივი სიცოცხლეა.
ლეონარდო და ვინჩი

186

კონსტანტინე მადიჩი

მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი გზა განვლო ბატონმა კოტე მადიჩმა, რომელსაც სიყვარულით ყველა კოტიკოს ეძახდა. ასევე შთაბეჭედავია მისი წინაპრების ცხოვრება.

მადიჩი სერბიის ბრწყინვალე თავადთა საგვარეულოა. რუსეთ-პრუსიის ომის დროს სამი ძმა მადიჩი გაიტაცეს და ჩაიყვანეს რუსეთში. მათგან ერთი, სერგი (კოტიკოს ბაბუა), უკრაინაში დასახლდა, მეორე მოლდავეთში, მესამე კი, მგონი, ციმბირში. სამწუხაროდ, ძმებმა ერთმანეთთან კავშირი დაკარგეს. კოტიკოს ბაბუა უკრაინაში ბანკირი იყო. შეძლებული კაცი იყო და შვილი კონსტანტინე, კოტიკოს მამა, განათლების მისაღებად სანკტ-პეტერბურგში გაგზავნა, სადაც კონსტანტინემ ლენინგრადის საინჟინრო ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიური ფაკულტეტი დაამთავრა. მან სწორედ ამ ინსტიტუტში გაიცნო თავისი მომავალი მეუღლე, კოტიკოს დედა. ქალბატონი ქეთევან ცინცაძე, რომელმაც ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა ზემოხსენებული ინსტიტუტის არქიტექტურულ ფაკულტეტზე განაგრძო. უნდა აღინიშნოს, რომ ქეთევან ცინცაძე პირველი ქართველი არქიტექტორი ქალია. ლენინგრადში მათ შეეძინათ ქალიშვილი, ულამაზესი ქალბატონი ტატა მადიჩი. შემდგომში ოჯახი საქართველოში ჩამოვიდა და ბატონი კოტე თბილისში დაიბადა, სადაც მადიჩები რუსთაველის გამზირზე ცხოვრობდნენ. ქალბატონმა ქეთევანმა თავისი შვილები ქართველებად აღზარდა და ეროვნებაც, რასაკვირველია, ქართველი ჩაუნერა. ბატონი კოტე ყოველთვის ამაცობდა, რომ მისი ნათლია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე ბრძანდებოდა, და იმითაც, რომ მისი დედა, ქეთევანი, მოხსენიებულია კათოლიკოსის, კალისტრატე ცინცაძის, დღიურებში. ქალბატონი ქეთევანი აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის მეუღლესთან, თამარ ნიკოლაძესთან, ერთად აგროვებდა ფულს, რათა ქაშუეთის ქალთა ხოროსათვის გადაეხადათ.

ბატონი კოტე გამოირჩეოდა ადამიანებისადმი, განსაკუთრებით

კი ავადმყოფებისადმი, პატივისცემით, სიყვარულითა და გასაოცარი გულისხმიერებით. ბევრისაგან განსხვავებით, მას არ გაჰკარებია სიძულვილისა და შურის გრძნობა. ამ დროს უმალ გახსენდება გამოჩენილი იაპონელი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის აკუტაგავა რიუნოსკეს შთამბეჭდავი გამონათქვამი: „ბუნებისადმი ჩვენი სიყვარული იმით აიხსნება, რომ ბუნებას ჩვენს მიმართ არა აქვს არც სიძულვილის, არც ეჭვიანობის გრძნობა“.

პირველად ჩემს მეხსიერებაში ბატონი კოტე აღიბეჭდა როგორც ცნობილი კალათბურთელი. მაშინ სკოლის მოსწავლე ვიყავი და კარგად მახსოვს მისი გამორჩეული თამაშის სტილი და მანერა, რომელიც ყოველთვის იქცეოდა მაყურებლის ყურადღებას. იგი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ვერცხლის (1947) და ბრინჯაოს (1949) პრიზიორი იყო. მისი თანაგუნდელები იყვნენ ქართული კალათბურთის გამოჩენილი ვარსკვლავები: ოთარ ქორქია, სულიკო თორთლაძე, მიხეილ კეკელიძე და სხვ. მან ჯერ კიდევ სპორტში აქტიური მოღვაწეობის დროს, 23 წლის ასაკში დაიწყო მუშაობა ონკოლოგიურ დისპანსერში და შემდგომში ქართული ონკოლოგიური სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გახდა.

ჩვენი უშუალო ურთიერთობა 1985 წელს დაიწყო, როდესაც ბატონი კოტეს ქალიშვილი მარინა ცოლად გაყვა ჩემი ახლო მეგობრის აკადემიკოს ერეკლე გამყრელიძის ვაჟს დავითს, ახლობელთათვის დაათოს. ორიოდე წლის შემდეგ ჩვენ უკვე სამუდამოდ დავემეგობრდით. 1987 წლის ოქტომბერში მე და ჩემი მეუღლე ლია ვენვიეთ ბ-ნ კოტეს ბინაზე, სადაც მან ერთი ხელის შეხებით დაუსვა ლიას დიაგნოზი, რომელიც რამდენიმე დღეში ბიოავსის გამოკვლევით დადასტურდა. მე არ დამავიწყდება ის მომენტი, როდესაც მან, როგორც მას სჩვეოდა, დინჯად, აუღელვებლად, დიდი ტაქტითა და დამაჯერებლობით აგვიხსნა ამ დაავადების სირთულე და ამავე დროს მისი მკურნალობის მეთოდები. ლია 12 წლის განმავლობაში, 1999 წლამდე, ბ-ნი კოტეს პაციენტი იყო. ამ პერიოდში ჩვენ ვიყავით ამერიკაში, ჰიუსტონის ანდერსონის კლინიკაში, იაპონიაში – ნაგოიას ონკოლოგიურ ცენტრში, მოსკოვის ნ.ბლოხინის სახელობის ონკოლოგიურ ცენტრში, მაგრამ ჩვენი ყველა ვიზიტი ბ-ნ კოტესთან სულ სხვანაირი იყო, რაღაც საოცარი. ლია თვითონ ექიმი იყო და ბ-ნი კოტესი განსაკუთრებით სჯეროდა. ბ-ნი კოტე ხომ აქ მხოლოდ ექიმი კი არა, არამედ დიდი ფსიქოლოგიც გახლდათ. მრავალი საღამო, რომელიც მის ოჯახში გაგვიტარებია, მკურნალობის გარდა, ეხებოდა ხელოვნებას, მწერ-

ლობას, პოლიტიკას და სხვა საინტერესო საკითხებს. ხელოვნება ბ-ნ კოტეს განსაკუთრებით უყვარდა. მის ბინაში უამრავი ცნობილი მხატვრის ნამუშევარს ნახავდით. და კიდევ, არ მახსოვს, რომ მისი ოჯახი გამასპინძლების გარეშე დაგვეტოვებინოს.

ბ-ნი კოტე და მისი ცხოვრების უერთგულესი მეგობარი ქ-ნი ზაირა ბედნიერი ადამიანები იყვნენ. მათ შექმნეს შესანიშნავი ოჯახი და გაზარდეს ორი ულამაზესი ასული, მარინა და ირინა. როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მარინა დათო გამყრელიძის მეუღლე გახდა; მეორე სიძე, ირინას მეუღლე მამუკა ბოკუჩავა, დღეს სისხლძარღვთა ქირურგიის ფართოდ აღიარებული სპეციალისტია.

შეიქმნა ექიმების დინასტია: ბატონი კოტე, დათო გამყრელიძე – ექიმი-პედიატრი, ამჟამად გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე, მისი მეუღლე მარინა – პედიატრი, მამუკას მეუღლე ირინა – ენდოკრინოლოგი და ქალბატონი ზაირა – მედიცინასთან ახლო მდგომი ქიმიკოსი. ბ-ნი კოტე მოესწრო ოთხ შვილიშვილს, მეხუთე შვილიშვილი მისი გარდაცვალების შემდეგ შეემატა ამ ოჯახს. ალბათ, ბ-ნი კოტეს შვილთაშვილებიც გააგრძელებენ ამ შესანიშნავ ტრადიციას.

კოტე მაღიჩი და მისი შთამომავლობა ყოველთვის დაამშვენებენ საქართველოს ისტორიას.

ჯუმბერ ლომინაძე
საქართველოს ეროვნული აკადემიის
ნამდვილი წევრი აკადემიკოსი

მადლიანი ქირურგის მადლიანი ხელი

დიდი მადლობელი ვარ ქალბატონი ზაირასი, რომელმაც მომმართა თხოვნით დამეწერა ორიოდ სიტყვა ბატონი კოტეს შესახებ. ეს ჩემთვის დიდი პატივია.

მტკივნეულია დანერო მოგონება ადამიანზე, რომელიც სულ ახლახან წავიდა ამ ქვეყნიდან და რომელთანაც მრავალი წლის მეგობრობა, სიყვარული და ურთიერთპატივისცემა გაკავშირებდა. მაგრამ მაინც ჩემს თავს მივეცი უფლება, რამდენიმე სიტყვით პატივი მივაგო ამ უნიკალურ პიროვნებას.

კოტე მაღიჩი — ეს უკვე მრავლისმთქმელია.

უმალლესი კვალიფიკაციის პროფესიონალი, უნიჭიერესი

დასტაქარი და ფართო დიაპაზონის მკურნალი, ბრწყინვალე პედაგოგი, ბატონი კოტე იმ მცირერიცხოვან დიდოსტატ მედიკოსთა რიცხვს მიეკუთვნება, ვინც სულ მუდამ ახლის ძიებაში და ახალი იდეების გენერირებაში იყო.

ცნობილი მეცნიერი და შესანიშნავი მკვლევარი, მრავალ პრესტიჟულ გამოცემებში გამოქვეყნებული ნაშრომების ავტორი, ორიგინალური მოაზროვნე, მრავალი ახალგაზრდის და უკვე ჩამოყალიბებული ონკოქირურგის და მკურნალის აღმზრდელი, იგი ამავე დროს უაღრესად თავმდაბალი გახლდათ.

ბატონი კოტე ისეთ ოჯახში აღიზარდა, სადაც სუფევდა უმაღლესი კულტურა, სიტობო, სიყვარული, ხალხთმოყვარეობა, ურთიერთპატივისცემა და პატიოსანი შრომა. ყველაფერი ეს კარგად გაითავისა ბატონმა კოტემ და მთელი თავისი ცხოვრება ამ პრინციპებით გაატარა.

იგი ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მტკიცედ იდგა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე მოღვაწეთა პირველ რიგებში, წარმატებით და უანგაროდ ემსახურებოდა სამშობლოს, მედიცინას, მეცნიერებას, მეგობრებს, ამხანაგებს, უბრალოდ, ნაცნობებსა და უცნობებს.

ბატონი კოტე სამაგალითო იყო მეგობრობაში, რომელთა უმეტესობა ჩვენი ქვეყნის ცნობილი პიროვნება იყო.

რაფინირებული ინტელიგენტი, ფიზიკურად ლამაზი, ბატონი კოტე განუწყვეტლივ შრომასა და ფუსფუსში იყო, უჩუმრად, ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე აკეთებდა იგი კეთილ საქმეებს.

ვინ მოსთვლის, რამდენ ქალბატონს დაუბრუნა ჯანმრთელობა და ცხოვრებისადმი ინტერესი. დღესაც მრავალი ქალი ლოცულობს ბატონ კოტეზე და მადლიერებით იხსენებს მას.

ბატონი კოტე უაღრესად მომთბოვნე იყო, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის მიმართ. ამავე დროს იგი უაღრესად კეთილი, გულისხმიერი, ხელგაშლილი და გულგაშლილი პიროვნება გახლდათ. მისი კეთილი ღიმილი, დახვედრა, ტკბილი და ჩუმი საუბარი მაშინვე ნდობითა და პატივისცემით განაწყობდა მასთან მისულ მოსაუბრეს და პაციენტს. ამიტომ იყო, რომ იგი ყველას უყვარდა და დიდ პატივისცემას იმსახურებდა ყველასგან.

ბუმბერაზი პიროვნება, ბატონი კოტე, მიუხედავად დიდი ავტორიტეტისა, ძალიან სადა და უბრალო ადამიანი იყო. ასეთი იყო ახალგაზრდობაშიც, როდესაც საპორტის ოსტატი კოტე მადრი წარმატებით თამაშობდა თბილისის „დინამოს“ ოსტატ კალათბურთელთა გუნდში,

რომელიც სსრკ-ში ერთ-ერთი უძლიერესი და მრავალგზისი ჩემპიონი იყო და სტუდენტობისას, როდესაც იგი მეკარედ თამაშობდა წინა საუკუნის 50-იანი წლების „მედიკოსის“ ფეხბურთელთა გუნდში, რომელიც ერთ-ერთი უძლიერესი იყო საქართველოში.

ბატონი კოტე ღირსეულად იყო დაფასებული, – დაჯილდოებული იყო სახელმწიფო და საერთაშორისო სიგელებით და დიპლომებით და, რაც მთავარია, ბუნებამ დააჯილდოვა იმ საუკეთესო თვისებებით, რომლებიც დიდი ადამიანისთვის არის დამახასიათებელი.

ნათელში იყოს მისი ლამაზი და სპეციაკი სული.

*გურამ ბექაია
საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა
და რუსეთის მედიკო-ტექნიკური აკადემიების
აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი*

ჩემი უფროსი მეგობარი – ბატონი კოტე

თითქოს არცთუ დიდი ხნის წინათ იყო, ბატონი კონსტანტინე მაღიჩი და მისი მეუღლე ზაირა ნიკოლაიშვილი ბავშვებით და ჩემი ოჯახი მანქანებით ერთად რომ გავემგზავრეთ დასასვენებლად (იმ დროს ყველაზე კეთილმოწყობილ, ახალაშენებულ სანატორიუმში, რომლის დირექტორიც ჩვენი საერთო მეგობარი ტარიელ ესართია იყო). ეს ის პერიოდია, როდესაც მარინე და ირინე მაღიჩები, ჩემი ქალიშვილი თამუნა გადავიდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეორე კურსზე, ხოლო ვაჟი კი სწავლობდა მესამე კურსზე. გავატარეთ დაუვიწყარი ზაფხული. ახალგაზრდები ურთიერთობდნენ დიდ სამეგობროსთან, ხოლო მშობლები ერთად ვატარებდით დროს; ბატონი კოტეს ირგვლივ უამრავი თაყვანისმცემელი იყრიდა თავს და ვტკბებოდით მისი ლამაზი, მსუბუქი იუმორით. გონებაში ჩამრჩა ექსპრომტად ნათქვამი ლექსი:

«Я ахазец молодой,
Не боюсь я драки,
Два кинжала на боку
Пистолет на»

გაგრაში გამგზავრებას წინ უძლოდა მთელი რიგი განცდები, დაკავშირებული ჩვენი შვილების სამედიცინო ინსტიტუტში ჩარიცხვასთან.

იმ პერიოდში მისაღები გამოცდები საკმაოდ მძიმედ მიდიოდა და, როგორც წესი, სკოლის დამთავრების პირველ წელს, აბიტურიენტი იშვიათად ეწყობოდა ინსტიტუტში. ამავე დროს, მომავალი წლის გამოცდებამდე ახალგაზრდას ან უნდა ემუშავა პროფილით, ან დაემთავრებინა პროფტექნიკური სასწავლებელი. ამიტომ ჩვენი შვილები ჩაირიცხნენ სამედიცინო აპარატურის ტექნიკოსის სასწავლებელში, რომელიც ტერიტორიულად მდებარეობდა ფონიჭალაში. ადვილი წარმოსადგენია, მთელი წლის განმავლობაში როგორ ყურადღებას აქცევდნენ ბავშვების სწავლას ქალბატონი ზაირა და ჩემი მეუღლე გულნარა ტაბიძე, ხოლო მათი სადიპლომო ნამუშევრები კი, რა თქმა უნდა, ჩემი ხელმძღვანელობით შესრულდა. ამან განაპირობა ის მეგობრობა, რომელიც ჩვენს შვილებს შორის წარმოიშვა და გრძელდება უკვე რამდენიმე ათეული წელი.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბატონ კოტეს პირველად შევხვდი, როდესაც ვიყავი სამედიცინო ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი. იმ დროს, პათფიზიოლოგიის დოცენტმა თეიმურაზ ნათაძემ (შემდგომში კათედრის გამგემ), შემომთავაზა შემესწავლა სიმსივნური უჯრედების სისხლით მომარაგება მათი ზრდის პროცესში. გამაგზავნა თავის მეგობართან, ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ცნობილ ქირურგთან – კონსტანტინე მადიჩთან, რომელიც მუშაობდა ონკოლოგიის ინსტიტუტში. ბატონმა კოტემ ძალიან თბილად მიმიღო. თითქმის 1 წელი რეგულარულად დავდიოდი მასთან ოპერაციის დღეს, პერიოდულად მანოდებდა ავთვისებიანი სიმსივნის ნაწილს, რომელიც მიმქონდა პათფიზიოლოგიის კათედრაზე შემდგომი შესწავლისათვის. შესრულდა ძალიან საინტერესო სამეცნიერო შრომა, რომელიც გამოქვეყნდა სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებულში. ამ ხნის განმავლობაში მისგან ვგრძნობდი დიდ ყურადღებას და კეთილგანწყობას. მე ხომ მხოლოდ III კურსის სტუდენტი ვიყავი, ის კი უკვე სახელგანთქმული ახალგაზრდა დასტაქარი ბრძანდებოდა.

1966 წელს ბორჯომიდან გადმომიყვანეს სამუშაოდ ქ. თბილისის კურორტოლოგიის და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის ექსპერიმენტულ განყოფილებაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა პროფ. ზურაბ კობახიძე, ბატონი კონსტანტინე მადიჩის უახლოესი მეგობარი. გახშირდა ჩვენი შეხვედრები როგორც ბროსეს ქუჩაზე, ასევე ზურაბის აგარაკზე – ასურეთში. ჩვენს კომპანიას ამშვენებდნენ: არჩილ ასათიანი, ვლადიმერ ნითლანაძე, კონსტანტინე მადიჩი, ვალტამ პოლშინი, ვახტანგ ხურციძე და სხვები. მოლხენა, მეგობრობა, ურთიერთპატივისცემა – ეს იყო დაუვინყარი საღამოები.

გავიდა ხანი. იყო მრავალი როგორც სასიამოვნო, ასევე მტკივნეული

მომენტები. ცხოვრების კრიტიკულ პერიოდში ბატონი კოტე ზედმეტს არასოდეს იტყოდა, მშვიდად დაგელაპარაკებოდა. თვალებით მოგეალერსებოდა და გეტყოდა: „მედიცინამ ყველაფერი გააკეთა, ახლა უნდა დაანთო ეკლესიაში სანთელი და ღმერთს შეავედრო თავი“.

დღეს ჩვენი შვილები ერთად არიან. მათ არამარტო მეგობრობა, არამედ ნათელმთრონობაც აკავშირებთ. მშობლების მეგობრობა შვილებზე და შვილიშვილებზე გადავიდა.

მადლით იარა ბატონმა კონსტანტინემ ამ ქვეყანაზე, დიდი მადლი და ნუგეში დატოვა მრავალთა გულებში და ეს მადლი გადაეფინა მის შვილებსა და შვილიშვილებს. დღეს, როდესაც მათი ოჯახი მთელი საქართველოს მოსახლეობის განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია, ისინი თამამად ატარებენ პატიოსნებისა და ნესიერების სიმბოლოს – მოყვასთა სასიხარულოდ და მტრების დასაგმობად. მრავალჟამიერ მათ!

*ალექსანდრე ციბაძე
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის ფიზიკისა და ბიოფიზიკის
დეპარტამენტის ხელმძღვანელი*

გამორჩეული ექიმი და ჭეშმარიტი მოქალაქე

კოტე მაღიჩი

მოქალაქე და დასტაქარი...

საზოგადოების გამორჩეული წარმომადგენელი, ნათელი, ღვთისწიერი არსება.

ამ რთულ, გაუკუღმართებულ დროში, რაშიც უკვე დიდი ხანია გვიხდება ცხოვრება, სხვადასხვა უბედურებასთან ერთად, მოვესწარიტ ძირითადი ღირებულებების გადაგვარებას. ღირსება, სიმართლე, თავდადება, უანგარობა და კიდევ რომელი ერთი, სანატრელი და იშვიათი ღირებულება გახდა.

სწორედ ახლა ვიგრძენით, რომ გვეჭირდება ზნეობრივი საყრდენი, სამართლიანი ადამიანური საზომი, გამხნევება.

ადამიანი ძალიან მყიფე არსებაა. საკმარისია ნორმალური, ღირსეული გარემოს შეცვლა, ადამიანური სიცარიელე და კატასტროფა ადვილი მოსალოდნელია.

არა ერთი უაღრესად სევდიანი მაგალითი არსებობს ცნობილი ადამიანის წასვლისა ამ ქვეყნიდან მხოლოდ იმიტომ, რომ სიცოცხლის რომელიღაც მონაკვეთზე ადამიანური საყრდენი შემოეცალა.

არ მინდა მათი ვინაობა გავიხსენო, ახლობლებსა და მეგობრებს გახსენებით გული ვატკინო.

კოტე მადიჩი გამორჩეული იმედი, საზომი, საყრდენი იყო, როგორც ექიმი და დიდი პიროვნება.

მასთან დაახლოებას უნდა ვუმადლოდე შესანიშნავ, სათნო პიროვნებას, ზაირა ნიკოლაიშვილს.

ქალბატონი ზაირა ჩვენი ოჯახის მეგობარი, ენერგიული, ლამაზი ქალბატონია.

მათი შეუღლება კარგად მახსოვს, თუმცა უკვე მრავალმა წელმა განვლო.

ისინი საოცრად ავსებდნენ ერთმანეთს. ეს იყო: მოუსვენრობა და სიღინჯე, ენერჯის ჩანჩქერი და გამორჩეული სიდარბაისლე ერთად.

ბატონი კოტე განსაკუთრებით ამაყობდა იმ წლებით, როდესაც კალათბურთს თამაშობდა. სახლში, მის კაბინეტში არა ერთი სურათი ეკიდა, სპორტის წარსული ფურცლების, კალათბურთის ვეტერანების თავშეყრის ამსახველი.

დრო კი მიდის.

როგორც ერთმა ბრძენმა თქვა – დღეები მიდიან, თვეები – მირბიან და წლები – მიჰქრიან.

ეს ამბავი დაახლოებით 30-35 წლის წინ მოხდა.

მარცხენა ხელზე გამიჩნდა ე.წ. ცხიმგროვა.

არ მანუხებდა, მაგრამ რაღაც უსიამოვნო შეგრძნება დამეუფლა. ბოლოს ბატონ კოტესთან მივედი სახლში.

დახედა. მიჭყლიტა-მოჭყლიტა.

– არაფერია, ხვალ დილას მოდი ჩემთან საავადმყოფოში. ამოგჭრი და მოისვენებ.

ზაფხული იყო. მახსოვს, ღია ფერის ტანსაცმელში გამოვეწყვე. თეთრი პერანგი, რუხი შარვალი, მუქი ლურჯი წინდები მეცვა, გვერდზე თეთრი ზოლი გასდევდა. მომწონდა. ამოვიცვი ერთიც და მეორეც.

ეს რა ხდება? მარცხენა ფეხის დიდ თითთან პატარა გარღვეული რკალი გამოჩნდა. კაცმა რომ თქვას არც ისე დიდი, სულ ფრჩხილის ერთ მეოთხედს იკავებდა, მაგრამ თვალში მაინც საცემი იყო.

რა ვქნა?

ცოტა ხანს დავფიქრდი. წინდების გამოცვლა არ ღირს, ასეა თუ ისე, ოპერაციაზე მივდივარ, თანაც ონკოლოგიურ საავადმყოფოში. არ „დავითარსო“ წინდის გამოცვლით. არა უშავს. მივალ, დაეჯდები და ამომიჭრის თუ ამოსაჭრელია. ხელზე პატარა ნანაზარდის გამო საოპერაციო მაგიდაზე ხომ არ დამაწვენს.

წინდა არ გამომიცვლია. ნავედი. ონკოლოგიური საავადმყოფო მაშინ ვაჟა-ფშაველას გამზირზე, ჩემი სახლის გვერდით იყო.

– მოხვედი? აბა დანექი.

მაშინ გავიზარე, რომ მჯდომარე მდგომარეობაში ავადმყოფებს ქირურგიულ ოპერაციებს, როგორც წესი, არ უკეთებენ.

ბატონი კოტე მეორე ოთახში გავიდა მოსამზადებლად.

მე წამოვწექი და გარღვეული წინდის პატარა რკალი თითებს შორის საგულდაგულოდ დავმალე. სრულებით არ ჩანდა.

შემოვიდა. ნემსი გამიკეთეს. წამონაზარდი ამომჭრა, რამდენიმე ნაკერი დაადო. ოპერაციამ სულ რაღაც 10-15 წუთი გასტანა.

მთელი ამ დროის მანძილზე რაღაცას მელაპარაკებოდა, ახლა არც მახსოვს რაზე. ვიცი, საუბარი ოპერაციას არ ეხებოდა. ცხოვრებისეულ საკითხების ირგვლივ ტრიალებდა.

– მორჩა, შეგიძლია წამოდგე.

მეორე ოთახში გავიდა. უეცრად წინდა გამახსენდა და ქვევით-კენ მზერა გავაპარე. ეს რა ვნახე! რის პატარა რკალი, რა პატარა რკალი. დიდი თითი მთელი სიგრძით იყო წინდიდან აღმართული და ამაყად გადაყურებდა წინდაში დარჩენილ თავის ახლობლებს. მის ფონზე წინდის გვერდების ისრები თითქმის არ ჩანდა.

ხომ დიდმა დრომ განვლო, მაგრამ ეხლაც თვალწინ მიდგას დიდი თითი მუქი ლურჯი წინდის შემორჩენილი ნაწილის ფონზე.

ძალიან მენწყინა. შევწუხდი. მერე დავწყნარდი. ბატონ კოტეს ხომ არ უნახავს. ის საოპერაციოდან სწრაფად გავიდა. არც მოუხედავს. ხელებს რომ იბანდა, მეორე ოთახიდან აგრძელებდა ჩემთან საუბარს.

მორჩა. არაფერია. სწრაფად ჩამოვხტი და ფეხსაცმელი ჩავიცვი.

ამოვისუნთქე. დავემშვიდობე. წამოვედი.

ამის შემდეგ თითქმის 25 წელი გავიდა.

2001 თუ 2002 წლის თბილი შემოდგომა იდგა.

ჩემს კოლეგას, ცნობილ აზერბაიჯანელ პროფესორს ვაცილებდი სადგურზე. ბაქანზე არც ისე ბევრი ხალხი იყო. სიცილი მომესმა. მოვიხედე. მგ ზავრების ერთ ჯგუფში ბატონი კოტე დავინახე.

– თქვენ აცილებთ, თუ მიემგზავრებით.

– ბაქოში სამედიცინო კონფერენცია ტარდება. ერთად მივდივართ კოლეგები, მინდა დავისვენო, განტვირთვა მჭირდება.

– ძალიან სასიამოვნოა.

– გიზო, შენ ბაქოში რამე ხომ არ გინდა? რამე ხომ არ გიყი-
დო?

– არა, ბოტნო კოტე, აბა რა უნდა მინდოდეს.

– დაფიქრდი, ნუ გერიდება.

– არა, არა, დიდი მადლობა.

– წინდებიც არ გიყიდო?

და ჩაეცინა. ასეთი მომღიმარე, კეთილი სამუდამოდ დარჩება ჩემს მეხსიერებაში.

გიზო ურუშაძე

*საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
ნეურ-კორექსიონდენტის, პროფესორის*

მცირე მოგონება კოტე მადიჩზე

ბატონი კონსტანტინე – კოტე მადიჩი ქართული ქირურგიული სკოლის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი წარმომადგენელი იყო, მისი სახელოვანი ტრადიციების საუკეთესო გამაგრძელებელი გახლდათ.

იმდროინდელ თბილისში ბევრი იცნობდა მადიჩების ცნობილ ოჯახს, ჩემს ოჯახსაც დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებდა მათთან. და ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ ასეთ ოჯახში გაზრდილი ახალგაზრდა, საფუძვლიანი სამედიცინო განათლების მიღების შემდეგ, მრავალმხრივ განათლებული, აღიარებული ქირურგი და საზოგადოებაში პატივსაცემი პიროვნება გახდა.

მას იცნობდნენ არა მარტო საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირის ფართო სამედიცინო წრეებში. მეამაყებოდა, როდესაც მეუბნებოდნენ: „ქართველები ბედნიერები ხართ, რომ ისეთი ქირურგი გყავთ, როგორც კონსტანტინე კონსტანტინოვიჩ მადიჩია“.

მე მაოცებდა, როგორი მოთმინებითა და ყურადღებით ექცეოდა ბატონი კოტე თავის მრავალრიცხოვან პაციენტებს. მათთვის ყოველთვის გამონახავდა გამამხნეველ სიტყვას, იუმორით ნათქვამი ფრაზით ხსნიდა იმ დაძაბულობას, რომელიც, ბუნებრივია, პაციენტებს უჩნდებათ ექიმთან შეხვედრის დროს. ონკოლოგიური დაავადებების, სამწუხაროდ, შესამჩნევმა მატებამ კიდევ უფრო

გაზარდა ჩვენი სახელოვანი ექიმის პაციენტთა რიცხვი. მისი მისაღები ყოველთვის სავსე იყო ავადმყოფებითა და მათი გულშემატიკოვრებით. ხალხი მოდიოდა იმედით, – კოტე გადაგვარჩენს.

ახლაც მახსოვს, ოპერაციის შემდეგ ერთი ყველასთვის პატივსაცემი ქალბატონი გულისწყრომით ამბობდა: „რას მერჩოდა ეს კოტიკაო?!“ და მერე იქვე დაუმატებდა მადლიერებითა და პატივისცემით „კოტე, თქვენს ხელებს ვენაცვალეო!“, იცოდა რა, რომ თუ არა კოტეს დაჟინებული მოთხოვნა და მისი დროული ქირურგიული ჩარევა, მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. და ასეთი ბევრი შემთხვევა ყოფილა.

ბატონ კოტეს მხარს უმშვენიებდა მისი ერთგული მეუღლე ზაირა, მისი მშვენიერი ქალიშვილები – მარინე და ირინე, საექიმო ტრადიცია ოჯახში გრძელდება.

ბატონი კოტეს ცხოვრება და პროფესიული საქმიანობა მაგალითი უნდა იყოს მომდევნო თაობებისათვის. ასეთ ადამიანებს დავინყება არ უნერიათ!

*ნათელა ლალიძე,
დიპლომატი. იუნესკო.
ოქტომბერი, 2008წ. პარიზი.*

მოგონება კოტე მაღიჩზე

მერგო პატივი ათასეული წლების განმავლობაში მჭიდრო ურთიერთობა მქონოდა შესანიშნავ პიროვნებასთან, ქართული მედიცინის ღვანლმოსილ წარმომადგენელსა და ქართულ ონკოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებელ კოტე მაღიჩთან, რომელმაც უდიდესი კვალი დატოვა ჩემს მესსიერებაში. ბატონი კოტე გახლდათ ცოდნით გამორჩეული, თავის საქმის პროფესიონალი, ბუნებით ინტელიგენტი, სიკეთით და მშვენიერებით სავსე, ოჯახისათვის და მეგობრებისათვის თავდადებული პიროვნება. იგი არა მარტო საქართველოში სარგებლობდა უდიდესი ავტორიტეტით, მას იცნობდნენ და პატივს სცემდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

შეუძლებელია არ აღვნიშნოთ ბატონ კოტეს უდიდესი სიყვარული პროფესიისადმი, პასუხისმგებლობა და გულისხმიერება პაციენტების მიმართ. განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა მას კოლეგებისა და მედპერსონალისადმი.

კოტე მაღიჩი გახლდათ დიდი და მშვენიერი ოჯახის წარმომად-

გენელი. არ მაქვს უფლება არ მოვიგონო მისი დედა, ქალბატონი ქეთო და ასევე მისი და – უმშვენიერესი ქალბატონი ტატა. მისი ოჯახი – მეუღლე, ქალბატონი ზაირა ნიკოლაიშვილი, ქალიშვილები – ქალბატონები: ირინე და მარინე, სიძეები – მამუკა ბოკუჩავა და დავით გამყრელიძე და ხუთი შვილიშვილი. ისინი დღესაც ღირსეულად აგრძელებენ ბატონი კოტეს ოჯახურ და პროფესიულ ტრადიციებს. მიხარია, რომ მრავალი წლის განმავლობაში ჩვენი ოჯახების მეგობრობას ამჟამად განაგრძობენ ჩვენი შვილები და შვილიშვილები.

დიდი სამეგობროსათვის კოტე მადიჩი მუდმივად დარჩება, როგორც მოსიყვარულე, მომლიმარი, ყურადღებიანი, გვერდშიმდგომი და დიდი ღირსების მქონე პიროვნება.

ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი ლამაზი კაცი აღარ არის ჩვენთან.

ბატონი კოტეს მიერ განვლილ ღირსეულ ცხოვრებას არასოდეს უწერია დავინწყება.

სიამოვნებით ვიხსენებ ამ ბუმბერაზ პიროვნებასთან ერთად გატარებულ ყოველ დღეს. ვაგლახ, რომ ყოველივე წარსულში დარჩა!..

რამაზ ფანცხავა
2.12.2008.

ყველაფრისათვის გმადლობთ, ჩემო კოტე!

ასეთი სათაურით იმიტომ ვიწყებ შენზე მოგონებას, რომ სიცოცხლეში ვერ შევძელით შენდამი იმ სიყვარულის, პატივისცემის გამოხატვა მე და ჩემმა ოჯახმა, რისი ღირსიც იყავი!

მე და კოტემ ერთმანეთი გავიცანით 1946 წელს, როდესაც ნორჩი „დინამოდან“ გადამიყვანეს დიდების გუნდში, სადაც იმ დროს თამაშობდნენ ცნობილი კალათბურთელები: მესხი, თორთლაძე, ქორქია, ქორქაშვილი, ნიჟარაძე, კეკელიძე, ელენსკი და, რასაკვირველია, კოტიკო მადიჩი. ჩემდა სასიხარულოდ, კოლექტივი კარგად შემხვდა. განსაკუთრებით კოტიკო; შემდეგ გავარკვიეთ, რომ ჩვენი მშობლებიც მეგობრები ყოფილან. ასე დაიწყო ჩვენი მეგობრობა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდა.

მკითხველს ალბათ დაინტერესებს კოტიკო, როგორც პიროვნება. კარგი სპორტსმენი, შესანიშნავი დამცველი და ჭკვიანი მოთამაშე იყო,

ნამდვილი ინტელიგენტი როგორც მოედანზე, ისე ცხოვრებაში, იყო არაჩვეულებრივად თბილი და ყურადღებიანი. გუნდში ჩემი მისვლის შემდეგ კოტიკომ მალე დაანება თამაშს თავი და მერე ყველას გასაგონად მეტყოდა ხოლმე: – შენი გულისათვის გამომიშვეს გუნდიდანო, რასაკვირველია, ხუმრობით. ამის შემდეგაც ჩვენ მეგობრობა არ შეგვიწყვეტია. არ მახსოვს მთელი ჩვენი ნახევარსაუკუნოვანი მეგობრობის დროს კოტიკოს არაკაცური, უტაქტო საქციელი, ყველას მოყვასი, უანგარო დამხმარე იყო. როგორ შეიძლება მე და ჩემმა ოჯახმა კოტიკო დავივიწყოთ, როდესაც ჩემი მეუღლე კოტიკოს პაციენტი გახდა, წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ვიყავით, მაგრამ მან თავისი დარბაისლური, დაბალი ხმით დაგვანყნარა და გვითხრა: საშიში არაფერია, მაგრამ თქვენ რომ დანყნარდეთ, დავრეკავ ლენინგრადში აკადემიკოს ხოლდინთან (ცნობილი ონკოლოგი იყო) და მეც წამოგყვებითო.

მეორე დღესვე გავფრინდით და ყველაფერი კარგად დამთავრდა. აი, ასეთი მეგობარი იყო კოტიკო.

ხოლდინთან რომ შევედით დასამშვიდობებლად და მადლობის სათქმელად მე და ჩემი მეუღლე, საინტიერესო იყო მისი სიტყვები: რატომ შეინუხეთ თავი ამხელა გზაზე, როდესაც ასეთი სპეციალისტი გყავთ თბილისში, როგორიც კოტიკო მაღიჩია. გადაეცით თქვენს ნაცნობებს – აქ ჩამოსვლით თავს ნუ შეინუხებენ!

ასეთი ყურადღებიანი, კეთილი, თბილი და თავის საქმის დიდი მცოდნე, პროფესიონალი, ყველასათვის საყვარელი გახლდათ კოტიკო მაღიჩი.

ღმერთმა გაანათლოს მისი სული სამოთხეში და მის დანატოვარს ვუსურვებ ქალბატონ ზაირასთან ერთად ბედნიერებას, სიხარულს და სიყვარულს.

ვაჟა ულენტი

Мы познакомились более семидесяти лет назад. И познакомил нас баскетбол. В спортшколу на Авлабаре тренер – заслуженный мастер спорта Сурен Сергеевич Оганезов, выступавший за тбилисское «Динамо», пригласил для проведения товарищеской встречи команду «Юного динамовца». Гости, хотя и были нашими сверстниками (всем нам было по 14–15 лет), легко обыграли нас. Всех динамовцев я не помню, но трех, с кем и позже приходилось встречаться, я запомнил. Это были Резо Гугушвили, Шура Титков и Котик Мадич. Резо недолго играл во взрослой команде, предпочитая баскетболу водное поло, Титков вообще избрал оперативную работу в МВД. И только Котик остался верен динамовскому коллективу, вместе с которым он стал вторым (1947 год) и третьим (1948 год) призером чемпионата Советского Союза.

К тому времени, когда был закончен Тбилисский медицинский институт, перед молодым врачом не стоял вопрос – остаться в спорте или всерьез заняться медициной. Выбор был сделан в пользу последней, и она – медицина – стала главным делом всей оставшейся жизни.

Мало кто даже из любителей спорта знает о том, что нынешний президент Международного олимпийского комитета бельгиец Жак Рогг в молодости настолько серьезно отдавался спорту, что был участником трех Олимпийских игр, а после завершения спортивных выступлений стал одним из крупнейших хирургов-ортопедов с мировым именем. В одной из статей Рогг на своем опыте доказывал, сколь непросто сочетать учебу с интенсивными занятиями спортом, что это удел сильных, целеустремленных людей. Думаю не преувеличу, если скажу, что Котик вполне соответствует этой характеристике. В этом я неоднократно убеждался, слыша отзывы о безупречной работе ставшего очень известным специалиста.

Втайне от меня супруга ходила на консультации к врачам, встревоженная появлением какой-то опухоли в одной из молочных желез. Узнал я об этом уже после того, как был вынесен, казалось бы, окончательный вердикт – необходимо хирургическое вмешательство. В семье, естественно, паника. Я сказал жене, что соглашусь на эту операцию только после того, как покажемся доктору Мадичу. Так и сделали. Котик внимательно выслушал нас, тщательно осмотрел ее и твердо сказал: «Никакой операции, все будет в порядке».

Прошло с той поры более двух десятков лет, а он остался в моей памяти – спокойный, уравновешенный, уверенный в своей силе, в своей правоте. Мы уже и позабыли о тех тревожных

«предоперационных» днях, но всегда помним светлого человека, отвадившего от нас эту беду. С болью и сожалением думаю о том, скольким больным, скольким семьям он мог принести радость, если б не преждевременная смерть.

Вечная ему память.

Гарун Акопов, спортивный журналист

ჩვენი ახლობელი კოტიკა მადიჩი

არ ვიცი, მაქვს თუ არა უფლება, ბატონ კოტეს ასე მივმართო, მაგრამ ის ხომ ძალიან ახლობელი იყო ჩემთვის და გურამისთვის. მიუხედავად ამისა, გურამი მაინც ბატონ კოტეთი მიმართავდა.

კოტიკა პირადად მაშინ გავიცანი, როდესაც ზაირა და კოტიკა შეუღლდნენ. ზაირა ჩემი სკოლის მეგობარი იყო. ჩვენი მეგობრობა სკოლის შემდეგაც გაგრძელდა. რაც დრო გადიოდა, კოტიკა ჩემთვის და გურამისთვის სულ უფრო და უფრო ახლობელი ხდებოდა. გადიოდა დღეები და წლები, დავდიოდით ერთმანეთთან დაბადების დღეებზე და სხვა თარიღების დროსაც. ერთად ვიყავით ლხინსა და ჭირში. მისი იმედი ყოველთვის გვექონდა, განსაკუთრებით ავადმყოფობის დროს, რომელიც ბოლო წლებში ძალიან შემოგვეჩვია და ყოველთვის კოტიკას მივმართავდით, – ის ხომ ჩვენი ახლობელი იყო. მისი დახმარებით, გარკვეული რჩევისა და დარიგების შემდეგ, ჩვენ კმაყოფილები შევუდგებოდით იმედიან ცხოვრებას. ვიცოდით, რომ კოტიკა ყოველთვის გვერდში გვედგა არა მარტო ჩვენ, არამედ ყველა ჩვენს მეგობარს, რომელსაც კონსულტაცია თუ ქირურგიული ჩარევა სჭირდებოდა. მიუხედავად ახლობლობისა, დახმარების თხოვნა გვერიდებოდა, ის კი ყოველთვის გვიადვილებდა, ისე იქცეოდა, რომ შემდგომ მასთან მისვლა და თხოვნა არ გაგვჭირვებოდა.

მახსენდება ერთ-ერთი შემთხვევა, როდესაც კოტიკამ, ჩვეულებრივ, დიდი სითბო და ყურადღება გამოიჩინა – გურამის თანაკლასელ ოთარ ლომსაძის ავადმყოფობასთან დაკავშირებით. ცუდი დიაგნოზი ჰქონდა – კუჭის კიბო. თავის კოლეგასთან მოლაპარაკების შემდეგ, ოპერაციის დღე დაინიშნა. ოპერაციის დღეს დილიდან მოვიდა, ჩვენც იქ დავხვდით. ოპერაციას დაესწრო, არ მოშორებია ავადმყოფს, ამიტომ იმედიანად ვიყავით. მოსაცდელში

დიდხანს დგომა მოგვინია. საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა. უცებ გაისმა გურამის ხმა, ის საავადმყოფოში ახლად შემოსულ თავის ორ მეგობარს ამშვიდებდა: დაწყნარდით, ოთართან ხომ კოტიკაა, ის ჩვენი ახლობელია. ოპერაციის დამთავრებისთანავე პირველი კოტიკა გამოვიდა და აუჩქარებელი ნაბიჯებით ჩვენკენ წამოვიდა. არაფრის თქმა არ იყო საჭირო, მისი გამოხედვა ყველაფერზე მეტყველებდა. მივხვდით, რომ საქმე ცუდად იყო, ეს მას სახეზე ეწერა. გურამს მიუახლოვდა, თანაგრძნობის ნიშნად მხარზე ხელი დაადო, თითქოს მოეფერა. მან კარგად იცოდა მეგობრის ფასი, მის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი მეგობრებს ეკუთვნოდა, კარგად იცოდა, რა მტკივნეული იყო მეგობრის დაკარგვა. გამოცილებისას მაინც თავი ხელში აიყვანა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა – ერთადერთი, რაც გვეალბათ, არ მიატოვოთ მეგობარი, დარჩენილი დრო მასთან გაატარეთ. გურამმა და მისმა ორმა მეგობარმა ცოტნემ და ზურაბმა კოტიკას რჩევა გაითვალისწინეს და სიკვდილამდე შეძლებისდაგვარად გვერდში ედგნენ თავიანთ მეგობარს, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერს დასასრული აქვს, – მათი მეგობრული შეხვედრები ოთართან დამთავრდა. კოტიკას პროგნოზი გამართლდა, ოთარი ერთ თვეში წავიდა ჩვენგან, მარტო დატოვა თავისი საუკეთესო მეგობრები (დღეს კი არც კოტიკა და არც გურამი თავისი ორი მეგობრით აღარ არიან). კოტიკამ ჩვენთან ერთად განიცადა ოთარის გარდაცვალება. რამდენი ასეთი ტკვილი და გულისტკენა გადაჰქონდა, მაგრამ ოჯახში ბრუნდებოდა თავშეკავებული, რომელსაც ვერაფერს შეამჩნევდით. ოჯახის წევრებს უფრო თხილდებოდა, ამიტომაც იყო, რომ თავისი მკაცრი დიაგნოზიც დამალა.

გერმანიაში ვიყავით, როდესაც ტელეფონით შეგვატყობინეს საზარელი ამბავი – კოტიკას გარდაცვალება. არ გვეგონა, რომ ეს როდესმე მოხდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ მოხდა, როგორც ჩანს, სიკვდილი ყველას თავსაა.

ჩამოსვლისთანავე მივაკითხეთ ზაირას სახლში, კოტიკა, ჩვეულებისამებრ, არ შემოგვეგება, დაბნეულები ვიყავით, მაგრამ ამ დროს ორივემ ჩვენი მზერა კოტიკას სურათზე შევაჩერეთ. მომღიმარი და ჭკვიანი თვალებით იყურებოდა, თითქოს როგორც ყოველთვის – გვამხნევებდა. ამან ისეთი ზემოქმედება იქონია ჩვენზე, რომ ისეთივე იმედით წამოვედით იქიდან, როგორც მის სიცოცხლეში ხდებოდა.

ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ კოტიკა მაღიჩზე, უსპეტაკეს, ალაღმარ-

თალ, უანგარო ადამიანზე მოგონების დაწერა მომიხდებოდა, ვერც იმას წარმოვიდგენდი, რომ ეს ასეთი მძიმე და ძნელი იქნებოდა.

კოტიკას გარდაცვალებიდან 4 წელი გავიდა... მე და გურამს ძალიან დაგვაკლდა კოტიკა, დააკლდა იგი მის ახლობლებს და მთელ საზოგადოებას, რომელსაც სიკვდილის ბოლო წუთამდე ასე უანგაროდ ემსახურებოდა.

დღეს კოტიკა ჩვენთან არ ტრიალებს, არ გვამხნევეებს, მაგრამ მე მაინც იმ იმედით ვცხოვრობ, რომ იმ ქვეყანას წასულ ჩემს გურამს, ჩემს მისვლამდე, ის არ მიატოვებს, დაეხმარება, როგორც ყოველთვის. თხოვნა მას არ დასჭირდება – ყველა წასულ მეგობარს მიხედავს. იქაც არ ვასვენებთ ჩვენს მეგობარს, როგორც გურამი ამბობდა ჩვენს ახლობელ კოტიკას.

ბოლოს ჩემი პატარა მოგონება მინდა დავამთავრო – მადლობა გადაგიხადო, ძვირფასო კოტიკ, სიკეთისათვის, – უანგაროდ რომ თესავდი ყველგან, დიდად გაფასებთ შენი დაულალავი შრომისათვის. შეხვედრამდე!..

დოდო აბაშიძე-თოფურია

ნათელი ხსოვნა

ისე მოხდა, რომ ჩემს რამდენიმე ახლობელს, სხვადასხვა დროს, შეეძვნა პრობლემები სარძევე ჯირკვალთან დაკავშირებით. მკურნალის შერჩევა ყოველთვის იყო ცალსახა, ვინაიდან, ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან მოსკოვის ონკოლოგიის ცენტრში საქართველოდან ჩასული ავადმყოფებისათვის ხშირად უთქვამთ – რატომ მოდიხართ ჩვენთან, როდესაც თბილისში გყავთ კონსტანტინე მადიჩო.

ბატონ კოტესთან ავადმყოფების შეხვედრის ორგანიზაციაში დიდი გულისხმიერებით მეხმარებოდა ჩემი კოლეგა ქალბატონი ზაირა და ასე აბსოლუტურად უანგაროდ ტარდებოდა კონსულტაციები, მკურნალობა, ქირურგიული ოპერაცია. ბატონი კოტეს სიტყვის ყველას სჯეროდა, იგი დიდი იმედი იყო მძიმე დიაგნოზის დროსაც კი.

განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდა ბატონი კოტე ოპერაციის შემდეგ პაციენტების მონახულებისასაც. მახსოვს, როგორი სინანულით აღნიშნა ერთმა ავადმყოფმა, რომ ოპერაცია გაიკეთა სხვა მკურნალთან.

დიდი მადლობა, ბატონო კოტე, უხვი სიკეთისათვის. დიდი მადლობა იმ გადარჩენილი სიცოცხლისათვის, რომელიც უკვე მეოთხე ათწლეულია გრძელდება. ნათელია თქვენი ხსოვნა, ბატონო კოტე!

თამარ ფანცულაია,
23.20.08. თბილისი

მცირე მოგონება კოტე მადიჩის შესახებ

სამწუხარო რეალობაა, როცა ასეთი შესანიშნავი პიროვნება მხოლოდ წარსულში არსებობს და მხოლოდ ტკივილიან მოგონებებს აღძრავს.

კოტე მადიჩის მეუღლე ზაირა ჩემი სკოლის მეგობარია. ჩვენი ბავშვობის მეგობრობა წლების მანძილზე მჭიდრო ურთიერთობად ჩამოყალიბდა. კოტეც ჩემი მეგობარი გახდა და ჩემი შვილის, ეკა მხეიძის მასწავლებელი. უფრო სწორად, პროფესიული წარმატების მიღწევას ეკა კოტიკოს უნდა უმადლოდეს.

ზაირა ტრადიციულ ოჯახში აღიზარდა. ყოველთვის სამაგალითო იყო: სკოლაშიც, უმაღლეს სასწავლებელშიც, მეცნიერებაშიც, შესანიშნავი შვილების ღირსეული დედა, ჰარმონიული ოჯახის დიასახლისი და საზოგადოების გამორჩეული წევრი.

მოუხედავად სიყმანვილის რთული პერიოდისა, კოტიკო ნამდვილი ჯენტლმენი იყო, ზაირა კი სიმყურდროვის და დახვეწილი გარემოს შემოქმედი. ყოველთვის საინტერესო იყო მათთან სტუმრობა. გარეგნულად განონასნორებული და მშვიდი კოტე ძალიან თბილად და გულუხვად ხვდებოდა სტუმრებს. მათ ოჯახში ყოველთვის იგრძნობოდა დაცულობა, უსაფრთხოება და მომავლის იმედი.

ჩვენი გოგოები (მეგობრებს ახლაც ასე ვეძახით) დროდადრო ვესინჯებოდით კოტიკოს პროფილაქტიკის მიზნით. ისიც არ იზარებდა და სათანადო დარიგებებს გვაძლევდა. შემდეგ, როცა ეკა (ჩემი ქალიშვილი) ექიმი გახდა, უკვე ის სინჯავდა ახლობელ ქალებს. ერთხელ კოტიკომ იკითხა: რალაც აღარ მოდიხართ ჩემთან გასასინჯად, რაშია საქმეო? ჩვენ მოკრძალებით ვუპასუხეთ, თქვენ აღარ განუხებთ და შესამონმებლად ეკასთან მივდივართო. უცბად ვითომ გაბრაზებული გამომეტყველება მიიღო და თქვა: თუ ასეა, ეკას ხვალვე მოვხსნი სამსახურიდანო (завтра же выхолю).

ყოველთვის გულთან ახლოს მიჰქონდა ავადმყოფის მდგომარეობა. რა დროც არ უნდა ყოფილიყო, არავისთვის არასოდეს უთქვამს უარი კონსულტაციაზე.

სიცოცხლისათვის მებრძოლი რაინდული სულისკვეთების დასტაქარი – ასეთი დარჩება კოტე მაღიჩი ჩვენი საზოგადოების ხსოვნაში.

მანანა ფირცხალავა

ბატონი კოტეს ხსოვნას

ბატონ კოტეს მაშინ გავეცანით, როდესაც ის ქიმიკოსების სიძე გახდა და თავისი ბედი ჩვენი ინსტიტუტის სინთეზისა და კატალიზის ლაბორატორიის ერთ-ერთ ნამყვან თანამშრომელს, ზაირა ნიკოლაიშვილს დაუკავშირა. ჩვენ ყველას ძალზე გვიყვარდა ქალბატონი ზაირა და სიხარულით შევხვდით მის გაბედნიერებას, მით უმეტეს, რომ მისი არჩევანი ისეთ ღირსეულ და ცნობილ პიროვნებაზე შეჩერდა, როგორიც იყო კოტე მაღიჩი. შეიქმნა სამაგალითო ოჯახი, რომელსაც დროთა განმავლობაში ხალისი შემატეს ამ ოჯახის შესანიშნავმა ქალიშვილებმა – ირინემ და მარინემ. ქალბატონმა ზაირამ შეთავსებით მათზე პედაგოგიური მზრუნველობაც გამოიჩინა და ლაბორატორიაში ხშირად ცხად-

დებოდა ბავშვების კონსპექტებით და ქიმიური ამოცანებით, რათა მათში მოყვანილი საკითხები უფრო გასაგები სახით გადაეცა ქალიშვილებისთვის (ეს პედაგოგიური ღონისძიებები ქალბატონმა ზაირამ შვილიშვილებისთვისაც არ დაიშურა და ღმერთმა ქნას, რომ ამ როლში დახმარება შვილთაშვილებსაც გაუწიოს).

ბატონი კოტე, შესაძლოა ასე სიღრმისეულად არ მონაწილეობს ქალიშვილების აღზრდაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას ამ მიმართულებით არანაკლები წვლილი მიუძღვის. ირინეს და მარინეს მამის შინაგანი დახვეწილი კულტურა, ინტელექტი და კეთილშობილება ხომ გენეტიკურად გადაეცათ და მათ ისინი იმ პირადი მაგალითებითაც ეზიარნენ, რომელთაც ყოველდღე ბატონი კოტე იძლეოდა.

ბატონ კოტესთან შეხვედრის დროს ლაბორატორიის წევრებს ყოველთვის გვაოცებდა მისი თავმდაბლობა და მორიდებულობა. ვერც კი წარმოიდგენდი, რომ ამ წყნარ კაცს მოვალეობის რამდენად მძიმე და გაუსაძლისი ტვირთის ზიდვა შეეძლო. ის ყველა ჩვენგანს ძალზე სწრაფად დაგვიახლოვდა და სულ ახალ-ახალი განცვიფრების საბაბს გვაძლევდა იმ მრავალმხრივი ცოდნით, რომელიც მას ჰქონდა ხელოვნების, მეცნიერების თუ სპორტის სფეროში. აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი შემთხვევა, რომელიც მანქანის მართვასთან იყო დაკავშირებული. მართვის უფლების მისაღებ გამოცდაზე ის ლაბორატორიის წევრებთან ერთად გადიოდა. გოგობმა ხუთები მიიღეს. ბატონმა კოტემ სრული სოლიდარობა გამოგვიცხადა მე და „ნრუნუნას“ (ეს ზედმეტსახელი იყო ერთ-ერთი ჩვენი კოლეგის) და მანაც სამიანი მიიღო, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შემდეგში ის ძალზე კვალიფიციურად მართავდა მანქანას.

ბატონი კოტე არასდროს არ გამოკიდებია ტიტულებს, მაგრამ ის ფლობდა ყველაზე დასაფასებელ – სახალხო ექიმის ტიტულს, რომელსაც უშუალოდ ხალხი ანიჭებს თავის რჩეულ მკურნალებს. ყველამ იცოდა, თუ ვინ იყო საქართველოში ონკოლოგიური სპეციალობის თავკაცი და ბატონი კოტეც თავდაუზოგავად იღვწოდა, რათა პაციენტებისათვის იმედები არ გაეცრუებინა.

ექიმ-ონკოლოგის პროფესია, სხვა სპეციალობის ექიმებთან შედარებით ძალზე მძიმეა, ვინაიდან მათ ყოველდღე უხდებათ ბრძოლა ადამიანის სიცოცხლის შენარჩუნებასა და გახანგრძლივებისათვის. ეს დიდ ენერჯიას და თავდადებას მოითხოვდა, რასაც ბატონი კოტე არასოდეს იშურებდა პაციენტებისათვის. მე

უამრავ პიროვნებას ვიცნობ, რომლებიც მადლიერებით ლოცავდნენ ბატონ კოტეს. მათ რიცხვში, სხვათა შორის, მეც ვარ. არასოდეს დამავინყდება ის ყურადღება და ძალისხმევა, რომელიც მან ჩემი ახლობლების მიმართ გამოიჩინა ქალბატონ ზაირასთან ერთად. ერთ-ერთ წვეულებაზე, როდესაც მე, როგორც თამადამ, ბატონი კოტე ვადღეგრძელებდი, ჩემი მეუღლე მივიდა მასთან და ხელები დაუკოცნა შემდეგი სიტყვებით: „ამ ხელებმა 10 წლით გაუხანგრძლივა სიცოცხლე დედაჩემს“.

სულ ბოლო წლებში სატელევიზიო გადაცემიდან გავიგე, რომ ბატონი კოტე კარგი სპორტსმენი იყო და თბილისის სახელგანთქმულ „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდში თამაშობდა. მე თითქმის მთელი ბავშვობა კიროვის პარკის საკალათბურთო მოედნის ტრიბუნაზე გავატარე, ვინაიდან იქვე, ბელინსკის ქუჩის ორ ნომერში ვცხოვრობდი. წარმოიდგინეთ, ფილიპოვი, ბორის სარქისოვი და სხვა ძველი კალათბურთელებიც დამამახსოვრდა, რომ არაფერი ვთქვათ მომდევნო თაობის წარმომადგენლებზე, როგორიც ქორქია იყო. მათ გარდა გვარ-სახელების გარეშე ჩემს მხსიერებას სხვა კალათბურთელებიც შემორჩნენ და როდესაც ბატონ კოტეს სპორტულ წარსულზე შევიტყვე, ერთ-ერთ მათგანში სწორედ ის აღმოვაჩინე. ამ ფაქტის დასაზუსტებლად ბატონ კოტესთან შესახვედრად მოვემზადე და წინასწარ მახარებდა ის გარემოება, რომელიც წარსულის შესანიშნავი ეპიზოდების ხელახლა განცდის საშუალებას მაძლევდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემს სურვილებს აღსრულება არ ეწერა, ვინაიდან სწორედ იმ დღეებში კოტე სამუდამოდ წავიდა ჩვენგან. წავიდა და მისი წასვლით მართლაც რომ კიდევ ერთი კაცი დააკლდა თბილისს.

დღეს ჩვენს ქვეყანას ძალზე უჭირს და ამ განუკითხაობის პერიოდში კიდევ უფრო ხშირად ვუბრუნდებით წარსულს, სადაც ბატონი კოტე და სხვა თავდადებული პიროვნებები მოღვაწეობდნენ. სწორედ ასეთი გახსენებით იმედი გვეუფლება, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ დაკარგული არ არის და მათი ღირსეული შთამომავლობა კვლავ აღადგენს ქვეყნის შელახულ ღირსებას.

რ. ჩაგუნავა,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

უკვე ხუთი წელია, რაც კოტე ბიძია წავიდა, მაგრამ დღე არ გავა, ეს გამორჩეული ადამიანი, მისი თბილი მზერა, მასთან ერთად გატარებული წუთები არ გამახსენდეს. სულ ვწანობ, რომ უფრო ხშირად არ ვიყავი მასთან, მეტი საინტერესო ამბავი არ მოვისმინე, მეტად არ ვეზიარე მისეულ თბილისურ სულს, რომელსაც კოტე მადიჩი ასე ამაყად ატარებდა. ეს არ იყო ჩვენს დღევანდელობაში ხშირად ჰიპერტროფირებულად შემოჭრილი „ქალაქური“ სული, ეს იყო ნატიფი და დახვეწილი სული თბილისელი ინტელიგენტის, კაცის, რომელიც თავისი კოდექსით, მასში გამჟღადარი წესით ცხოვრობდა, ზედმეტი ამბიციის გარეშე, მაგრამ ღირსებით დააბიჯებდა ამ ქვეყანაზე.

ჩვენი ურთიერთობა მალე გასცდა მეგობრების მამასთან ურთიერთობის მიღებულ ჩარჩოებს. მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, მეგობრები გავხდით. ამ ადამიანს საოცრად შეეძლო უთქმელად, მზერით მიენვიე შეთქმულთა რიგებში, მზერითვე გამოეხატა სიხარული თუ სევდა. ისეთი გრძნობა გეუფლებოდა, რომ ის შენი თანაკლასელი, სკოლის ან ინსტიტუტის მეგობარი იყო, რომ საუკუნის დასაწყისში თბილისურ ეზოში ერთად გითამაშიათ ფეხბურთი. მოკლედ, ასაკს აქ არაფერი ესაქმებოდა.

როგორც იტყვიან, „ერთ რამედ ღირდა“ ცნობილი „ხაში კოტიკასთან“.. ეს იყო რიტუალთან მიახლოებული პურმარილები კეკელიძეზე, საკმაოდ ვინრო წრეში, რომლის სულისჩამდგმელი და ეპიცენტრი, რაღა თქმა უნდა, კოტე ბიძია გახლდათ. აქ მოისმენდი სასწაულ თბილისურ ისტორიებს, ამბებს მისი თანაკლასელებისა, რომლებიც თითქმის ყველანი ფრონტზე დაილუპნენ, მის სპორტულ მოგონებებს თუ შაყირებს სამედიცინო თემატიკაზე. დრო ამ სუფრებზე გადიოდა ძალიან სწრაფად... უცვლელი და ტრადიციული იყო მხოლოდ ფინალი – ბრაზმორეული ზაირა დეიდა ხმამალლა ნათქვამი ფრაზით „КОТИК - ХВАТИ!“ გვართმევდა, ვინ იცის არყის მერამდენე ბოთლს.

კიდევ ლიკანში ის დასვენება მახსენდება ირინესთან და მამუკასთან ერთად. ბავშვებმა ჭკუიდან გადაგვიყვანეს და გვიხაროდა თბილისში დაბრუნება. მცხეთაში რესტორანში ვიჯექით, როცა შევიტყვეთ – კოტე ბიძია საავადმყოფოში დაწოლილაო. მივიჭერით მეცხრეში და მოვიწახლეთ ავადმყოფი, რომლის მდგომარეობა ჩემნაირ დილექტანტს ცუდს არაფერს აფიქრებინებდა. ახლა მახსენდება, რომ მამუკას დაეძაბა სახე.

მივუჯექი და ნავეჭორავე. სისხლზე საუბრობდნენ და ჩემი აზრებიც ნითელი ღვინის მიმართულებით ნავიდა. საფერავზე რს იტყოდით-მეთქი. ისევ ის შეთქმულის მზერა და თანხმობის ნიშნად თვალის ჩაკვრა... გადავირბინე იქვე და წუთში მოვიტანე რაც საჭირო იყო. ყველაფერი გავითვალისწინე, საცობის ამოსაძრობიც კი... გამომ-რჩა მხოლოდ ზაირა დეიდას ფაქტორი, რომლის კატეგორიულმა მზერამ არ მომცა გეგმის განხორციელების საშუალება.

ნეტავ, უფრო „მიმწოლი“ ვყოფილიყავი იმ დღეს!.. ეგებ უკანას-კნელად დამელია ღვინო კოტე მადიჩთან ერთად და მისთვისაც მიმენიჭებინა პატარა სიამოვნება...

დათო ბუაძე

კოტე მადიჩი

კოტე მადიჩი – რამდენი სასოება, იმედი, ნუგეში თან სდევდა ამ სახელს, რამდენი დედა, რამდენი ოჯახი უხსნია მის მარჯვენას, რამდენისთვის დაუბრუნებია სიცოცხლის სიხარული! დიდია მისი დამსახურება ჩვენი საზოგადოების, ქვეყნის წინაშე, ამიტომაც მისი სახელი ყველას სიყვარულით და პატივისცემით ახსენდება. მართ-ლაც ვალდებული ვართ ჯეროვანი პატივი მივაგოთ მის ხსოვნას, ხსოვნას იმ კაცისა, ვინც მედგრად იბრძოდა მომაკვდინებელი სენის წინააღმდეგ, ვისი გულიც სავსე იყო მოყვასის სიყვარულით, ვინც არ უშინდებოდა სირთულეებს და, მკურნალის სულისკვეთებით აღვსილი, თავისი ცოდნით, ინტუიციით, ტალანტით, მამაცობით ადამიანის უძვირფასეს საუნჯეს – სიცოცხლეს იცავდა.

კოტე მადიჩის მრავალწლიან ონკოლოგიურ პრაქტიკას საფუძ-ვლად უდევს დიდი ერუდიცია, ღრმა აზროვნება, ვაჟკაცური შემართება, სიცოცხლის, ადამიანის უსაზღვრო სიყვარული.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოტეს მეცნიერულ მოღვაწეო-ბას. დიდია მისი ღვანლი ქართული მამოლოგიური სკოლის და პრაქტიკული ონკოლოგიის განვითარებაში. განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა იგი ახალგაზრდა მედიკოსების აღზრ-დას – თავისი თეორიული და პრაქტიკული საქმიანობით, თავისი ქცევით ჭეშმარიტი მკურნალისა და მკვლევარის მაგალითს უსახავდა მათ.

ნავიდა კოტე მადიჩი ამ ქვეყნიდან, ნავიდა და თან გაიყოლა

პაციენტების უსაზღვრო მადლიერება, კოლეგების ღრმა პატივისცემა, აღზრდილთა თაყვანისცემა და მთელი ქართველი საზოგადოების დიდი სიყვარული.

მარლენ კიტია

ღირსეული მამულიშვილი

საოცრად რთული, საპასუხისმგებლო და, ამასთან, უზომოდ საამაყო ჩამოაყალიბო შენეული განწყობა და მოიგონო ისეთი დიდი პიროვნება და ღირსეული მამულიშვილი, როგორც იყო ბატონი კოტე მადიჩი. დახვეწილი და რაფინირებული ინტელიგენტი, უკეთილშობილესი, პატიოსანი და უმნიკვლო ადამიანი, უდიდესი პროფესიონალი, არაჩვეულებრივი ქართული ოჯახის თავკაცი, უზომოდ მოსიყვარულე მამა და ბაბუა, შეუდარებელი მეუღლე, განუმეორებელი ადამიანური ხიბლით დაჯილდოებული პიროვნება, უბრალოდ, ძირძველი თბილისელი კაცი, რომლის არსებობაც აღამაზებდა და ათბობდა მის გარშემომყოფთ. სიამაყე გიათმაგდება, როდესაც ასეთი პიროვნება შენი ნათლიაა.

დღემდე გაუნელებელია ის მოკრძალება, სიყვარული და პატივისცემა, რომლითაც მე და ჩემი და, ნანა ვიყავით განწყობილი მის მიმართ. ამის სანინდარს წარმოადგენდა ის გულწრფელი, უანგარო, ხალასი დამოკიდებულება, რომლითაც განმსჭვალული იყო მამაჩემის – კორნელი კეკელიძის და ჩემი ნათლიის – კოტე მადიჩის ენითაუნერელი, ნამდვილი, ულალატო კაცური მეგობრობა, თანადგომა, ურთიერთპატივისცემა და ძმური სიყვარული. ასეთ ურთიერთობებს არასოდეს გასდის ყავლი, ის ამდიდრებს და აკეთილშობილებს ადამიანების ყოფას.

მახსენდება ის უდიდესი ყურადღება, რომელსაც ის იჩენდა ჩემი, როგორც ნათლულის მიმართ. არ გამორჩებოდა ჩემთან დაკავშირებული არც ერთი ღირსშესანიშნავი თარიღი: დაბადების დღე, სკოლის დამთავრება, ინსტიტუტში მოწყობა და დამთავრება. ყოველთვის მანებიერებდა სამახსოვრო საჩუქრით, უდიდესი სითბოთი და სიყვარულით მილოცავდა და ამასთან მესაუბრებოდა, როგორც თანასწორს, მინერგავდა უდიდეს სულიერებას, კაცთმოყვარეობას, სიკეთეს, ადამიანების მიმართ პატივისცემას.

ტრადიციად ჰქონდათ ქცეული მას და მის შესანიშნავ, სათნო მეუღლეს, ქალბატონ ზაირას ჩვენთან, გარდა სხვა მნიშვნელოვანი

თარიღებისა, 17 დეკემბერს – ბარბარობა დღეს სტუმრობა. ეს იყო ერთგვარი დღესასწაული ჩვენთვის, დაუვინყარია მისი უზადო ქცევა, სიღინჯე, არაჩვეულებრივი თხრობის მანერა, მუდამ მოზომილი სიტყვა, დახვეწილი იუმორი.

ღირსეული დასტაქარი და მსოფლიოში ცნობილი ონკოლოგი ყოველთვის უშუალო და ადამიანური იყო პაციენტის მიმართ. დღემდე უდიდესი მადლიერებით იხსენებენ მას ის ადამიანები, სხვა უამრავ მადლიერ ადამიანებთან ერთად, რომელიც ჩვენი ოჯახის რეკომენდაციით მოხვდნენ მასთან, ეზიარენ მის მაღალ პროფესიონალიზმს, მის მიერ დასმული დიაგნოზი ხომ ყოველთვის უტყუარი, კომპეტენტური და შეუმცდარი იყო. ყველას მიმართ ყურადღებიანი, ამასთან, ერთი შეხედვით, თითქოს მკაცრი, მათ მიმართ ცდილობდა განსაკუთრებული კეთილგანწყობა და სიტბო გამოეჩინა, რომ კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა ჩვენს ოჯახებს შორის არსებული იმ დამოკიდებულებისათვის, რომელიც ასეთი მნიშვნელოვანი და ძვირფასი იყო მისთვის. ბევრ მათგანს გაუხანგრძლივა სიცოცხლე და ჩაუსახა იმედი, იმედი მომავლისა.

როგორც უდიდესი პიროვნება, დაჯილდოებული იყო არაჩვეულებრივი უნარით – საოცრად უყვარდა მოყვასი და ეამაყებოდა მისი გამორჩეული სამეგობრო წრე, ყოველთვის ცდილობდა ყველას გაეგო მათი წარმატებებისა და მიღწევების შესახებ.

შეეძლო უანგარო თავგანწირვა ახლობელი ადამიანისთვის, როდესაც მამა ავად გახდა და, ფაქტობრივად, მისი გადარჩენა შეუძლებელი იყო, ძნელია აღწერო ის განცდა, რომელიც მას ჰქონდა, მიუხედავად ამისა, როგორც ჭეშმარიტი რაინდი, ცდილობდა ერთი ნუთითაც არ გვეგრძნო ის განსაცდელი, რაც გველოდა, გვერდიდან არ მოგვეშორებია. არასოდეს დამავინწყდება მის თვალზე შეუშრობელი ცრემლი, თუმც ცდილობდა, რომ ჩვენ ეს არ შეგვეჩინია. მას თავისი გარდაცვალების უკანასკნელ ნუთამდე უყურადღებოდ, მოფერების და თანადგომის გარეშე არ დაუტოვებია ჩვენი ოჯახი. ეს ტრადიციულად ჩამოყალიბებული ურყევი, გაუხუნარი და ფაქტობრივად ნათესაური ურთიერთობები, რომელიც გაჯერებულია უდიდესი სიყვარულით, სიტბოთი და მეტი პასუხისმგებლობით, დღემდე გრძელდება მის გამორჩეულად საამაყო ოჯახთან.

შეუძლებელია მოიგონო ბატონი კოტე და განსაკუთრებული ადგილი არ დაუთმო მის შესანიშნავ ოჯახს, რომელიც მუდამყამს გვერდით ედგა ამ სასიქადულო პიროვნებას, – ამის გარეშე სრულად ვერ წარმოაჩენ მას. განსაკუთრებით მინდა ქედი მოვიხარო

და მივეალერსო ზაირა დეიდას – მის უპირველეს, უერთგულეს და მოსიყვარულე მეგობარს, ლირსეულ მეუღლეს, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მიუძღვნა ნამდვილ ქართულ ოჯახს. საოცარი სითბოთი და კაცთმოყვარეობით გამოირჩევიან მისი შეუდარებელი ქალიშვილები: ირინე და მარინე, რომელნიც დღეს თავად არიან ლირსეული ქართული ოჯახების წარმოსაჩენი ქალბატონები, რომელნიც ყველგან და ყოველთვის სიკეთეს თესავენ. მისი სიძეები: მამუკა და დათო ნამდვილი ქართველი ვაჟკაცები და მისი ყველაზე დიდი სიმდიდრე, მისი არაჩვეულებრივი შვილიშვილები.

უდიდესი მოწინებითა და რიდით მინდოდა მოკრძალებული სიტყვა მეთქვა ბატონ კოტეზე, რამდენად შევძელი, ეს მისმა ნათელმა სულმა განსაჯოს, რამეთუ ჩემთვის, უბრალო მოკვდავისათვის, ძნელია ასეთ დიდ პიროვნებაზე წერა და საუბარი, – საამაყოდ ისიც მეყოფა, რომ მისი ნათლული მქვია.

მანანა კეკელიძე



აღიარება

2002 წლის 15 ნოემბერს ქართულმა სამედიცინო საზოგადოებამ ბატონ კონსტანტინე მაღიჩს დაბადებიდან 80 წლის იუბილე გადაუხადეს. საიუბილეო საღამოზე გამოცხადდა, რომ ბატონ კოტეს მიერ დაარსებულ მამოლოგიურ განყოფილებას მიენიჭა კონსტანტინე მაღიჩის სახელი.

ბატონ კოტეს ამ საღამოსვე მისმა კოლეგებმა გადასცეს ოქროს სკალპელი.

ძუძუს ჯადოქარი

კოტეს ადრეც ვიცნობდი. საკმაოდ ხშირად ვხვდებოდით საქმიან თუ მეგობრულ ვითარებაში. მაგრამ პირველი შეხვედრა, რომელიც საფუძვლად დაედო ჩვენს მეგობრობას, 1954 წლის ზამთარში მოხდა ლენინგრადში. თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრის (რომლის გამგე იყო ქართული ონკოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი პროფესორი კონსტანტინე ვეფხვაძე) ასისტენტობის პერიოდში იგი ჩამოსული იყო კონსულტაციაზე საკანდიდატო დისერტაციასთან დაკავშირებით. საკითხი კანის კიბოს შეეხებოდა და როდესაც კონსულტანტებმა, ცნობილმა რუსმა ონკოლოგმა ა. შანინმა და მ. გლაზუნოვმა მასალას გადახედეს, გაკვირვებულები დარჩნენ. ჩვენ გვეგონა კანის კიბოს საფუძვლიანად ვიცნობდით, მაგრამ ასე არ ყოფილა, იმდენი სიახლე აღმოვაჩინეთ ექიმ კ. მაღიჩის მასალაში, – განაცხადეს მათ.

ბათუმის სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი ვიყავი და სადოქტორო დისერტაციის საკითხების შესათანხმებლად ვმუშაობდი საკავშირო სამედიცინო აკადემიის ონკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორთან, ცნობილ გინეკოლოგ-ონკოლოგთან აკადემიკოს ალ. სერებროვთან და გამოჩენილ ექსპერიმენტატორთან აკადემიკოს ლ. შაბადთან. პრობლემა საშვილოსნოს კიბოს გავრცელების (ეპიდემიოლოგია) და მისი მოდელის შექმნის საკითხებს შეეხებოდა ექსპერიმენტში.

ახლოვდებოდა ახალი 1955 წელი. მეცნიერულ მუშაობასთან ერთად ახალი წლის შეხვედრაზეც ვზრუნავდით. საოცარი ყინვიანი ზამთარი იდგა. ვერცხლისწყლის სვეტი ნულს ქვემოთ 40-42-მდე ეშვებოდა. სადგურის ბაქნიდან ტაქსიში ჩაჯდომამდე (ბათუმიდან ჩამოსულ ჩემს მეუღლეს მემნუნე უსტიაშვილს დავხვდით) ხელის

თითები თითქმის წაგვეყინა. კოტეს ცხვირი გაუთეთრდა. როგორც ჩანს, მოეყინა. კვალი დღესაც ამჩნევია. დიდებულად გავითენეთ ახალი წელი. ბევრი საინტერესო შეხვედრა გვექონდა. სწრაფად გაირბინა მივლინების ორმა ნაყოფიერმა თვემ და, რაც მთავარია, საფუძველი ჩაეყარა ჩვენს უმნიშვნელო მეგობრობას.

კოტე ჯერ კიდევ უცხოლო იყო და ქორწინებამდე ათი წელი რჩებოდა. ამას ვსაყვედურობდით, იგი კი ყურადღებას არ გვაქცევდა.

კოტე შესანიშნავი სპორტსმენი იყო. ბრწყინვალედ თამაშობდა კალათბურთს და დინამოს ოსტატ კალათბურთელთა შემადგენლობაში ირიცხებოდა. კალათბურთმა უდავოდ დიდი როლი შეასრულა მისი ისეთი თვისებების ჩამოყალიბებაში, როგორიცაა მეგობრობა, გვერდით დგომა, გამტანიანობა, ერთგულება.

ძვირფასი კოტე ონკოლოგიის კათედრაზე ჩამოყალიბდა, როგორც გამოცდილი მამოლოგი, დიდებული ქირურგი ონკოლოგი და ძუძუს კიბოს პროფილაქტიკისა და მკურნალობის დიდოსტატი. პროფ. კ. ვეფხვაძის გარდაცვალების (1973) შემდეგ მან საყოველთაო აღიარება მოიპოვა, როგორც ძუძუს სანდო სპეციალისტმა არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ჩვენი მეგობობა და ურთიერთობა უფრო გაღრმავდა ჩემი თბილისში ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის გინეკოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელად გადმოყვანის და კოტეს დაქორწინების (1964) შემდეგ. კოტემ შეირთო დიდებული ქალბატონი ზაირა ნიკოლაიშვილი, რომლის მამა, გიორგი ნიკოლაიშვილი, წლების განმავლობაში მუშაობდა ბათუმში აჭარის მთავარ თერაპევტად და ჩვენს ოჯახებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. მეუღლეების ფაქტორმა კიდევ უფრო აამაღლა ჩვენი ოჯახების ურთიერთობა და სიყვარული. ერთად ვმოგზაურობდით და ვმონაწილეობდით ონკოლოგთა საკავშირო და რესპუბლიკურ შეხვედრებზე, რის შედეგადაც თითქმის მთელი საბჭოთა კავშირი შემოვიარეთ.

ქალბატონმა ზაირამ კოტეს ორი მომხიბვლელი ქალიშვილი აჩუქა. ერთი კურიოზის შესახებ კოტე დიდი იუმორით ყვება: ირინა და მარინა თბილისში, ბუდაპეშტის ქუჩაზე საბავშვო ბაღში მეუღლეს – ზაირას დაჰყავდა. ერთ მშვენიერ დღეს კლინიკიდან ადრე მოვედი და მთხოვეს ბავშვები ბაღიდან მე მომეყვანა. სიამოვნებით დავთანხმდი. ბაღში მისვლისას შემომესივნენ პატარები. ირინა და მარინა ვერსად დავინახე და ბავშვებს ვთხოვე, მოეყვანათ ისინი. ბავშვებმაც შეასრულეს ჩემი თხოვნა მონახეს ირინა და მარინა და უთხრეს, რომ ბაბუამ მოგაკითხაო. სახლს რომ მოვუახლოვდით, გოგონები მეუბნებინ: მამა, არ შეიძლება

ჩვენს ნასაყვანად შენ აღარ მოგვაკითხო და დედამ იაროსო.

მოსკოვიდან ლენინგრადში მეუღლეებთან ერთად ზოგჯერ დღის სწრაფი მატარებლით ვმგზავრობდით. გზა სწრაფად ილუოდა. კოტე სიამაყით გვიყვებოდა, რომ მამას ქალაქგარეთ, ლიგოვოში დიდი მამული და სახლი ჰქონდა, ხოლო დედამ, ქ-მა ქეთევანმა, აქ დაამთავრა ქალთა საინჟინრო უმაღლესი კურსები და აქვე დაინერეს ჯვარი. მოგზაურობა პიროვნების ღრმად გაცნობის უებარი საშუალებაა. ასეთი მომენტები კოტეს და მე არაერთხელ გვქონდა. სიამოვნებით ვიგონებ 1978 წელს ჩვენს მოგზაურობას და მონაწილეობას ონკოლოგთა მსოფლიო კონგრესზე არგენტინაში. ჩვენი დელეგაციის შემადგენლობაში იყო საბჭოთა ონკოლოგების ნალები. ვხედავდი და მიხაროდა, თუ როგორი მონაწილეთი და პატივისცემით ეყვრობოდნენ კოტეს გამოჩენას ჩვენი და უცხოელი სპეციალისტები. ყოველივე ეს მის დიდ ავტორიტეტსა და აღიარებაზე მეტყველებდა.

კიდევ ერთი ფათერაკის შესახებ. 2001 წლის გაზაფხულზე ბაქოში გაიმართა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ონკოლოგთა II კონგრესი, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა. ეს კონგრესი ქართველ ონკოლოგთა და მათ შორის კოტეს, მეცნიერული კვლევების აღიარება იყო. დიდი პატივით გამოგვაცვილეს და ჩაგვსვენეს ბაქო-თბილისის მატარებელში. კოტე ორადგილიანი კუპის ქვემო სანოლზე მოთავსდა და რბილ ვაგონში. შუალამისას ნაბახუსევი კუპიდან გამოვიდა, მალე დაბრუნდა და ისევ ძილს მისცა თავი. გავიდა დრო და რას ხედავს, ვილაც დიდულვაშა თათარი დაგომია თავზე და ეუბნება „სლუში სტავაი ეტო მაიო მესტო“. კოტე გაკვირებული შეიშმუშნა, გამოფხიზლდა და მიხვდა, რომ ნახევრად მძინარე სხვის კუპეში შესულიყო და სხვის ლოგინში ჩანოლილიყო.

მიხარია, რომ ჩემი კოტე ოთხმოც წელს ჯანმბარე, ენერგიით სავსე და საღად მოაზროვნე ხვდება და ჯერაც არ დაუგდია ხელიდან ლანცეტი. ამბობენ და სწორად მიმაჩნია, რომ ადამიანის შესაძლებლობანი ასაკით არ განისაზღვრება. ვუსურვებ კოტეს აქტიურ, ნაყოფიერ, ხანგრძლივ ჯანმრთელობას, ბედნიერების მთებს და ზღვა წარმატებებს.

*საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე,
სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი
ლევან ჩარკვიანი,
„საქართველოს ონკოლოგია“ 2002 წლის ოქტომბერი*

ვულოცავ ბატონ კოტეს საიუბილეო თარიღს!

216

ქონსტანტინე მაჭიანი

ძვირფასო კოტე, გილოცავ შესანიშნავ საიუბილეო თარიღს. 80 წელი ეს საკმაოდ დიდი შემოქმედებითი გზაა, გზა ონკოლოგისა, ქირურგისა და საზოგადო მოღვაწისა. შენი ახალგაზრდული შემართება, დაუშრეტელი ენერჯია მეცნიერისა და ნიჭი არაჩვეულებრივი პედაგოგისა არის მაგალითი ყველასათვის და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობისათვის. თქვენი წყალობით მრავალმა ექიმმა მიიღო ონკოლოგის სპეციალობა, თქვენ შთააგონეთ მათ ამ ურთულესი და უძნელესი დარგის სიყვარული, ისინი დღესაც ნაყოფიერად მუშაობენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. შენს მიერ განვლილი აკადემიური ზრდის ყოველი ეტაპი მნიშვნელოვანი და სამაგალითოა. შენ გქონდა ბედნიერება, გაზრდილიყავი და ჩამოყალიბებულიყავი ექიმად ისეთი ღვანლმოსილი პედაგოგის – ონკოლოგის გვერდით, როგორიც იყო პროფ. კოსტანტინე ვეფხვაძე. შენ იყავი მისი საუკეთესო მოწაფე და კიდევ მიიღე მისგან ესტაფეტა კათედრის თავდაცვისა. შესანიშნავი ქირურგი ონკოლოგ-მამოლოგი ხარ, ნიჭიერი ექიმი, რომელსაც ჭკუაც მოგეკითხება და საქმეც. სამედიცინო განათლების დიდი დიაპაზონის მცოდნეს უამრავი პაციენტი გყავს მადლიერიც და მოსიყვარულეც. შეყვარებულიც? იქნებ ეს სიტყვა სჯობდეს! ასეთები ბევრნი არიან.

რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობას, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ძალიან დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს, მე ზობლურიც და სამსახურებრივიც. გამოვიარეთ ერთად მართლაც დიდი გზა, რომელიც შეიძლება ითქვას, ყოველთვის არ იყო მოლხენილი. ბევრი რამ გადაგვხდენია ერთად სამეგობროში, სამსახურში თუ ქვეყნად, მაგრამ ყველაფერს გაუძეულით და, რაც მთავარია, ვიარეთ სწორი ადამიანური გზით.

ოჯახიც შესანიშნავი გყავს, შვილები, შვილიშვილები, მაგრამ ცოლი გამორჩეულია, ქალბატონი ზაირა, როგორ მედგრად დგას შენს გვერდში, ყოჩაღად მართავს დიდ ოჯახს. ყველგან ვაქებ მას და ვამბობ, რომ შენი კარგი ოჯახის შექმნაში დიდი ღვანლი მიუძღვის. შვილებსაც ჩაუწერე მედიცინის სიყვარული და ისინიც ორივენი ექიმები არიან მეუღლეებთან ერთად. ექიმობის ტრადიცია ოჯახში გრძელდება.

ჩემო კოტე, იცხოვრე დიდხანს, შენი ოჯახის, მეგობრებისა და თანამშრომლების სასიხარულოდ. ძალიან მიყვარხარ, შენი მეგობარი.

მზა აკადემიკოსი გულნარა გერსამია.

„საქართველოს ონკოლოგია“

2002 წლის ოქტომბერი

კონსტანტინე მაღიჩი – ამაგდარი ქირურგი და პედაგოგი

თქვენი მოღვაწეობის შთამბეჭდავ გზაზე, ბატონო კოტე, როგორც ბრწყინვალე მეცნიერის, პედაგოგისა და დასტაქრის სახელი ოქროს ასოებითაა ჩანერილი ქართული მედიცინის ისტორიაში.

განუზომელია თქვენი ღვანლი ქართული მამოლოგიური სკოლის ჩამოყალიბებაში, რის გამოც არც ის არის გასაკვირი, რომ თქვენი ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის პერიოდში საქართველოში მამოლოგია თქვენს სახელთან არის ასოცირებული. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თქვენ არა მარტო დასაბამი მიეცით ქართული მამოლოგიური სკოლის ჩამოყალიბებას, არამედ დიდი ამაგი დასდეთ საერთაშორისო ასპარეზზე მის გაყვანას და დიდი ავტორიტეტიც მოუპოვეთ მას.

ბატონო კოტე, თქვენი დამსახურებაა ისიც, რომ ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის მამოლოგიის განყოფილება სხვადასხვა დროს აქტიურად მონაწილეობდა ამ დარგის საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში. თავად თქვენ ონკოლოგთა მრავალი საკავშირო და საერთაშორისო კონგრესის, ყრილობის და სიმპოზიუმის მონაწილე ბრანდებით. თქვენი, როგორც ჭეშმარიტი ონკოლოგისა და ფართო დიაპაზონის მქონე მეცნიერის, შრომები ეძღვნება არა მხოლოდ ძუძუს, არამედ კანის, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის და სასუნთქი სისტემის ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და ებიდემიოლოგიის აქტუალურ საკითხებს.

ბატონო კოტე, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თქვენი ურთიერთობა ახალგაზრდებთან. თქვენ დაუზარებლად ეხმარებით ახალგაზრდა კოლეგებს, უზიარებთ მათ თქვენს თეორიულ ცოდნას თუ პრაქტიკულ გამოცდილებას, ასწავლით სიკეთის თესვას.

ბატონო კოტე, შთამბეჭდავია თქვენი ორატორული ნიჭი. თქვენი არც ერთი ლექცია არ ჰგავს მეორეს. ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრაზე სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ რამდენიმე ათას მსმენელს თქვენი ხელმძღვანელობით აუმაღლებია კვალიფიკაცია. ბევრი მათგანი დღეს საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერია. თქვენ ექიმ-ონკოლოგთა, ციტოლოგთა, საერთო ქსელის ექიმთა, სტუდენტთა და რეზიდენტთა მოსამზადებლად შექმნილი უმნიშვნლოვანესი სასწავლო პროგრამებისა და მეთოდური სახელმძღვანელოების ავტორი ბრძანდებით.

ასევე დასაფასებელია თქვენი დიდი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. თქვენ ბრანდებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან

არსებული ავთვისებიანი სიმსივნეების შემსწავლელი საკოორდინაციო საბჭოს წევრი, საქართველოს ონკოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე. ბატონო კოტე, დღირსეულად დაფასდა თქვენი, როგორც სასიქადულო მამულიშვილის, ღვანლი – თქვენ დაჯილდოებული ბრძანდებით ღირსების ორდენითა და საქართველოს დამსახურებული მედიკოსის მედლით, ხართ სამედიცინო-სოციალურ და მედიკო-ბიოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი, პროფესორი.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ბატონო კონსტანტინე სახელოვან იუბილეს, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, შემდგომ წარმატებებს ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ

რევაზ გაგუა
ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის პრეზიდენტი,
სახელმწიფო პრემიის ლურეატი,
მედიკო-ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი

პროფესორი კონსტანტინე მადიჩი იუბილარია

ბატონო კონსტანტინე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატის და ონკოლოგიის კათედრის თანამშრომლები გულწრფელად გილოცავთ თქვენ, ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წამრომადგენელს, სამამულო სამეცნიერო და პრაქტიკული ონკოლოგიის ფუძემდებელს, უბადლო მამულიშვილს, ცნობილ პედაგოგს, მეცნიერს, ქირურგს და საზოგადო მოღვაწეს, პროფესორს, სამედიცინო-სოციალურ მეცნიერებათა და მედიკო-ბიოლოგიური აკადემიების ნამდვილ წევრს – დაბადების 80 და სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული მოღაწეობის 55 წლისთავს.

კონსტანტინე მადიჩის შემოქმედება 1947 წლიდან იწყება, როდესაც მან მუშაობა დაიწყო ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრაზე ჯერ ლაბორანტად, ხოლო შემდგომში მუხლჩაუხრელი შრომით მიაღწია დოცენტისა და პროფესორის თანამდებობას, გახდა ონკოლოგიის კათედრის გამგე. მისი ლექციები პოპულარული გახდა ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში. აუდიტორია ყოველთვის სავსე იყო მსმენელებით.

ბატონი კონსტანტინე მადიჩი გამოირჩევა ღრმა მეცნიერული ცოდნით და დიდი ერუდიციით, ამავე დროს იგი დაჯილდოებუ-

ლია კვლევითი მუშაობის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელის განსაკუთრებული უნარით. სწორედ ამ ნიჭის წყალობით ბატონმა კონსტანტინემ ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში ჩამოაყალიბა საქართველოში პირველი მამოლოგიური განყოფილება, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა. მისი აქტიური მოღვაწეობით განყოფილება მდროის მოკლე პერიოდში არა მარტო საქართველოში, არამედ ყოფილ საბჭოთა კავშირში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა.

აღბათ მისი აქტიური შემოქმედების მიზეზი იყო ის, რომ იგი მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე იზიდავს უნარიან და ენერგიულ ახალგაზრდობას. ბატონმა კონსტანტინემ შექმნა საკუთარი მეცნიერებათა სკოლა მრავალრიცხოვანი მოწაფეებით. პროფ. კ. მადიჩის მეცნიერული ცოდნა, პორფესიული მომზადების მაღალი დონე, დიდი ერუდიცია, შროისმოყვარეობა, პედაგოგიური ნიჭი, მიმზიდველი პიროვნული თვისებები მისი სკოლის აღმავლობის საწინდარი გახდა. პროფ. კ. მადიჩის ხელმძღვანელობით დაცულია მრავალი დისერტაცია, გამოქვეყნებულია ასობით მეცნიერული ნაშრომი როგორც სამამულო, ისე უცხოურ პერიოდულ ლიტერატურაში.

ბატონმა კონსტანტინემ ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრასთან ჩამოაყალიბა ციტოლოგიური ლაბორატორია, რომელიც ტერიტორიულად ონკოცენტრის ბაზაზეა განთავსებული და დიდ დახმარებას უწევს სიმსივნით დაავადებულ ავადმყოფებს სწორი დიაგნოზის დასმაში.

პროფ. კ. მადიჩის მიერ მონოდებულია ძუძუს სიმსივნის დროს რადიკალური ოპერაციის ახალი მოდიფიკაცია, რომელიც ფართოდ დაინერგა კლინიკაში. მის მიერ შესრულებული ოპერაციები ყოველთვის გამოირჩეოდა უზადო და მაღალი ტექნიკური შესრულებით.

ბატონ კონსტანტინეს გამოქვეყნებული აქვს 160 სამეცნიერო ნაშრომი. მან სახელი გაუთქვა ქართულ სამედიცინო მეცნიერებას უცხოეთში – იაპონია, იტალია, აშშ, ინგლისი, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, გერმანია – აი იმ ქვეყნების არასრული ნუსხა, სადაც სამეცნიერო ფორუმზე ის ბრწყინვალე მოხსენებებით გამოდიოდა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ქართული მეცნიერული ნიჭის და მოღვაწეობის უცხოეთში გატანა ერთეული მეცნიერების ხვედრს ნარმოადგენდა და მათ შორის ერთ-ერთი პირველი პროფ. კ. მადიჩი იყო.

სამშობლომ ღირსეულად დააფასა პროფ. კ. მადიჩის ღვაწლი. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებით იგი დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“, რომელიც მის მრავალრიცხოვან სამთავრობო ჯილდოებს შორის ყველაზე ძვირფასია.

ჩვენს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ ბატონი კონსტანტინე ცნობილია როგორც გულმართალი და პატიოსანი ვაჟკაცი,

დიდებული მეგობარი და ამხანაგი, ყველას მიმართ ყურადღებიანი, გაჭირვებაში ყველას დამხმარე, დიდებული ოჯახისშვილი, მეუღლე, მამა, ბაბუა, ყველასათვის სასურველი სტუმარი, გულუხვი მასპინძელი და რაინდული თვისებების ადამიანი.

მიუხედავად ასაკისა, ბატონ კონსტანტინეს დალღა არ ეტყობა, იგი დღესაც შესაშური ენერგიით აგრძელებს ნაყოფიერ პედაგოგიურ, სამეცნიერო და სამკურნალო საქმიანობას.

პროფ. კ. მადიჩის შინაარსიანად გატარებული ცხოვრება და თავდადებული შრომა ხალხის სამსახურში თვალსაჩინო მაგალითია ახალგაზრდა თაობისათვის თუ როგორ უნდა იღვანოს ადამიანმა თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ბატონო კონსტანტინე სახელოვან ოუბილეს, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, შემდგომ წარმატებებს თქვენი ოჯახისა და ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

ი. ბაქრაძე

*თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ონკოლოგიის კათედრის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი
 2002წ. ოქტომბერი*

მედიკო-ბიოლოგიური და მედიკო-სოციალური აკადემიის ნამდვილ წევრს – პროფესორ ბ-ნ კონსტანტინე მადიჩს 80 წელი შეუსრულდა

დიდი სიყვარულით და პატივისცემით ულოცავენ მას ამ ღირშესანიშნავ თარიღს მამოლოგიის ცენტრის თანამშრომლები, რომელთაც, დარწმუნებული ვარ, სიამოვნებით უერთდება საქართველოს რესპუბლიკის ონკოლოგთა მთელი არმია.

კონსტანტინე მადიჩი დაიბადა 1922წ. 6 ნოემბერს ქ. თბილისში მოსამსახურის ოჯახში. მამა – კონსტანტინე სერგოს-ძე იყო ინჟინერი, ხოლო დედა – ქ-ნი ქეთევან მადიჩი – დიასახლისი.

1940წ. კ. მადიჩმა დაამთავრა ქ. თბილისის 42-ე საშ. სკოლა, ხოლო 1942 წელს ჩაირიცხა თბილისის სახ. სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1946წ.

1940-49წწ. მოღვაწეობდა სპორტში. თამაშობდა კალათბურთს – იგი იყო თბილისის „დინამოს“ ოსტატი კალათბურთელთა გუნ-

დის წევრი. 1947წ. გახდა „დინამოს“ საკავშირო საზოგადოების ჩემპიონი, საქ. რესპუბლიკის ჩემპიონი და სხვადასხვა რესპუბლიკური, რესპუბლიკათშორისი და საკავშირო შეჯიბრებების არაერთი პრიზიორი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 1947 წლიდან მუშაობა დაიწყო ონკოლოგიის დისპანსერში, ხოლო 1953 წელს ჩაირიცხა ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ონკოლოგიის კათედრაზე – ასპირანტად, რომლის ხელმძღვანელი იმ დროისათვის იყო ონკოლოგიის მამა, ბ-ნი კონსტანტინე ვეფხვაძე. 1959 წელს დაიცვა დისერტაცია და აგრძელებს მოღვაწეობას ისევ ონკოლოგიის დისპანსერში, რომელიც იყო და არის ექიმთა დახელოვნების ბაზა.

ასპირანტურის დამთავრების შემდეგ კ. მადიჩი დატოვეს ონკოლოგიის კათედრაზე ჯერ უფროსი ლაბორანტის თანამდებობაზე, ხოლო 1957წ. თებერვალში აირჩიეს ონკოლოგიის კათედრის ასისტენტად. 1962წ. თებერვლიდან 1974წ. აგვისტომდე მუშაობდა ონკოლოგიის კათედრაზე დოცენტად. 1974წ. აგვისტოდან დღემდე არის თბილისის სახ. სამედიცინო აკადემიის ონკოლოგიის კურსის ხელმძღვანელი – კათედრის გამგე. 1979-1990წწ. საზოგადოებრივ საწყისზე – ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის მამოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი.

1970-1977წწ-ში კ. მადიჩი შეთავსებით იყო ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დეკანის მოადგილე და ასპირანტურისა და ორდინატურის განყოფილების ხელმძღვანელი. 1972-1976წწ. კ. მადიჩი იმყოფებოდა ექიმთა დახელოვნების კურსებზე.

თავისი მოღვაწეობის პერიოდში კ. მადიჩს ეკუთვნის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. განსაკუთრებით აღსანიშნავია კ. მადიჩის მონაწილეობა ონკოლოგთა სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმებზე, კონგრესებზე, სხდომებზე (მოსკოვი, ბუენოს-აირესი, კიევი, ლენინგრადი და სხვა).

კ. ვეფხვაძის გარდაცვალების შემდეგ კი ათეული წლების მანძილზე იყო ხსენებული კათედრის გამგედ. ამჟამად კ. მადიჩი არის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის, მამოლოგიური ცენტრის, კ-ტი ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრის და სახ. სამედიცინო აკადემიის საბჭოების წევრი, „ავთვისებიანი სიმსივნეების კლინიკა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა“ საპრობლემო კომისიის წევრი, საქ. ონკოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე.

54 წლის ხანგრძლივი მოღვაწეობის გრძელ გზაზე მოიხვეჭა მეც-

ნიერის, მკურნალის, პედაგოგის სახელი. კომპიუტერული მეხსიერების და ენციკლოპედიური განათლების დახმარებით მრავალი მეცნიერული ნაშრომი გამოსცა, მათ შორის უცხოური ჟურნალების ფურცლებზე. გამსვლელი სამეცნიერო კონფერენციების მონაწილეს აქვს უფლება თქვას „დიდი ხანია ჩემში ზის მკურნალისა და პედაგოგის მონაცემები, რომელიც დღემდე მომყვება“. ბატონი კოტე სინდისიერად ემსახურა ათიათასობით პაციენტს, აღზარდა საქართველოს ონკოლოგთა დიდი არმია; ჩაუწერა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.

დღეს კოტე 80 წლის გახდა, მაგრამ წელთა სიმრავლემ ვერ გასტეხა. ყოველთვის გემოვნებით და ლამაზად ჩაცმული, აკადემიური გარეგნობის სიმპათიური კოტე-ეჭიმი დღესაც გონებანათელი, ხალისიანი, კარგი ქირურგი და პედაგოგია. მასში ისევ იგრძნობა დახვეწილი ადამიანი, რომელიც არასოდეს ცდილობს მოახდინოს ეფექტი და სენსაცია თავისი ღრმა თეორიული ცოდნით და ესკულაპეს ბრწყინვალე მონაცემებით. მისი მოღვაწეობა იყო და არის ძირითად პრინციპზე – შრომა, სწავლა და პატიოსნება. ღრმად იცის იაპონური ანდაზის ფასი – დიდ საქმეს იწყებ, გახსოვდეს წვრილმანიც. მისთვის არ არსებობს წვრილმანი, თუ საქმე ეხება ავადმყოფს და მომავალი თაობის აღზრდას.

მას შეუძლია სიყვარული და ღრმა სიძულვილიც. უყვარს ადამიანი და თავისი პროფესია, სძულს – უმეცრება.

მისი მთელი ცხოვრების გრძელი გზა – თეორიული ცოდნა, პრაქტიკული შემართება, პატიოსნება წარმოადგენს სამაგალითო მოვლენას ჩვენი მომავალი თაობის სწორ და პროფესიული აღზრდის საქმეში.

ამიტომაც ვუსურვებთ მას დიდხანს სიცოცხლეს, შრომის უნარს, ენაწყლანი ლექციებით მსმენელის მოჯადოებას, ძველი და უახლესი მიღწევების ანალიზს და ცოცხალი, თბილი იუმორის შენარჩუნებას.

გ. ნემსაძე

*მამოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.*

„საქართველოს ონკოლოგია“

20025. ოქტომბერი

კონსტანტინე მადიჩის 80 წლის იუბილევზე
წარმოთქმული სიტყვა
(შემოკლებული ვარიანტი) – 2002 წლის 15 ნოემბერი

223

კონსტანტინე მადიჩი

ბატონ კოტეს მივაკუთვნებ მეგობრების იმ კატეგორიას, რომელთანაც სათუთი გრძნობები მაკავშირებს და გამსჭვალული ვარ გულწრფელი პატივისცემის გრძნობით.

ძნელია მოიძებნოს მეორე ისეთი ადამიანი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში და მის საზღვრებს გარეთ სარგებლობდეს ისეთი პოპულარობით, სიყვარულითა და აღიარებით, როგორც კოტე მადიჩი.

მისი სახელი ასოცირდება ონკოლოგიის სამსახურთან და პირიქით...

მასთან მრავალწლიანმა ურთიერთობამ და მეგობრობამ საშუალება მომცა მისი ფსიქოლოგიური პორტრეტის შექმნისა:

იმპოზანტური და რესპექტაბელური გარეგნობის;

სულითხორცამდე არისტოკრატი;

თავმდაბალი და სულგრძელი;

მისთვის ჩვეული თვისება – მრავლისმეტყველი, მრავლისმთქმელი დუმილი;

დიდი ესთეტი – სილამაზის და სიმშვენიერის მოყვარული და დამფასებელი;

ძველი ტრადიციების მიმდევარი და გამტარებელი, ამავე დროს, საოცრად თანამედროვე;

გამოირჩევა იუმორის გრძნობით;

განერიდება პომპეზურობას;

მისთვის უცხოა ამბიციურობა, შური, ინტრიგების ხლართვა;

მისი ცხოვრების წესი – ქრისტესმიერი სიყვარული და მიმტევებლობა...

მისი ცხოვრებისეული კრედო:

„Обиды не страшась, не требуя венца,

Хвалу и клевету приемли равнодушно

И не оспаривай глупца“...

იგი საერთაშორისო კლასის ონკოლოგია, მისი შრომები და მოხსენებები გამოირჩევა სისადავით, სიღრმით, აქტუალობით.

იგი ბრწყინვალე პოლემისტია, მისი მონაწილეობა სამეცნიერო დისკუსიებში გამოირჩევა პროფესიონალიზმით, საკითხის ღრმა ანალიზის და სინთეზის უნარით.

თავისი იუბილისათვის ბატონი კოტე წარმოგვიდგება საუკეთესო ფორმაში, ჯანმრთელი და ბედნიერი, დიდი სამომავლო გეგმებით შემართებული, რაც მისი მშვენიერი მეუღლის ქ-ნ ზაირას დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

დიდ ბედნიერებას და კეთილდღეობას ვუსურვებ თქვენს დიდ და სახელოვან ოჯახს.

თინა ბარამიძე

ბატონო კოტე!

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის ინსტიტუტის კოლექტივის სახელით მინდა უდიდესი პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით მოგესალმოდეთ და გულითადად მოგილოცოთ ღირსშესანიშნავი თარიღი – 80 წლის იუბილე, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ეგებებით თქვენთვის ჩვეული ახალგაზრდული ენერჯით, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი.

თქვენი სახელი თითოეული ჩვენგანისათვის ასოცირებულია გულისხმიერებასთან, უმაღლეს პროფესიონალიზმთან, პასუხისმგებლობასთან, პატიოსნებასთან, ათასობით ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან.

ფასდაუდებელია თქვენი წვლილი ქართული ონკოლოგიური სკოლის წინაშე და ექიმთა თაობების აღზრდის საქმეში.

თქვენი პიროვნული ღირსებები და განვლილი გზა ქვეყნად ყველაზე რთული და კეთილშობილი პროფესიისადმი ერთგულების, ადამიანთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის მსახურების მაგალითია. გვჯერა ასეთად დარჩება ექიმთა კიდევ არაერთი თაობისათვის, რამეთუ განსახიერება იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი ექიმი ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

ძალზე ძნელია ასეთი მცირე მიმართვით გამოიხატოს ის დიდი პატივისცემა და სიყვარული, რომელსაც განიცდის თითოეული თქვენი კოლეგა, თქვენებრ განუმეორებელი შინაგანი ხიბლის მქონე პიროვნების მიმართ.

ჩვენი მოკრძალებული სიტყვით ვუერთდებით სხვათა მილოცვებს და გვინდა კიდევ ერთხელ გისურვოთ ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე. კვლავაც არ მოგშლოდეთ მკლავის ძალა, აზრის სიმრთელე და სულის სითბო თქვენი საყვარელი ოჯახის, ერთ-

გული მეგობრებისა და კოლეგების, მადლიერი მონაფეების და პაციენტების იმედად და სასიხარულოდ.

ფ. თოდუა
ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

225

კონსტანტინე მაღიჩი

პროფესორ კონსტანტინე მაღიჩს

ბატონო კონსტანტინე,

მაქვს პატივი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და პირადად ჩემი სახელით გულწრფელად მოგესალმობთ და მოგილოცოთ დაბადებიდან 80 წლის იუბილე.

საქართველოს საზოგადოება, თქვენი კოლეგები, დიდად აფასებენ იმ დიდ ღვაწლს, რომელიც მიგიძღვით საქართველოში მედიცინის განვითარების საქმეში. მეტად მნიშვნელოვანია ის დიდი წვლილი, რომელიც თქვენ შეიტანეთ ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის თანამედროვე მეთოდების დანერგვაში, ასევე საექიმო სამეცნიერო კადრების მომზადებასა და დახელოვნებაში.

განუზომელია ის ამაგი, რომელიც თქვენ დასდეთ პრაქტიკული ონკოლოგიის დარგს. ათეულ ათასობით ქალს შეუნარჩუნეთ და გაუხანგრძლივეთ სიცოცხლე, უამრავ ოჯახს არუქეთ ბედნიერება.

დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენს მიერ განეული ამ დიდი შრომისა და მოღვაწეობისათვის.

გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, პირად ბედნიერებას და შემდგომ წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ საქმიანობაში ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

პატივისცემით ა. გამყრელიძე

ბატონ კონსტანტინე მაღიჩს

დღეს ჩვენს მეგობარსა და კოლეგას, ბატონ კოტეს საიუბილეო თარიღი აქვს.

უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესიონალი, უნიჭიერესი მეცნიერი და დასტაქარი, იგი იმ მცირერიცხოვან დიდოსტატ მკვლევართა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც სულ მუდამ ახალი იდეების მატარებელია.

ბატონი კოტე ისეთ ოჯახში აღიზარდა, რომელშიც სუფევდა სიყვარული, სიტბო, ურთიერთპატივისცემა და პატიოსანი შრომა. ამან უეჭველად თავისი დალი დაასვა ბატონ კოტეს და იგი მთელ თავის ცხოვრებას ამ პრინციპებით ატარებს.

რამდენიმე ათეული წელია იგი ემსახურება ქვეყანას, მედიცინას, მეცნიერებას, მეგობრებსა და ამხანაგებს, უბრალოდ ნაცნობებსა და უცნობებს.

იგი განუწყვეტლივ შრომასა და ფუსფუსშია, უჩუმრად, ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე აკეთებს კეთილ საქმეებს. ასეთი იყო სპორტის ოსტატი კოტე მაღიჩი ახალგაზრდობისას, როდესაც იგი წარმატებით თამაშობდა წინა საუკუნის 50-იან წლების „მედიკოსის“ ფეხბურთელთა გუნდში, რომელიც ერთ-ერთი უძლიერესი იყო საქართველოში და თბილისის „დინამოს“ ოსტატ კალათბურთელთა გუნდში, რომელიც სსრ კავშირში უძლიერესთა შორის იყო.

ბატონი კოტე უაღრესად გულისხმიერია, უხვად იძლევა რჩევა-დარიგებებს და სიამოვნებით უზიარებს თავის დიდ გამოცდილებას ყველას, ვინც კი მას მიმართავს. ამაში იგი დაუზარელია.

ბატონი კოტე ძალიან მომთხოვნია, ამავე დროს ძალიან სადა, კეთილი, გულისხმიერი, გულგაშლილი და ხელგაშლილი. მისი დახვედრა, ღიმილი, ტკბილი, ჩუმი საუბარი იმნამსვე ნდობითა და სიყვარულით განგანყოფს მისდამი. ამიტომაა, რომ იგი ყველას უყვარს და პატივს სცემს, განსაკუთრებით ლამაზ და სუსტი სქესის წარმომადგენლებს.

ბატონო კოტე, გილოცავთ თქვენ, თქვენს შესანიშნავ მეუღლეს, ქალბატონ ზაირას, თქვენს ოჯახს, მეგობრებს საიუბილეო თარიღს. ჯანმრთელობასა და სიმხნევეს გისურვებთ მრავალი წლის განმავლობაში, დიდხანს შეგრჩენოდეთ მაღალი ფლუიდები და ამ საუკუნის ორმოცდაათიან წლებში დაგენყოთ მემუარების წერა და ლოტოს თამაში.

*გეფერებით, გკოცნით ვეტერანი ფეხბურთელების
გუნდის „მედიკოსის“ სახელით
გურამ ბექაია*

თბილისის სამედიცინო აკადემიის ონკოლოგიის კათედრის გამგეს პროფესორ კონსტანტინე მაღიჩს

ღრმად პატივცემულო ბატონო კონსტანტინე!

